N23 (574) 9/VI-15/VI-2011 ფასი 1 ლარი

გზა

ჩემი რჩეული ვაჟა-ფშაველა

ხუთტომეული ტომი IV

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ ვაჟა-ფშაველა ტომი V

ექსკლუზიური ფოტოები

ექსკლუზიური ინტერვიუ სპეცრაზმელთან

რა დაუჯდა შსს-ს მომიტინგეების დარბევა

ორი ვიზიტი მეგავარსკვლავის ნომერში

„თვით შერონ სტოუნი მომეფერა“

ფოტოგრაფი, რომელმაც ცისანა ტატიშვილი დაამახინჯა

პრობლემა

თამაში გიურზების გარემოცვაში და სასიკვდილოდ განწირული ტურისტები

შეცვლილი ცხოვრების სტილი

„მამაკაცები ეგოისტები არიან“...

ISSN 1987 - 5029

მსოფლიოს უცნაური კატასტროფები

Elos

სილამაზის ტექნოლოგიის ინოვაციური მეთოდი

სხეულზე პროცედურები

Elos — ეპილაცია წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სიწითლეს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგაშოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ჭაღარა და ძალიან ღია თმა!

სახის პროცედურები

Elos გაახალგაზრდავება — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალებას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აკნეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს.
ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

ჩაეწერეთ უფასო კონსულტაციაზე

29 00 66 29 47 47

თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge

ჯავახიშვილის კოსმეტოლოგიის სამკურნალო ცენტრის განცხადება

საქართველოში 60 წელზე მეტია, რაც იცნობენ და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ნელი ჯავახიშვილის და მისი დინასტიის პროფესიონალიზმი კოსმეტოლოგიაში. ქალბატონი ნელის საქმიანობას მისი შვილები და შვილიშვილები აგრძელებენ. ისინი მოღვაწეობენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. გასულ ხუთშაბათს ჟურნალ „გზაში" დაიბეჭდა ნინო ჯავახიშვილის ესთეტიკური ცენტრის სარეკლამო პუბლიკაცია, რამაც გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია. ამან გადაგვაწყვეტინა მცირე განცხადების გაკეთება: საქმე იმაშია, რომ ქალბატონი ნელის ქალიშვილს ნინო ჯავახიშვილს არავითარი ახალი კლინიკა არ გაუხსნია. თბილისში რამდენიმე ნინო ჯავახიშვილია. ისინი სხვადასხვა ადგილას მუშაობენ,
მაგრამ ქალბატონი ნელის მემკვიდრე — ნინო, რომელიც დერმატო-კოსმეტოლოგია, მუშაობს ისევ კეკელიძის № 19-ში, სადაც უკვე ჯავახიშვილების სამი თაობა მოღვაწეობს.

- სამკურნალო კოსმეტოლოგია
- მეზოთერაპია
- ბოტოქსის ინექციები
- ოზონოთერაპია
- ესთეტიკური კოსეტოლოგია
- ყველა სახის პილინგი
- ყველა სახის მასაჟი
- პერმანენტული მაკიაჟი

ჯავახიშვილების კოსმეტოლოგიის სასწავლო და სამკურნალო ცენტრი
ნინო ჯავახიშვილი
ექიმი დერმატო-კოსმეტოლოგი
ტელ: 225 21 36, ბინა 223 37 27;
899 17 12 35; მის: კეკელიძის 19
E mail: gngcentri@yahoo.com
www.gng.ge

franco fontana
italy

Ismeri!

ყველაზე განსხვავებული,
ყველაზე დახვეწილი,
საუკეთესო დიზაინის,
ვენეციური სტილის საქორწილო
ბეჭდების დიდი არჩევანი
franco fontana -ში.

franco fontana
გთავაზობთ ცნობილი
იტალიური ბრენდების
ოქროსა და ვერცხლის
ნაკეთობების
ახალ კოლექციას!

საზაფხულო ფასდაკლება
სრულ კოლექციაზე!

10-25%

franco fontana გემოვნებიანი ადამიანების არჩევანი

რუსთაველის 26 ☎218-10-47;ვეკუინის 7 ☎230-65-56; ჭავჭავაძის 21 ☎218-10-46;
დადიანის 7, ☎218-14-15 (ქარვასლა I სართული)

ფასი
2 ლარი
...და ქალი
ივნისი
ყოველთვე ჟურნალ
„და ქალთან“ ერთად
ქალის ბუმბერაზი ბესტსელერები
ქალის
ბუმბერი
მეხუთე ავენიუ
სახლი №1
ივნისში
წიგნის ფასი: 3 ლარი
(ჟურნალთან ერთად: 5 ლარი)

№23 (574)
9 — 15 ივნისი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
გზა

ქვეყანა

ბავშვის დაღუპვით
გამოაშკარავებული პრობლემა

„უცებ ყვირილი მოგვესმა. ჩემს ბიჭს ამილი ხელში აყვანილი მოჰყავდა. დავინახე, რომ ფეხზე ერთი წვეთი სისხლი ჰქონდა და მივხვდი — გველმა დაგესლა“.

16

სახე

ეკა ნიჟარაძის
ახალი ცხოვრების სტილი

„დიდი ხანია, არ მივარჯიშია. დაახლოებით ორი კვირაა, რაც ვარჯიში დავიწყე და მივხვდი, რა კარგია ასე ცხოვრება. ვამბობ, აქამდე სად ვიყავი-მეთქი?!“

26

■ **მინიატიურები** 5
კვერცხების კვირა

■ **ჭრელი მსოფლიო** 6

■ **ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე** 7

■ **რაკურსი** 14

■ **რეპორტაჟი** 16
თამაში გიურზების გარემოცვაში და ბავშვის დაღუპვით გამოაშკარავებული პრობლემა

■ **დეკლარანტები** 18
რა შემთხვევაში მოუწევდა ლევან ვეფხვაძეს მდიდარი მეგობრების დაკარგვა...

■ **კარიერა** 20
ქეთი ორჯონიკიძე: რეჟისორებს ჩემი ფანტაზიის ჩარჩოებში მოქცევა უწევთ

■ **გასტროლები** 22
„კომედი შოუ“ ამერიკაში და იქ მცხოვრები ქართველების „ვანო ჯავახიშვილი“

■ **ფსიქოპორტრეტი** 23
როდის თამაშობს შეყვარებული ქალის როლს სალომე გოგიაშვილი

■ **ამპლუა** 25
უფრო „მეტი“, ვიდრე უბრალოდ სიმღერა

■ **გემოვნება** 26
ეკა ნიჟარაძის ახალი ცხოვრების სტილი

ცხოვრება

საეცრაზმელების გამხელილი საიდუმლო

„არანაირ სპორტულ დარბაზში არ ვყოფილვართ გამოკეტილები. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ყაზარმული მდგომარეობა იყო გამოცხადებული და სახლში არ გვიშვებდნენ“.

32

გრძნობა, რომელიც ადამიანს აგიჭებს

„მაგ ბანალური, ლათინურამერიკული სერიალის სიუჟეტით ვის „დაბოლებას“ ცდილობ? მართლა დებილები გგონივართ? ვაი, შენ!“

64

■ სულის სიმტკიცე 28

„ჩამოსაწერ და გადასაგდებ ხალხად მიგვიჩნევდნენ“

■ მისია 31

„14 შვილი გავზარდე, უკვე შვილიშვილიც მყავს...“

■ სამიზნე 32

სპეცრაზმელების გამხელილი საიდუმლო და ქურდული „ობშიაკი“ შსს-ში

■ თინეიჯერული პონტები 35

ყველაზე სექსუალური ქართველი მამაკაცები

■ ჩემი ცხოვრების გზა 38

დაჩოქილი გერმანელი რეჟისორი, ორ კვირაში ნასწავლი „ვაგნერი“ და საბჭოთა კავშირის პირველი სალომეა

■ ისტორიის ლაბირინთები 41

1832 წლის შეთქმულება

■ ანტიდეპრესანტი 44

■ ავტო 44

■ ერუდიტი 46

ფაქოს უცნაური ჩვევა

■ საკითხავი ქალებისათვის 48

■ ჯანმრთელობა 50

■ წვეთი პოეზია 52

■ რეალური 53

მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

■ მისტიკური დეტექტივი 56

რუსუდან ბერიძე. ხაფანგი (გაგრძელება)

■ რომანი 60

სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (დასაწყისი)

■ გზავნილები 64

ახდენილი წინასწარმეტყველება

■ ყველა ერთისათვის 66

■ მობილი-ზაცია 68

■ ქართული სპორტის ლეგენდები 74

■ სამყარო 76

■ გასართობი 78

■ ასტროლოგია 80

■ სკანვორდი 81

■ საფირმო კროსვორდი 82

სამყარო

1832 წლის შეთქმულება

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიიჩნევა, რომ შეთქმულება მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ — იესე ფალავანდიშვილმა გასცა, თუმცა უფრო სარწმუნო ჩანს ვარაუდი, რომ იგი ასე განზრახ არ მოქცეულა...

41

ბიბლუსი

— ცუდი ამბავი მაქვს შენთვის, — მოგუდული ხმით დაიწყო.

— რა ხდება, კიდევ რამე საშინელება ტრიალებს ჩემს თავს? იმაზე უარესი, რაც მჭირს? — სარკასტულად გამეცინა.

— დედაშენს ხალხი მივუგზავნე... უფრო სწორად, მისი ოჯახის ადვოკატს ველაპარაკეთ.

60

ტაიმ-აუტი

კბილი კბილის წილ

XVIII საუკუნეში მოდაში შემოვიდა ოქროს კბილები. ოქროს კბილების რაოდენობით მფლობელის სოციალური სტატუსი განისაზღვრებოდა.

77

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქავჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

კვერცხების კვირა

შესავლის ნაცვლად ბადრი ბიწაძეს გირაოს გადახდის ვადა უთავდება და კაცმა არ იცის, სად არის.

კაცმა კი არა, ქალმაც არ იცის, მათ შორის, არც მისმა მეუღლემ. ყოველ შემთხვევაში, ქალბატონმა ბურჯანაძემ ჩემს კოლეგებს პირდაპირ განუცხადა:

— არ ვიცი, სად იმყოფება და არც მაინტერესებს!(!) სიმართლე რომ ვთქვა, კარგად ვერ გავიგე, ეს „არ მაინტერესებს“ რას ნიშნავდა (ჩემს ცოლს, მაგალითად, ყოველთვის აინტერესებს, წაიღო ტვინი).

ვიფიქრე, შემდეგ პრესკონფერენციაზე გავერკვევიმეთქი, მაგრამ იქ მთლად უარესი თქვა: როდესაც ჰკითხეს, მისთვის გირაოს გადახდას თუ აპირებთო? „გროშ-კაპიკს“ არ გადავუხდი მაგასო და... მერე კი ადგა და კიევში გაემგზავრა...

თან, ეს ბეჭედიც რომ მეორე ხელზე გადაუტანია... „რა ვიცი, რა ვიცი...“

არა, არა — როგორც ჩანს, მართლა გაბრაზდა ქმარშვილზე: ამწუთას ვნახე სიუჟეტი კიევიდან, სადაც ამბობს, — ჩემს შვილს რომ „სახალხო კრების“ იდეოლოგობას აბრალებენ, რა დროს 24 წლის ლაწირაკის იდეოლოგობაა? (ისევ — „რა ვიცი, რა ვიცი...“)

თქვენ არ იდარდოთ, ქართველნო! ოპოზიციის გარეშე არ დავრჩებით! აქ არ გვყავს მედგარი „რვიანი“?! ჰოდა, „რვიანმა“ განცხადება გააკეთა — ქვას გახეთქავს! ბრძოლას არ ვწყვეტთო (ნეტა, როდის დაიწყეს)! პირიქით, უფრო გავაძლიერებთ ნაცრის ქექვას და კვერცხებში მახათის გაყრასო! ქუჩის აქციებსაც არ მოვერიდებითო (ჰო, რა, დათბა უკვე), გამოვალთ და ვიყვირებთ: „მიშა, შე ცუდო, არ გადადგე, მაგრამ კარგი არჩევნები დანიშნე და ჩვენ მოგვაგებინე!“

საერთოდ, რაღაც ხდება, მგონი, მზის მაგნიტური ქარიშხლის ბრალია — დღეს ლეიბორისტები გამოვიდნენ და პრეზიდენტი არჩევნების გზით უნდა წავიდესო, — ბრძანეს! ლეიბორისტებმა, კაცო!

მოწამლულია, ძმაო, ჰაერი და კიტრი და ყველაფერი, რადიაცია და ოხრობა, მოქმედებს ადამიანებზე, ეგრე კი არ არი...

მოკლედ, დაერხა მიშას! ოღონდ მანამდე შერონ სტოუნი ეწვია თბილისს, პირდაპირ მოსკოვიდან ჩამოვიდა, სადაც რუსებს სიყვარულს ეფიცა, მაგრამ აქ რომ ჩვენი მიშიკო დაინახა, ვაიმეე, რა მაღალი და სიმპათიური ყოფილხართ, ფუფუჰ, რას ჰგავდნენ ისინი, ახლა საქართველო მიყვარს, რუსეთი აღარაო, — თქვა და ჩურჩხელა შეჭამა. ამით კიდევ უფრო დაგვაახლოვა ნატოსთან, ხოლო მას შემდეგ, რაც ჭაჭა მოსვა, ჩათვალეთ, რომ „მაპი“ ჯიბეში გვიდევს.

ეეეჰ, „მაპი“, არა, ბუს კვერცხები...

რა მჭირს კაცო, დღეს მეორედ ვახსენე კვერცხები...

ჰო, მართლა, ჩვენი ნატოში მიღება არა, მაგრამ აი, აფხაზეთის დამოუკიდებლობა კი ნამდვილად ცნო კუნძულოვანმა სახელმწიფო ვანუატუმ! მერე რა, რომ ვანუატუ დედამიწის იმ სამ ადგილთაგან ერთ-ერთია, სადაც ჯერ კიდევ რეგულარულად ხდება კანიბალიზმის შემთხვევები. სამაგიეროდ, ახლა რუსებმა იმდენი ფული გადაუხადეს, რომ „იმპორტირებულ ხორცზე“ გადავლენ.

ჰმ, გაგეცინებათ და, ძალიან დიდ ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ამ ვანუატუზეც კვერცხები გამახსენდა: palitratv.ge-ზე დევს კლიპი, როგორ ცეკვავენ ვანუატუელი ტიტველი მამრები. ამერიკელებს კი სულ სხვა პრობლემა აწუხებთ: მაგათი მმართველი პარტიის(!) წარმომადგენელ ერთ კონგრესმენს ვირტუალური სიყვარული გაუბამს ვიღაც ნაშებთან ინტერნეტში და თან, საკუთარი ინტიმური ფოტოებიც გაუგზავნია!

ნწ, ნწ — ეს რა უქნია! მაგრამ უარესებიც ხდება — ერთი სახელმწიფო ვიცი, სადაც მმართველი პარტიის არათუ ერთ დეპუტატს (კონგრესმენს, რა...), მთელ მმართველ ძალას „უმოწყალო“ და არავირტუალური, ბოდიში და, სექსი აქვს თავის ქვეყანასთან და ჰგონიათ, რომ ხალხს ეს სიამოვნებს...

სამაგიეროდ, ამერიკელებს ბრძენი პრეზიდენტი ჰყავთ: ესპანეთში ვიზიტად ყოფნისას „წიხლი უკრა“ ესპანელებს მამაპაპურ სუფრაზე და „ფასტ ფუდში“ გაქანდა. ჰოთ-დოგი და ფრი მიირთვა (არადა, ცოლი უშლის) და ბოლოს მორიგი სიბრძნე აღმოთქვა: „ჩემს შვილებს სულ ამას ვასწავლი და თქვენც დაიმახსოვრეთ: — ცხელ ჰოთ-დოგს კეტჩუპი არასოდეს მოასხათ!“

აი, დაახლოებით ისე, მომაკვდავმა კახელმა რომ შვილი დაიბარა, ანდერძი უნდა გითხრაო. იმას გაუხარდა, იფიქრა, შენახული სიმდიდრის ადგილსამყოფელს მეტყვისო, მაგრამ მთელი „განძი“ ეს დარიგება აღმოჩნდა:

— შვილო, დაიმახსოვრე: ხაშლამა ჩამოტარებით თუ იქნება, უძვლო ნაჭერი აიღე და თუკი ჩადგმითა — მაშინ ძვლიანი! — გადაბრუნდა და მოკვდა.

ოღონდ ეს ანეკდოტია, ობამა კი სინამდვილე. თანაც, ამბობენ, — კიდევ აირჩევენო.

P.S. ასი წელია „ვპროვოკატორობ“ და ასეთი შემთხვევა არ მქონია, ამიტომ ბოლოში თუ რაღაც არეულია, უნდა მაპატიოთ. მოკლედ, ასეა საქმე: ობამას „აფორიზმი“ და კახელის ანეკდოტი მეწერა P.S.-ში, სურათზე რომ კენგურუა, იმის ამბავი — ძირითად ტექსტში. მაგრამ P.S. ავიტანე ზევით და კენგურუს ამბავს კი ველარ გაიგებთ, ოღონდ მე კი არა — საგადასახადოს დააბრალეთ, შემოლაგდნენ ახლა და „მედია პალიტრის“ მთელი საწყობები და მთელი საბუთები დალუქეს და დაიწყეს „კომბლების თლა“.

ეტყობა, ბოლოს და ბოლოს აეწვა ყურები და თვალები ჩვენი „ტლიკინით“ ვიღაცას და დასჯა გადაგვიწყვიტა. ვფიქრობ, სასჯელის უმაღლეს ზომას მოგვიყენებს — დამორჩილებას. თუმცა რაღა ვიღაცა — ამ საგადასახადოს უფროსი როა და იმას რო კიდე უფროსი ჰყავს შუშის შენობაში და კიდე იმის მთლად უფროსი როა, ისიც შუშისგუმბათიან სასახლეში, მოკლედ — მთავარი მეშუშე როა, აი, ეგ არი, რა...

ეეეჰ, „ხელის მაზებზე“ ციხეა, მიშა, თორემ „გაგიმაზავდი“: ვერაფერს რომ ვერ იპოვით, მაგაზე უფროსობა დაგენაძლევება და გაჩუმება-დამორჩილებას რაც შეეხება — შანსი არა გაქვს!

P.P.S. სათაური არ გადამიკეთებია, უბრალოდ — დავემთხვა...

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

უსახლკარო მერი კარავში ცხოვრებას აპირებს

სოლოვეცის კუნძულების დასახლების ახალი მერი ალექსეი ეფიპოვი კარავში ცხოვრებას აპირებს. ის კარვის გაშლას თეთრი ზღვის სანაპიროზე გეგმავს. ამ გზით მაღალჩინოსანს საბინაო პრობლემის მიმართ ყურადღების მიპყრობა სურს. ეფიპოვი, რომელიც მერის მოვალეობის შესრულებას 2011 წლის მარტიდან შეუდგა, ირწმუნება, რომ დარეგისტრირებულია მშობლების ბინაში, არხანგელსკის ოლქში, სოლოვეცის კუნძულებზე კი უძრავი ქონება არა აქვს. მისი თქმით, მუნიციპალურ სახლებში ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. „გარშემო „ბარაკებია“: დამპალი იატაკი და ჭუჭყიანი კედლები, ღუმელიც არ მუშაობს, უმჯობესია, კარავში ვიცხოვრო“, — ამბობს ეფიპოვი. ცოტა ხნის წინ მერმა სახლი დაიქირავა, მაგრამ ტურისტული სეზონის გამო ქირის ფასი გაიზარდა, რის გამოც, ეფიპოვს ბინაზე უარის თქმამ მოუწია. სოლოვეცის კუნძულები თეთრ ზღვაში მდებარეობს და რუსეთის ფედერაციას ეკუთვნის. ■

ამერიკელი კონგრესმენი ქალებს შიშველ ფოტოებს უგზავნიდა



46 წლის დემოკრატი-კონგრესმენი, ნიუ-იორკის მერობის კანდიდატი ენტონი ვაინერი სექსუალურ სკანდალში გაეხვია. კონსერვატორების აქტივისტმა, ენდრიუ ბრეიტბარტმა თავის საიტზე გამოაქვეყნა ვაინერის შიშველი ფოტოები, რომლებიც კონგრესმენმა სიეტლელ სტუდენტ გოგონას გაუგზავნა. კონგრესმენმა არ უარყო, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში 6 ქალთან ჰქონდა ვირტუალური კავშირი. ვაინერის ცოლი, ჰუმა აბედინი წლების მანძილზე სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის თანაშემწეა. მას „ჰილარის ჩრდილსაც“ კი უწოდებენ. კონგრესმენმა თქვა, რომ ცოლს ბოდიში მოუხადა, ყველაფერი აუხსნა და ისინი გაყრას არ აპირებენ. სექსუალური სკანდალის ფონზე ვაინერი ნამდვილი ტელევარსკვლავი გახდა. მისი დაკუნთული ტორსი არაერთმა გამოცემამ დაბეჭდა, მაგრამ საეჭვოა, ამგვარმა პოპულარობამ ნიუ-იორკის მერის არჩევნებში წარმატება მოუტანოს. ■

იაპონიაში უყურო კურდღლები გაჩნდნენ

იაპონიის ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმა-1“-დან 30 კმ-ში ორი, თეთრი უყურო კურდღელი გაჩნდა. ადგილობრივი მოსახლეობა შეშფოთებულია. მშობლებს ეშინიათ, რომ მათი შვილები გენეტიკური გადახრებით დაიბადებიან. პრეფექტურაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შემდეგ, ხელისუფლებამ ელექტროსადგურიდან 20 კმ-ის რადიუსში მოსახლეობის ევაკუაცია განახორციელა. მოგვიანებით ევაკუაციის ზონა 30 კმ-მდე გაიზარდა. ■

რადიო
თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

ფრანგ ჟურნალისტებს FACEBOOK-ისა და TWITTER-ის ხსენება აუკრძალეს

საფრანგეთში ტელე და რადიოჟურნალისტებს ეთერში ამ ორი სოციალური ქსელის ხსენება აუკრძალეს. 1991 წელს რეკლამის შესახებ მიღებული კანონის თანახმად, ბრენდების ხსენება რეკლამად ითვლება. წამყვანებს შეუძლიათ, საუბრისას ზოგადი განსაზღვრება — სოციალური ქსელები გამოიყენონ. 2008 წელს „ფეისბუკმა“ საიტის ფრანგული ვერსია შექმნა. იმ მომენტში ამ ქსელით საფრანგეთში უკვე 1,4 მლნ მომხმარებელი სარგებლობდა, მსოფლიოში კი 67 მლნ. ამჟამად„ფეისბუკით“ 687 მლნ ადამიანი სარგებლობს. რაც შეეხება „ტვიტერს“, ამჟამად მას 200 მლნ ადამიანი მოიხმარს. ■

ᲔᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲮᲔᲓᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲛᲔᲒᲐᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ

შერონ სტოუნისა და ფილმის — „აგვისტოს 5 დღე“ ჯგუფის წევრთა თბილისში ჩამოსვლისა და ამ სურათის პრემიერის შესახებ ტელერეპორტაჟებიდან ბევრი ინფორმაცია მივიღეთ, ამიტომ მკითხველს გამეორებით თავს არ შევაწყენთ — შევეცადეთ, საქველმოქმედო ვახშმის „შიდა სამზარეულოში“ შეგვეხედა და სტუმრების გამგზავრების დღეს, მის ორგანიზატორსა და საქველმოქმედო საღამოს წამყვანს დასვენებაც კი არ ვაცადე, ისე ვეწვიე შინ ინტერვიუსთვის.

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲫᲘᲕᲘᲫᲔ

— ასეთი საპასუხისმგებლო საქმე ვინ და რატომ მოგანდო?

ᲜᲘᲜᲝ ᲜᲝᲚᲘᲐ:

— მოგეხსენება, უკვე ათეული წელია, მსგავს ღონისძიებებს ვაკეთებ. 16 დეკემბერს, ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიას, რომელიც ამ საქველმოქმედო ვახშმის ორგანიზატორი გახლდათ, დაარსების დღე ჰქონდა და მთხოვეს, საიუბილეო ივენთის მოწყობაში დავხმარებოდი. მაშინ მართლა ბევრი ვიშრომე და რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში არაჩვეულებრივი საღამო მოვაწყვეთ. ალბათ ამის გათვალისწინებით, ახლა, როცა ასეთ სტუმრებს უნდა დახვედროდნენ, კვლავ დამიკავშირდნენ და მთხოვეს, ვახშმის საღამოს მომზადებისთვის მომეკიდა ხელი. მართალია, მზარეული საფრანგეთიდან ჰყავდათ ჩამოყვანილი, მაგრამ საკონცერტო ნაწილი მე ჩამაბარეს და მასზე მთლიანად თავად ვიზრუნე.

— რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ ამ კონცერტში მონაწილე ადამიანები?

— საღამო ევროპულ-ქართული უნდა ყოფილიყო, რადგან როცა ჩვენთან უცხოელი სტუმრები ჩამოდიან, მათ აუცილებლად რაღაც ეროვნული უნდა დაახვედრო. მათ მთელი მსოფლიო აქვთ მოვლილი, ყველაფერი ნანახი აქვთ, არაფერზე გიუდებიან და გვინდოდა, რამით გაგვეოცებინა. თან მათი ეროვნებაც უნდა გაითვალისწინო და ისიც აჩვენო, რომ მხოლოდ შენსას კი არ მღერი, არამედ უცხოური სიმღერების შესრულებაც შეგიძლია. ეს იყო ჩვენი ამოსავალი წერტილი. აქედან გამომდინარე, სცენაზე აუცილებლად ფოლკლორი უნდა აჟღერებულიყო და ვინ უნდა მოგვეწვია, თუ არა გიორგი უშიკიშვილი, „ლაშართან“ ერთად?!. მგონი, იმაშიც დამეთანხმებით, რომ ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრს, ნიკა მემანიშვილის ხელმძღვანელობით საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს მაღალი რანგის კონცერტებში მონაწილეობისა. რაც შეეხება სოფო ნიჟარაძეს, გარდა იმისა, რომ ძალიან ახალგაზრდა, ლამაზი და ნიჭიერი ადამიანია, მის რეპერტუარში, როგორც ქართული, ასევე ინგლისური და ევროპული სიმღერებიცაა. მთელი ვახშმის განმავლობაში უკრავდა ბენდი — პაატა ანდრიაძის, ნოდარ ექვთიმიშვილისა და გიორგი სალაღიშვილის შემადგენლობით. აბსოლუტურად ყველაფერი ცოცხალი შესრულებით იყო. არ შემიძლია არ აღვნიშნო თამაზ გოგოტიშვილის ბავშვთა სტუდია „ქართული რიტმები“, რომლის 3 მედოლე ბიჭიც სცენაზე საოცრებებს აკეთებდა. კონცერტი რომ საკმაოდ კარგი გამოვიდა და ასეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, ჩემი კი არა, სწორედ იმ ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც სცენაზე იდგნენ.

— რატომ გადაწყდა, რომ საქველმოქმედო ვახშამზე მოსაწვევი ასეთი კოლოსალური თანხა უნდა ღირებულიყო?

— ასე ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს. სულ მილიონ-ნახევარი ლარი შეგროვდა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომში დაზარალებულ ოჯახებს მოხმარდება.

— ალბათ ამ საღამოს მონაწილეებსაც დიდ ჰონორარებს გადაგიხდიან...

— აბსოლუტურად ყველა ჩვენგანმა სიმბოლური თანხის საფასურად ვიმუშავეთ. ვიცი, რომ ნიკა მემანიშვილმა და სოფო ნიჟარაძემ გასამრჯელოზე უარი თქვეს. მთელი კვირაა, ნორმალურად არ მიძინია, შესაბამისად, ძალიან დაღლილი ვარ, მაგრამ — ბედნიერად დაღლილი ვარ...

— ამ საღამოთი ალბათ ჩვენი უცხოელი სტუმრებიც აღფრთოვანებული დარჩნენ...

— ისინი როცა ვახშამზე მოვიდნენ, უკვე ემოციებით სავსე იყვნენ, რადგან ორი დღის განმავლობაში ბევრი რამის ნახვა მოასწრეს. ალბათ ჩვენი დაუღალავი შრომის შედეგი იყო, რომ ჩვენს ერთ-ერთ საპატიო სტუმარს, ენდი გარ-

თეატრის წინ კი შერონის კარგად გადაღება ვერ მოვახერხე, რადგან მას განსაკუთრებულად იცავდნენ

ᲕᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲣᲯᲠᲔᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲠᲛᲘᲡ ᲓᲝᲜᲝᲠᲝᲑᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲣᲠᲝᲒᲐᲢᲘ ᲓᲔᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ

ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲚᲣᲑᲚᲘᲐᲜᲐᲡ Ქ.2/6 ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲖᲔ: 868 40 50 50

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ (10:00-ᲓᲐᲜ 17:00-ᲛᲓᲔ)

სიას აბსოლუტურად დაუგეგმავად, სცენაზე ამოსვლის სურვილი გაუჩნდა. მისი სიტყვით გამოსვლა ნამდვილად გათვალისწინებული იყო, მაგრამ ის, რომ როიალზე დაუკრავდა, არავინ ვიცოდით. მეოთხე კერძის შემდეგ, როცა მხოლოდ დესერტიღა უნდა გამოეტანათ და ჩვენი საკონცერტო ნაწილი დასრულებული იყო, ენდი სცენაზე ამოვიდა, როიალთან დაჯდა და დაუკრა; ამასობაში, ჩვენი ბენდის ბიჭებმა აკომპანემენტიც გაუწიეს და არაჩვეულებრივი, იმპროვიზებული ნომერი გამოვიდა. ამ ყველაფერს ბოლოს ისიც დაერთო, რომ გარსია მღეროდა, — „მე მიყვარს საქართველო“. მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და ტაშს უკრავდა.

— როგორც ვიცი, თავიდან გათვალისწინებული იყო, რომ საღამოს წამყვანი რენი ჰარლინი უნდა ყოფილიყო. რატომ შეიცვალა ეს გადაწყვეტილება?

რენი მანქანიდან რომ გადმოვიდა, ყველას მოგვესალმა და თეატრში შესვლას აპირებდა, როცა ინგლისურად დავუძახე

— არ ვიცი. მხოლოდ დღის 3 საათზე გავიგე, რომ საღამო მე უნდა წამეყვანა. ეს ერთგვარი სიურპრიზი იყო ჩემთვის. თავიდან იგეგმებოდა, რომ სტუმრებს ჩამოსვლისთანავე უნდა შეეხვედროდი, გამეცნო საღამოს გეგმა, ყველა მუსიკალური ნომერი ამეხსნა, მაგრამ ისინი თბილისის დასათვალიერებლად „გაიტაცეს“ და მათ მხოლოდ სცენაზე შეეხვდი... როცა ამხელა პასუხისმგებლობას იღებ საკუთარ თავზე, ბოლოს ყველაფერს ვერ გააფუჭებ, თუმცა კი რაღაცებზე ნამდვილად მწყდება გული: რომ მცოდნოდა, სცენაზე უნდა დავმდგარიყავი, ჩემს გარეგნობაზე გაცილებით მეტად ვიზრუნებდი. დღის 3 საათზე კი რუსთაველის თეატრიდან ველარ გამოვიდოდი. აბსოლუტურად ჩვეულებრივი კაბა მქონდა წაღებული, რომელიც დაბალძირიან ფეხსაცმელზე უნდა ჩამეცვა, რათა კარგად მერბინა. საბედნიეროდ, მსგავსი საღამოების მომზადებით, უკვე კარგი ალღო მაქვს გამომუშავებული, ასე რომ, ჩანთით აქსესუარებიც მქონდა წაღებული და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელიც. ჩემს მეგობარს, ეკა ჩაჩიბაძეს დავურეკე და ჩემს მაკიაჟსა და ვარცხნილობაზეც იქვე, კულისებში მან იზრუნა.

— შენი საუბრიდან გამოდის, რომ სტუმრებთან პირადი კონტაქტი არ გქონია...

— მათთან ახლო შეხება ნამდვილად არ მქონია, მაგრამ ენდი გარსიამ ღირსეული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. ყოველგვარი ჭარბი ამბიციურობის გარეშე, რაც უნდოდა, ის გააკეთა და სცენაზე ამოვიდა.

მოგვიანებით, ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელს, ***გიორგი უჯიკაშვილსაც*** *ვთხოვე, ორიოდე სიტყვით ის დაუვიწყარი საღამო გაეხსენებინა.*

— ალბათ თქვენ ყველაზე ადრე იცოდით შერონ სტოუნისა და სხვა ცნობილი ადამიანების მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ. როგორ შეიტყვეთ, რომ მათთვის თქვენ და ანსამბლ „ლაშარს“ უნდა გემღერათ?

— ყველაზე ადრე ნამდვილად არაფერი მცოდნია. როგორც ყველა ადამიანმა, მეც რამდენიმე დღით ადრე გავიგე, რომ ჩვენს ქვეყანას ასეთი რანგის სტუმრები ეწვეოდნენ. ორგანიზატორებმა კი გადაწყვიტეს, რომ სტუმრებს აუცილებლად უნდა მოესმინათ ქართული ფოლკლორი და ჩვენი ანსამბლი მიიწვიეს.

— თქვენი რეპერტუარიდან რომელი სიმღერები მოასმენინეთ უცხოელ სტუმრებს?

— საღამო ჩვენ უნდა გაგვეხსნა და ამიტომ, თავად ვიმღერე ერთხმიანი სიმღერა „ურმული“, რომელსაც „გაფრინდი, შავო მერცხალო“ მოჰყვა; მოგვიანებით „ჩაკრულო“ შევასრულეთ. თავიდანვე ვიცოდი, რომ საღამო ძალიან ლამაზი და თბილი უნდა გამოსულიყო, ამიტომ სიმღერებიც შესაბამისი შევარჩიე. როგორც იცით, ჩვენთან ერთად, საღამოზე სოფო ნიჟარაძე და სიმფონიური ორკესტრიც მონაწილეობდნენ. შესაბამისად, ეს ვახშამი მხოლოდ ქართული სიმღერებით როდი შემოიფარგლებოდა. არაერთი უცხოური სიმღერაც შესრულდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი უცხოელი სტუმრების დიდმა ნაწილმა ქართული ფოლკლორი პირველად მოისმინა.

— სტუმრებს როგორი რეაქცია ჰქონდათ თქვენს ნამღერზე?

— როცა ვმღერი, ხალხის რეაქციებს ნაკლებად ვაკვირდები. ვფიქრობ, რომ საერთო ჯამში, საზოგადოება ამ კონცერტით ძალზე კმაყოფილი დარჩა. საკმაოდ მაღალი რანგის ვახშამი იყო. რაც შეეხება რეაქციებს, შერონ სტოუნი და ენდი გარსია სცენასთან ძალიან ახლოს ისხდნენ, ორ ნაბიჯში. მათ თვალებში ნამდვილად არ ვუყურებდი, მაგრამ ვატყობდი, რომ ამ ყველაფერს კარგად ისმენდნენ. მე როგორც შემსრულებელი, კმაყოფილი ვარ ჩემი მსმენელით.

— ფილმის პრემიერაზე თუ იყავით?

— სამწუხაროდ, არა. მიუხედავად იმისა, რომ მოსაწვევი მქონდა, ფილმის სანახავად ვერ წავედი, რადგან მეგონა, იქიდან ვახშამზე მისვლა დამაგვიანდებოდა. პრემიერაზე ჩემი საცოლე და მისი მეგობარი იყვნენ. მე კი ამ დღეებში ფილმს აუცილებლად ვნახავ.

— თქვენს საცოლეს როგორი შთაბეჭდილება დარჩა, მიეწონა ჰოლივუდური ნამუშევარი?

— კი, მართლა ძალიან კმაყოფილია. სხვათა შორის, როცა რუსები საქართველოს ტერიტორიას ბომბავდნენ, ნანუკა კოდორში იმყოფებოდა, რადგან მას დედა ჰყავს სვანი. გუშინ მიყვებოდა, — ფილმის ყურებისას სწორედ ის პერიოდი გამახსენდა, ხელახლა განვიცადე ის ტრაგედია და ცრემლად დავიღვარეო...

ძალიან გამიხარდა, როცა შევიტყვე, რომ შერონ სტოუნს ჩემი სტილისტი, ***მიშა გასიტაშვილი*** *მომსახურებია და ერთად ფოტოც კი გადაუღიათ. ამ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი?! მიშას სალონში ვესტუმრე და ინტერვიუ ვთხოვე, თუმცა მანამდე ისიც ვთხოვე, შერონის ნაჩუქარი სავარცხლით დამვარცხნე-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა...*

— მიშა, როგორ აღმოჩნდი შერონ სტოუნთან?

— რასაკვირველია, როგორც ყველამ, მეც ვიცოდი, რომ ასეთი მეგავარსკვლავი ჩამოდიოდა თბილისში. უბრალოდ, ვერ წარმომედგინა, თუ პირად სტილისტს არ ჩამოიყვანდა. რამდენიმე დღით ადრე, საღამოს ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თამუნა ლილუაშვილმა მითხრა, რომ რენე ჰარლინის ცოლსა და სხვა დანარჩენ სტუმარ ქალბატონებს უნდა მოვმსახურებოდი. შაბათს ჩვეულებრივად, სალონში ვიყავი და უამრავი კლიენტი მყავდა. შუადღეს, თამუნამ დამირეკა და მითხრა, სასწრაფოდ მოდი სასტუმროში, შერონ სტოუნს ვარცხნილობა უნდა გაუკეთოო. წარმოიდგინე, რა დამემართებოდა! ჩავალაგე ჩემი ჩანთა, იქ მყოფ კლიენტებს ბოდიში მოვუხადე, რადგან ზოგი მათგანი თმას იშრობდა, ზოგი — იბანდა. მოკლედ, ამდენი ხალხი „შუა გზაში“ მივატოვე და სასტუმროში წავედი. ფოიეში კობა ნაყოფია შემხვდა, რომელმაც მითხრა, — შერონი რომ ჩამოგვყავდა, მაშინვე ვიფიქრე, მისთვის შენ უნდა მიგეხედაო. ამის გამო, ბატონი კობას მადლიერი ვარ... შერონის სართულზე, მთელ კორიდორში დაცვა იდგა და სტუმრების ნომრებში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეხვიდოდი, თუ დაცვის ხელთ არსებულ სიაში იყავი შეყვანილი. იმ

დღეს, ჩემი ჩათვლით, ამ სიაში მხოლოდ ოთხი ადამიანი იყო... ოთახში შერონის დაქალი დამხვდა, რომელიც ძალიან სასიამოვნო ქალი აღმოჩნდა. მას ვკითხე, შერონთან ფოტოს გადაღება თუ შეიძლება-მეთქი? უარყოფითი პასუხი მივიღე, რადგან თურმე მასაჟისა და მაკიაჟის გარეშე ფოტოს გადაღებაზე უარს მეტყოდა. ამ დროს ოთახში შერონიც შემოვიდა. თეთრი ხალათი ეცვა და ბრილიანტის ყელსაბამი ეკეთა. ხელი ჩამომართვა, გამეცნო და მაშინვე ყურადღება ჩემს მაისურს მიაქცია. ტელევიზიით არაერთხელ აღვნიშნე ეს ფაქტი, მაგრამ თქვენთანაც ვიტყვი, რომ ჩემი მაისური მოეწონა და იმითაც კი დაინტერესდა, თუ სად ვიყიდე. მერე მითხრა, აბაზანას მივიღებ, 10 წუთში დავბრუნდები და თმა გამისწორეო. ჩემს ჩანთაში რომ ჩავიხედე, აღმოვაჩინე — არც თმის გასასწორებელი უთო მქონია და არც სავარცხლები.

— აბა, სასტუმროში რომ მიდიოდი, სხვა რა ჩადე იმ შენს ჩანთაში?

— ფენი და თმის სამაგრები... მოკლედ, დავრეკე სალონში და ჩემს მეგობრებს ვუთხარი, სასწრაფოდ მომიტანეთ უთო და სავარცხლები-მეთქი. სააბაზანოდან რომ გამოვიდა, სწორედ იმ დროს დააკაკუნეს და კარი თვითონ შერონმა გააღო. დაცვის წევრი აღმოჩნდა, რომელმაც ჩემი თმის უთოც და სავარცხლებიც მსახიობს მიაწოდა. მან თავადვე შეაერთა უთო და მომაწოდა. თმა მოვუწესრიგე და შემითანხმდა, რომ მეორე დღეს ანუ კვირას, 3 საათზე კვლავ მივიდოდი მასთან და ფილმის პრემიერისთვისაც მე მოვამზადებდი...

— რა ენაზე საუბრობდით? ინგლისური კარგად იცი?

— არა, სასტუმროს თანამშრომელი, სოფო მესხი მახლდა, რომელიც აბსოლუტურად ყველა სიტყვას მითარგმნიდა.

— რა უთხარი სტოუნს — სად შეიძინე მისი მოწონებული მაისური?

— ჩემმა მეგობარმა, ქეთი გველესიანმა ჩამომიტანა პარიზიდან. შერონსაც ასე ვუთხარი, მან კიდევ გამიმეორა, რომ ძალიან მოსწონდა. რა მექნა, ვერ გავიხდიდი და ვერ მივცემდი, შიშველი ხომ არ წამოვიდოდი იქიდან?! ამ მაისურს როგორ ვემადლიერები, არ იცი, რადგან მისი „წყალობით“, თვით შერონ სტოუნი მომეფერა. ვერ წარმოიდგენ, ისე დავიბენი. წამოსვლისას ვუთხარი, თქვენთან ფოტოს გადაღება მინდა-მეთქი. — რა თქმა უნდა, ჩემო მეგობარო, მობრძანდიო, — მიპასუხა და ის საყოველთაოდ ცნობილი ფოტო სწორედ მაშინ გადავიღეთ, სადაც შერონი ბრილიანტებითა და ხალათითაა... ვერ წარმოიდგენ, როგორი აჟიტირებული ვიყავი.

უკვე ჩაცმული და მომზადებული რომ ჩამოვიდა, სასტუმროს ფოიეში კიდევ ერთი ფოტო გადავიღეთ

— რა მოხდა მეორე დღეს ანუ კვირას, როცა მასთან კვლავ მიხვედი?

— სასტუმროში რომ მივედი, შერონი სასადილოდ იყო გასული, ამიტომ ფოიეში მოცდა მომიხდა. მოსვლისთანავე, ლიფტისკენ წავიდა; მე რომ შემნიშნა, უკან მობრუნდა, ხელი ჩამომართვა, გადამკოცნა და მითხრა, შენ კიდევ ერთი ახალი და ძალიან ლამაზი მაისური გაცვია. გამოდის, რომ შენ „მაისურების მამა“ ხარ; 15 წუთში ამოდი ჩემთანო, — დასძინა და ლიფტში შევიდა.

— მეორე მაისურიც ვინმემ გისახსოვრა?

— ისიც ჩემმა მეგობარმა, ეკა ლორთქიფანიძემ, იმავე არტემონამ მაჩუქა. ლონდონში იყიდა თავისთვის და რომ მომეწონა, ჩემთვის გაიმეტა. მაისურს აწერია — „დამთავრდა ომი“... 15 წუთში შერონთან ავედი. მინდოდა, მისთვის თმა ამეწია და რაღაც ვარიანტები ვუჩვენე კიდეც, მაგრამ უარი მითხრა, გადაწყვიტა, უფრო სადად ყოფილიყო დავარცხნილი. მთხოვა, — ქანდაკებასავით არ მომექცე, გაშლილი თმა დამიტოვე და ბუნებრივად დამვარცხნეო. ვარცხნის დროს საუბარი გავუბი და ვკითხე, როგორ მოეწონა ჩვენი ქვეყანა? ხომ გახსოვთ, შაბათ დღეს როგორ კოკისპირულად წვიმდა? სწორედ ეს წვიმა მოსწონებია შერონს, ასე მითხრა, — ამ წვიმამ კარგი განწყობილება შემიქმნა და თბილისი ყოველთვის ასეთი წვიმიანი მემახსოვრებაო... მითხრა, რომ პატრიარქის მიერ დაწერილი საგალობელი მოუსმენია და მისით აღფრთოვანებულა. კიდევ, მითხრა, რომ ქართული სამზარეულო ძალიან ხარისხიანია, ხაჭაპური და ხბოს ჩაშუშული მოსწონებია ყველაზე მეტად. გარდა ამისა, პრეზიდენტის რეზიდენციითაც მოხიბლულა. სხვათა შორის, ისიც მითხრა, — ქართველი მერაია ქერი ნამდვილად არაჩვეულებრივად მღერისო. რასაკვირველია, მაშინვე მივხვდი, რომ სოფო ნიჟარაძეს გულისხმობდა... თავხედობა მეყო და მისი ასაკით დავინტერესდი. არ დაუმალავს, მითხრა — 53 წლის ვარო. წამოსვლისას გულთბილად დამეშვიდობა, გადამკოცნა და დაბლა ჩამოვედი, რადგან იქ პრემიერისთვის მოსამზადებელი არაერთი ქალბატონი მელოდებოდა. თვითონაც უკვე ჩაცმული და მომზადებული რომ ჩამოვიდა, სასტუმროს ფოიეში კიდევ ერთი ფოტო გადავიღეთ.

— ენდი გარსიასთან შეხვედრის ბედნიერება არ გქონია?

— როგორ არა?! მასაც ფოიეში შეეხვდი და ფოტოც გადავიღეთ, თუმცა ერთმანეთთან არ გვისაუბრია.

ქართველები ასეთი დიდი მსახიობების სტუმრობით განებივრებულები არა ვართ

— კვლავ შერონს დავუბრუნდეთ, ვარცხნილობის გაკეთების დროს პრეტენზიული იყო? რაიმეს გკარნახობდა?

— არა. წარმოიდგინე, რომ ქართველი ვარსკვლავების დიდი ნაწილი გაცილებით პრეტენზიულია, ვიდრე — შერონი. თავიდანვე მითხრა, — ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და მინდა, რომ მხოლოდ თმა შევიგრძნოო. ერთადერთი ის მთხოვა, — შენი თმის ლაქი მაჩუქეო. რასაკვირველია, ასეც მოვიქეცი. საპასუხოდ კი მან სავარცხელი მაჩუქა.

— უკაცრავად ამ შეკითხვისთვის, მაგრამ მეგავარსკვლავს ორი დღე რომ ემსახურებოდი, ალბათ დიდი ჰონორარიც გადაგიხადეს, არა?

— ჯერჯერობით არ გადაუხდიათ, მაგრამ აუცილებლად მომცემენ, თუმცა მისი რაოდენობა ნამდვილად არ ვიცი. არც დავინტერესებულვარ, რადგან ჩემთვის უკვე დიდი ჰონორარი და დიდი ოცნების ახდენა იყო, თვით შერონ სტოუნს რომ დავვარცხნე. ეს ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანი ფაქტი იყო.

ალბათ საზოგადოებამ შენიშნა, რომ ქართველი ფოტოხელოვანები და ოპერატორები რუსთაველის სახელობის კინოთეატრისა და თეატრის შენობებს მთელი დღის განმავლობაში არ მოშორებიან და ფირზეც არაერთი საინტერესო წამი აღბეჭდეს. ერთ-ერთ ფოტოხელოვანს, ***ᲗᲘᲜᲐ ᲩᲐᲜᲐᲫᲘᲠᲘᲡ*** *ტელეფონით დავუკავშირდი და „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერის გახსენება ვთხოვე.*

— მოგეხსენებათ, ქართველები ასეთი დიდი მსახიობების სტუმრობით განებივრებულები არა ვართ და როგორც კი შევიტყვე, რომ შერონ სტოუნი და ენდი

გარსია საქართველოში ჩამოსვლას აპირებდნენ, მაშინვე გადავწყვიტე, მათთვის ფოტოები გადამეღო. სხვა თუ არაფერი, ეს ჩემი პროფესიული მოვალეობა გახლდათ.

— იმდენ ხალხში არ გაგიჭირდა ისეთი ადგილის პოვნა, საიდანაც კარგ ფოტოს გადაიღებდი?

— მართლაც, ძალიან ბევრი ადამიანი იყო შეკრებილი, მაგრამ ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ კარგ ადგილას დავმდგარიყავი. ფოტოგრაფები მონადირეები ვართ. მოგეხსენებათ, ყველა მონადირეს ერთნაირი ხედვა და მიზანი არა აქვს, ჰოდა, შესაბამისად, საკუთარი ადგილის პოვნა ძალიანაც არ გამჭირვებია. მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ შერონ სტოუნს ფოტო თბილისის ფონზე ვერ გადავუღე. მსახიობი ქალაქის ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად ჩემთვის მოულოდნელად წავიდა. არა უშავს, იმედია, მომავალში ეს მსახიობები თუ არა, სხვა ცნობილი არტისტები ჩამოვლენ და თბილისის ფონზე მათი გადაღების საშუალება მაინც მომეცემა.

— როგორც შევიტყვე, რუსთაველის თეატრის წინ, როცა ენდი გარსია ხალხთან მივიდა, რენი ჰარლინს სთხოვე, — ხალხს ისიც მიახლოებოდა...

— მართალია. ენდი მოულოდნელად გავარდა ხალხში და ავტოგრაფების მიცემა დაიწყო. რენი მანქანიდან რომ გადმოვიდა, ყველას მოგვესალმა და თეატრში შესვლას აპირებდა, როცა ინგლისურად დავუძახე, — ბატონო რენი, თუ შეიძლება, თქვენც ხალხთან მობრძანდით-მეთქი. რამდენიმე წამს შეყოვნდა და ისიც ჩვენთან მოვიდა. ძალიან კონტაქტური, კარგი ადამიანია. ეს ყველაფერი გადავიღე და საკმაოდ საინტერესო ფოტოებიც გამოვიდა. თეატრის წინ კი შერონის კარგად გადაღება ვერ მოვახერხე, რადგან მას განსაკუთრებულად იცავდნენ.

— როგორც ვიცი, რუსთაველის კინოთეატრის შენობასთან შერონ სტოუნი წაქცევას გადაარჩინე.

— მართალია. რუსთაველის კინოთეატრიდან გამოსვლისას, ყველა ფოტოგრაფს ხელის აწევით ესალმებოდა და მათ გადაღების საშუალებას აძლევდა. დავუძახე, — ქალბატონო შერონ, თუ შეიძლება, ჩემკენაც მობრუნდით-მეთქი. ასეც მოიქცა, მაგრამ სამწუხაროდ, კიბეს ფეხი წამოჰკრა და რომ არ წაქცეულიყო, ერთი მხრიდან მე, ხოლო მეორე მხრიდან დაცვა შეეშველა. სხვათა შორის, ძალიან ფაფუკი ხელი აქვს.

— წაქცევას რომ გადაარჩინე, ამისთვის მადლობა არ გადაგიხადა?

— არა. თუ არ ვცდები, მან მარჯვენა ფეხის თითი იტკინა და ძალიან გამწარდა; მანქანაში ჩაჯდა თუ არა, მაშინვე ფეხზე დაიხედა...

p.s. წერილში გამოყენებულია **გოგა ჩანადირის** *ფოტოები.* ■

აქციის დარბევის ორი განსხვავებული სურათი

26 მაისის ღამეს სპეცრაზმელების მიერ ჩადენილი სისასტიკის შესახებ საზოგადოების წევრთა ნაამბობს უსასრულოდ ვისმენთ. დაშავებულთა მიერ აღწერილი ამბის ნაწილი რეალურია, ზოგიც — გაზვიადებული. დაზარალებულთა უმეტესობას, ფიზიკურ ტკივილზე მეტად, სამართალდამცველების მხრიდან მორალური შეურაცხყოფა აწუხებს: მათი თქმით, ნიღბიანები ისე ექცეოდნენ, როგორც მტერს. თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც შეძლო, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას აგრესია არ გამოევლინა. ერთი სიტყვით, ჩვენი რესპონდენტები ორ განსხვავებულ სურათს გადმოგვცემენ; ხოლო ერთ-ერთი მათგანი სპეცრაზმელის კეთილშობილურ საქციელზეც კი გვიამბობს...

ლალი პაპასკირი

ელენე, *53 წლის:*

— სანამ დარბევა დაიწყებოდა, მეუღლემ და შვილებმა რამდენჯერმე დამირეკეს და გამაფრთხილეს — „თავისუფლებაზე“ ცუდი ამბები დაიწყება, სახლში წამოდიო, — მაგრამ არ დავუჯერე, — ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია უნდა გამოვხატო, თუ დამარბევენ, ჯანდაბას, ხომ არ მომკლავენ-მეთქი... მას შემდეგ, რაც სამსახურის გარეშე (გერმანულის მასწავლებელი ვარ და სრულიად უსამართლოდ გამომიშვეს სკოლიდან) დავრჩი, ხშირად დავდიოდი აქციებზე. შარშან 9 აპრილიდან ბოლო დღემდე, თავისუფლების მოედნიდან ფეხი არ მომიცვლია. ჩემი პოლიტიკური პოზიციის გამო, მეუღლეც გაათავისუფლეს სამსახურიდან... იმ რამდენიმე თვის განმავლობაში უამრავი რამ ვნახე: ჩვენი ლიდერები შეცდომებს უშვებდნენ, ერთმანეთს აკრიტიკებდნენ, მაგრამ ვფიქრობდი, ამ ხელისუფლებაზე უარესი რაღა უნდა იყოს-მეთქი?!. ერთი სიტყვით, როცა დარბევა დაიწყო და სპეცრაზმმა პირველი წყლის ჭავლი გამოუშვა, ქაშვეთის ეკლესიასთან ვიდექი. ადამიანების ტალღამ თავისუფლების მოედნისკენ გამიტაცა. მომიტინგეებში პანიკა ატყდა. დღემდე ყურებში ჩამესმის სპეცრაზმის ფარების ზრიალი და ხალხის ღმუილი, რომელსაც ცემის

> **დაცემისას ფეხი ვიტკინე და ადგომა გამიჭირდა. ამ დროს ნიღბიანი მოვიდა და ადგომაში წამომეშველა. ვიფიქრე, ალბათ დამაკავებს-მეთქი...**

დროს გამოსცემდნენ... ნაწილი კინოთეატრ „რუსთაველში“ შეცვივდა. მეც იქ შესვლა დავაპირე, მაგრამ წავიქეცი და პანიკაში მყოფმა ადამიანებმა გადამიარეს... დაცემისას ფეხი ვიტკინე და ადგომა გამიჭირდა. ამ დროს ნიღბიანი მოვიდა და ადგომაში წამომეშველა. ვიფიქრე, ალბათ დამაკავებს-მეთქი... იქაურობა სპეცრაზმელებით იყო სავსე. მან კი მშვიდად მითხრა, — არ გირჩევნიათ, სახლში იჯდეთ, ამ უსაქმურებს რატომ აჰყევითო?!. ამ დროს კიდევ ერთი ნიღბიანი მოგვიახლოვდა და თავის კოლეგას დაუყვირა, — რას

ეფოფინები მაგ ...-ს?! თავი დაანებე და წამში განახვებ, რა მკვირცხლად დაახვევს აქედანო!.. სანამ ხმა ამოვიღე, ერთი-ორი გადამიჭირა, მერე კი ის ღვთისნიერი ბიჭი ჩაგვიხტა შუაში, — რამ გაგაცოფა, ბიჭო, ქალია, ვერ ხედავო?!. დარტყმის მიღებისას თავი ვერ შევიკავე, წავიქეცი და სახეზე ხელები ავიფარე. — ქალი არა, ისა... ვერ დაეგდება სახლშიო?!. — დაიყვირა, მაგრამ მეტი აღარ დაურტყამს, გზა რუსთაველისკენ გააგრძელა. ჩემმა გადამრჩენელმა თაბუკაშვილის ქუჩისკენ წამიყვანა. ამ დროს ვიღაც აქტივისტი გამოჩნდა, ამ ბიჭს შეაგინა და დროშის ტარი გამეტებით ჩაარტყა. არც ის დარჩენია ვალში, ხელი გამიშვა და ის ავადსახსენებელი ხელკეტი მოუქნია. ამასობაში კი დანარჩენი სპეცრაზმელებიც მოცვივდნენ. შუაში ჩავუვარდი და ვკიოდი, — არ მოკლათმეთქი! ორმა ნიღბიანმა ხელი მომკიდა და თაბუკაშვილის ქუჩისკენ წამათრია, — წადი, ქალო, სახლშიო... იმ ბიჭს თავ-პირი დასისხლიანებული ჰქონდა, ხელები გაუკოჭეს და სადღაც წაიყვანეს...

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ, *59 წლის:*

— როცა სპეცრაზმი ჩვენკენ „სარანჩასავით“ წამოვიდა, თვალის დახამხამებაში აიღეს ჩვენ მიერ დადგმული რკინის ჯებირები და დაგვერივნენ... ამ სისტემაში ნამუშევარი ვარ და ვიცი, როგორც ხდება დარბევა; ამ ადამიანებს სისხლი სწყუროდათ. სანამ შეგვეძლო, ჩვენც ვუწევდით წინააღმდეგობას, მაგრამ მათთან რას გავხდებოდით?! ჩემ თვალწინ ერთ-ერთმა მოხუცს პანღური ამოარტყა, — 100 ლარი გაქვთ პენსია და მოღალატე ბურჯანაძის 20 ლარს რატომ დათანხმდითო?!. მე იმ სიტყვების თქმას ვერ ვიკადრებ, რაც მათ გვიძახეს... გაზისგან თვალები ამეწვა და მხედველობა დამებინდა. თან მიმათრევდნენ, თან მირტყამდნენ. შემდეგ ხელებზე პლასტმასის „ჟგუტი“ გადამიჭირეს და ქაშვეთისკენ წამათრიეს. ვეხვეწებოდი, — ღმერთი არ გწამთ, ამ წმინდა ადგილას ასე მოქცევა როგორ შეგიძლიათმეთქი?!. — თქვენ ვის ასწავლით უფლის სიყვარულს? ცალი ხელით ცხინვალის ომში დაღუპული გმირების სადღეგრძელოს სწევთ, მეორით კი რუსების აგენტებისგან მოცემულ თუმნიანებს იღებთო!.. სხვების არ ვიცი, შვილო, მაგრამ ხატზე დავიფიცებ — „კაპიკი“ არავისგან ამიღია... ამ ადამიანებს იდეოლოგიური სიბრმავე სჭირთ, სიმართლედ ის მიაჩნიათ, რასაც ეუბნებიან და ეს ყველაფერზე უარესია. ■

როგორ მდგომარეობაში იხდიან სასჯელს 26 მაისს დაკავებული მსჯავრდადებულები

26 მაისს მომხდარი დარბევის შემდეგ დაპატიმრებული მოქალაქეები წინასწარი დაკავების იზოლატორებში მთელი საქართველოს მასშტაბით არიან გაბნეულები. 50-მდე ადამიანი კვლავ დაკარგულად ითვლება, მათი ადგილსამყოფლის დადგენა ვერც ოჯახის წევრებმა შეძლეს და ვერც არასამთავრობო ორგანიზაციებმა. რა მდგომარეობაში არიან პატიმრები, როგორია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, უწევენ თუ არა სამედიცინო დახმარებას, რამდენად მოგვარებულია კვებისა და ჰიგიენის საკითხი? ამ ყველაფრის გასარკვევად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებს რეგიონებში დავუკავშირდით.

ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲙᲕᲘᲜᲘᲙᲐᲫᲔ

ᲛᲐᲠᲘᲔᲗ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, *საიას თელავის ოფისის ხელმძღვანელი:*

— თელავის, ყვარლისა და საგარეჯოს წინასწარი დაკავების იზოლატორებში შესვლა თითქმის ყოველდღე მიწევს. თელავში 22 პატიმარი იმყოფება, ყვარელში — 11, სიღნაღში — 6. თელავის იზოლატორიდან 2 პატიმარი ავადმყოფობის გამო გადაიყვანეს, 1 გაათავისუფლეს, მეორე — საავადმყოფოშია.

— იზოლატორებში დარჩენილების ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორია?

— მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. 2 პატიმარს დიაბეტი აქვს. ერთ-ერთს ინსულინი დასჭირდა. იზოლატორის უფროსი ჩაერია, ჯანდაცვის სამინისტროს დახმარებით, წამალი ახლობლებმა მოუტანეს.

— ნაცემები არიან?

— დიახ, ზოგიერთი სასტიკად იყო ნაცემი. როცა პატიმარი იზოლატორში შედის, ხდება მისი დათვალიერება, რის საფუძველზეც ოქმი დგება. მე ეს ოქმები გამოვითხოვე, მაინტერესებდა, დაზიანებები თუ იყო აღნიშნული. ყველაფერი დაფიქსირებული აქვთ. პირველად იმ პატიმრებს შევხვდი, რომლებსაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდათ და დახმარება სჭირდებოდათ. შუამდგომლობები დავაყენე; მოვითხოვე, რომ მათ სამედიცინო დახმარება გასწეოდათ. ექიმი ყველასთან შევიდა. რამდენიმე პატიმარი უკვე 4-5-ჯერ ინახულა.

— თელავის იზოლატორშია მურმან დუმბაძე. ამბობდნენ, ძალიან ნაცემიაო. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორია?

— დიახ, სასტიკად ნაცემია. როცა თელავის იზოლატორში პირველად შევედი, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მურმან დუმბაძე იყო. სხვებისაგან განსხვავებით, ის ნაცემი იყო არა დარბევის დროს, არამედ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში გადაყვანის შემდეგ.

— ეს თავად გითხრათ?

— დიახ. დანარჩენებმა დაზიანებები აქციის დაშლის დროს მიიღეს. დუმბაძეს ჭრილობები ჰქონდა თავის არეში; რეზინის ტყვიები შუბლის, კიდურების, გულმკერდის არეში ჰქონდა მოხვედრილი.

— პატიმრებს არ ეკითხებით, მათი გასამართლება რა პირობებში მოხდა?

ᲐᲕᲔᲯᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲜᲘ “ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲐ” ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲐᲕᲔᲯᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ ᲒᲐᲠᲜᲘᲢᲣᲠᲘ
“ᲔᲚᲘᲡᲐᲒᲔᲢᲘ”

ᲢᲧᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲚᲘ

ᲐᲚ. ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ 14Ბ ✆ 38 88 11
Ც. ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ 7, “ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐ”, I ᲡᲐᲠ. ✆ 66 10 50 www.classica.com.ge
ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲐ Classica

— ამბობენ, რომ ღამის 4-5 საათზე გაასამართლეს, პროცესი 3-4 წუთს გრძელდებოდა. ნაცემი ხალხი დარბაზში პირდაპირ შეჰყავდათ, არც ადვოკატის აყვანის, არც ახლობლებთან დაკავშირების საშუალება არ მისცეს.

ამბობენ, რომ ღამის 4-5 საათზე გაასამართლეს, პროცესი 3-4 წუთს გრძელდებოდა

ამიტომ ოჯახის წევრებმა მათი ადგილსამყოფელი რამდენიმე დღის განმავლობაში არ იცოდნენ. შს სამინისტრომ გამოაქვეყნა დაკავებულთა სია, მაგრამ იმ სიაში არ იყო მითითებული, რომელი პატიმარი რომელ იზოლატორში ჰყავდათ გადაყვანილი. ზოგიერთის ადგილსამყოფელი ჩვენც გვიან დავადგინეთ, შესაბამისად — გვიან მოვინახულეთ. სასამართლოებზე არავითარ მოსაზრებას სამართალდამრღვევთა მხრიდან არ ითვალისწინებდნენ. პოლიციისთვის დაუმორჩილებლობის გამო არიან გასამართლებულნი. რომელ პატიმარზეც მოვასწარით, საქმე გავასაჩივრეთ, პატიმრობის ვადის შემცირება მოვითხოვეთ, მაგრამ სასამართლომ ჩვენი არც ერთი საჩივარი არ დააკმაყოფილა.

— თქვენი ასოციაციის წარმომადგენლების გარდა, პატიმრების მოსანახულებლად კიდევ ვინ შედის?

— ორჯერ იყვნენ წითელი ჯვრის და ერთხელ — სახალხო დამცველის წარმომადგენლები. ჩვენც სისტემატურად ვამოწმებთ, როგორი პირობებია, კვების და ჰიგიენის საკითხი რამდენად მოგვარებულია.

— ამ მხრივ რა ხდება?

— იზოლატორებში პირველად 27 მაისს შევედით. მაშინ ფაქტობრივად, საკვები არ ჰქონდათ. მდგომარეობა მომდევნო დღეებში უფრო გამოსწორდა. ძირითადად, ახლობლების მიერ შეგზავნილი საკვები აქვთ.

— ადმინისტრაცია არ აწვდის?

— ამას ყველა პატიმარს ვეკითხები. ამბობენ, რომ ახლობლებისგან შეგზავნილი იმდენი საკვები აქვთ, ციხის საჭმელს აღარც ითხოვენ.

— ჰიგიენის ნორმები რამდენად დაცულია?

— ჩვენ და ალბათ „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლებმაც, შენიშვნები მივეცით. ახლა კბილის ჯაგრისის, პირსახოცის გამოყენების უფლება დართეს; გამოაცხადეს, — ყველა პატიმრის ახლობლებს შეუძლიათ, შემოაგზავნონო. ცხელი წყალი არის.

— თქვენ თუ ფლობთ ინფორმაციას დაკარგულების შესახებ?

— 50-მდე ადამიანის სია გვაქვს. ეს ის ადამიანები არიან, რომლის ახლობლები, ოჯახის წევრები მოდიან ჩვენს ორგანიზაციაში და აცხადებენ, რომ მათ ვერ მიაგნეს; იციან, რომ აქციაზე იყვნენ წასულები, ნახეს, რომ იქ იყვნენ. ჩვენ მათ ვერც ერთ იზოლატორში ვერ მივაკვლიეთ.

ვაჟა ზერიკიძე, *საიას წარმომადგენელი გურიის რეგიონში:*

— ჩოხატაურის წინასწარი დაკავების იზოლატორში 8 პატიმარი იმყოფება, ლანჩხუთში —10, ოზურგეთში — 8. ნაცემები იყვნენ, მაგრამ მძიმე მდგომარეობა არც ერთს არ ჰქონდა. მათ ყოველ მე-3 დღეს ვნახულობ. ამჟამად ყველას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ძირითადად, ხელკეტებით არიან ნაცემი, ორს რეზინის ტყვიები აქვს მოხვედრილი, რამდენიმეს საერთოდ არა აქვს დაზიანება.

— მათთვის სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომია?

— დაკავებულები პირველად 28 მაისს მოვინახულე. მაშინ ლანჩხუთის იზოლატორში ექიმი ჩემი ინიციატივით შევიყვანე. შემდეგ ამის მოთხოვნა აღარ დამჭირვებია, საჭიროების შემთხვევაში, მათთან ექიმი იზოლატორის უფროსს შეჰყავს. მოგვარებულია კვების საკითხი. დღეში 3-ჯერადი კვება აქვთ. როგორც თავად მითხრეს, ამას ემატება ახლობლების მიერ შეგზავნილი ამანათები. ჰიგიენის ნორმებიც დაცულია. სამივე იზოლატორი ახალგარემონტებულია, დღეში 45 წუთი გასასეირნებლადაც გაჰყავთ.

რეზო თოფურია, *საიას წარმომადგენელი იმერეთის რეგიონში:*

— ქუთაისის იზოლატორში აქციის მონაწილეები დაკავებიდან 2-3 დღის შემდეგ შეიყვანეს.

— მანამდე სად იყვნენ?

— ხან ბოლნისში, ხან საგარეჯოში და ხან თბილისში. სულ ატარებდნენ. ბოლოს ქუთაისში მოხვდნენ, ნაწილი — ზესტაფონში.

— რატომ ატარეს?

— არ ვიცი. ამჟამად ქუთაისში 20 პატიმარია. რამდენიმე მათგანი შაქრიანი დიაბეტით არის დაავადებული და ისინი ოჯახების მიერ შემოგზავნილი მედიკამენტებით მკურნალობენ. უმეტესობას 60 დღე აქვს შეფარდებული, ერთ 60 წლამდე მამაკაცს 90 დღე მიუსაჯეს, მას შაქრიანი დიაბეტი აქვს. გუშინ ქუთაისის იზოლატორში 7 საათზე შევედი და იქიდან 12 საათზე გამოვედი. 10 მსჯავრდადებულს შევხვდი.

— თქვენთან ლაპარაკის დროს პატიმრები ყველაზე მეტად რას ითხოვენ?

— პირველ რიგში ითხოვენ იმას, რომ ოჯახის წევრები იყვნენ ინფორმირებული. რაც შეეხება განაჩენის გასაჩივრებას, 48-საათიანი ვადა ისე გავიდა, მათ ეს ვერ მოახერხეს. ამბობენ, 48 საათი სიარულში გაგვატარებინესო: ფიზიკურად არ მიეცათ ამის საშუალება... ზესტაფონის დროებითი დაკავების იზოლატორიდან გათავისუფლდა ერთი ინვალიდი პატიმარი, რომელსაც 60-დღიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი: კანონით, და ჯგუფის ინვალიდებისთვის ადმინისტრაციულ სასჯელად პატიმრობის შეფარდება არ შეიძლება.

— კვებისა და ჰიგიენის საკითხი მოგვარებულია?

— თავიდან ამ მხრივ პრობლემები იყო, მაგრამ ჩვენი და სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ, კვების საკითხი მოგვარდა. ჰიგიენის მხრივ ისევ პრობლემაა — აბაზანაში დაზიანებულია გამათბობელი. დაგვპირდნენ, რომ ორშაბათს გაკეთებული იქნება და აბაზანის მიღებას შეძლებენ.

ეკა ფავლენიშვილი, *საიას რუსთავის ოფისის ხელმძღვანელი:*

— ქვემო ქართლში 20 პატიმარი მოვინახულე. დარბევის დროს მიღებული ჰქონდათ დაზიანებები, ახლა

მათი მდგომარეობა ნორმალურია. მითხრეს, რომ კარგად ექცევიან, პრეტენზიები არა აქვთ. მაგრამ რამდენიმე დღის წინ, გარდაბნის იზოლატორში წიგნები არ შეატანინეს. არადა, ეს კანონმდებლობით აკრძალული არ არის. პირველად ამ იზოლატორში რომ მივედი და პატიმრები მოვიკითხე, 2 მათგანს არ შემახვედრეს; მერე შევიტყვე, რომ მომატყუეს. მეორე ვიზიტის დროს დამალვა აღარ უცდიათ.

— ასე რატომ მოიქცნენ?

— ვერ გეტყვით. განცხადების დაწერა მინდოდა და დროებითი დაკავების იზოლატორის უფროსმა საკუთარი სახელი და გვარიც არ მითხრა. შედარებით კარგი მდგომარეობაა ბოლნისის იზოლატორში.

— დაკარგულების შესახებ ახალი ინფორმაცია ხომ არ გაქვთ?

— მე და ჩემი თანამშრომლები მათ აქტიურად ვეძებთ. რამდენიმე დღის წინ წალკაშიც ვიყავით, — დაკარგულებიდან ეგებ რომელიმეს მაინც მივაკვლიოთ-თქო, მაგრამ წალკის წინასწარი დაკავების იზოლატორში გვითხრეს, აქ არ არიანო. ზონების შემოწმების უფლება ჩვენ არ გვაქვს. ერთადერთი, სახალხო დამცველი თუ შეავა. სხვა სიახლე ჯერ-ჯერობით არაფერია. ■

„წაფორხილება წაქცევას არ ნიშნავს“

სოსო ჯაჯვლიანი შიმშილობას აგრძელებს

„სოსო ჯაჯვლიანი ჩვენთან ერთი დღე-ღამით მოიყვანეს და გადასხმები გაუკეთეს. პატიმარს ორი ბადრაგი იცავდა და მასთან ურთიერთობის საშუალება არ გვქონდა, მაგრამ რაღაც მოვიმიზეზე და მხოლოდ რამდენიმე წუთით შევიხედე. ერთი შეხედვითვე ეტყობოდა, რომ ძალიან სუსტად იყო. პაციენტი საღ გონებაზე იმყოფებოდა, მაგრამ ლაპარაკის ძალა არ აქვს... ავადმყოფის ისტორიაში ჩავწერე, რომ მას შერყეულ ჯანმრთელობასთან ერთად, ღრმა დეპრესიაც აქვს და მკურნალობის ინტენსიური კურსი ესაჭიროება. ამიტომაც ვთხოვე მის მკურნალ ექიმს, სამართალდამცველებისთვის მისი ციხეში დაბრუნების უფლება არ მიეცა. მაგრამ მას არავინ არაფერს ეკითხება და წინასწარ ვიცი, რომ სოსოს მაინც გადაიყვანენ“, — მითხრა რესპუბლიკური საავადმყოფოს ერთ-ერთმა ექიმმა. მასთან საუბარი მაშინ მოვახერხე, როცა ცნობილი გახდა, რომ მსახიობი ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფოდან ისევ ციხის სამკურნალო დაწესებულებაში უნდა გადაეყვანათ.

ᲚᲐᲚᲘ ᲞᲐᲞᲐᲡᲙᲘᲠᲘ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲕᲐᲠᲚᲐᲫᲔ, *სოსო ჯაჯვლიანის ადვოკატი:*

— ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი 26 მაისის ღამეს, „სახალხო კრების“ დანარჩენ აქტივისტებთან ერთად, კინოთეატრ „რუსთაველში“ დააკავეს და სცემეს. მას ადმინისტრაციული სასჯელი — ერთთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. სოსო პოზიციას არ ცვლის — მიიჩნევს, რომ უკანონოდ ჰყავთ პატიმრობაში და ამიტომაც მიმართა პროტესტის უკიდურეს ფორმას. შიმშილობა მან ჯერ კიდევ მცხეთის იზოლატორში დაიწყო... ჩვენ განაჩენი გავასა-

ჩივრეთ და სააპელაციო სასამართლოში შევიტანეთ, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, არა მაქვს იმედი, რომ რაიმე შეიცვლება. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის, მაგრამ სავარაუდოდ, მას ერთთვიანი პატიმრობის მოხდა მოუწევს.

ირმა ჯაჭვლიანი, *მსახიობის მეულლე:*

— ძალიან მიმძიმს საუბარი, არც კი ვიცი, რა უნდა გითხრათ... მას პირადად მე და არაერთმა მისმა მეგობარმა და კოლეგამ არაერთხელ ვთხოვეთ, დასუსტებული ჯანმრთელობის გამო, შეეწყვიტა შიმშილობა, მაგრამ უარს ამბობს... სოსო ძალიან ცუდად არის, მაგრამ იმდენად პრინციპული ადამიანია, რომ მას პოზიციას ვინმე ასე ადვილად ვერ შეაცვლევინებს. ძლიერი ადამიანია, მაგრამ ახლა მორალურად არის დასუსტებული. კინაღამ ცუდად გავხდი, როცა ვნახე, როგორ შეიყვანეს ჩემი მეუღლე რესპუბლიკური საავადმყოფოს მე-14 პალატაში ბადრაგის თანხლებით, თითქოს ვიღაც ყაჩაღი და ბოროტმოქმედი იყოს... შესაძლოა, ადამიანი ფიზიკურ ტკივილს გაუმკლავდეს და სოსო ამ დარტყმას აიტანს კიდეც, მაგრამ ახლა სული სტკივა. ლაპარაკის ძალა არა აქვს, მაგრამ თვალებში ვკითხულობ მის სატკივარს...

სოსო ძალიან ცუდად არის, მაგრამ იმდენად პრინციპული ადამიანია, რომ მას პოზიციას ვინმე ასე ადვილად ვერ შეაცვლევინებს

გურამ ფირცხალავა, *მსახიობი:*

— პირველივე დღეს, როგორც კი გავიგე, რომ სოსო რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადმოიყვანეს, მასთან გავჩნდი. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რა დამემართა მის დანახვაზე, ფერმიხდილი და დასუსტებული იწვა. აპარატზე იყო შეერთებული. სამედიცინო პერსონალმა „დამამშვიდა“, — გლუკოზას უკეთებენ, რათა მოღონიერდესო... მასთან ბადრაგმა არ შემიშვა და მხოლოდ ღია კარიდან მოვკარი თვალი. თავადაც დამინახა და უღონოდ ასწია ხელი. სოსო, თუ ძმა ხარ, შეწყვიტე შიმშილობა, ამათ გულს ნუ გაუხარებ, ჩვენ ძლიერი გვჭირდები-მეთქი, — ვუთხარი. თავი გააქნია, — არა, გურამ, ღირსების ამბავიაო... შეიძლება, დღეს ხელისუფლებაა ძლიერი, ხელკეტებითა და ზონდერებით მოგვერია, მაგრამ ერთი რამ მინდა, მათ ვუთხრა: სოსოს იმ ერთი თვის გადატანა არ გაუჭირდება და მისი სიკეთით დაძარღვული გული მეტსაც აიტანს, მაგრამ საქართველოს ტრაგედია ის არის, რომ შვილებო, თქვენ არ იცნობთ ქართველი კაცის გენსა და მოდგმას. წაფორხილება წაქცევას არ ნიშნავს. ხვალ წამოვდგებით და ამ წაფორხილების გამო გაზღვევინებთ — მე, სოსო, ლუკა, ნონა გაფრინდაშვილი და ყველა ის ადამიანი, ვისაც ღირსება შეულახეთ...



სოსოს იმ ერთი თვის გადატანა არ გაუჭირდება და მისი სიკეთით დაძარღვული გული მეტსაც აიტანს...

■

ხათუნა გახტურიძე

„საქართველო აჩრდილებისა და მკვდარი სულების სამფლობელოდ იქცა“ — ასე აფასებს ქვეყანაში დღეს არსებულ ვითარებას პოლიტოლოგი ზაზა შათირიშვილი. მისი აზრით, 26 მაისის მოვლენების შემდეგ სააკაშვილმა ლეგიტიმურობა საბოლოოდ დაკარგა, ოპოზიცია კი მარგინალურ ძალად იქცა.

— ჩემი აზრით, 26 მაისის აქციების დარბევისას სპეცრაზმელების ძალის გადამეტებაში დადანაშაულება ალოგიკურია, რადგან პოლიციური და ავტორიტარული რეჟიმის მქონე ქვეყანაში ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა. ასეთი სისტემის დროს არსებობენ „ადამიანები“ და „არაადამიანები“. „ადამიანებად“ მიიჩნევიან მმართველი წრის წარმომადგენლები და ხელისუფლების მხარდამჭერნი, „არაადამიანებად“ კი — ყველა დანარჩენი. „ადამიანები“ ფიქრობენ, რომ ისინი პროგრესულები არიან და სხვების ანუ „არაადამიანების“ დახოცვის უფლება აქვთ. ასე ფიქრობდნენ ბოლშევიკები და ნაცისტები. მათ, როგორც „ნაციონალებმა“, სწორედ თავიანთი „პროგრესული“ აზროვნებით შეძლეს ქვეყანაში წესრიგის დამყარება.

— როგორ ფიქრობთ — დღეს ქვეყანაში წესრიგი დამყარებულია?

— „ადამიანები“ ფიქრობენ, რომ ქვეყანაში წესრიგია. „პროგრესულად მოაზროვნეები“ თავს ხშირად იმართლებენ — რომ ავტორიტარული რეჟიმისა და პოლიციური სისტემის დამყარების გარეშე ქაოსური და კრიმინალური ვითარებიდან თავს ვერ დავაღწევდით, მაგრამ ვისაც ამისი არ სჯერა, იმან რა ქნას? სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლება სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფს შორის შუამავლისა და შემრიგებლის ფუნქციას ასრულებს და ხალხს ერთმანეთთან არ აპირისპირებს. გარდა ამისა, ნეტავ რა წესრიგი დაამყარეს? 1992-1993 წლებში შექმნილი ქაოსიდან ნელ-ნელა ისედაც გამოვდიოდით. 2003 წლისთვის სულაც აღარ იყო ისეთი ქაოსი, როგორიც 1992 წელს იყო.

— მაგრამ კრიმინალურ დაჯგუფებებს ჰქონდათ ძლიერი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზეც კი...

— კი, მაგრამ ახლა რა შეიცვალა? თავად ხელისუფლება გახდა კრიმინალი, რომელიც ყველას იჭერს, ატერორებს, ხოცავს... ელიტური კორუფცია და ტიპური ოლიგარქიული სტრუქტურაა ჩამოყალიბებუ-

ხესრიგი, სადაც არსებობენ „ადამიანები“ და „არაადამიანები“...

ლი. საშუალო ფენის ადამიანი, თუ ის ხელისუფლებასთან რაღაცით მაინც არ არის დაკავშირებული, ბიზნესს ვერ აკეთებს. იმას არ უარვყოფ, რომ ქუჩაში ჯიბგირები აღარ დაძრწიან, ქურდები ბინებს არ ძარცვავენ, არც მანქანებს იპარავენ. ე.ი. თუ ხელს არ გაანძრევ და დოვლათის შექმნას არ მოინდომებ, მშვიდად იცხოვრებ, არავინ შეგაწუხებს, მაგრამ შიმშილით ამოგხდება სული. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ქვეყნის 35% სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, ასევე 35% კი ძალიან ახლოს არის ამ ზღვართან. სამწუხაროდ, საქართველო დღეს ტიპურ ჩამორჩენილ სახანოს წარმოადგენს, რომელსაც ინგლისური ენის მცოდნე დიქტატორი მართავს. დაახლოებით ასეთი ტიპის მმართველი ჰყავდა კამბოჯას XX საუკუნის 70-იან წლებში. პოლ პოტს ვგულისხმობ, რომელმაც თავისი მმართველობის პერიოდში რამდენიმე მილიონი ადამიანი დახოცა (ზუსტი ციფრი თავადაც კი არ იცოდა). ამ დიქტატორს ამერიკა მხოლოდ იმიტომ უჭერდა მხარს, რომ სორბონა ჰქონდა დამთავრებული. მოგვიანებით პოლ პოტი კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის გაასამართლეს.

— ბოლო დროს პოლიტიკური ექსპერტები ხშირად ამბობენ, რომ საკაშვილს ობამას ადმინისტრაცია დიდად არ სწყალობს.

— როგორც ამერიკელმა პოლიტოლოგმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა და საკაშვილის ყოფილმა მეგობარმა ლინკოლნ მიჩელმა (რომელმაც „ვარდების რევოლუციაზე“ წიგნი დაწერა) თქვა, ამერიკასა და საქართველოს შორის პარტნიორული კი არა, „პატრონყმული“ (ბატონყმურში არ აგერიოთ!) ურთიერთობაა. ამერიკა მართლაც დემოკრატიული ქვეყანაა, მაგრამ მას აქვს სტრატეგიული ინტერესები. ამერიკას კავკასიაში ძალიან აძლევს ხელს ისეთი ქვეყნის არსებობა, რომელსაც როცა მოუნდება, მაშინ დაუპირისპირებს რუსეთს. გარდა ამისა, ვაშინგტონის ერთ-ერთი მთავარი ინტერესი — ქართული ჯარის ავღანეთში დგომაც არის. ვიდრე ქართული ჯარი ავღანეთში იქნება (მით უმეტეს, ახლა, როდესაც ამ ქვეყანას უფრო და უფრო მეტი ქვეყნის ჯარი ტოვებს), ამერიკა ყოველთვის დააფინანსებს საკაშვილის ხელისუფლებას.

— ფიქრობთ, რომ თუ ხელისუფლებაში საკაშვილი არ იქნება, ქართული ჯარი ავღანეთში აღარ იდგება ან ამერიკა რუსეთის წინააღმდეგ ველარ გამოგვიყენებს?

— ლოგიკური კითხვაა, მაგრამ ვაშინგტონისთვის საკაშვილი არ სჯობია? რატომ უნდა აიტკივოს აუტკივარი თავი?! ხომ შესაძლებელია, სხვა, საკაშვილივით უსიტყვო მორჩილი არ იყოს!.. ერთი სიტყვით, ამერიკელები საკაშვილს მანამდე დაუჭერენ მხარს, სანამ დასჭირდებათ, მაგრამ თუ სიტუაცია შეიცვლება, მუბარაქივით გაწირავენ.

ამერიკელები საკაშვილს მანამდე დაუჭერენ მხარს, სანამ დასჭირდებათ, მაგრამ თუ სიტუაცია შეიცვლება, მუბარაქივით გაწირავენ

— უსიტყვო მორჩილი როგორ არის, როდესაც ობამას ადმინისტრაციის რეკომენდაციებს აღარ ითვალისწინებს? მაგალითისთვის, შეგახსენებთ, რომ ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, თინა ქეიდენაუმ საქართველოს ხელისუფლებას „ოპოზიციურ რვიანთან“ (საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით) დროულად შეთანხმების რეკომენდაცია მისცა, მაგრამ — უშედეგოდ...

— ასეთი რაღაცები ამერიკის ხელისუფლებისთვის მეშვიდეხარისხოვანია. ვაშინგტონისთვის, საკაშვილის დაუმორჩილებლობა მაშინ იქნება პრობლემა, თუ ის ავღანეთიდან ჯარს გამოიყვანს ან საქართველოში რუსეთის გავლენას გააძლიერებს.

— ერთი შეხედვით, რუსეთი საქართველოს შიდა საქმეებში აღარ ერევა. ეს მართლაც ასეა?

— რუსეთი საქართველოს შიდა საქმეებში მართლაც აღარ ერევა, იმიტომ, რომ ეს არაფრისთვის სჭირდება — ჩვენთან მიმართებით სიტუაცია იდეალურად აქვს დალაგებული: აგვისტოს ომის შემდეგ ჩვენი ნატოში შესვლის საკითხი უვადოდ გადაიდო; აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი მის ხელშია... მერწმუნეთ, რუსეთის გულგრილობა ფარსი რომ იყოს და ჩვენი ქვეყნის საქმეებში რეალურად ერეოდეს, უფრო მეტ ფულს დახარჯავდა და 26 მაისს თბილისში „ლაგატკებით“ შეიარაღებული 200 მომიტინგის ნაცვლად, „შულავერის მთავრობასა“ და „მეთერთმეტე არმიას“ ვიხილავდით. მოსკოვმა 2008 წელს თავისი უკვე გაინაღდა და ახლა მიმდინარე მოვლენებს გარედან მშვიდად ადევნებს თვალს. საქმეში მხოლოდ მაშინ ჩაერევა, თუ აქ სიტუაცია შეიცვლება.

— სიტუაციის შეცვლაში რას გულისხმობთ?

— ამერიკის დასუსტებას ან მისი პოზიციის შერყევას კავკასიაში. აი, მაშინ, მწიფე მსხალივით ჩავუვარდებით რუსეთს პირში, ყოველგვარი მეთერთმეტე არმიის გარეშე.

— თქვენი აზრით, რუსეთს ახალგორისა და კოდორის მეტი არაფერი უნდოდა?

— ახალგორისა და კოდორის ხელში ჩაგდებით, კრემლმა აფხაზეთსა და ცხინვალში პოზიცია გაიმყარა, ბუფერული ზონა შექმნა და დედაქალაქთან 40 კილომეტრში ჯარი ჩაგვიყენა. ე.ი. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახით ორი სატელიტი სახელწიფო შექმნა, რაც იმის გარანტიაა, რომ ამ ტერიტორიაზე ნატოს ჯარი ვერ შემოვა. ფაქტია,

რომ სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლა არც რუსეთს აძლევს ხელს.

— მაშინ ბურჯანაძე და ოქრუაშვილი რის იმედად აწყობდნენ საპროტესტო აქციებს?

— რისი იმედი ჰქონდათ, მართლა არ ვიცი, მაგრამ იმაში საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ბურჯანაძე და ოქრუაშვილი, როგორც პოლიტიკოსები, აღარ არსებობენ. ოქრუაშვილი კი, რბილად რომ ვთქვათ, უკვე არაადეკვატურია. ეს კაცი იმდენად დააბრმავა მრისხანებამ და სასოწარკვეთამ, რომ მარტო სააკაშვილს კი არა, საქართველოსაც კი დაუპირისპირდა: იმის თქმა, რომ საქართველო ტერორისტებს იფარებდა, რუსების წისქვილზე წყლის დასხმაა. სხვათა შორის, 26 მაისის მოვლენების შედეგად, სააკაშვილის პოლიტიკოსობასაც დაესვა წერტილი. მას ახლა შიშველი ძალის მეტი აღარაფერი აქვს. სააკაშვილი ახლა დენივითაა, რომელსაც არ უნდა შეეხო, თორემ დაგარტყამს და მოგკლავს.

— ქვეყანაში ცოცხალ პოლიტიკურ ძალას თუ ხედავთ?

— ნამდვილად ვერ ვხედავ.

— „ოპოზიციურ რვიანზე“ რას იტყვით? შეძლებს საარჩევნო გარემოს შეცვლას?

— ჩემი აზრით, ვერ შეძლებს. ერთადერთი, რაც შეიძლება მოხდეს, ის არის, რომ ალასანიას პარლამენტში 20 კაცს გააყვანინებენ და ამას წინ გადადგმულ ნაბიჯად ჩათვლიან.

— მერე „რვიანი“ ამაზე თანახმა იქნება?

— სხვა რა გზა ექნება?! ან თანახმა იქნება და ხელისუფლებას თამაშში აჰყვება, ან არ იქნება თანახმა, ვერ გაიყვანს პარლამენტში 20 კაცს და იქნება მარგინალური.

— როგორ შეაფასებთ არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივას — პოლიტიკოსების გარეშე ახალი პოლიტიკური მოძრაობის დაწყების შესახებ?

— პოლიტიკოსების გარეშე პოლიტიკას ვინ შექმნის?!. მაშინ, საზოგადოებაში უნდა გაჩნდნენ ახალი პოლიტიკოსები, მაგრამ ესეც გამორიცხულია, რადგან ხელისუფლებას ქვეყანაში არსებული ყველა ფინანსური წყარო ჩაკეტილი აქვს. ფინანსური წყაროს გარეშე კი ახალი ოპოზიცია ვერ შეიქმნება. ერთი სიტყვით, დღევანდელ საქართველოში ვერც რეალურ პოლიტიკოსებს ვხედავ და ვეღარც მათი გამოჩენის რეალურ შანსს. სამწუხაროდ, დღეს არსებული სიტუაცია დიდხანს გაგრძელდება.

■

თამაში გიურზების გარემოცვაში

და ბავშვის დაღუპვით გამოაშკარავებული პრობლემა

დედოფლისწყაროში ცოტა ხნის წინ მომხდარმა ამბავმა მთელი საქართველო აალაპარაკა. მეცხოველეობის ფერმაში, თამაშის დროს, 3 წლის ამილ კასანოვი გიურზამ დაკბინა. ბავშვი დაგესვლიდან ნახევარ საათში მშობლებმა დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გადაიყვანეს. საავადმყოფოს „ანტიგიურზინი“ არ აღმოაჩნდა, თუმცა ამის შესახებ ექიმებმა მშობლებს 7-საათიანი ლოდინის შემდეგ განუცხადეს. პაციენტი დედოფლისწყაროს საავადმყოფოდან კატასტროფის ცენტრის ბრიგადამ თბილისში გადაიყვანა, მაგრამ ბავშვის გადარჩენა ვეღარ მოახერხეს. ფაქტს საქართველოს პრეზიდენტიც გამოეხმაურა და დამნაშავე ექიმის დასჯაც მოითხოვა. სიღნაღის პროკურატურამ დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ქირურგი გიორგი სეხნიაშვილი 2 ივნისს დააკავა. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 130-ე მუხლით აღიძრა, რაც სამედიცინო მუშაკის მიერ პაციენტის განსაცდელში მიტოვებას ითვალისწინებს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში სეხნიაშვილს 3-დან 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ლევან ჟორჟოლიანი

მაგრამ პასუხგაუცემელი კითხვები მაინც რჩება: რატომ გამოიძახეს „სასწრაფო დახმარება“ თბილისიდან, როდესაც თელავის საავადმყოფოს „ანტიგიურზინის“ შრატის მარაგი ჰქონდა? რატომ არ იზრუნა საავადმყოფომ შრატის მარაგის შევსებაზე, როდესაც მსგავსი შემთხვევა რეგიონში ზაფხულობით საკმაოდ ხშირია? ამის გარკვევას დედოფლისწყაროს საავადმყოფოში შევეცადე.

მედპერსონალის განხილვის მთავარი თემა კოლეგის დაკავება იყო. ეზოში საპატრულო პოლიციის მანქანაც შევნიშნე. ავადმყოფის ისტორია პროკურატურას საქმის შესასწავლად ჰქონდა წაღებული. საავადმყოფოს დირექტორის მოადგილემ დიმიტრი ყოჩიაშვილმა მისაღებში 40 წუთი მალოდინა, კითხვის დასმის შემდგომ კი კომენტარზე უარი მითხრა.

დიმიტრი ყოჩიაშვილი:

— ვიცი, რომ დიქტოფონით იწერ, მაგრამ ვერაფერს გეტყვი. არ შემიძლია პასუხის გაცემა, ადამიანურად, ამის უფლება მაქვს...

კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარი თქვეს საავადმყოფოს სხვა თანამშრომლებმაც. „ვინც იყო მორიგი ექიმი, უკვე



დავინახე, რომ ფეხზე ერთი წვეთი სისხლი ჰქონდა და მიეხვდი — გველმა დაგესლა

დააკავეს და ჩვენ რა კითხვებზე გაგცეთ პასუხი?!“ — მითხრეს მათ.

ტარიბანი, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა, დედოფლისწყაროდან 24 კილომეტრში მდებარეობს. მოასფალტებული ქუჩა დედოფლისწყაროს ბოლოს, ძველ ავტოგასამართ სადგურთან მთავრდება, მას ვიწრო და უკაცრიელი გზა მოჰყვება. ირგვლივ საქონლის საძოვარი იალაღებია გაშლილი. გარშემო სულიერს ვერ ნახავთ — ალაგ-ალაგ ბალახებიდან ყორანი თუ ამოფრინდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ახლომახლო ქვეწარმავალი შენიშნა. შუა გზაზე მკვდარი უხსენებელი გდია, ფოტოაპარატს ვიღებ და ვაფიქსირებ. ცოტა ხანში ტბას ვუახლოვდები, მარჯვნივ სარწყავი არხია გაყვანილი, რომელსაც ფერმასთან მივყავარ...

ფერმა საბჭოთა კავშირის დროსაა აშენებული და ახლა ნანგრევებადაა ქცეული. ბეტონის ძველი ფილები ქვეწარმავლებისთვის კარგი თავშესაფარია. შენობის ყრუ კედელი ჩამოშლილია და წითელი საღებავით შესრულებული წარწერა — „ყველამ შევასრულოთ გეგმა!“ — ძლივს იკითხება. მწყემსებს პირუტყვი ზაფხულობით ღია ცის ქვეშ, რკინის მესრით

გარშემორტყმულ ადგილას ჰყავთ დაბინავებული.

შენობის გვერდით მწყემსების საცხოვრებელი სახლებია, წინ 2 მანქანა დგას. უცხო ადამიანის დანახვისას, ძალლი ყეფას იწყებს. მწყემსი რამაზ მამედოვი მეგობრულად მესალმება და უკანა ეზოსკენ მივდივართ, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა. ამ ადგილას ბავშვები კვლავ თამაშობენ. „ბავშვები არიან, სახლში ხომ ვერ გამოვკეტავთ?!“ — მიხსნის რამაზი ნანახით გაკვირვებულს.

რამაზ მამედოვი, *თვითმხილველი:*

— ზამთარ-ზაფხულ აქ ვართ და ცხოველებს ვუვლით. ბავშვები სხვა დროს ქალაქში ცხოვრობენ. ახლა სკოლა დაუმთავრდათ და აქ წამოვიყვანეთ. იზმილიც (გარდაცვლილის მამა) ოჯახთან ერთად ჩვენთან მუშაობდა. იმ დღეს ბავშვები უკანა ეზოში თამაშობდნენ. უცებ ყვირილი მოგვესმა. ჩემს ბიჭს ამილი ხელში აყვანილი მოჰყავდა. დავინახე, რომ ფეხზე ერთი წვეთი სისხლი ჰქონდა და მივხვდი — გველმა დაგესლა.

— საავადმყოფოში რამდენ ხანში წაიყვანეთ?

— ამილს ფეხზე რეზინა მაშინვე გადავუჭირეთ. მანქანაში ჩავსხედით და ნახევარ საათში დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მივედით. ექიმებმა გვითხრეს, კარგ დროს მოიყვანეთო. შემდეგ არაფერი უთქვამთ. 7 საათი ველოდით. ბავშვს ტანი მუცლამდე გაუშავდა. მერე გვითხრეს, წამალი არ გვაქვსო. ფული გამოგვართვეს, როდესაც ბავშვი დააწვინეს; მერე კი, როდესაც „სასწრაფო“ თბილისიდან გამოიძახეს, — 10 ლარი დაგვეხარჯა ლაპარაკშიო, — გვითხრეს და ის ფულიც დაგვამატებინეს. ეთქვათ ადრე და წავიყვანდით სხვაგან!..

— ბავშვის მშობლები ახლა სად არიან?

— არ ვიცი, ამილი რომ გარდაიცვალა, აქედან წავიდნენ.

— ფერმაში შრატი არა გაქვთ? ახლაც ფეხშიშველი ხართ. არ გეშინიათ?

— მწყემსი კაცი ვარ, შრატი საიდან უნდა მქონდეს?! ნახირში აბა, „ვალინკებით“ ხომ არ ვივლით.

— ადრე თუ ყოფილა შემთხვევა, რომ გიურზას ვინმე დაეკბინოს?

— სხვაგან არ ვიცი, აქ კიდევ, 15 წელია, ვცხოვრობთ და არასდროს დავუკბენივართ. გიურზა ძალიან ბევრია ახლომახლო. საქონელი საძოვარზე როცა გამყავს, ზოგჯერ შვიდს ერთად ვნახულობ.

ტარიბანიდან ჩამოსული, დედოფლისწყაროს ერთ-ერთ აფთიაქში მივდივარ და „ანტიგიურზინს“ ვკითხულობ. აფთიაქში გველის ნაკბენის საწინააღმდეგო შრატი არ იყიდება.

ნანა გულიაშვილი, *დედოფლისწყაროს მკვიდრი:*

— დაშინებულები ვართ: ისეთ რეგიონში ვცხოვრობთ, რომ ზაფხულის დადგომისთანავე გველების რიცხვი მაშინვე იზრდება. რაც შეგვიძლია, იმას ვაკეთებთ, ეზოში გოგირდს ვწვავთ, მაგრამ ეს არ შველის. ბავშვებს სათამაშოდ გარეთ არ ვუშვებ. ყოველ წელსაა გველის მიერ დაგესვლის შემთხვევები. შარშან გიურზამ 70 წლის მოხუცი და ბავშვი დაკბინა, საბედნიეროდ, გადარჩნენ. ამ შემთხვევამ კიდევ უფრო დაგვზაფრა. საავადმყოფოს შრატი არა აქვს, აფთიაქებშიც არ იყიდება, დაკბენილმა ადამიანმა კი შეიძლება, თბილისამდე ვერ ჩააღწიოს.

„ბავშვები არიან, სახლში ხომ ვერ გამოვკეტავთ?!“

ზაფხული კახეთშიც ტურიზმის სეზონია. ვაშლოვანის ნაკრძალი კი ის ადგილია, რომელსაც ბევრი ადამიანი სტუმრობს. ნაკრძალში უამრავი გიურზაა, რაც ტურისტის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის — დაკბენის შემთხვევაში, ის ფაქტობრივად, სასიკვდილოდაა განწირული, რადგან არც ნაკრძალის ადმინისტრაციაში და არც დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გველის საწინააღმდეგო შრატი არ აქვთ.

გიორგი ნებიერიძე, *სტუდენტი:*

— წინა კვირას მეგობრებთან ერთად, კახეთში 3 დღით ექსკურსიაზე ვიყავი. სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად, ვაშლოვანის ნაკრძალიც მოვინახულეთ. გიდმა გაგვაფრთხილა, რომ ფრთხილად გვევლო და თითოეული ნაბიჯი გაგვეკონტროლებინა, რადგან შესაძლებელი იყო, გიურზა ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგვხვედროდა. ვიკითხეთ, გველს რომ დავეგესლეთ, შრატი თუ ჰქონდათ? უარყოფითი პასუხი გაგვცეს. გოგონებს შეეშინდათ და ნაკრძალის შესასვლელში დარჩნენ, ჩვენ კი მთელი „დათვის ხევი“ მოვიარეთ. საბედნიეროდ, გიურზა არ შეგვხვედრია. ისე კი წამსვლელებს ვურჩევ, რომ მაღალყელიანი საველე ფეხსაცმელი ჩაიცვან.

კეტე ავალიშვილი, *ზოოლოგი:*

— საქართველოში მობინადრე გველებიდან გიურზა ყველაზე შხამიანია. ის შირაქში, გარეჯის ველსა და თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე გვხვდება. ახალგამოჩეკილის შხამსაც კი შეუძლია, ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს.

— მოსახლეობა ამბობს, რომ მათი რაოდენობა მკვეთრადაა გაზრდილი, მართალია?

— ეს ლოგიკურია. ზაფხული ის სეზონია, როდესაც ქვეწარმავალთა რაოდენობა იზრდება. ჩვეულებრივ, ერთ ჰექტარზე — 4, ამ პერიოდში კი 20-მდე გველი გვხვდება. გიურზა განსაკუთრებით ახლაა საშიში: ის კანს იცვლის და თვალები ქერქით აქვს დაფარული, ამდენად, ვერაფერს ხედავს და ადამიანის ან ცხოველის მოახლოებას ვიბრაციით გრძნობს. ქვეწარმავალი ამ დროს ყველაზე აგრესიულია. ვისაც ბუნებაში ხეტიალი უყვარს, განსაკუთრებით კახეთის რეგიონში, ვურჩევ, ყურადღებით იყოს და უხეში ქსოვილის შარვალი ატაროს. ■

თალიზი
თმის გადანერგვის კლინიკა

ტაბაკინტის ქ. 27 ტელ: 25 37 39
www.talizi.ge

რა შემთხვევაში მოუწევდა ლევან ვეფხვაძეს მდიდარი მეგობრების დაკარგვა...

დეკლარანტის ამპლუაში ამჯერად პარლამენტის ვიცე-სპიკერს — ლევან ვეფხვაძეს წარმოგიდგენთ. ქრისტიან-დემოკრატი პარლამენტარის ქონებრივი დეკლარაცია მართალია, მტერს თვალს ვერ დაუყენებს, მაგრამ უფულობას, უბინაობასა და უმანქანობას არ უჩივის. სწორედ ეს არის მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონებაც.

დოსიე:

ლევან ვეფხვაძე თბილისში, 1974 წლის 4 ოქტომბერს დაიბადა. მამა მათემატიკოსი გახლავთ, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. დედა — რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი. ბიზნესთან „ურთიერთობა“ და შესაბამისად, დაგროვილი ქონება ქალაქსა თუ ქალაქს გარეთ არ ჰქონიათ. მეუღლე — ნათია ჩიქოვანი მისი თანატოლია. სიყვარულით შეუღლდნენ და ორი შვილი შეეძინათ — მარიამი 11 წლისაა, ვახტანგი — 7-ის.

ნინო ჯავახიშვილი

,,ასეთ რამეებში ფულის დაზოგვა არ ღირს“...

ვეფხვაძეების ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონებას ალექსიძის ქუჩაზე მდებარე 163 კვადრატული მეტრი ბინა, 1000 კვმ მიწის ნაკვეთი და მსუბუქი ავტომობილი შეადგენს. მშობლები მთაწმინდაზე ცხოვრობენ. თვითონაც იქ გაიზარდა, დაოჯახების შემდეგ კი ცალკე ცხოვრება გადაწყვიტა და ბინაც მაშინ იყიდა.

— 2001 წელს აკადემქალაქის ტერიტორიაზე ავიშენე სახლი. მშენებლობა რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და 26.000 დოლარი დაჯდა, თუმცა დღეს მისი საბაზრო ღირებულება გაცილებით მეტია, საშუალოდ 200.000 ლარი ეღირება.

— ეს იყო თქვენი პირველი დიდი შენაძენი საკუთარი შრომით?

— მაშინ ტელევიზიაში ვმუშაობდი. საკმაოდ მაღალი ხელფასი მქონდა და თანხას ნელ-ნელა ვიხდიდი.

— თქვენი პირველი ხელფასიც გაიხსენეთ. როდის აიღეთ?

— ჩემი პირველი ხელფასი მოქალაქეთა კავშირში გაერთიანებას უკავშირდება. მანამდე სტუდენტური კავშირის თავმჯდომარე, უნივერსიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელი ვიყავი, თუმცა ეს ჩემი უხელფასო სამსახურები იყო. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დავამთავრე. ერთხანს ლექციებსაც ვკითხულობდი — უმაღლესი მათემატიკის რამდენიმე დისციპლინას ვასწავლიდი და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ძალიან საინტერესო და სასარგებლო იყო სტუდენტებთან მუშაობა, ბევრ რამეს სწავლობ მათგან.

— სტუდენტობამ ისეთ წლებში მოგიწიათ, როდესაც ქვეყანაში არეულობა იყო — არ იყო არც შუქი, არც გაზი, არც ფული... არ გიჭირდათ მაშინ?

— 1991 წელს გავხდი სტუდენტი. არეულობისა და ომის პერიოდის ტრაგიკომიზმი იცით, რა იყო? თბილისის ერთ უბანში ქართველები ერთმანეთს ესროდნენ და სისხლი იღვრებოდა, სხვაგან კი სიმშვიდე იყო — ვითომც არაფერი ხდებოდა განსაკუთრებული. ეს აღმოჩენა ჩემთვის კულტურული შოკი გახდა. იმ ზამთრის შემდეგ ყველანი უცებ ღატაკები გავხდით. მახსოვს, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში მამაჩემს მანქანით მივყვებოდი ხოლმე და ერთხელ შუა გზაზე გავჩერდით, საწვავი გათავდა. უფულობის გამო კი ვერ ჩავასხით. ხშირად მაღლივამდე ფეხით ავდიოდით. უცებ მამაჩემის ხელფასი 3 დოლარის ეკვივალენტი გახდა. გამოცდებისთვის სანთლის შუქზე ვემზადებოდით. საერთოდ სტუდენტური ცხოვრება სანთლის შუქზე მიდიოდა...

— რამ გადაგატანინათ ასეთი გაჭირვება?

— ალბათ ახალგაზრდულმა წლებმა. სანთლის შუქზე ვსწავლობდით და ვქეიფობდით კიდეც. სუფრაზე ბევრი არაფერი გვქონდა, მაგრამ მაინც გვიხაროდა ერთად ყოფნა.

— საერთოდ ქეიფი გიყვართ?

— ქეიფს რას ეძახით?

— მეგობრებთან ერთად მოლხენას...

— მეგობრებთან ერთად ყოფნა და მოლხენა როგორ არ მიყვარს...

— გადახდაც გიყვართ?

— როცა მაქვს, ვიხდი, როცა სხვას აქვს, ის იხდის. მეგობრებში ასეა. ადრე რესტორანში ვინ დადიოდა? ახლაც ოჯახში მოლხენას ვამჯობინებ რესტორანში წასვლას. იქ რომ დაჯდები, რა უნდა გააკეთო? უნდა დალიო, ოჯახში კი უფრო მყუდრო და მშვიდი გარემო იქმნება, გიტარას დაუკრავ, იმღერებ, ისაუბრებ, მოკლედ, შენს ჭიას გაახარებ...

— და რაში შეგიძლიათ ფულის დახარჯვა დაუნანებლად?

— სიმართლე გითხრათ, ხშირად დამნანებია ჩემთვის რამის ყიდვა. აი, ბავშვებისთვის კი არასდროს არაფერი მენანება. იმიტომ კი არა, რომ მათ ძალიან ვანებივრებ. უბრალოდ, უარს არ ვეუბნები იმაზე, რაც ჩემი აზრით, ბავშვს აუცილებლად უნდა ჰქონდეს და რაც მათ ფიზიკურ თუ გონებრივ განვითარებას უწყობს ხელს — წიგნები, სათამაშოები... სულ ვეუბნები ჩემს მეუღლესაც, რომ ასეთ რამეებში ფულის დაზოგვა არ ღირს. იმას არ ვგულისხმობ, რომ ზოგიერთივით დღესვე ვიზრუნო და შვილებს და შვილთაშვილებს სასახლეები ავუშენო, მანქანები ვუყიდო და ასე შემდეგ. მინდა, მათ კარგი სასტარტო პირობები შევუქმნა იმისთვის, რომ კონკურენტუნარიანები იყვნენ და თავიანთი ცხოვრება თვითონ ააწყონ.

— მიწის ნაკვეთზე რას მეტყვით? ისიც თვითონ შეიძინეთ?

— მიწა, რომელიც ხაშურში ვეფხვაძეების უბანში გვაქვს, ბაბუაჩემის მამამ და მისმა ძმამ ხარაგაულიდან წამოსვლის შემდეგ იყიდეს. 30-იან წლებში კი ისინი გააკულაკეს და მიწის დიდი ნაწილი ჩამოართვეს. მიწა ჩემია, იქ სახლიც დგას, მაგრამ ის მამაჩემის საკუთრებაა.

— ავტომანქანა „ოპელ ვექტრაც“ თქვენს საკუთრებაშია?

— 2004 წელს ვიყიდე 3.000 დოლარად. ახლა ჩემი მეუღლე დადის ამ მანქანით, მე კი სამსახურის მანქანით ვსარგებლობ. ადრეც მომცრო მანქანა მყავდა.

— **რატომ? ჯიპები არ გიყვართ?**

— (*იცინის*) იცით, რა ხდება? ჯიპი გარკვეულ სტატუსს განიჭებს. როგორ გგონიათ, ყველა მუსლიმანს 5, 8 და 10 ცოლი ჰყავს? იმ 10 ცოლს შენახვა ხომ უნდა? ცოლებიც სოციალური მდგომარეობის მიხედვით მოჰყავთ...

— **ანუ ჯიპი ძალზე მომთხოვნ ცოლს ჰგავს, ხომ?**

— ასეა, რადგან 100 კმ.-ზე 20 ლიტრი საწვავი სჭირდება. გამოდის, რომ ჩემი ხელფასის ნახევარი — 1.000 ლარიდან 1.500 ლარამდე მარტო სამგზავროდ დამჭირდება. მე კი არ ვაპირებ, მთელი ჩემი ნაშრომი მანქანას დავახარჯო.

— **საერთოდ მხარჯველი ხართ?**

— ბევრი ფული არ მაქვს და ძალიან მხარჯველი ვერც ვიქნები. ძუნწიც ნამდვილად არ ვარ. მეუღლე მსაყვედურობს ხოლმე, ზოგჯერ ზედმეტიც მოგდისო...

— **ზედმეტად ხარჯვის გამო გსაყვედურობთ თუ ზედმეტი მომჭირნეობის გამო? ალბათ ძვირად ღირებული საჩუქრებით არ ანებივრებთ?**

— (*იცინის*) არა მგონია, უფრო პირიქით უნდა იყოს, მაგრამ აუცილებელი არ არის მაინცდამაინც ძვირად ღირებული საჩუქარი შევურჩიო... ძვირფასი საჩუქრებით ისინი ანებივრებენ მეუღლეებს, რომელთა ცოლებსაც განსაკუთრებულად დიდი პრეტენზიები აქვთ ქმრების მიმართ. ნათიას კი არ უყვარს ფუფუნების საგნები და ბრილიანტისა და ოქროს ბეჭდები. ყველაფერი — ზომიერად. ისეთი ოჯახი არც გვაქვს, რომ ერთ დღეს ვიჩხუბოთ და მეორე დღეს შესარიგებლად ძვირფასი სამკაული ვაჩუქო. ამას სჯობს, არ ვიჩხუბოთ, ხოლო იმ ფულით ბავშვები, მაგალითად, ცურვაზე ვატაროთ.

— **შეყვარებულობის დროს ალბათ უფრო გულუხვი იყავით, არა?**

— ბევრი გასართობი მაშინ არც იყო, რომ ჩემი გულუხვობა გამომეჩინა. ყოფილა შემთხვევაც, როდესაც ნათიამ დამპატიჟა სახინკლეში: წამოდი, ფული მაქვს და დღეს მე გპატიჟებო...

,,ხელფასის გარკვეული ნაწილი ხშირად პარლამენტის შენობას არც სცდება ხოლმე"...

დაზოგვის უნარისა და მათემატიკური გათვლების წყალობით ვიცე-სპიკერს ფულადი თანხა — 6.000 ლარი და 2.600 დოლარი მოუგროვებია. ოჯახის უფროსს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში მეუღლეც ეხმარება. ნათია ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გახლავთ და მთელი წლის განმავლობაში მისი ანაზღაურება 21. 141 ლარს შეადგენს. თავად დეკლარანტის ყოველწლიური შემოსავალი კი 65. 676 ლარია.

— **ბატონო ლევან, ხელფასი არ გყოფნით? სესხი გამოგიტანიათ ბანკიდან...**

— ხელზე ყოველთვიურად 3.400 ლარს ვიღებ. ნახევარი ხელფასი არა, მაგრამ 1.000 ლარი ყოველთვის მეხარჯება — ხშირად ჩემთვის უცნობ ადამიანებს დავხმარებივარ. როდესაც გამიგია, რომ ვიღაცას უკიდურესად უჭირს, ჯიბიდან ამომიღია და მიმიცია. ასე რომ, ხელფასის გარკვეული ნაწილი ხშირად პარლამენტის შენობას არც სცდება ხოლმე. ბევრჯერ მიკითხავს მათთვის: კი მაგრამ, ჩემთან რომ მოდიხართ, ხომ იცით, ზოგიერთ დეპუტატს სხვა შემოსავალიც რომ აქვს და მას რატომ არ სთხოვთ-მეთქი? ბატონო ლევან, მათ ვერ ვნახულობთო... იმიტომაც აქვთ ბევრი, რომ ასე ფეხის ყოველ გადადგმაზე არ ხარჯავენ. მე კი ასე მოქცევას ჩემი რწმენა მავალდებულებს. ადრე ჩემი მძღოლი მათხოვრებს სულ ყრიდა და მანქანასთან არ უშვებდა. ახლა „გამოსწორდა" და თვითონაც აძლევს ხოლმე ხურდას. ამ ცხოვრებაში არ ვიცი, მაგრამ იმ ცხოვრებაში ალბათ ყველას ყველაფერი წინ დაგვხვდება...

— **მოკლედ, სესხი — 5.100 ლარი რაში დახარჯეთ?**

— საერთოდ, კრედიტის აღება და ლატარიის თამაში (ფულის მოსაგროვებლად) ბევრს უყვარს. მე ფულის შენახვას ვამჯობინებ, მაგრამ იმ პერიოდში არ მქონდა, ბავშვს კი ფორტეპიანო სჭირდებოდა. ამბობენ — კარგად უკრავსო. სხვათა შორის, ამ დღეებში აქვს კონცერტი. მასწავლებელთან დადიოდა და იქ მეცადინეობდა. მან გვითხრა: ბავშვს სახლში წასვლა აღარ უნდა, ისე სიამოვნებს დაკვრა და სირცხვილია, უყიდეთო.

— **ჰოდა, თქვენც გაახარეთ არა?**

— მართლაც ძალიან გაუხარდა. დილა-საღამოს ზის და საათობით უკრავს. სიმართლე გითხრათ, არც მომწონს ეს ამბავი — ჯობს, სპორტითაც დაკავდეს. 6-7 საათი ინსტრუმენტთან ჯდომა ჯანმრთელობისთვისაც საზიანოა.

— **ფულის გაცემა გყვარებიათ. გასესხებაც ხშირად გიწევთ ხოლმე?**

— ხშირად მოსულან ფულის სასესხებლად, მაგრამ მე რისი საშუალებაც მქონია, ის მიმიცია, ოღონდ — საჩუქრად. ფულის გამო ახლობლის დაკარგვას ამას ვამჯობინებ.

— **თქვენ თუ დაგჭირვებიათ ოდესმე ვინმეს დახმარება?**

— როგორ არა. როდესაც ბინას ვიშენებდი, ბიძაჩემი ძალიან დამეხმარა, რის გამოც მისი მადლიერი ვარ. მარტო ჩემი ხელფასით ალბათ გამიჭირდებოდა.

— **ბარემ ისიც მითხარით, როგორ მოაწყვეთ სახლი. ახსენეთ, ოჯახში არც ერთი ძვირად ღირებული ნივთი არ გვაქვსო?**

— უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით. არ არის აუცილებელი, ჭერზე 10.000-ლარიანი ჭაღი დაკიდო. თავის ფუნქციას 100-ლარიანიც მშვენივრად შეასრულებს. რა მნიშვნელობა აქვს, ვენეციური შუშაა თუ ჩეხური ბროლია? ვიცი ისეთი ოჯახებიც, სადაც 10.000 და 100.000-დოლარიანი ნივთები აქვთ. არ მგონია, ეს ნორმალური იყოს. ეს ყველაფერი ალბათ იმ წრეზეა დამოკიდებული, რომელშიც ტრიალებ. როდესაც ასეთი საზოგადოების წევრი ხდები, შენთვის კი არა, უკვე მათთვის აკეთებ ბევრ რამეს...

— **მერე, თქვენ არ გყავთ ასეთი მდიდარი ახლობლები, ვისთანაც თავს გამოიჩენთ?**

— სამწუხაროდ, არა...

— **და რომ გყავდეთ, დაკიდებდით მათთვის თავის მოსაწონებლად 10.000-დოლარიან ჭაღს?**

— არავითარ შემთხვევაში, მაშინ მეგობრების დაკარგვა მომიწევდა... არ მიყვარს ადამიანები, ვინც ძვირფასი ნივთებით განსაზღვრავს რაღაცრაღაცებს...

— **რატომ? ფულსა და სიმდიდრესთან ასეთი ცუდი დამოკიდებულება გაქვთ?**

— ფულს სუფთა პრაგმატული თვალით ვუყურებ, ბედნიერება სიმდიდრეში ხომ არ არის?!

ალბათ ამიტომაც არის, რომ დეკლარანტს ჯიბით ბევრი ფული არასდროს დააქვს. სამაგიეროდ, საკრედიტო ბარათს დაატარებს თან და როდესაც უფულოდ რჩება, ბანკომატიდან ხსნის ხოლმე გარკვეულ თანხას. ბედნიერება სიმდიდრეში ნამდვილად არ არის, მაგრამ სამწუხაროდ, უბედურება და გაჭირვებაა სიღატაკეში და ამიტომ ეს ფრთიანი ფრაზა ნუგეში ბევრისთვის არ არის... მით უმეტეს იმ ხალხისთვის, ვინც დღესაც პარლამენტარებისა თუ ჩინოვნიკთა გონიერი გადაწყვეტილებების მოლოდინშია...

■

სახე

ქეთი ორჯონიკიძე: რეჟისორებს ჩემი ფანტაზიის ჩარჩოებში მოქცევა უნდათ

რამდენიმე წლის წინ, ქეთი ორჯონიკიძე საზოგადოებამ „ვარსკვლავების აკადემიიდან“ გაიცნო. მეცო-სოპრანოს ხმის მქონე მომღერალი მალევე შეიყვარა მსმენელმა და დღემდე მოუთმენლად ელის მისგან სიახლეებს, მაგრამ როგორც თავად ქეთი ამბობს, ცოტა ზარმაცი ადამიანია — უჭირს საქმის დაწყება. მიუხედავად ამისა, მისგან სულ მალე არაერთ სიახლეს უნდა ველოდოთ. სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ დილაადრიან რედაქციაში მესტუმრა და მეხუმრა: ერთადერთი ჟურნალისტი ხარ, რომელსაც შეუძლია დაიკვეხოს, რომ ქეთი ორჯონიკიძის დილით ადრე გაღვიძება მოახერხა.

ხშირად ჩემი ასეთი ხასიათის გამო ბევრი წამიგია კიდეც

ელენე გასილიძე

— ქეთი, სად დაგვეკარგე?

— არასოდეს ვყოფილვარ ისეთი აქტუალური ფიგურა, რომ ხალხს ყელში ამოვსვლოდი. ვერაფრით ავიტან, ვინმემ ჩემზე თქვას, — რა არის, ლამის ოჯახის წევრად გვექცა, თავი მოგვაბეზრაო... შესაძლოა, ჩემი ჩრდილში ყოფნა იმის ბრალიცაა, რომ ჩემი ჟანრი — როკი არ არის აქტუალური. სოციალურ ქსელზე ხშირად მწერენ, რომ მოვენატრე საზოგადოებას და მთხოვენ, რამე ახალი გავაკეთო. ეს ძალიან სასიამოვნოა. მსურს, მუსიკის საკუთარი სტილი შევქმნა და ამ სტილში ვიმუშაო. არ შეიძლება, იმღერო ყველაფერი და ამტკიცო, რომ ყველა ჟანრში მაგარი ხარ. დღეს, როცა სახლში ვზივარ, ყოველდღე სხვადასხვა ცნობილი სიმღერის ქავერვერსიას ვწერ. ვაპირებ, სოციალურ ქსელში ვკითხო ადამიანებს, ჩემგან რომელი სიმღერის მოსმენას ისურვებდნენ და მერე სურვილი ავუსრულო მათ (*იღიმის*).

— რატომღაც ქართულ შოუბიზნესში აქტიურად არ ტრიალებ...

— ერთადერთი, სადაც ვტრიალებ, ჩემი სახლი და მეგობრების წრეა. ვერ ვიტყვი, რომ აქტიურად ვარ ჩართული ვარსკვლავურ ცხოვრებაში. იმ ადამიანებთან ერთად ყოფნა მიყვარს, რომლებთანაც თავს კომფორტულად ვგრძნობ. ხშირად ჩემი ასეთი ხასიათის გამო ბევრი წამიგია კიდეც. ჩემს ჩრდილში ყოფნას ისიც განაპირობებს, რომ ბოლო დროს იშვიათად ტარდება კონცერტები. ამას წინათ, ჩემმა ნაცნობებმა ძალიან გამახარეს: ერთ-ერთ ბავშვთა სახლში ასულან და ბავშვებისთვის უთხოვიათ, დაეწერათ ერთი სურვილი. აღმოჩნდა, რომ პატარებს ჩემი გაცნობა უნდათ. ლამის გადავირიე სიხარულით. ამაზე კარგი ამბავი, ძალიან დიდი ხანია, არ გამიგია. მათ მალე ვეწვევი.

— ამას წინათ, ამბობდი, რომ უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად წასვლას და საამისოდ ბინის გაყიდვას აპირებდი.

— უკვე 15 წელია, ერთსა და იმავეს ვსწავლობ. მაქვს დამთავრებული ნიჭიერთა ათწლედი ფორტეპიანოს განხრით, პირველი მუსიკალური სასწავლებელი — ვოკალის განხრით და საგუნდო-სადირიჟორო... ამასთან ერთად, ლონდონში ვისწავლე უნივერსიტეტის 2 კურსი, მაგრამ სწავლა არასოდეს არის ზედმეტი და მეც მინდა, წავიდე და ბოლომდე დავასრულო უნივერსიტეტი, რომლის ცოდნაც შესაძლებლობას მომცემს, აქტიურად ავმოქმედდე. როგორც კი ამის საშუალება მექნება, სასწავლებლად წავალ.

— როგორც ვიცი, ლექსებსაც წერ...

— კი, ლექსების 3 კრებული მაქვს გამოშვებული და ახლა წიგნის გამოშვებას ვგეგმავ. წიგნი ლირიკული პოეზიის ჟანრს მიეკუთვნება. რომანტიკული, რელიგიური და ფილოსოფიური ხასიათის ლექსებია შესული. მინდა, მკითხველს პატივი ვცე, ხარისხიანი და კარგი კრებული გამოვიდეს. მსურს, მომავალში იმ ადამიანებსაც კი გაუჩნდეთ კრებულის ყიდვის სურვილი, რომლებიც ამჟამად ლექსებს არ კითხულობენ. თავად წიგნის დიზაინი რელიეფურია. ყდას გვერდიდან თუ შეხედავთ, ადამიანის სახის ფორმა ექნება. კრებულს ლექსების აუდიოვერსიაც მოჰყვება. იმედია, დაფინანსებას მოვიპოვებ.

— ქეთი, მახსოვს, ევროვიზიის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობდი. წელს რატომ არ სცადე ბედი?

— 2 წლის წინ ჩატარებულ შესარჩევ ტურზე მეორე ადგილზე გავედი. წელს საბუთები შევიტანე, მაგრამ მერე ისევ უკან წამოვიღე.

— რატომ?

— მე და ჩემს ბენდს ერთად გვინდოდა მონაწილეობა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბენდი ცოცხლად არ უკრავს — მხოლოდ სოლისტი მღერის უფონოგრამად. ამასთან ერთად, გვითხრეს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით უნდა წავსულიყავით კონკურსზე. ამდენი ფული რომ გვქონოდა, ცოტას დავამატებდით და ევროვიზიაზე სტუმრის სტატუსით ჩავიდოდით. უფრო მაგარი „როუები“ არ ვიქნებოდით?! ამიტომაც უარი ვთქვი მონაწილეობაზე. ამ 2 წლის წინ დამოუკიდებლად „გავძვერი“ შესარჩევ ტურზე. მახსოვს, მაშინ სიმღერაზე ისე მქონდა გული აცრუებული, თავის დანებებას ვაპირებდი. როცა მშობლები და ახლობელ-ნათესავები „წონიანი ფიგურები“ არიან, ყველაფერი ძალიან იოლია. ამ შემთხვევაში მე არ „გამიმართლა“, გარშემო ასეთი არავინ მყავს. შეიძლება არავინ დამიჯეროს, მაგრამ ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ამა თუ იმ კონკურსზე რომელ ადგილს დავიკავებ. რა თქმა უნდა, გამარჯვება კარგია, მაგრამ ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია, საკონკურსო სიმღერას როგორ ვიმღერებ. ცხოვრებაში ყველაფერი დიდი წვალების შედეგად გამომდის. ხანდახან ძალიან მინდა, უბრალოდ გამიმართლოს. ბავშვობაში იღბლიანი ვიყავი, მას მერე „ბედი ჩამეკეტა“ და აღარ მიმართლებს (*იცინის*).

— როგორც ვიცი, მუსიკალურ სამყაროში შენზე ბავშვობიდანვე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

— კი, 8 წლის ვიყავი, საფრანგეთში პიანისტებს შორის პირველი ადგილი რომ ავიღე. ყოველ წელიწადს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ვუკრავდი, წელიწადში ორჯერ — კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზში. მერე არ ვიცი, რა მოხდა, ალბათ დავიღალე და ჩემს პიანისტობასაც წერტილი დაესვა. ხშირად მომდის ასე: მივალ რაღაც ეტაპამდე და მერე ვხვდები, რომ ეს საქმე აღარ მინდა. ამასთან ერთად ზარმაციც ვარ, მიჭირს საქმის წამოწყება, მაგრამ თუ დავიწყე, მერე მუღამი მიჩნდება და ბოლომდე მიმყავს დაწყებული. კარგი იქნებოდა, დედაჩემს ვგავდე — აქამდე 2-3 გრემი მექნებოდა სახლში. „ამოქოქვა“ მჭირდება და მერე უკვე ყველაფერი კარგად მიდის. სამეგობროს სახით მამოძრავებელი ძალა მყავს და ისინი მინთებენ ხოლმე ცეცხლს.

— ხელზე საქორწინო ბეჭდის მსგავსი სამკაული გიკეთია. პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— სრულიად არაფერი, ეს ჩემი ყოფილი შეყვარებულის ნაჩუქარი აქსესუარია... ალბათ ყველას ახსოვს, ჩემი სასიყვარულო ამბავი, რომლის გამოაშკარავებასაც ძალიან ვნანობ. ვფიქრობ, ჩემი პირადი ცხოვრების აფიშირება ძალიან დიდი შეცდომა იყო. ადამიანი საკუთარი შემოქმედებით უნდა ფასდებოდეს და არა წარმატებული თუ წარუმატებელი პირადი ცხოვრებით.

— ვიცი, რომ წელს „იურმალის“ შესარჩევ კონკურსზე მონაწილეობდი...

— მე იმ ქვეყანაში სრულიად სხვა საქმეზე ვიყავი ჩასული და ყოველი შემთხვევისთვის, მათ კასტინგზეც შევიარე. შესარჩევ ტურზე ჯენის ჯოპლინის სიმღერა ვიმღერე. გაკვირვებულები მიყურებდნენ... მომისმინეს და მითხრეს, — როკი — არაო! ვერაფრით მიხვდნენ, რატომ მოვხვდი ამ კონკურსზე. ჩემს ახლობლებს აქვთ ჩვევა, — ყველა კონკურსზე საბუთებს გზავნიან და მერე კი, ამ კონკურსიდან მირეკავენ. წელს იურმალიდან კიდევ რომ დამირეკეს, იმდენჯერ გადავაგდე, შემრცხვა, არ მივსულიყავი, მაგრამ არ ვიყავი „მათი ფორმატის“. სხვათა შორის, იქ ვინც მომისმინა, სხვადასხვა კონკურსიდან მოწვევას მიგზავნიან, მონაწილეობას მთხოვენ. ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ მინდოდა, რადგან ყველა, ვინც იქიდან დაწუნებული ჩამოდის, — ჩემი კაბა არ მოეწონათ, ფეხსაცმლის ქუსლი დასაშვებზე დაბალი იყოო... მსგავს სისულელეებს იმიზეზებენ ხოლმე.

— უახლოეს მომავალში რა გეგმები გაქვს?

— უახლოეს მომავალში ჯერ მინდა, წიგნი გამოვიდეს, მერე კლიპის გადაღებას და ძალიან უჩვეულო სოლო კონცერტის გაკეთებას ვაპირებ — ვიმღერებ ჩემეულ ქავერვერსიებს, რომელიც ნამდვილ ვერსიას ოდნავ თუ ემსგავსება. ბლუზი, როკი, გოთიკა, ფანკი იქნება გაერთიანებული. რაც შეეხება კლიპს, მას ჩემსავე სიმღერაზე გადავიღებ. სცენარი უკვე დავწერე. როგორც წესი, რეჟისორები ჩემს იდეებს რომ ისმენენ, გაკვირვებულები რჩებიან და ჩემი ფანტაზიის ჩარჩოებში მოქცევა უწევთ. ■

„კომედი შოუ“ ამერიკაში
და იქ მცხოვრები ქართველების „ვანო ჯავახიშვილი“

„კომედი შოუს“ მსახიობები 10 დღით ამერიკაში იმყოფებოდნენ; იქ წმინდა ნინოს სახელობის პირველი ქართული ეკლესიის გახსნას დაესწრნენ და საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარეს. ჯგუფის ხელმძღვანელს, ალეკო მალხაზიშვილს თბილისში დაბრუნებისთანავე დავუკავშირდი.

თამუნა კვინიკაძე

— ალეკო, თქვენი ამერიკაში მიწვევა ვისი იდეა იყო?

— იქ მცხოვრები ქართველების მიწვევით ჩავედით. კონცერტზე ჩვენ გარდა „შინი“ და ზურაბ მანაგაძე გამოვიდნენ. მაყურებელმა ჩვენი ნომრები ძალიან კარგად მიიღო. თბილად დაგვხვდნენ. მინდა, თქვენი საშუალებით მადლობა ვუთხრა ამერიკაში მცხოვრებ გურამ შალუტაშვილს და თამრიკო დავითაშვილს — ჩვენს ვიზიტს ორგანიზება მათ გაუკეთეს.

— როგორც ვიცი, „კომედი შოუს“ ყველა წევრი არ წასულა. შერჩევა რა პრინციპით მოხდა?

— მთელი ჯგუფის ჩასვლას ითხოვდნენ, მაგრამ ეს დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მათი მოთხოვნის საფუძველზე მე, ოთო ლომთაძე, ნიკა არაბიძე, ნიკა გრიგოლია, ვასო ფხაკაძე, მიშა ანდღულაძე, ამიკო ჩოხარაძე, ვახო ბიჭიკაშვილი და გიორგი აფციაური გავემგზავრეთ. კონცერტი საკმაოდ დიდ დარბაზში გაიმართა და მთლიანად სავსე იყო. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ მითხრეს, რომ ამერიკაში 150 000-მდე ქართველი ცხოვრობს. მათ ჩვენი საუკეთესო ნომრები ვაჩვენეთ, განახლებული და ამერიკულ თემას მორგებული.

ნიუ-იორკში წმინდა ნინოს სახელობის პირველი ქართული ეკლესიის გახსნას დავესწარით. როგორც ვიცი, იქ მცხოვრები ქართველები აქამდე სამლოცველოდ ფართობს ქირაობდნენ — ეკლესია არ ჰქონდათ.

— ნიუ-იორკის გარდა სხვა ქალაქებში არ ყოფილხართ?

— 24 მაისს ვაშინგტონში ვიყავით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე მიგვიპატიჟეს. იქ იყო ზაზა ფაჩულია, „შინი“, სპეციალურად ამ დღისთვის სოფო ნიჟარაძე ჩამოვიდა და იმღერა. ჩვენ სტუმრების სიაში ვიყავით და იმავე დღეს ნიუ-იორკში დავბრუნდით. იქაურმა ქართველებმა ღირსეული მასპინძლობა გაგვიწიეს, ძალიან ენატრებათ სამშობლო. არაერთმა გვითხრა, საქართველოში ყოველ ჩამოსვლაზე ვამჩნევთ, რომ თბილისი თანდათან ლამაზდება და ეს ძალიან გვიხარიაო.

— 26 მაისს მომხდარ ამბებთან დაკავშირებით რას ამბობდნენ?

— ჩვენ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ინტერნეტით ვიგებდით, მაგრამ ამ თემაზე იქაურ ქართველებთან ლაპარაკი არ გვქონია.

— ვაშინგტონში მცხოვრები ქართველები თეთრი სახლის წინ შეიკრიბნენ და აქცია გამართეს. მათ ამერიკელებიც შეუერთდნენ.

— არ ვიცი, ეს ჩვენ არ გვინახავს. 26-ში ვაშინგტონში აღარ ვიყავით.

— ამერიკაში კომერციული კონცერტებით ჩასვლას ხომ არ გეგმავთ?

— ამერიკაშიც „მოთხოვნადები“ ვართ. ეს საქველმოქმედო კონცერტი იყო. არ არის გამორიცხული, შემოდგომისთვის ტურნე დავგეგმოთ, ამჯერად — კომერციული კონცერტებით. იქ გვითხრეს, რომ სამსახურებიდან დაღლილები რომ ვბრუნდებით, თქვენს შოუებს ვუყურებთო. „თქვენი შოუც“ უკვე იცოდნენ, არადა მაშინ, სულ 2 გადაცემა იყო გასული.

— ქართულ და ამერიკულ იუმორს შორის პარალელს არ ავლებენ?

— ერთ დღეს ატლანტიკ სითიში (ნიუ-ჯერსი) დასათვალიერებლად წაგვიყვანეს. ამ ქალაქს მინილას-ვეგასს უწოდებენ. ქუჩაში დევიდ ლეტერმანის დიდი ბანერი იყო, ქართველებმა „გაგვაცნეს“ — აი, ჩვენი ვანო ჯავახიშვილი ეს არისო.

— ვანო გადაცემის გამო ვერ წამოვიდა?

— ვანო რომ წამოსულიყო, 2 გადაცემა ჩაგვივარდებოდა. შემოდგომაზე თუ წავალთ, ვანო აუცილებლად ჩვენთან იქნება. შეიძლება, ერთი „ვანოს შოუ“ ამერიკაშიც ჩავწეროთ. რატომაც არა?

— ამერიკაში გატარებული 10 დღე კიდევ რით დაგამახსოვრდა?

— სხვა მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, ახლობლების მოთხოვნები რომ დაგვეკმაყოფილებინა, 3 დღე შოპინგზე „ლილოს ჩანთებით“ დავდიოდით. ■

3 დღე შოპინგზე „ლილოს ჩანთებით“ დავდიოდით

როდის თამაშობს შეყვარებული ქალის როლს სალომე გოგიაშვილი

„მე და ჯაბას ძალიან გვიყვარს ერთმანეთი“

სალომე გოგიაშვილი „იმედის“ დილის ეთერიდან მაყურებლის განწყობილებაზე ზრუნავს. ასევე, გადაცემაში — „ყოფილი ცოლების კლუბი“ — ყოფილ ცოლებს რჩევებს აძლევს. ხშირ შემთხვევაში ფსიქოლოგის ამპლუაშიც გვევლინება, ზრუნავს მეგობრებისა და ახლობლების განწყობილების გაუმჯობესებაზეც. თვითონ კი, როცა ყველაზე მეტად უჭირს, როცა ძალიან ცუდადაა, იკეტება, არ სურს, გარშემო მყოფები თავისი ცუდი განწყობილებით შეაწუხოს. მძიმე დღეები კი მართლაც ხშირად ედგა: მამის გარდაცვალება, ორი უიღბლო ქორწინება. პირველი ქორწინებიდან 8 წლის მაშო ჰყავს, მეორიდან — 3 წლის დათუნა. როცა მარტო რჩება, სწორედ მათ ჯანმრთელობას ავედრებს ღმერთს.

ჩვენ ტელეწამყვანის ფსიქოპორტრეტის შედგენა ვცადეთ და ძალიან ბევრი მისი დამალული თვისება აღმოვაჩინეთ.

ნინო მჭედლიშვილი

— ზოგადად ძლიერი ადამიანი ვარ, ამასვე აღნიშნავს ყველა ჩემი ახლობელი და მეგობარი. თუკი ვინმეს პრობლემა აქვს, მე მომმართავს ხოლმე. პროფესიით ფსიქოლოგი არ ვარ, არც სამედიცინო განათლება მაქვს, მაგრამ ვფლობ უნარს, დავამშვიდო და ვანუგეშო ჩემთვის საყვარელი ადამიანები. ჩემი რჩევები ძალიან ბევრს შველის. როცა მეგობარი მირეკავს და მეუბნება, რომ ვჭირდები, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ცუდად არის. უნდა მოვინახულო, რომ კარგად იყოს. ამავე დროს, ჩემს ცუდ განწყობილებას არავის ვახვევ თავს. როცა ცუდად ვარ, ცუდ ხასიათზე ვარ, მარტო ვრჩები და ვიკეტები.

— ფსიქოლოგობაზე გიფიქრია?

— კი, მაგრამ არა მაშინ, როცა პროფესიას ვირჩევდი. დიპლომი არ მჭირდება იმისთვის, რომ ადამიანს დავეხმარო. სხვათა შორის, ბევრი დიპლომიანი ფსიქოლოგი კარგად ვერ ართმევს თავს თავის საქმეს. მქონია შეხება ამ პროფესიის ადამიანებთან — მქონდა ცხოვრებაში საკმაოდ რთული დღეები, მაგრამ სამწუხაროდ, მათგან დახმარება ვერ მივიღე. როცა ფსიქოლოგი პირველივე სეანსზე მომსახურების ღირებულებაზე იწყებს საუბარს, ცოტა რთულია, ენდო. მაშინ მივხვდი, რომ საკუთარი თავის გარდა ვერავინ მიშველიდა.

— რა არ მოგწონს შენს ხასიათში?

— შეცდომებს ძნელად ვპატიობ ადამიანებს. ეს ჩემი ზოდიაქოს ნიშნის ბრალი ყოფილა. მორიელი გახლავართ. ამის გამო ბევრი ადამიანი დავკარგე.

— რომანტიკული თუ ხარ?

— იმის გამო, რომ გარშემო ძირითადად არარომანტიკული ადამიანები ტრიალებენ, მეც მათნაირი უნდა ვიყო. „თეთრი ყვავი“ რომ არ გამოვჩნდე. თუმცა, მიყვარს სიურპრიზები. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, ძვირად ღირებულია თუ არა ეს სიურპრიზი. იების თაიგულმა შეიძლება უფრო გამახალისოს და გამახაროს, ვიდრე ძვირად ღირებულმა თაიგულმა. მთავარია, მოულოდნელი იყოს. მე რომ მამაკაცი ვყოფილიყავი, ძალიან ბევრ სიურპრიზს მოვუწყობდი ჩემს რჩეულს. რომ წარმოვიდგენ, რამდენი რამის გაკეთება შეიძლება და რა უკიდეგანოა ქალის ფანტაზია ამ კუთხით, გული მწყდება, რატომ არ უჩნდებათ კაცებს მსგავსი სურვილები. ალბათ იმიტომ, რომ მე ქალი ვარ და ზუსტად ვიცი, რა ესიამოვნება ქალს.

მეც მათნაირი უნდა ვიყო. „თეთრი ყვავი“ რომ არ გამოვჩნდე

— რა უნდა გაითვალისწინოს მამაკაცმა შენთან ურთიერთობისას?

— როგორც კი ტყუილში გამოვიჭერ, იქ დამთავრდება ჩვენი ურთიერთობა.

— შენს რჩეულს ერთ-ერთ კაფეში უცხო ქალბატონთან თუ აღმოაჩენ და შენ ამ შეხვედრის შესახებ წინასწარ არ გეცოდინება...

— ისტერიკას ნამდვილად არ მოვაწყობ. მით უფრო, რომ არ ვიცი, ვინ არის ის ქალბატონი. ძალიან მშვიდად მივალ და იმ ქალის თანდასწრებით შევეცდები გავარკვიო, ვისთან ერთად ვახშმობს ჩემი რჩეული. თუ ეს ქალბატონი მისი თანამშრომელი ან საქმიანი პარტნიორია, არანაირი პრობლემა არ მექნება, მაგრამ თუ გაირკვა, რომ ის ქალი უბრალოდ ფლირტის ობიექტია, მაშინ ჩემს საქციელზე პასუხს არ ვაგებ. ძალიან ცუდი გაბრაზება ვიცი — ამ დროს უნდა მომერიდოს ყველა. ისედაც არ ვარ ნაზი გოგო. 16 წლის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა. დედა ძალიან ნაზი, მორიდებული და მშვიდი ადამიანია. აქედან გამომდინარე, მამის ფუნქციები მე შევითავსე. მე ვარ მნიშვნელოვანი საკითხების ინიციატორი ოჯახში; მყავს მანქანა და ვემსახურები ოჯახს; პრობლემების მოგვარებასაც თავად ვცდილობ; ნებისმიერი, ყველაზე რთული, კაცური სამუშაოს შესრულება შემიძლია. მებრძოლი ხასიათი მაქვს. მინდა თუ არა, ასეთი უნდა ვიყო, რადგან მამაკაცი ჩვენს ოჯახში არ არის. სუსტი გოგოს როლის თამაში არაფერს მარგებს და არც გამომივა.

— ჭორებზე როგორ რეაგირებ?

— ჭორს გააჩნია. თუმცა, ყოველთვის ვამბობ, რომ როგორც კი ჩემზე ჭორაობას მორჩებიან, ე.ი. ძალიან უინტერესო გავხდი საზოგადოებისთვის. დღეს მაგალითად, ძალიან აქტიური ჭორია ის, რომ მე და ჯაბა კილაძეს უზომოდ გვიყვარს ერთმანეთი. ამაზე მე და ჯაბა ძალიან ვხალ-

პირველი ქორწინებიდან 8 წლის მაშო ჰყავს, მეორიდან – 3 წლის დათუნა

ისობთ. თუ სადმე მივდივართ ერთად და ვხვდებით, რომ ეჭვის თვალით გვიყურებენ, ვიწყებთ შეყვარებულების როლის მორგებას. ხელს ხელზე ვკიდებთ ერთმანეთს, ჯაბა მკოცნის და ძაან ვერთობით ამით (*იცინის*).

— იმ კომპლიმენტის ყოველთვის გჯერა, რომელსაც ქალი გეუბნება?

— ქალის მხრიდან ქათინაურის მოსმენა იშვიათად შეიძლება. ძალიან ბევრი მეგობარი მყავდა. როცა ძალიან გამიჭირდა, ჩემი სამეგობრო წრე დაპატარავდა — გავცხრილე. მივხვდი, რომ როცა მეგობარი გასაჭირში გვერდით არ დაგიდგება, ის შენი მეგობარი არ არის. მე მყავს სამი მეგობარი ბიჭი: ჯაბა კილაძე, კახა კუხიანიძე და ნიკა კაცია, რომლებიც არასდროს არაფერს არ მომატყუებენ. სადმე რომ მივდივარ და ტანსაცმელს ვიცვამ, თუ ჩემთან არიან, პირველ რიგში მათ ვეკითხები, როგორ გამოვიყურები. თუ არ მოსწონთ, აუცილებლად მეტყვიან.

— შენ გითქვამს ზრდილობის გამო ქალისთვის კომპლიმენტი?

— კი.

— ქალისა და მამაკაცის მეგობრობა შებინდებისას მთავრდებაო, რომ ამბობენ, ამ მოსაზრების გჯერა?

— არა და სულ ამაზე ვკამათობ ხოლმე. მე რომ ჩემი მეგობრები ჩამოგითვალე, მათთან ერთად დავრჩენილვარ კიდეც ღამე... მე არ მყავს ძმა და ეს ადამიანები ამ დანაკლისს მივსებენ.

— სალომე, ორი ოჯახი დაგენგრა. ამ გადმოსახედიდან როგორ ფიქრობ, ადვილია შენთან ცხოვრება?

— ჩემს პირველ ქმარს უთქვამს ჩემთვის, რომ ძალიან კარგად ახსენდება ის დრო, როცა ერთად ვიყავით, რადგან რთული ადამიანი არ ვარ. მეორე ქმარს ვერაფერს ვკითხავთ, რადგან კაცმა არ იცის, სად არის. ყოველთვის ვფიქრობდი, რა მესიამოვნებინა მეორე ნახევრისთვის. მთავარია, არ მომატყუოს და არ მაეჭვიანოს. თუ ამ ორ მოთხოვნას პირნათლად ასრულებს, იდეალური ვარ, როგორც ცოლი, მაგრამ თუ ტყუილში გამოვიჭირე ან მამაკაცი თუ სხვა ქალთან ვნახე, მაშინ იწყება მეორედ მოსვლა.

— შენი ოჯახების დანგრევის მიზეზი ტყუილი იყო?

— არა, პირველ შემთხვევაში ასაკის ბრალი იყო ყველაფერი. ძალიან პატარები ვიყავით ორივე და პატარა სირთულეებმა დაგვაბნია. მეორე ქმართან ერთი წელი ვიცხოვრე. წლისთავზე აღმოჩნდა, რომ პროფესიონალი თაღლითი იყო. მან ჩემი, ჩემი მეგობრების, მეგობრების მშობლებისა და ახლობლების ქონება ოსტატურად მიითვისა, გაფლანგა და გაქრა.

— მისი სახელი და გვარი მაინც თუ იყო ნამდვილი?

— არ ვიცი, ვასიკო თედორაშვილად ვიცნობდი მე და შეიძლება ამასაც მატყუებდა.

ხელს ხელზე ვკიდებთ ერთმანეთს, ჯაბა მკოცნის...

— თუ შენი რჩეული დღეში ერთხელ მაინც არ გირეკავს, არ გეკითხება როგორ ხარ, არ გიგზავნის საჩუქრებს, ჩათვლი, რომ ყურადღება გაკლია, თუ მის მოუცლელობას მიაწერ?

— საჩუქარი არ მინდა, გულწრფელად გეუბნები. იცი, რა კატეგორიის ქალი ვარ? კაფეში ბიჭთან ერთად რომ შევდივარ, მენიუს არჩევა მიჭირს, ძალიან მრცხვენია, მან ჩემ გამო ფული რომ უნდა დახარჯოს. ისეთ მენიუს ვარჩევ, ძალიან რომ არ დაიხარჯოს ჩემი პარტნიორი. ამაზე სულ მეჩხუბებიან ჩემი მეგობრები — რა ჯანდაბა გჭირსო?!. იმას რა უდგას წინ, დღეში ერთხელ რომ დამირეკოს და მომიკითხოს, დაინტერესდეს, სად ვარ, რას ვაკეთებ. არანაირი საქმე ერთი ზარის განხორციელებას ან ერთი მესიჯის გაგზავნას ხელს არ უშლის. ასეთ მოუცლელობას არაფერი ამართლებს.

— დეპრესიაში თუ ვარდები ხოლმე?

— ახლა იშვიათად, მაგრამ ისეთი დეპრესიებიც მქონია, „სასწრაფოს“ ექიმები მეორე დღეს ჩემს სახლში რომ რეკავდნენ, ხომ გადარჩა, როგორ არისო. არადა, რეალურად არაფერი მჭირდა. ახლა საკუთარი თავის მართვა ვისწავლე. მაგალითად, გუშინ კლუბში ვიყავი მეგობრებთან ერთად. უეცრად ცუდად გავხდი, არ მინდოდა, ვინმეს შეემჩნია და ჩუმად წამოვედი იქიდან. ერთადერთი ადამიანი, ვინც ზუსტად იცის, როგორ ცუდად ვარ ხოლმე ამ დროს, დედაჩემია. დღეს დილას რომ გავიღვიძე, დედაჩემს ვეუბნებოდი, არ ვიცი, როგორ შევძლებ სამსახურში წასვლას-მეთქი, მაგრამ მანქანაში რომ ჩავჯექი, ჩემს თავს ვუთხარი, უნდა მივიდე, იმიტომ, რომ გადაცემა უნდა წავიყვანო-მეთქი. მოვედი, დილის გადაცემა დავამთავრე და ახლაც ტრენინგს ვუტარებ ჩემს თავს, რომ კარგად ვარ, არაფერი მჭირს (*ოლიმის*).

— მარტო დარჩენილს საკუთარ თავთან გილაპარაკია?

— მხოლოდ მაშინ, როცა ვლოცულობ. სამწუხაროდ, მაშინ გვახსენდება ადამიანებს ღმერთი, როცა გვიჭირს.

— რას სთხოვ ხოლმე ღმერთს?

— ჩემი შვილების ჯანმრთელობას. ■

უფრო „მეტი“, ვიდრე უბრალოდ სიმღერა

„ნიჭიერი ადამიანი, რომელმაც ფურორი მოახდინა ირაკლი ჩარკვიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე; ნინო ქათამაძისა და ირაკლი ჩარკვიანის „გაერთიანება“ — ასე დაახასიათა ნანკა კალატოზიშვილმა მეგი გოგიტიძე, როდესაც გადაცემა „ფეისკონ-ტროლში“ ჰყავდა მიწვეული. მეგი „რუსთავი 2“-ის პროექტ „ვარ-სკვლავების აკადემიის“ ერთ-ერთი მონაწილე გახლდათ, ამჟამად კი საკმაოდ აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა და სიახლეების შესახებ უფრო ვრცლად გვესაუბრება:

პუტკუნა ფერიას როლს ვთამაშობდი

თამთა დადეშელი

— ლექსების კრებული გამოვუშვი — „უცხო ქვეყანაში დადგმული ქოხი“, რომელიც „რუსთავი 2“-მა თავისივე ინიციატივით დამიფინანსა და მაჩუქა. მე ერთი თეთრის გადახდა არ დამჭირვებია. ისეთი „ბოდიალა“ ადამიანი ვარ, კარგა ხანს ვერ მოვაბამდი თავს. პრეზენტაცია „თავისუფალ თეატრში“, მუსიკის თანხლებით მოვაწყვეთ. ასევე სიახლეა ის, რომ მე და გიორგი ტიგინაშვილმა, მეგობრებთან ერთად ახალი ჯგუფი ჩამოვაყალიბეთ, სახელწოდებით — „მეტი“ (მეგი და ტიგინა). ჯერჯერობით, ერთი სიმღერა გვაქვს ჩაწერილი — „მზე დამაქვს ხურჯინით“, რომელიც მსმენელმა კარგად მიიღო და ძალიან „გაფეისბუქდა“, რაც მახარებს.

— პარალელურად შენს ბენდთან ერთად ისევ იმღერებ?

— დიახ, რადგან მათთან ერთად სრულიად განსხვავებულ სტილს ვმღერი — ჯაზბლუზს. ეს კი რაღაც ახალი იქნება, თბილისური, თბილი... ინსტრუმენტები — გიტარა, დრამი, ბასი, რამდენიმე სიმღერაში საქსოფონსა და ფლეიტასაც ჩავურთავთ, ვოკალისტები მე და გიორგი ვიქნებით. უახლოეს მომავალში რამდენიმე ახალი სიმღერის ჩაწერასაც ვაპირებთ და კონცერტის ჩატარებასაც ვგეგმავთ. ცოტა ხნის წინ ჩემს ბენდთან ერთად მქონდა კონცერტი, ასევე, ნიაზის კლუბში ბენდთან — „აგორა ლაივ“. ბევრი შემოთავაზება გვაქვს.

— ქობულეთის რომელიმე ბარში წელსაც აპირებთ სამუშაოდ წასვლას?

— ალბათ 1 თვით წავალ, ძველ ბენდთან ერთად. შარშან 3 თვე ვიყავით და ძალიან გადავიღალეთ. ბათუმში, ქობულეთსა და ურეკში კი ახალ ჯგუფთან ერთად ვგეგმავ კონცერტებს.

— „ვარსკვლავების აკადემიის“ სტუდენტებს წელსაც ხომ არ გაქვთ რაიმე ერთობლივი კონცერტი ან შემოთავაზება?

— შარშანდლის მერე არ გვქონია. ყველამ ჩვენი გზა ავირჩიეთ და ცალ-ცალკე ვცდილობთ კარიერის შექმნას. ისე, ვმეგობრობთ.

— როგორ მიდის შენი სწავლის საქმე თეატრალურ უნივერსიტეტში?

— ახლა მეორე კურსზე ვარ, დრამისა და კინოს მსახიობის ფაკულტეტზე, სანდრო მრევლიშვილის ჯგუფში. „ჯაყოს ხიზნებში“ მარგოს როლს ვასრულებ. პირველ კურსზე ეტიუდები გვქონდა, ციცინო კობიაშვილმა დამაკავა სპექტაკლში — შექსპირის „ქარიშხალში“, სადაც პუტკუნა ფერიას როლს ვთამაშობდი. თეატრი სერიოზული თემაა, რაც უნდა ნიჭიერი იყო, სანამ რაღაც-რაღაცებს არ ისწავლი, არაფერი გამოვა. ჯერ სპექტაკლის საგამოცდო ჩვენება გვექნება, შემდეგ კი — საკურსო.

— რა უფრო სასიამოვნოა შენთვის — წარდგე მაყურებლის წინაშე, როგორც მსახიობი თუ — როგორც მომღერალი?

— ჯერჯერობით არ განმიცდია იმ დოზით სიამოვნება, რა დოზითაც უკვე პროფესიონალი მსახიობი განიცდის ამას, მაგრამ ძალიან მაგარია. თეატრი ჩემთვის აბსოლუტურად სხვა სამყაროა, სადაც სრულიად სხვა ადამიანად გარდაისახები; შეგიძლია, „ბევრი“ იყო. სიმღერის დროს არ აკონტროლებ შენს თავს, სხეულს, უბრალოდ მღერი და შენს სტიქიაში ხარ, თეატრში კი ყველაფრის გაკონტროლება გიწევს და ამ კონტროლის გამო, ჟარგონს ვიხმარ — „კაიფის“ მიღება, აბსოლუტურად სხვადასხვა სიამოვნებაა.

უახლოეს მომავალში რამდენიმე ახალი სიმღერის ჩაწერასაც ვაპირებთ და კონცერტის ჩატარებასაც ვგეგმავთ

— როგორია შენი სასცენო ჩაცმულობა?

— სხვათა შორის, ძალიან თავისუფალია. ერთ საღამოზე — „ყვავილების დედოფალი“, გადაჭრილი ჯინსითა და კედებით მივედი, სხვები კი მაღალქუსლიან ფეხსაცმელსა და კლასიკურ სამოსში იყვნენ გამოწყობილი. ამან, რა თქმა უნდა, ზოგიერთის კრიტიკა გამოიწვია, მაგრამ ასე მსიამოვნებს, თავისუფლად ვარ და იმიტომაც ვმღერი ასე ჩაცმული. მსმენელი იმისთვის მოდის, რომ მოგისმინოს — რას იმღერებ და არა იმისთვის, ნახოს, რა გაცვია. ზოგჯერ შეიძლება, საკუთარი და საკონცერტო სტილი ერთმანეთს მიუსადაგო და რაღაც სინთეზი გამოიყვანო. ყოველ ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათსა და კვირას ახვლედიანის ქუჩაზე, ორ ბარში ვმღერი.

— თავისუფალი დრო გრჩება?

— შენ წარმოიდგინე, კი. არ მესმის, რომ ამბობენ, დაკავებული ვარ და მეგობრებისთვის დრო არ მრჩებაო; მე ყოველთვის ვახერხებ დროის გამონახვას. ჩვენი გართობა ისევ — გიტარა, სიმღერა და ლექსებია. ზოგჯერ, ცუდ ხასიათზე რომ ვარ, უკვირთ ხოლმე, რატომ არ ხუმრობო?

— პირად ცხოვრებაში ხომ არ გაქვს რაიმე სიახლე?

— არა, შეყვარებული არა ვარ. 5 წელი მიყვარდა ერთი ბიჭი, მერე დამთავრდა ის ეტაპი და ახლა ხან ვინ მომწონს, ხან — ვინ, ოღონდ ზედაპირულად. სერიოზული ურთიერთობებისთვის მზად არა ვარ. ■

ეკა ნიჟარაძის ახალი ცხოვრების სტილი

„მამაკაცები ეგოისტები არიან“

მსახიობ ეკა ნიჟარაძის ბინიდან ულამაზესი ხედი იშლება. ის მთაწმინდაზე ცხოვრობს და მისი სახლის ფანჯრებიდან თითქმის მთელი თბილისი მოჩანს. ბინის მოწყობაზე ბევრი არ უფიქრია — ოთახები სადად მოაწყო. ეკა თავისი ბინის მთავარ სიმდიდრედ ხედს მიიჩნევს. გემოვნებაზე სასაუბროდ რომ დავურეკე, მითხრა, კუს ტბაზე ავდივარ სავარჯიშოდ ყოველ დილით და იქ შევხვდეთო. სამწუხაროდ, მე ეკასგან განსხვავებით, სპორტული ცხოვრების წესით არ ვცხოვრობ და შეხვედრის ადგილი მარჯანიშვილის თეატრით შევცვალეთ.

მერი კობიაშვილი

— დიდი ხანია, რაც სპორტული ცხოვრების წესი აირჩიე?

— ძალიან დიდი ხანია, არ მივარჯიშია. დაახლოებით ორი კვირაა, რაც ვარჯიში დავიწყე და მივხვდი, რა კარგია ასე ცხოვრება. ვამბობ, აქამდე სად ვიყავი-მეთქი?!

— კუს ტბაზე ასასვლელად რომელ საათზე დგები?

— რვის ნახევარზე ვიღვიძებ. ბავშვი სკოლაში მიმყავს და ცხრა საათზე უკვე კუს ტბაზე ვარ. არ დავრბივარ, დავდივარ. დაახლოებით ხუთ კილომეტრს გავდივარ ფეხით და ვგრძნობ, რომ მხრებში გავიმართე. პარალელურად სიგარეტის მოწევას ვანებებ თავს. მომწონს ასე ცხოვრება.

— მარტო დადიხარ კუს ტბაზე თუ მეგობრებიც აიყოლიე?

— იქ ძალიან ბევრი მეგობარი შემხვდა. შვილებიც შემომიერთდნენ. დღეს ორ შვილთან ერთად ვიყავი. მესამეს ეძინა, ვერ გავაღვიძე.

— ამ გადაწყვეტილებამდე როგორ მიხვედი?

— ყოველთვის ძალიან მოძრავი ვიყავი. დავდიოდი ბალეტზე, ცეკვაზე. შვილები რომ შემეძინა, ვარჯიშს თავი დავანებე. ბოლო დროს სულ მანქანით გადავაადგილდები. ფეხით სიარული იშვიათად მიწევს. სახლში რომ ვბრუნდები, კომპიუტერს მივუჯდები ხოლმე. მივხვდი, რომ გაცილებით უკეთ შემიძლია, ჩემი დრო გავანაწილო. შედეგსაც რომ ვხედავ, ძალიან მიხარია. სანამ ვარჯიშს დავიწყებდი, ფერმკრთალი და გაუბედურებული ვიყავი. ახლა მეუბნებიან, როგორ გახდიო, არადა წონა იმდენივე მაქვს, რამდენიც მქონდა.

— გემოვნების გამო გიკამათია?

— არასდროს. საერთოდ, კამათი არ მიყვარს. ყველას თავისი ხედვა აქვს. მარტივად რომ ვთქვა, ვიღაცას მწვანე მოსწონს, ვიღაცას — ყვითელი და რატომ უნდა მოახვიო თავს შენი აზრი?

— ოდესმე ვინმე შეეცადა შენზე გავლენის მოხდენას?

— გავლენის მოხდენა არ უცდიათ. მაგრამ დღეს როგორც მაცვია, ასე წელიწადში მაქსიმუმ ორჯერ ვიცვამ ხოლმე — კაბა არ მიყვარს. თავს გაცილებით კომფორტულად ჯინსსა და მაისურში ვგრძნობ. მიყვარს სპორტული ქურთუკები. ვერ ვიტყვი, რომ მეგობრებს ჩემზე გავლენის მოხდენა სურთ — მათ უბრალოდ უნდათ, რომ უფრო ქალურად გამოვიყურებოდე.

— დღეს კაბაზე რატომ გააკეთე არჩევანი?

— ვარჯიშის მერე კარგი განწყობილება მაქვს. თან ზაფხული მოვიდა. წელიწადის ეს დრო ძალიან მიყვარს. ზამთარი მთრგუნავს ხოლმე.

— რა ფერის სამოსზე აკეთებ არჩევანს?

— ღია ფერები მომწონს. ჩემდა საბედნიეროდ, მიხდება ყველა ფერი. ცისფერი ჩემს ცხოვრებაში დღეს პირველად ჩავიცვი და მგონია, რომ მიხდება.

— სამკაულებიც გიყვარს, როგორც ვხედავ.

— საათი და ორი ბეჭედი მუდმივად მიკეთია. დღეს კაბის შესაფერისი, ცისფერი ბეჭედი გავიკეთე, რომელიც არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. ეს ბიჟუტერიაა, რომელიც ჩემს შვილს ამერიკაში ვუყიდე.

— დღეს თმაც უჩვეულოდ გაქვს.

— როგორც წესი, გაშლილ თმას ვატარებ. სალონში არ დავდივარ. დღესაც თავად გავიკეთე ვარცხნილობა. ალბათ სულ სამ-ოთხჯერ ვარ სალონში თმის გასაკეთებლად მისული. არ მინდა, რომ მეც ისე მქონდეს თმა, როგორც ყველა დანარჩენს — გასწორებული ან „დაკულულებული“. ასეთი ერთფეროვნება არ მომწონს. მგონია, რომ ბუნებრიობა ბევრად უფრო კარგია.

— მაკიაჟსაც ყოველთვის შენით იკეთებ?

— მაკიაჟს იშვიათად ვიკეთებ. ყოველდღიურად მარტო ტუშს ვხმარობ. ვცდილობ, რაც შეიძლება, ბუნებრივად გამოვიყურებოდე. ჯერჯერობით „ვქაჩავ“. თმასაც არ ვიღებავ.

— ჭაღარა არ გაქვს?

— არა.

— როგორ ფიქრობ, რამდენიმე წლის შემდეგ რას შეცვლი შენს გარეგნობაში?

— არ ვიცი. ალბათ დამჭირდება თმის შეღებვა. ოდესმე ხომ გავჭაღარავდები. ამ შემთხვევაში თმას ძალიან მოკლედ შევიჭრი. ერთხელ მქონდა ძალიან მოკლე თმა და ვიცი, რომ ძალიან მომიხდება. ახლა ვერ ვიჭრი, სპექტაკლებისთვის გრძელი თმა მჭირდება. პარიკის ტარება სპექტაკლისთვის მოუხერხებელი იქნება.

— გარეგნობაში შეცვლიდი რამეს?

— შენი აზრით, უნდა შევიცვალო?

— არა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში არ სჭირდებათ, მაგრამ მაინც იკეთებენ პლასტიკურ ოპერაციებს.

— არა მგონია, ოდესმე სქელი ტუჩების გაკეთება მომინდეს. წლების შემდეგ შეიძლება, ვიტამინები გავიკეთო იმისთვის, რომ სახის კანი ფორმაში მქონდეს. ძალიან ბევრი გრიმი აქვს „გამოვლილი“, რაც კანისთვის ძალიან ცუდია.

— კარგი გარემოს შესაქმნელად რა გჭირდება? სიწყნარეში ყოფნა უფრო გიყვარს თუ მეგობრების წრეში სიგიჟე მოგწონს?

— გააჩნია, რა შემთხვევაში. ხან შეიძლება განმარტოება გინდოდეს და ხან — გართობა და ხმაური მოგეწონოს. ჩემს მანქანაში როცა მარტო ვარ, მუსიკას ხმამაღლა ვუსმენ.

— როგორ მუსიკას უსმენ?

— ჯაზი მიყვარს ძალიან. კლასიკური მუსიკის მოსმენაც მსიამოვნებს. მუსიკაზე დავდიოდი. ფორტეპიანოზე ვუკრავდი ერთ დროს. ძალიან დიდი ხანია, არ დამიკრავს. სამწუხაროდ, სახლში ინსტრუმენტი არ მაქვს. ჩემს შვილსაც მუსიკალური აქვს დამთავრებული

მახსოვს, ვბრაზობდი, რატომ არ მენდობა-მეთქი. ახლა ვხვდები, რომ სწორად იქცეოდა. მე მავიწყდება, ვის რა ვათხოვე...

და მასაც ძალიან უნდა, რომ სახლში გვქონდეს ინსტრუმენტი.

— ოდესმე გიფიქრია, მსახიობი რომ არ ყოფილიყავი, რა პროფესიას აირჩევდი?

— როცა თეატრალურში ვაბარებდი, მქონდა შანსი, რომ კონსერვატორიაში ჩამებარებინა ან ოპერაში გამეგრძელებინა ცეკვა, როგორც პროფესიონალ ბალერინას, მაგრამ მე მსახიობობაზე გავაკეთე არჩევანი. ჩემი არჩევანი არასდროს მინანია. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე. მსახიობობის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია.

— შენი როლებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგწონს?

— გამიმართლა და ბევრ კარგ რეჟისორთან, კარგ სპექტაკლში ვითამაშე. რაც მთავარია, ეს როლები ყველა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ბუნებრივია, ყველა მიყვარს. სულ რაღაც ორი კვირის წინ, ერთმა რეჟისორმა მითხრა, რომ სპექტაკლში „სამი და“ ძალიან მოვეწონე. მარჯანიშვილის თეატრში რომ მოვედი, პირველად დათო დოიაშვილის ამ სპექტაკლში ვითამაშე და როცა მეუბნებიან, რომ მაშინ ძალიან კარგი ვიყავი, ბუნებრივია, ეს ძალიან მსიამოვნებს. ამ სპექტაკლიდან არც ერთი ფოტო არ მაქვს. 1995 წელს ზედმეტი იყო სპექტაკლის გადაღებაზე ფიქრი. ამის გამო გული მწყდება. მერე იყო „სალომეა“. ბევრი კარგი როლი მითამაშია და სად ვიყავი უკეთესი, ეს მაყურებელმა უნდა განსაჯოს.

— შენ რომელი უფრო მოგეწონა?

— ყველა ჩემი როლი მიყვარს. ეპიზოდურიც და მთავარი როლიც. არ ვიწუნებ როლებს. ვთამაშობ ყველაფერს და ეს მე ძალიან მეხმარება პროფესიულ ზრდაში.

— რომელ ცნობილ ჰოლივუდელ რეჟისორთან ითამაშებდი?

— ასეთი ოცნებები არ მაქვს. ჰოლივუდში ძალიან დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი და რომელიმე კარგ ფილმში მეორეხარისხოვან როლზეც დავთანხმდებოდი. კარგი ანაზღაურება ალბათ ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მიზეზი იქნებოდა. ოდესმე თუ ასე მოხდება, ძალიან ბედნიერი ვიქნები. ჩემი პროფესიული წინსვლისთვის ეს ძალიან კარგი იქნება.

— მთელი დღის განმავლობაში ბევრგან ყოფნა გიწევს. ახერხებ სახლში საქმის გაკეთებას?

— რა თქმა უნდა. სახლში ყველაფერს მე ვაკეთებ. ბაზარში და მაღაზიებში მე თვითონ დავდივარ. მეხუთე სართულზე ეს ყველაფერი ხელით ამაქვს, რადგან ლიფტი არაა. სადილებსაც მე ვამზადებ.

— როგორ ასწრებ ამდენ რამეს?

— მივეჩვიე დროის სწორად გადანაწილებას. ჩემს შვილებს სულ ვეუბნები, ვერ მოვასწარი, ასეთი ცნება არ არსებობს. უბრალოდ — არ გააკეთე.

— შენი მომზადებული რომელი კერძი მოსწონთ ყველაზე მეტად?

— უყვართ ყველაფერი, რასაც ვამზადებ.

— საკვებთან დაკავშირებით პრეტენზიული ხარ?

— „საშინელი“ გურმანი ვარ. ყველაზე მეტად ხორცი მიყვარს.

— მინდა გკითხო მამაკაცებთან დაკავშირებულ გემოვნებაზეც. გყავს ახლა შეყვარებული?

— არა.

— როგორი უნდა იყოს მამაკაცი, რომ შენი ყურადღება მიიქციოს? ლექსები უნდა მოგიძღვნას?

— არაა აუცილებელი, ლექსები მომიძღვნას. როგორი უნდა იყოს მამაკაცი, რომელიც მომეწონება, არ ვიცი. ძალიან რთული შეკითხვა დამისვი. ჩემს ასაკში უკვე მიჭირს ჩამოყალიბება, თუ როგორი მამაკაცი უნდა იყოს ჩემ გვერდით. 19 წლის ასაკში ბევრ რამეს არ აქცევ ყურადღებას. როცა ლამის 40 წლის ხარ, უკვე კარგად უნდა იცოდე, რა გინდა, მაგრამ მაინც მიჭირს პასუხის გაცემა.

— მამაკაცების მიმართ რა პრეტენზიები გაქვს?

— მე არასდროს, არანაირი პრეტენზია არ მაქვს არავისთან, მაგრამ ზოგადად მამაკაცები ეგოისტები არიან და აქედან გამომდინარე, უკვე ბევრი პრობლემა ჩნდება.

— ნიკო გომელაურის გარდა ლექსი ვინმეს მოუძღვნია შენთვის?

— არა მგონია. მე ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ არაფერი ვიცი.

— ზეპირად იცი, ნიკოს მოძღვნილი ლექსები?

— ზოგიერთი ვიცი.

— ისინიც, რომელიც შენთვის არ მოუძღვნია?

— რა თქმა უნდა, მე არ ვარ ეგოისტი.

— ბოლოს რა წაიკითხე?

— პოლონელი მწერლის, ვიშნევსკის მოთხრობები. ისე მომეწონა, რომ რამდენიმე წიგნი ვიყიდე და ჩემს მეგობრებს ვათხოვე, რომ მათაც წაეკითხათ. ჯერ არ დაუბრუნებიათ. ასე ხშირად ხდება. ბევრი წიგნის დაბრუნება დავიწყებიათ. ეს ჩემთვის უკვე ჩვეულებრივი ამბავია. ბავშვობაში მყავდა ერთი მეზობელი, რომლისგანაც ხშირად მომქონდა წიგნები. ის ქალბატონი სულ იწერდა ხოლმე, რა წიგნსაც მათხოვებდა. მახსოვს, ვბრაზობდი, რატომ არ მენდობა-მეთქი. ახლა ვხვდები, რომ სწორად იქცეოდა. მე მავიწყდება, ვის რა ვათხოვე.

— ბოლოს მინდა, შენს შვილზე გკითხო. ტასო ცოტა ხნის წინ გათხოვდა, მაგრამ მალევე გაშორდა მეუღლეს. მახსოვს, ინტერვიუში მითხრა, ეკა მკაცრი სიდედრიაო. როგორი სიძის ყოლაზე ოცნებობ?

— ამ თემაზე საუბარი აღარ მინდა. ისინი თვითონ გადაწყვეტენ, შერიგდნენ თუ დაშორდნენ ერთმანეთს. როცა მათ ურთიერთობაზე მე ვსაუბრობ, ორივე იძაბება და არ მინდა, ასე გაგრძელდეს. ■



უბრალოდ უნდათ, რომ უფრო ქალურად გამოვიყურებოდე

ცხოვრება

„ჩამოსაწერ და გადასაგდებ ხალხად მიგვიჩნევდნენ“

ამ ადამიანებს სოციალური სტატუსი — „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე“ აერთიანებთ. როცა მათ ახლოს გაიცნობთ, მიხვდებით, რომ ეს სიტყვები მათ მიმართ უადგილოა. მართალია, ეტლით გადაადგილდებიან და სიარული არ შეუძლიათ, მაგრამ უფრო მყარად დგანან ფეხზე, ვიდრე ბევრი ის ადამიანი, ვისაც „ჩვეულებრივს“ ვუწოდებთ...

თამუნა კვინიკაძე

უკვე 2 წელია, რაც თბილისში ინვალიდების ეტლების დამამზადებელი საწარმო მუშაობს, სადაც 10 ადამიანია დასაქმებული. რამდენიმე დღის წინ მათთან ჩემი ვიზიტი შესვენების პერიოდს დაემთხვა — ზეინკლები და შემდუღებლები ეზოში საკუთარ სავარძლებში ისხდნენ და ისვენებდნენ. როგორც ქარხნის ტექნიკურმა მენეჯერმა — თამაზ ინჯგიამ მითხრა, საწარმო — „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ძალისხმევითა და ამერიკული ორგანიზაციის დახმარებით დაფუძნდა. მომსახურე პერსონალის უმეტესობა ინვალიდია, მაგრამ შრომისუნარიანობით არავის ჩამოუვარდებიან. პერიოდულად მათთან უცხოელი სპეციალისტები ჩამოდიან, ტრენინგებს უტარებენ და წარმოების ხარისხს აკონტროლებენ.

— თქვენთან დამზადებული ეტლი რა ღირს?

— „აქტიურ“ ეტლებს ვამზადებთ, რომელიც 250 დოლარი ღირს. ასეთი ხარისხის ეტლი უცხოეთიდან რომ გამოიწერო, უფრო ძვირი ჯდება. მომხმარებელს ორწლიან გარანტიას ვაძლევთ. თუ მოთხოვნილება იქნება, წლის განმავლობაში, შეგვიძლია, 1000-მდე ეტლი დავამზადოთ. მომხმარებელი მეტია, მაგრამ უნარშეზღუდული ადამიანები უმეტესად, სოციალურად დაუცველთა კატეგორიიდან არიან — ყველას არა აქვს ეტლის შეძენის საშუალება. საჭირო მასალა უცხოეთიდან შემოგვაქვს, მსგავსი საწარმო ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ ქვეყანაში არ არის. ეტლების გარდა, უნარშეზღუდული ადამიანებისთვის სხვა დამხმარე საშუალებებსაც ვამზადებთ. ბავშვები, რომლებიც ცერებრუული დამბლით არიან დაავადებულები, ეტლში სწორად რომ ჩასხდნენ, სავარძლებს ექიმების კონსულტაციის გათვალისწინებით ვამზადებთ. ინდივიდუალურად, დამატებით ვუკეთებთ თავის, ზოგს — ფეხის სამაგრს და ა.შ.

რამდენიმე წუთში შესვენების დროც ამოიწურა, სამუშაო ოთახებიც დალაგდა, ბეტონის მტვრიანი იატაკი წყლით დაინამა და ჩემი რესპონდენტებიც სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ და მირჩიეს, — პირველად გელა ლალიძე ჩაწერე, მისი სურათი ჯანდაცვის მინისტრს — ანდრია ურუშაძეს კაბინეტში უკიდიაო.

— გელა, შენი ფოტო მინისტრის კაბინეტში როგორ მოხვდა?

ღვთის მადლით, საკუთარი შემოსავალი მაქვს

გელა ლალიძე, *შემდუღებელი:*

— აქ, ქარხანაში იყო მოსული. მაშინ ნახა, ჩამოხსნა და წაიღო.

— რამდენი ხანია, რაც მუშაობ?

— მეორე წელი დაიწყო. ღვთის მადლით, საკუთარი შემოსავალი მაქვს.

— ინვალიდის ეტლში როგორ მოხვდი?

— 3 წლის რომ ვიყავი, ექიმმა არასწორი დიაგნოზი დამისვა: ეგონა, მენინგიტი მქონდა, ხერხემლიდან პუნქცია ამიღო... მაგიდიდან ვეღარ ავდექი. ვისურვებდი, რომ ასეთი შეცდომა სხვასთან დაკავშირებით მაინც აღარ დაუშვან... ბავშვი რომ ვიყავი და თანატოლებთან ვერ ვთამაშობდი, ჩემს მდგომარეობას მაშინ უფრო განვიცდიდი. მას მერე 30 წელი გავიდა. ახლა ღმერთს მადლობას ვუხდი, რომ შრომა შემიძლია.

— ეს შენი პირველი სამსახურია?

— ელექტრობა კარგად ვიცი, მობილური ტელეფონების, მაგნიტოფონების, ტელევიზორების, საათების შეკეთება შემიძლია. მოკლედ, აპარატურაში კარგად ვერკვევი. აქ ზეინკლობაც შევისწავლე.

— დაოჯახებული ხარ?

— ეგ ბედნიერება ჯერ არ მღირსებია.

— შეყვარებული არა გყავს?

— არა, მაგრამ იმედია, მომავალში მეყოლება. ხელი არ მაქვს ჩაქნეული.

გელას შემდეგ ზეინკალ ***სოსო ჯალგაიძესთან*** *გადავინაცვლე:*

— 1992 წელს დავიჭერი — აფხაზეთის ომის ინვალიდი ვარ. 6 ოპერაცია გამიკეთეს. თავის დროზე მეუბნებოდნენ, რომ სავარძელში დაჯდომასაც ვერ შევძლებდი, მაგრამ ხომ ხედავ, ვმუშაობ. რეაბილიტაციის კურსი ისე რომ ჩამეტარებინა, როგორც საჭირო იყო, მნიშვნელოვან შედეგს მომცემდა, მაგრამ ამისთვის დიდი თანხა იყო საჭირო...

— მთავრობა არ დაგხ-

არავის ეგონა, თუ გადავრჩებოდი...

მარებია?

— რომელ დახმარებაზე მელაპარაკები?! არც ერთი მთავრობა არ შეწუხებულა. მე სოფელ დიღომში ვცხოვრობ, ადგილობრივმა მოსახლეობამ გარკვეული თანხა შემიგროვა (ამის თქმის არ მრცხვენია), იმ ფულით მოსკოვში წავედი და ვიმკურნალე. ბოლო 2 ოპერაცია იქ გავიკეთე.

— **რომელ ბატალიონში მსახურობდი?**

— დიდგორის ბატალიონში. 1-ელ ნოემბერს 1 კვირით სახლში შვებულებაში მიშვებდნენ. ისე მოხდა, რომ იმ დღეს წამოსვლა გადავიფიქრე და დღის 12 საათზე დავიჭერი. სოხუმის მახლობლად, სოფელ ცუგროვკაში ვიყავით; მძიმე მდგომარეობა მქონდა, მაგრამ გონი არ დამიკარგავს. სოხუმის საავადმყოფოში მიმიყვანეს. მაგიდაზე რომ დამაწვინეს, გავითიშე, დიდი რაოდენობით სისხლი მქონდა დაკარგული. მენჯში ვიყავი დაჭრილი, ტყვიამ ხერხემალიც დამიზიანა — 4 მალა ამომიგდო. არავის ეგონა, თუ გადავრჩებოდი...

— **სოხუმის საავადმყოფოში გითხრეს, რომ ველარ გაივლიდი?**

— ეს თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოხდა. იმ ექიმის სახელი და გვარი აღარ მახსოვს (არც მინდა, ვიცოდე), მაგრამ მისი ნათქვამი სიტყვები არასდროს დამავიწყდება. ერთხელაც მოვიდა და მითხრა: — ვერასდროს გაივლი, შენს ცხოვრებას აზრი აღარ აქვსო. საშინელ მდგომარეობაში ვიყავი, ექიმებს ვეხვეწებოდი, ისეთი ინიექცია გამიკეთეთ, რომლითაც ცხოვრებას დავამთავრებმეთქი. კიდევ კარგი, არ გამიკეთეს. მასაჟისტთა ჯგუფს მარინა ჩხენკელი ხელმძღვანელობდა; მან ჩემ შესახებ შემთხვევით გაიგო. პალატაში შემოვიდა და მითხრა, — მასაჟებს გაგიკეთებო. მისი ძალისხმევით, სავარძელში დაჯდომა შევძელი, მანამდე ეს წარმოუდგენელი იყო. საწოლში წამომჯდარი, 15 წუთითაც კი ვერ ვჩერდებოდი. ეტლში რომ დავჯექი, ბიძაჩემს ვთხოვე, იმ ექიმთან კაბინეტში შემიყვანეთქი. რომ დამინახა, გაოცდა, — გარეთ გადი, შენ ფეხზე უნდა დადგე და გაიაროო. რთული პერიოდი გადავიტანე, პროტესტის ნიშნად, 3 წლის მანძილზე პენსიასაც არ ვიღებდი და ამ მდგომარეობას ვერ ვეგუებოდი. მაგრამ ყველას ვეუბნებოდი, — აუცილებლად გავივლი, ასე არ დავრჩები, ინვალიდი არა ვარ-მეთქი. ოჯახის წევრების, ძმაკაცების, ნათესავების გვერდით დგომას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბოლოს ყველაფერი გავაცნობიერე, მომავალზე ფიქრი დავიწყე. აი, ახლა აქ ვარ და ვმუშაობ, არ უნდა იყვნენ ინვალიდები, მაგრამ არიან და მათთვის ეტლებს ვამზადებთ.

— **ცოლ-შვილი გყავს?**

— დიახ, 15 წლის ბიჭი მყავს. კარგად სწავლობს, სპორტსმენია, ვცდილობ, ღირსეულ ადამიანად აღვზარდო. ინვალიდობის შემდეგ, ეს ჩემი პირველი სამსახურია. მართალია, უნარშეზღუდულები გვქვია, მაგრამ თითოეულ ჩვენგანს ოჯახში შემოსავალი შეგვაქვს, ხელფასი 500 ლარამდე გვაქვს.

გელა:

— წლების წინ ინვალიდები სახლებში იყვნენ გამოკეტილები და საზოგადოებაში თითქმის არ ჩნდებოდნენ; ჩვენ ჩამოსაწერ და გადასაგდებ ხალხად მიგვიჩნევდნენ, არადა, იმით, რომ ინვალიდი ხარ, ცხოვრება არ მთავრდება.

— **გელა, ის თქვი, მეტროთი როგორ მგზავრობ?**

— ჰოო! პირველად მეტროში რომ ჩავედი, ხალხის რეაქცია უნდა გენახა. ყველა მე მიყურებდა, მოდიოდნენ, დახმარებას მთავაზობდნენ.

— **ესკალატორზე ეტლს როგორ აჩერებ?**

— ეგ პრობლემა არ არის — ბორბალი იკეტება, თავიდან კონტროლიორებიც არ მიშვებდნენ, სულ კამათი მქონდა. ახლა დამიმახსოვრეს და წინააღმდეგობას აღარ მიწევენ.

სოსო:

— საზოგადოებრივ ტრანსპორტში ასვლის სურვილი არა მაქვს. სამსახურში როცა მოვდივარ, თითოეულ ჩვენგანს დილით და საღამოს მანქანა გვემსახურება. სხვა დროს ახლობლების ავტომობილით ვსარგებლობ. ცუდია, რომ ამ ქალაქში ბევრი შენობა არ არის ადაპტირებული, ყველა რესტორანში ვერ შევდივარ, ეს საქმეა (*იცინის*)?! დალევაც შეგვიძლია და ცეკვაც. წამოდი, ახლა ჯოკერას გაგაცნობ, აფხაზეთიდან დევნილია.

ჯოკერას მეგობრები — გია გრიგოლაიას ეძახიან, ისიც ზეინკლად მუშაობს. მეტსახელი აზარტული თამაშის ხშირად თამაშის გამო შეარქვეს. გიორგი I ჯგუფის ინვალიდია, აფხაზეთის ომი მის ცხოვრებაშიც ახალი ეტაპის დასაწყისი აღმოჩნდა.

გიორგი:

— სოხუმში 23-ე ბრიგადა იყო შექმნილი, უმეტესობა ადგილობრივი მოსახლეობა ვიყავით. მე მე-2 ბატალიონში ვიბრძოდი, 1993 წლის 18 მაისს დავიჭერი, ორნი ვიყავით. ჩვენს ზურგს უკან ყუმბარა აფეთქდა, ფეხებს ვერ ვგრძნობდი. მეორე ჯარისკაციც დაიჭრა, მაგრამ სიარული შეძლო. ის შტაბამდე მივიდა და ჩემი ამბავი შეატყობინა. სოხუმის საავადმყოფოში გადამიყვანეს. იმ ღამეს სოხუმი დაიბომბა... (*პაუზის შემდეგ*) მიმძიმს იმ დღეების გახსენება... მერე თბილისში გადმოვედი. 13 წლის მანძილზე რესპუბლიკურ საავადმყოფოში სხვა დევნილებთან ერთად ვცხოვრობდი. მერე დაგვაკმაყოფილეს და ახლა საკუთარი ბინა მაქვს.

— **ექიმები რას გეუბნებოდნენ?**

— იმედი არასდროს მოუციათ: ჩემი ზურგის ტვინის 70% დამწვარია. 29 წლის ვიყავი, როცა დავიჭერი, მანამდე კალათბურთს ვთამაშობდით.

— **მეუღლე გყავს?**

— 16 წლის ვიყავი, როცა დავქორწინდი. ცხოვრებაში ბევრი ცუდი რამ შემემთხვა: ჯერ 7 წლის გოგონა დამეღუ-

იმედია, ის ბარიერებიც მალე მოიხსნება, რომლებიც ყოველდღიურად გვხვდება

პა, აფხაზეთშია დაკრძალული, მერე 22 წლის ბიჭი იტალიაში ქართველმა მომიკლა. შვილი აღარ მყავს.

სოსო:

— მიუხედავად იმისა, რომ გიორგიმ ასეთი მძიმე დღეები გადაიტანა, ბავშვთან — ბავშვია, მოხუცთან — მოხუცი. ძლიერი პიროვნებაა.

გოჩა ფილაური *25 წელია, ეტლით გადაადგილდება. ის ავტოავარიის შედეგად დაინვალიდდა:*

— I კურსზე ვიყავი, ავარიაში რომ მოვყევი. იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ვსწავლობდი. მას შემდეგ, სწავლის გაგრძელება ვეღარ შევძელი, სურვილიც აღარ მქონდა. იყო იმედგაცრუება. როგორც ჩანს, ფსიქოლოგიურადაც მდგრადი არ ვიყავი. მოგვიანებით რუსთავში (იქ ვცხოვრობ) სახელოსნო გავხსენი. ახლა აქ ვმუშაობ, მღარავი ვარ, საკუთარი შემოსავალი მაქვს, თორემ 80-ლარიანი პენსიის იმედად ცხოვრება შეუძლებელია. კარგია, რომ საზოგადოება ცოტა „გაიზარდა“, ქუჩაში ეტლით მოსიარულე ადამიანისკენ თითს ისე აღარ იშვერენ, როგორც ადრე. იმედია, ის ბარიერებიც მალე მოიხსნება, რომლებიც ყოველდღიურად გვხვდება.

ექიმი მეუბნებოდა, — ინვალიდის ეტლიდან ვერ ადგებიო, მაგრამ ახლა ყავარჯნებით გავლაც შემიძლია

ზაქრო ხარხელაშვილმა *თავიდან ჩემთან გასაუბრებაზე უარის თქმა დააპირა, მაგრამ მეგობრები არ მოეშვნენ. თან მითხრეს, — ზაქროს შეყვარებული ჰყავს და ამის შესახებაც აუცილებლად ჰკითხეო. ის თანამშრომლებიდან ასაკით ყველაზე უმცროსია, მაგრამ უფროს ზეინკლად მუშაობს.*

— ზაქრო, ჟურნალისტებთან ურთიერთობა არ გიყვარს?

— არა, მოგიყვები. რა გაინტერესებს?

— შენ შესახებ მიამბე.

— 2007 წელს ავარიაში მოვყევი. მეგობართან ერთად ვიყავი, მანქანა ხევში გადაიჩეხა. იმის შემდეგ დავინვალიდდი, მაგრამ ჩემი დაზიანების ხარისხი სოსოს და გიას მდგომარეობასთან შედარებით, მსუბუქია. ნერვი დაჟეჟილი მქონდა. რეაბილიტაციის კურსი უკრაინაში გავიარე. ფარ-ხმალი არ დავყარე და ვარჯიშის შედეგად, ფეხებში ძალა დამიბრუნდა. ექიმი მეუბნებოდა, — ინვალიდის ეტლიდან ვერ ადგებიო, მაგრამ ახლა ყავარჯნებით გავლაც შემიძლია.

— არ უნდა მოეშვა. იქნებ ყავარჯნის გარეშე გავლაც შეძლო?..

— ხელი არ ჩამიქნევია. 16 წლის ვიყავი, როცა დავინვალიდდი. ახლა 19-ის ვარ. ავარიის დროს გონება არ დამიკარგავს, მანქანიდან თვითონ გადმოვედი და 3-4 ნაბიჯი გადავდგი. მეტი ვერ შევძელი, ჩავიკეცე. რომ არ გამევლო, ჩემთვის უკეთესი იქნებოდა. გონება რომ დამიბრუნდა, საავადმყოფოში ვიყავი. იმას აღარ ვდარდობდი, რომ ვერ გავივლიდი; მიხაროდა, ცოცხალი რომ გადავრჩი... ახლა მანქანა მყავს და ქუჩაში გადაადგილების პრობლემა არ მაქვს.

— შენზე გავიგე, შეყვარებული ჰყავსო. მართალია?

— 2 წელია, შეყვარებული ვარ. ის გოგონა ჩემი თანაკლასელი და ბავშვობის მეგობარია. ავარიის შემდეგ, საავადმყოფოდან რომ გამოვედი, მეგობრები ჩემს სანახავად ხშირად მოდიოდნენ და გრძნობაც მაშინ გაჩნდა. ერთმანეთი შეგვიყვარდა და მალე დავოჯახდებით. მას ძალიან ვაფასებ. ჩემს მდგომარეობაში მყოფ ბიჭს ბევრი გოგო როდი შეიყვარებდა.

— მძღოლი მე ვიქნები, — *შესთავაზა ზაქროს ჩემთვის უცნობმა მამაკაცმა და გამეცნო:*

— ვალერი თორდია გახლავართ და მეც „სტაჟიანი“ ინვალიდი ვარ. 35 წელია, ეტლით ვსარგებლობ და ბიჭებთან ვმეგობრობ. როცა დრო მაქვს, მათთან მოვდივარ და ვეხმარები. თავად ინდმეწარმე გახლავართ, მეუღლესთან ერთად, დისტრიბუციაში ვმუშაობ. ამ ქარხანაში გაკეთებული ეტლით ვსარგებლობ და კმაყოფილი ვარ. ■

ეთო ყორღანაშვილი

გიული ტატიშვილი 14 ბავშვის „დედაა“. მეთხუთმეტე წელია, რაც თბილისის „SOS ბავშვთა სოფელში“ მუშაობს. ამბობს, რომ სწორედ ის მიიღო, რაც სურდა: შვილები, ოჯახური სითბო...

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მშობლების მზრუნველობის გარეშე, ავსტრიაში უამრავი ობოლი და უსახლკარო ბავშვი დარჩა. სწორედ ამიტომ დაიწყო ჰერმან გმაინერმა პირველი „SOS ბავშვთა სოფლის“ მშენებლობა, ტიროლის პატარა ქალაქ იმსტში, 1949 წელს. „SOS ბავშვთა სოფლის“ მიზანი ობოლი, ეკონომიკურად გაჭირვებული პატარებისთვის მშობლიური, მყუდრო გარემოს შექმნაა. დაობლებულ და მიტოვებულ ბავშვებზე გრძელვადიანი ზრუნვა 4 პრინციპს — დედა, დაძმა, სახლი და სოფელი — ემყარება...

2 „SOS ბავშვთა სოფელი“ უკვე საქართველოშიც ფუნქციონირებს — თბილისსა და ქუთაისში. თითოეული 12 „ოჯახისგან“ შედგება. მე თბილისში არსებულ „SOS ბავშვთა სოფელს“ მივაკითხე და იქ ერთ-ერთ „ოჯახს“ ვესტუმრე, რომლის დიასახლისიც ქალბატონი გიული გახლავთ. მზრუნველი „დედა“ „შვილებისთვის“ პაცას ამზადებდა. მის „ოჯახში“ დიდი სიყვარული, სითბო ტრიალებდა. როგორც ქალბატონმა გიულიმ აღნიშნა, „ბავშვთა სოფლის“ ყველა სახლში ასეთი სიტუაციაა, რადგან გმაინერის სისტემა სწორედ დიდ სიყვარულზეა დაფუძნებული...

— ბავშვები დილით, 8-ის 20 წუთზე იღვიძებენ. ერთ საათს მოწესრიგებას და საუზმეს უთმობენ. 9-ის ნახევარზე ავტობუსი მოდის, რომლითაც ბავშვები სკოლაში მიდიან. „შვილების“ წასვლის შემდეგ, საქმელს ვამზადებ, სახლს ვალაგებ. მერე შემიძლია, დღის 3 საათამდე ქალაქში გავიდე და ჩემი პირადი საქმეები მოვაგვარო. მაგალითად, დღეს ჩემი საქმეების მოგვარების შემდეგ, ბავშვების ამბების საკითხავად სკოლაში მივედი. ერთ-ერთი ბიჭუნა ცოტა ცელქი მყავს. მისი მასწავლებელი ვნახე — სასწავლო წელი მთავრდება და შევამონმე, ბავშვს რომელიმე საგანში ცუდი შედეგები ხომ არა აქვს. უფროსკლასელები დამოუკიდებლად მეცადინეობენ. მათ ხშირად ვაკონტროლებ. უმცროსი მეხუთეკლასელია. სკოლიდან მოსულს გვერდით მივუჯდები და ვამეცადინებ ხოლმე, რადგან სიცელქის გამო, სწავლას გულისყურით ვერ ეკიდება, მობილიზება უჭირს. ზოგი ბავშვი ცეკვის,

„SOS ბავშვთა სოფლის“ „მრავალშვილიანი დედა“

„14 შვილი გავზარდე, უკვე შვილიშვილიც მყავს...“

სიმღერის წრეზე დადის, მათემატიკის რეპეტიტორთან ემზადება.... ამ ყველაფერს წინასწარ ვგეგმავთ: ყოველ ბავშვთან დაკავშირებით, მათი უნარების მიხედვით, მოკლე და გრძელვადიანი პერსპექტივები გვაქვს „გაწერილი“. წლის ბოლოს ვაჯამებთ — ბავშვმა რას მიაღწია და რა გადავა შემდეგი წლის გეგმაში.

— „დედად“ მუშაობის სურვილი რატომ გაგიჩნდათ?

— თბილი ოჯახი, კარგი სამსახური მქონდა (პროფესიით ჟურნალისტი ვარ. სატელევიზიო ფილმების სტუდიაში მუსიკალური განყოფილების გამგე ვიყავი), მაგრამ ქალისთვის შვილები, ოჯახური სითბო მნიშვნელოვანია. მოსაწყენი ცხოვრება არ მქონია — ბევრს ვმოგზაურობდი, მაგრამ ნამდვილად მაკლდა ის, რაც „ბავშვთა სოფელში“ ვიპოვე... ერთხელ გადაღებაზე მივდიოდი. მეგობარმა მითხრა: — გიული, შენ რაც გინდა, ეს ზუსტად ის საქმეაო. თურმე იმ პერიოდში, „ბავშვთა სოფლისთვის“ „დედების“ შერჩევა ხდებოდა. მივედი. მხოლოდ 1 ადამიანი იყო მისაღები და ის მე აღმოვჩნდი.

— საკუთარი ოჯახი არ გქონიათ, გათხოვილი არასოდეს ყოფილხართ?

— გმაინერის სისტემაში იმთავითვე „ჩადებული“ იყო, რომ დედა გაუთხოვარი უნდა ყოფილიყო და „ბავშვთა სოფელშიც“ სწორედ ასეთი ქალები აღმოვჩნდით.

— გამოდის, რომ დედობის გამოცდილება არ გქონიათ და უცებ, „მრავალშვილიანი დედა“ გახდით?

— რატომღაც, მეგობრები თავიანთ შვილებს ხშირად მანდობდნენ, 1 კვირის პატარასაც კი მიტოვებდნენ. „ბავშვთა სოფელში“ მოსვლამდე 2 წლით ადრე (როცა საქართველოში ცუდი პერიოდი იდგა), 1 წლის განმავლობაში, გერმანიაში მეგობრის ბავშვებს ვუვლიდი. შემდეგ, საბერძნეთში ძიძად ვმუშაობდი. ასე რომ, გარკვეული გამოცდილება უკვე მქონდა. „ბავშვთა სოფელი“ ქალაქიდან მოშორებითაა, მაგრამ აქ ყოფნა არ გამიჭირდა. მეთხუთმეტე წელია, რაც „დედა“ ვარ. უკვე 3 თაობა ანუ 14 ბავშვი გავზარდე. მათგან 5 — ჯერ ისევ ჩემთანაა, დანარჩენები — „ახალგაზრდულ სახლში“ გადავიდნენ. ზოგმა უკვე ეს პროგრამაც დაასრულა და ახლა საცხოვრებელი ბინებისთვის გარკვეული თანხა უნდა მიიღონ. სამწუხაროდ, „SOS ბავშვთა სოფლის“ წესებს ბევრი ვერ უძლებს, რომ „ჰაუზინგის“ პროგრამაში ჩაერთოს. პროგრამაში მონაწილეობას ბავშვი თავისი მორალით, კეთილსინდისიერებით, შრომისმოყვარეობით და რაც ყველაზე მთავარია, ფულის დაზოგვის უნარის გამო იმსახურებს — მას ბინის შესაძენად თანხის გარკვეული ნაწილით აკმაყოფილებენ.

ბავშვები დილით, 8-ის 20 წუთზე იღვიძებენ

ახლა ისინი უკვე 14-15 წლისანი არიან

— სამსახურის მოძებნაში „SOS ბავშვთა სოფელი“ ეხმარება?

— 15 წლის ასაკის შემდეგ, როცა ბავშვები „ცენტრში“ გადავლენ, პროფესიას დაეუფლებიან, თავიანთი პროფესიით დასაქმებაში კი „ცენტრის“ პედაგოგები ეხმარებიან.

— „SOS ბავშვთა სოფელში“ „შვილების“ მიღება მინიმუმ, რა ასაკიდან შეიძლება?

— 4 წლიდან, მაგრამ აქ მუშაობა რომ დავიწყეთ, მაშინ პატარა ბავშვებიც მივიღეთ. ახლა ისინი უკვე 14-15 წლისანი არიან. 1 გაგვითხოვდა, უკვე „შვილიშვილიც“ მყავს.

— დღეს ერთმანეთთან ხშირი კონტაქტი გაქვთ?

— ძალიან. მაგალითად, როცა შინ საჭმელს ამზადებს, მირეკავს და მეკითხება, — დედა, ეს როგორ გავაკეთოო? კერძების რეცეპტებს მართმევს, თავისთან მეპატიჟება... დედაშვილური ურთიერთობა გვაქვს. გმაინერის სისტემა სიყვარულზეა დაფუძნებული. „SOS ბავშვთა სოფლის“ თითოეულ სახლში დიდი სითბო ტრიალებს...

— საქართველოში სხვადასხვა ეროვნების, მრწამსის ადამიანი ცხოვრობს. თქვენთან მათი შვილების აღზრდა როგორ ხდება?

— სხვა ეროვნების „დედები“ არ გვყავს. მაგრამ ერთ-ერთ სახლში „დედას“ აზერბაიჯანელი, ინდუსი, რუსი „შვილები“ ჰყავდა. ჩემი ერთ-ერთი გოგონა — მარი კოფტუნოვა დედით რუსია, მამით — იტალიელი. სხვა ეროვნების ბავშვებსაც ისევე ვუვლით და ვეფერებით, როგორც — ქართველებს. აღმსარებლობას რაც შეეხება, ვისაც სურს, ოთახში ხატები აქვს, ლოცულობს, ეკლესიაში დადის.... ამ საკითხში ძალადატანება არ შეიძლება.

— „ბავშვთა სოფელში“ ძირითადად, რა კატეგორიის ბავშვები მოჰყავთ? თქვენი „შვილების“ მაგალითზე გვიამბეთ.

— 15 წლის გოგონა — თათია გოგიაშვილი, რომელიც მალე „ცენტრში“ გადავა, სკოლაში კარგად სწავლობს და უმაღლესი განათლების მიღებას აპირებს. მოწესრიგებული, კარგი ბავშვია. მისი დედ-მამა გაყრილია. ეკონომიკურად უჭირდათ. გოგონა 6

წლის იყო, ჩემთან რომ მოიყვანეს. მას შემდეგ აქაა. გარდატეხის ასაკი ჩემთან გაიარა. ვმეგობრობთ... მეორე გოგონა — მარი კოფტუნოვა ბებიამ მოიყვანა. მის ბიოლოგიურ ოჯახსაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა აქვს. თაკო კვალიაშვილი ობოლია. ბექა აბაკელიას ბიოლოგიური დედა და და-ძმა ჰყავს, მამა — არა. ივანე შუკაკიძეს დედ-მამა არ ჰყავს. ბიოლოგიური დაძმები ჰყავს, მაგრამ მხოლოდ და აკითხავს — 19 წლის გოგონამ ჩვილი ივიკო გაზარდა. ბიჭუნა ჩემთან 4 წლის ასაკში მოიყვანა...

— ბიოლოგიურ ოჯახთან ხშირი კონტაქტი აქვთ? ცხადია, იმ ბავშვებს ვგულისხმობ, ვისაც მშობლები ჰყავს.

— 14 წლამდე თავად მშობლები ან მეურვეები აკითხავენ. მერე ისინი დაწერენ, რომ ბავშვს ქალაქში გადაადგილება და სახლში მოსვლა დამოუკიდებლად შეუძლია, თუმცა სახლიდან ბავშვის წასვლამდე ადმინისტრაციაში განცხადებას ვწერ, რომ „შვილს“ რამდენიმე დღით ვუშვებ. როცა სხვისი შვილის სიცოცხლე გაქვს მონდობილი, ეს დიდი პასუხისმგებლობაა. „SOS ბავშვთა სოფელში“ მოსული თავდაპირველად, ღამით საწოლიდან 10-ჯერ ვდგებოდი და მძინარე პატარებს დავხედავდი ხოლმე. თანდათან, ყველა საქმეში იწრთობი, მაგრამ ის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა დღემდე მაქვს.

— ბავშვები სკოლაში დადიან. ბუნებრივია, ჩვეულებრივი ოჯახის შვილებსაც უმეგობრდებიან. მეგობრების „ბავშვთა სოფელში“ მოპატიჟების უფლება თუ აქვთ?

— როგორ არა! მათთან თავადაც მიდიან. დაახლოებით, 4-5 წლის წინ, ეს კონტაქტები უფრო მჭიდრო იყო. მაგრამ თითქოს ჩვენი „შვილების“ მიმართ დამოკიდებულება ცოტათი შეიცვალა. ამის გამო გული გვტკივა. მანდატურები აღნიშნავენ, რომ ისინი ჩვეულებრივი ოჯახის ბავშვებს არც ზრდილობით, არც ჩაცმით ჩამოუვარდებიან, მაგრამ...

— გარდატეხის ასაკში, ზოგჯერ მშობლებს და შვილებს ურთიერთობა ეძაბებათ. „შვილებთან“ ამ პრობლემას თქვენ თუ აწყდებით?

— პირველმა თაობამ გარდატეხის ასაკი ძალიან „რბილად“ გაიარა. ზოგადად, ეს პერიოდი ბიჭებისთვის უფრო რთულია, თუმცა პირადი გამოცდილების საფუძველზე ვამბობ, რომ გოგონები უფრო რთული ხასიათისანი არიან. ახლა სხვანაირი გოგონები „წამოვიდნენ“ — ბიჭებს ტოლს არ უდებენ.

— რაში?

— ჩემთვის მიუღებელია სიუხეშე, ბილწსიტყვაობა... სკოლაში გოგონამ „ტლინკი თუ არ გაისროლა“, ბიჭის გინებას თუ არ უპასუხა, „მაგარი არაა!“

— „დედობისთვის“ თავის დანებების უფლება გაქვთ?

— ამის შესახებ რამდენიმე წლით ადრე უნდა განაცხადო, რომ სხვა მომვლელი სახლში ჰარმონიულად შემოვიდეს, თუმცა ეს გმაინერის სისტემისთვის მიუღებელია. მეორედ მიტოვებულ ბავშვს სულში რაღაც უწყდება...

— ყოფილა შემთხვევა, როცა გარკვეული პერიოდის შემდეგ, ქალს „დედობაზე“ უარი უთქვამს?

— ერთი შემთხვევა იყო: აქ მუშაობა რომ დავიწყე, ხელფასის რაოდენობა არც მიკითხავს და ამაზე საუბარი ახლაც არაა უპრიანი, მაგრამ ერთმა „დედამ“ გადაწყვიტა, საზღვარგარეთ ეცადა ბედი. აქ ერთი „შვილი“ დარჩა. ის ქალბატონი „დეიდამ“ შეცვალა, მაგრამ ბავშვი ძალიან „გატყდა“, დაიჩაგრა, ემო გახდა... ბიოლოგიურ ოჯახშიც ცუდი სიტუაცია ჰქონდა — დედა არ ჰპატრონობდა. მერე ბიოლოგიური დედა თავად ბავშვმაც არ მიიღო.

როცა სხვისი შვილის სიცოცხლე გაქვს მონდობილი, ეს დიდი პასუხისმგებლობაა

— ახლა როგორ არის?

— მასში ცოტა სასიკეთო ცვლილებები არის, მაგრამ ისეთ გზას მაინც არ ადგას, როგორიც საჭიროა.

— ამ სამსახურისთვის თავის დანებებაზე არასოდეს გიფიქრიათ?

— არასოდეს, პირიქით — აქ ყოფნით ბედნიერი ვარ! ჩემს საქმეს უდიდესი ხალისით, მონდომებით ვაკეთებ, აქაურობა ძალიან მიყვარს. შემიძლია, აქ ნებისმიერ ბავშვს ჩავეხუტო, მოვეფერო... ის გრძნობა, რაც აქ მოსვლის პირველ დღეს მქონდა, არ გამნელებია. გამიმართლა — ის მივიღე, რაც მსურდა... ■

თამარ როგაქიძე

— რით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ აქციის მონაწილეები განსაკუთრებული სისასტიკით დაარბიეს?

— იმ მიზნით, რომ ქვეყნის მოღალატეების დასჯა სხვებისთვისაც სამაგალითო ყოფილიყო და საკუთარი ქვეყნის გაყიდვა „30 ვერცხლად“ აღარ მოენდომებინათ.

— რატომ ფიქრობ, რომ აქციის მონაწილეები ქვეყნის მოღალატეები იყვნენ?

— აბა, რა ჰქვია იმ ადამიანს, რომელიც ბურჯანაძის გვერდით დადგება?! ყველამ იცის, რომ ბურჯანაძე კრემლის ხშირი სტუმარია. კრემლი კი საქართველოს გაძლიერებასა და აყვავებაზე ნამდვილად არ ზრუნავს. ვიცი, რომ ქვეყნის მოღალატეებთან ერთად, მიტინგზე ისეთი ხალხიც იდგა, რომლებიც დუხჭირ ცხოვრებას აპროტესტებდნენ და არც პოლიტიკა აინტერესებდათ, არც კრემლი და არც — ნატო. მაგრამ ბრძანება — ბრძანებაა და უნდა შეასრულო, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემები შეგექმნება. ჩვენ რომ ის მომიტინგეები სასტიკად არ გვცემა, სამსახურის გარეშე დავრჩებოდით. იცით, ერთ ადგილზე რამდენი კაცი მოდის?! საქართველოში უამრავი ახალგაზრდაა, რომლებსაც ძალოვან უწყებაში მუშაობა უნდა, შესაბამისი მონაცემებიც აქვთ და იმიტომ ვერ მუშაობენ, რომ მათთვის, ფაქტობრივად, ადგილი არ არის. ამიტომ, თითოეულ სპეცრაზმელს 30-40 კაცი მაინც შემოგვყურებს — ჩასაფრებულები არიან, ოღონდაც რამე შეგვეშალოს, რომ ჩვენი ადგილი დაიკავონ.

— რა დაუჯდა შსს-ს ბიუჯეტს მომიტინგეების დარბევა?

— თუ პრემიების რაოდენობას გულისხმობთ, თითო კაცს 1.300 ლარი მოგვცეს.

— რისთვის? განსაკუთრებული მამაცობისა და თავგანწირვისთვის?..

— ასე ნუ იტყვი. საფრთხე ნამდვილად იყო. ისინი კანალიზაციის მილებით იყვნენ შეიარაღებულნი, „მოლოტოვის კოქტეილებიც“ ჰქონდათ და თანაც, არ იცი, გამწარებული კაცი რას გაგიკეთებს. შესაძლოა, ვინმეს დანაც ჰქონოდა ჯიბეში.

— მოხუცებსა და ქალებზე რას იტყვი?

— მოხუცები და ქალები სახლში უნდა დასხდნენ.

— ხმა გავრცელდა, თითქოს 3 კვირის განმავლობაში სპორტულ დარბაზში იყავით გამოკეტილები, ვარჯიშობდით, ძილის საშუალებასაც არ გაძლევდნენ, რამაც თქვენში აგრესია გამოიწვია...

— ტყუილია. არანაირ სპორტულ დარბაზში არ ვყოფილვართ გამოკეტილები. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ყაზარმული მდგომარეობა იყო გამოცხადებული და სახლში არ გვიშვებდნენ. ძილთ-

სპეცრაზმელების გამხელილი საიდუმლო და ქურდული „ობშიაკი“ შსს-ში

„იქ მგლური კანონია, შენ თუ არ შეჭამ, სხვა შეგჭამს! ყველაზე მეტად ერთმანეთის გვეშინია, ზოგჯერ — საკუთარი თავისაც“, — ამბობს ერთ-ერთი სპეცრაზელი, რომელიც 26 მაისს საპროტესტო აქციის დარბევაში მონაწილეობდა. მისი თქმით, უწყების ხელმძღვანელები არქიფო სეთურივით იქცევიან და რიგით თანამშრომლებს კაციჭამია ზომბებად აქცევენ. საკუთარი და, როგორც თავად ამბობს, ჩემი უსაფრთხოების მიზნით, ვინაობას არ ამხელს.

ან დაკავშირებით პრობლემა არ გვქონია, უბრალოდ, შუაღამისას განგაშს აცხადებდნენ, ესეც იმისთვის, რომ შეემოწმებინათ, შევძლებდით თუ არა 10 წუთში საბრძოლო მზადყოფნას.

— მომიტინგეები წყლის ჭავლით, რეზინის ტყვიებითა და ხელკეტებით ადრეც დაურბევიათ, მაგრამ არ გაუკოჭავთ და მიწაზე არ დაუყრიათ. ამჯერად ამის გაკეთება რისთვის დაგჭირდათ?

— ეს დაკავების ახალი მეთოდია, რომლის საშუალებითაც, გაცილებით მოკლე დროში, გაცილებით მეტ ადამიანს აპატიმრებ. ამის შემდეგ ყოველთვის ასე იქნება.

— რამდენი კაცი შემოგაკვდათ?

— არავინ შემოგვკვდომია. ზედმეტად თამამ კითხვებს მისვამ. მოდი, აქ გავჩერდეთ, თორემ ორივე სერიოზულ შარში გავეხვევით. ჟურნალისტობა ვერაფერს გიშველის. მეც დამღუპავ და თავსაც დაიღუპავ...

წინამორბედი რესპონდენტისგან განსხვავებით, უფრო გულახდილი და თამამი აღმოჩნდა ყოფილი სპეცრაზმელი; ის შინაგან საქმეთა სამინისტროში 1998-დან 2009 წლამდე მსახურობდა. როგორც ამბობს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სისტემაში განხორციელებული ყველა ცვლილების უშუალო შემსწრეა. არ უარყოფს, რომ რევოლუციის შემდეგ უწყებაში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, თუმცა მისი აზრით, ყველაზე მთავარი მანკიერება ჯერ კიდევ აღმოსაფხვრელია.

— მანც რა არის ამ სისტემის ყველაზე მთავარი მანკიერება?

— ის, რომ ადამიანებს მხეცებად აქცევენ. ვიდრე ამ უწყებაში მოვხვდებოდი, ჯარში ვმსახურობდი, სადაც ყველას საერთო მოტივაცია და მიზანი გვქონდა. ერთმანეთისთვის თავის გაწირვაც დაუფიქრებლად შეგვეძლო. შინაგან საქმეთა სამინისტროში სულ სხვა გარემოში აღმოვჩნდი: თანამშრომლები ერთმანეთთან მუდამ კონფლიქტში ვიყავით, ისეთ სიტუაციაში გვამყოფებდნენ, რომ ერთმანეთისადმი ზიზღსა და უნდობლობას გვიღვივებდნენ. ძირითადად, „ჩამშვებებს“ აწინაურებდნენ. გარდა ამისა, ნაცნობობასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისე, გავლენიანი ნაცნობი ახლაც ბევრ რამეს წყვეტს და „ჩამშვებებს“ ისევ სწყალობენ. ამ უწყებასთან დღემდე მაქვს კავშირი და ვიცი, რომ ბევრ სპეცრაზმელს აღარ უნდა იქ მუშაობა, მაგრამ გასაქცევი არსად აქვს. სპეცრაზმში ძირითადად, პროვინციიდან ჩამოსულ ახალგაზრდა ბიჭებს იღებენ, რომლებსაც მიწაზე მუშაობა ეზარებათ. თოხზე ნამუშევრებს ძალ-ღონე და ჯანმრთელობა კარგი აქვთ. ჯარში გვარიანი „დამუშავების“ შემდეგ, მათგან კარგი სპეცრაზმელი დგება. მაღალ ხელფასთან ერთად, გარკვეულ პრივილეგიებსაც ანიჭებენ. ერთ-ერთი პრივილეგია ის გახლავთ, რომ ჩვეულებრივი მოქალაქისგან განსხვავებით, მათ ბანკიდან ნებისმიერი ოდენობის თანხის სესხად გამოტანა შეუძლიათ. სოფელში გაზრდილი ბიჭი, რომელსაც ბევრი არაფერი უნახავს, სიხარბეს იჩენს და ცდილობს, ყველაფერი ერთად (ბანქანა, საუკეთესო მობილური ტელეფონი, ტელევიზორი...) შეიძინოს. ამისთვის ერთი თვის ხელფასი საკმარისი არ არის, ამიტომ ბანკიდან დიდ ვალს იღებს და უკვე „ხაფანგშია“. ასეთი კაცი უმუშევარი რომ დარჩეს, წარმოგიდგენიათ, რა დღეში აღმოჩნდება?! უმუშევარი რომ არ დარჩეს, უფროსის გულის მოსაგებად, ყველაფერი უნდა გააკეთოს. უფროსის გული რომ მოიგოს, მისი ბრძანების უპირობო შემსრულებელი უნდა გახდეს. ბრძანების უპირობო შესრულების შედეგად, ზომბად იქცევა. მერე ზომბს რასაც გინდა, იმას გააკეთებინებ. ეს ისეთი უწყებაა, სადაც ადამიანს ბოლომდე იყენებენ და მერე გამოწურული ლიმონივით მოისვრიან.

— შევარდნაძის მმართველობის დროს მიტინგებს ისეთივე სისასტიკით არბევდით, როგორც დღეს?

— შევარდნაძის მმართველობის დროს „გულუას სპეცრაზმში“ ვმსახურობდი. ჩვენ სხვა დანიშნულება გვქონდა... მიტინგებს ქალაქის სამმართველოს სპეცრაზმი (თემურ მღებრიშვილის ხელმძღვანელობით) არბევდა.

— თქვენი დანიშნულება რა იყო?

— ტერორისტული ჯგუფების, განსაკუთრებით საშიში ძებნილებისა და პანკისის ხეობაში მყოფი ჩეჩენი დევნილების დაკავება. სხვათა შორის, ციხიდან გაქცეული ქობალია და აბსანძე ჩვენ დავაკავეთ.

— რთული იყო მათი დაკავება?

— არა, წინააღმდეგობაც ვერ გაგვიწიეს, შიშისგან კინაღამ ინფარქტი მიიღეს. პოლიტიკოსები ხომ მარტო ლაპარაკში არიან მაგრები. ისე, მათთან ერთად, 9 კრიმინალიც გაიქცა. ყველა ერთად დავაკავეთ რაჭაში, ერთ-ერთი ძებნილის სახლში. აბსანძეს თმა წითლად ჰქონდა შეღებილი, ეგონა, ვერ ვიცნობდით. ერთ-ერთი კრიმინალი კი ქალის კაბაში იყო ჩაცმული...

— „ვარდების რევოლუციამდე“, სპეცრაზმელები შესაბამის წვრთნებს თუ გადიოდით?

— წვრთნებს კი გავდიოდით, მაგრამ პრობლემა სხვა რამე იყო. მაგალითისთვის გეტყვით — სამმართველოში 350 კაცი ჰყავდათ გაფორმებული, მაგრამ სინამდვილეში, 150 კაცი ვმუშაობდით. ხელფასის 3 კატეგორია იყო — მაღალი, საშუალო და დაბალი. მაღალ ხელფასად მიიჩნეოდა 210 ლარი, დაბალ ხელფასად კი — 120. ყველა „მკვდარი სული“ მაღალი კატეგორიის ხელფასს იღებდა. გამოდიოდა, რომ 150 კაცის 200-ლარიანი ხელფასი სადღაც ქრებოდა. კორუფციის გარდა, სხვა პრობლემაც იყო. ჩვენი განყოფილება ორ ნაწილად — საბრძოლო და საკომენდანტო ჯგუფად იყო დაყოფილი. ფუნქცია და მოვალეობა ორივე ჯგუფის წარმომადგენლებს ერთნაირი ჰქონდათ, მაგრამ ხელფასი განსხვავებული ერიცხებო-

დათ. ამ ფაქტის გამო, საკომენდანტოში მომუშავე ადამიანს საბრძოლო ჯგუფის სპეცრაზმელის შურდა, მის მიმართ იბოღმებოდა და გამუდმებით ჩასაფრებული იყო. სამწუხაროდ, რიგითი სპეცრაზმელები ვერ ხვდებოდნენ, რომ ხელმძღვანელები ასეთ სიტუაციას განგებ ქმნიდნენ: არ უნდოდათ, რომ რიგითები ერთ გუნდად ყოფილიყვნენ შეკრულნი. რას მიხვდებოდნენ — ამ სისტემაში ხომ თავიდანვე, გონებაჩლუნგ და ფიზიკურად ძლიერ ადამიანებს იღებდნენ...

— თქვენ რა ნიშნით შეგარჩიეს?

— 1998 წელს ხელისუფლებას ჩემნაირი ხალხი დასჭირდა.

— როგორი იყავით ან ხელისფლებას რისთვის დასჭირდით?

— აფხაზეთის ომში ნაბრძოლი ვარ. 18 წლის ვიყავი, ხელში იარაღი რომ ავიღე. ტრაბახში არ ჩამომართვათ, მაგრამ საკმაოდ კარგი მებრძოლი გახლდით. იმ პერიოდში ჩვენები გალში პარტიზანული ბრძოლის დაწყებას აპირებდნენ. ამის პარალელურად, კოდორიდან ვითომ აფხაზეთი უნდა აეღოთ. ჩვენს დასახმარებლად, თავისი ბოევიკებით, გილაევიც ჩამოიყვანეს. საზარბაზნე ხორცად დავჭირდი, თორემ ომის დამთავრების შემდეგ (1993 წლიდან) 1998 წლამდე მუშაობა ვერსად დავიწყე. ვიცოდი, თავს რაშიც ვყოფდი, მაგრამ მაინც დავთანხმდი. ნამარი კაცისთვის წარსულთან კავშირის გაწყვეტა და იარაღის ხელიდან გაშვება რთული გადასატანია. ასეთ დროს შეიძლება, ისეთი ნოსტალგია დაგემართოს და ისე დაიტანჯო, რომ გალოთდე ან განარკომანდე. რაღა დაგიმალოთ და, გამიხარდა, ძველ საქმიანობასთან დბრუნების საშუალება რომ მომეცა და უარი აღარ ვთქვი.

— რატომ ვერ მოახერხეთ ამ ჩანაფიქრის განხორციელება ან რატომ მიიჩნევთ, რომ საზარბაზნე ხორცი იყავით?

— ამუნიცია (სამხედრო აღკაზმულობა, იარაღი, საჭმელი და ჩასაცმელი) არ მოგვაწოდეს. ერთი სიტყვით, გაგვწირეს. ახლა ვფიქრობ, რომ ეს ოპერაცია გილაევის ლიკვიდაციისთვის იყო გამიზნული. შევარდნაძეს 2 კურდღლის დაჭერა უნდოდა — გილაევს და მის ბოევიკებს ქართველ შეიარაღებულ და უკონტროლო მებრძოლებსაც მიგვყოლებდა.

— გილაევმა თუ იეჭვა რამე?

— დებილი კი არ იყო — ამუნიცია რომ არ მიაწოდეს, ყველაფერს მიხვდა და ერთ კვირაში უკან გაბრუნდა...

— თქვენ რა მოიმოქმედეთ?

— არაფერი, ხელისუფლებამ ხელები დაიბანა, ჩვენზე თქვა — უკანონოდ შეიარაღებული ფორმირებაა და მაგათ საქციელზე პასუხს არ ვაგებთო. არადა, ყველამ იცოდა, რომ სამთავრობო ძალების წარმომადგენლები ვიყავით.

— მერე რა ბედი გეწიათ?

— ზოგი დაიღუპა, ზოგი დაიჭრა, ზოგიც გაიქცა. ვინც გადავრჩით, ისევ „გულუას სპეცრაზმში“ გავაგრძელეთ მუშაობა. მერე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ერთ-ერთი მინისტრის დაცვაში გადამიყვანეს და შევარდნაძის მმართველობის დროინდელ სპეცრაზმში ამით დავასრულე კარიერა.

— რომელი მინისტრის დაცვაში გადაგიყვანეს?

— ამის დაკონკრეტებისგან თავს შეიკავებ, თუმცა გეტყვით, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩემი დაცვის ობიექტი საქართველოდან გაიქცა. მე კი ისევ სპეცრაზმს დავუბრუნდი.

— ისევ „გულუას სპეცრაზმში“ დაბრუნდით?

— არა, ისევ შინაგან საქმეთა სამინისტროში დავბრუნდი, მაგრამ სხვა განყოფილებაში დავიწყე მუშაობა. შსს-ს ყველა დეპარტამენტსა და განყოფილებას თავისი სპეცრაზმი ჰყავს. სხვათა შორის, „გულუას სპეცრაზმი“ 2004 წელს თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა — ირაკლი ოქრუაშვილმა შსს-დან „თავდაცვაში“ გადაიყვანა, მერე კი კოჯრის ბატალიონთან გააერთიანეს. მაგარი სისულელეები აკეთეს.

— ასე რატომ ფიქრობთ?

— თავდაცვისა და შს სამინისტროს თანამშრომლები ერთმანეთს ვერ იტანდნენ. „თავდაცვის“ ხალხისთვის ჩვენ „ძაღლები“ ვიყავით, ვერ ვეწყობოდით ერთმანეთს. ოქრუაშვილის „ბრძნული“ გადაწყვეტილების შედეგად, ერთ ნაწილში მომუშავე ხალხი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა, მათ შორის, გამუდმებული კონფლიქტი იყო.

— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სასიკეთოდ რა შეიცვალა სპეცრაზმში?

— სპეციოპერაციები უფრო ირგანიზებული იყო, ხელფასი გაიზარდა და თავის დროზე რიგდებოდა. ფორმა და იარაღიც უკეთესი მოგვცეს. კორუფციული გარიგებებიც აღარ ხდებოდა, მაგრამ სამსახურში ნაცნობობით მიღება და დაწინაურება ისევ ძალაში დარჩა. თანაც, ქურდული „ობშიაკის“ მსგავსი რაღაცები დაიწყეს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ყოველ ხელფასზე, ასმეთაური მოდიოდა და სხვადასხვა მიზეზს გვისახელებდა იმისთვის, რომ მისთვის ოც-ოცი ლარი მიგვეცა: ხან ონკანი იყო შესაკეთებელი, ხან საპონი იყო საყიდელი... ამას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. ერთხელ თავდაცვის სამინისტროდან გაფუჭებული მანქანები ჩამოწერეს და შს სამინისტროს გადასცეს. ასმეთაურმა გაფუჭებული მანქანების შესაკეთებლად ჩვენგან აკრიბა 50-50 ლარი. წესით, როდესაც უწყება ექსპლუატაციიდან ამოღებულ მანქანას იღებს, ხელმძღვანელების სახელზე შესაბამის განცხადებას წერს, რის საფუძველზეც, დაზიანებულ ტვირთს კომისია ამოწმებს და მის ღირებულებას ადგენს. მერე, თუ საჭიროდ მიიჩნევს, თვითონ უწყების ბიუჯეტიდან გაღებული თანხით შეაკეთებს.

— საპროტესტო აქციის დარბევაში არც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მიგიღიათ მონაწილეობა?

— 2007 წლის გაზაფხულზე ციხეში მომხდარი აჯანყება ჩავიშეთ.

— ნამდვილად აჯანყება იყო თუ...

— ჩვენ გვითხრეს, რომ აჯანყება იყო...

— ძალას მაშინაც ხომ არ გადაამეტეთ?

— ამ უწყებაში თუ რაიმე ნაკლოვანება იყო, ყველაფერი გითხარით. პატიმრებს რაც შეეხება, მათთან მოფერება ნამდვილად არ ამართლებს.

— პრემიები დაგირიგეს?

— კი, 200 ლარი.

— 2007 წლის 7 ნოემბერს სად იყავით?

— მაგ დროს ტრავმა მქონდა მიღებული და შესაბამისად, აქციაზე არც ვყოფილვარ.

— პრემიების რაოდენობა მაინც გეცოდინებათ...

— რიგით სპეცრაზმელებს 2.000 ლარი დაურიგეს, მაღალჩინოსნებს მეტი შეხვდათ. სამმართველოს უფროსს 10.000 ლარი დაუსვეს ანგარიშზე.

— ტრავმა რომ არ გქონოდათ მიღებული, მომიტინგეებს თქვენც დაარბევდით?

— თუ ბრძანებას მივიღებდი, აბა, რას ვიზამდი?! ისე, ბურჯანაძის მხარდასაჭერად კაცი რომ წავა, ის ნამდვილად საცემია...

— თქვენი აზრით, ადამიანს განსხვავებულად აზროვნების უფლება არა აქვს?

— თუ განსხვავებულად აზროვნებაში ქვეყნის ღალატს გულისხმობთ, მაშინ ნამდვილად არა აქვს! უამრავი ოფლი და სისხლი მაქვს დაღვრილი რუსებთან ბრძოლაში, ესენი კიდევ, მოსკოვში ჩადიან და „პარადებს“ იღებენ.

— რუსი ჯარისკაცების შესაძლებლობებს როგორ შეაფასებთ?

— რუსი ჯარისკაცის მსგავსი დედამიწის ზურგზე არ არსებობს. ის ბუნებით მონაა! ყინვაში შიშველი რომ დააყენო და 200 გრამი არაყი მისცე, არ გაგიროტესტებს. მეთაურმა რომ უბრძანოს, ფეკალურ მასასაც შეჭამს. მონღოლებმა ერთი ციდა საქართველოში 100 წელზე მეტხანს ვერ გაძლეს, დიდ რუსეთში კი 300 წელი იბატონეს. ქართველი ფიზიკურადაც და სულიერადაც რუსზე გაცილებით ძლიერია. რუსს დაბღვერვითაც კი შეაშინებ. ქართველ კაცს მონურ მორჩილებაში ვერ ამყოფებ, თუ ბოლომდე არ გადააგვარებ და დააზომბირებ. სამწუხაროდ, დღეს ძალოვან უწყებებში სწორედ ასეთი ტენდენციაა — ცდილობენ, ზომბებს დაამსგავსონ ქართველი ვაჟკაცები! ■

ყველაზე სექსუალური ქართველი მამაკაცები

„ალაძე-ფაჩულია წარსულს ჩაჰბარდა...“

ამას წინათ ალექსანდრეს ბაღში გახლდით და ყური მოვკარი გოგონების ლაპარაკს, რომლებიც იმაზე დაობდნენ, თუ ვინაა ყველაზე სექსუალური ქართველი მამაკაცი. მათი გემოვნება ერთმანეთს არ ემთხვეოდა და პოპულარული მამაკაცების გამო ლამის ერთმანეთი დახოცეს. თავიდან მათზე გამეცინა, მერე კი გავიფიქრე: ნეტავ, როგორი რეაქცია ექნებოდათ ამ ყველაფრის გაგონებაზე თავად იმ „ვარსკვლავებს“, რომელთა გამოც მოზარდები კამათობენ? აქ რომ იყვნენ, თაყვანისმცემლების თავგანწირვას დააფასებდნენ თუ არა-მეთქი?.. არ ვიცი, პოპულარული მამაკაცებისთვის მათი ფანების თუ უბრალოდ, საზოგადოების წევრების აზრი რამდენად მნიშვნელოვანია, მაგრამ გადავწყვიტე, მოზარდებში ჩამეტარებინა გამოკითხვა და გამერკვია, თუ ვის მიიჩნევენ ისინი ყველაზე სექსუალურ მამაკაცად.

ლიკა ქაჯაია

ელენე, *18 წლის:*

— ყველაზე სიმპათიური, როგორც უნდა გაგიკვირდეთ, გიორგი ყიფშიძეა. შეიძლება, ვიღაცამ გემოვნება დამიწუნოს, მაგრამ ჩემი აზრით, ის საოცრად სექსუალურია. ასევე, ძალიან მომწონს ზუზუ, რომელსაც ზოგჯერ ისეთი სიფათი აქვს, თითქოს არაფრის მაქნისია, მაგრამ ზოგჯერ არაჩვეულებრივი, ჩასაყლაპი ტიპია.

— **რომელმეს პირადად თუ იცნობ?**

— სამწუხაროდ, არა! ისინი მხოლოდ შორიდან მყავს ნანახი, მაგრამ მათ შესახებ ბევრი რამ ვიცი. თუ გინდათ, დამცინეთ, მაგრამ ადრე ლექს-სენი მომწონდა, მერე კი გემოვნება შემეცვალა.

— **ლექს-სენის გამო რატომ უნდა დაგცინოთ?**

— აბა, სად ლექსო და სად — გიო ყიფშიძე? ისინი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან, მაგრამ ამ გემოვნებასაც რას გაუგებ?! ახლა ვხვდები, რატომ მეუბნებოდა დედა, — 15 წლის ასაკში სიყვარულზე ფიქრი ნაადრევია. ვიდრე სრულწლოვანი გახდები, გემოვნება ბევრჯერ შეგეცვლებაო...

ნინი, *16 წლის:*

— ძალიან მომწონს სამორი ბალდე, მაგრამ დედა მეუბნება, რომ გემოვნება მაქვს დაქვეითებული (*იცინის*). რა ვქნა, მე „შავები“ მომწონს, მას კი უნდა, თეთრი და ბუნჩულა სიძე ჰყავდეს.

— **ანუ იმედი გაქვს, რომ სამორის გაიცნობ და მას ცოლად გაჰყვები?**

— რატომაც არა?! ხომ იცი, იმედი ბოლოს კვდება. თანაც, შოუბიზნესში ბევრი ნაცნობი მყავს და მიზნის მიღწევა ანუ მისი გაცნობა სულაც არ გამიჭირდება. სხვა საკითხია, მას მოვეწონები თუ — არა.

— **სამორმა მაინც, რით მოგხიბლა?**

ადრე კახა კალაძე მომწონდა

— რაღაცნაირი, ეშხიანი ბიჭია, ყველაფერი უხდება. შეიძლება, მასზე ბევრად სიმპათიური მამაკაცებიც გვყავდეს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ის მომწონს და რა ვქნა?

— **ვერაფერს იზამ... მის გარდა, არც ერთი პოპულარული ბიჭი არ მოგწონს?**

— როგორ არა, ჯაბა კილაძე მომწონს, მაგრამ მან ჩემ გამო თავიც რომ ჩამოიხრჩოს, ნაცოლარს მაინც არ გავყვები.

— **რატომ?**

— ჩემი აზრით, კაცი, რომელიც ცოლს გაუშვებს, არამდგრადია, მისი ნდობა არ შეიძლება... ამბობენ, რომ ის საოცრად ხალისიანი ადამიანია. ჰოდა, ვინაიდან სიცილ-ხარხარი მეც მიყვარს, მასთან სიამოვნებით ვიმეგობრებდი.

ლიკა, *17 წლის:*

— ყველაზე სექსუალური ბიჭი თემო საჯაიაა. მას ულამაზესი თვალები აქვს. ერთხელ კუს ტბაზე ვნახე, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეეფეთა და... ვერ აღგიწერთ, რა ვიგრძენი. მას სიამოვნებით გავყვებოდი ცოლად.

— **მას ცოლად მხოლოდ იმის გამო გაჰყვებოდი, რომ ლამაზი თვალები აქვს?**

— არა მარტო ამიტომ. თქვენც ხომ იცით, რომ არაჩვეულებრივად მღერის, თან, როგორც ამბობენ, ყველა ამ სიკეთესთან ერთად, კარგი ადამიანიცაა. ნეტავ, შეყვარებული ჰყავს?

— **სამწუხაროდ, ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებ. თემოს გარდა, კიდევ რომელ პოპულარულ ქართველს გაჰყვებოდი ცოლად?**

— მომწონდა ნიკო გომელაური, მაგრამ სამწუხაროდ, ცოცხალი აღარაა... ვგიჟდები გეგა ფალავანდიშვილზეც. ის საოცრად მიმზიდველია და ალბათ, მის გამო ქალები ერთმანეთს ხოცავენ. სამწუხაროდ, პირად ცხოვრებაზე თითქმის არაფერს ჰყვება, არადა, მისი „პირადი“ ძალიან, ძალიან მაინტერესებს... ჰო, კინაღამ დამავიწყდა, ძალიან მომწონს რატი დურგლიშვილიც, მაგრამ თურმე, წუნიაა და ალბათ, ჩემნაირ უბრალო თბილისელ გოგოს ზედაც არ შეხედავს...

ანი, *18 წლის:*

— გეგა ფალავანდიშვილი მომწონს. ის მართლაც, საოცრად სექსუალურია. როგორც ამბობენ, მასზე ბევრი ქალბატონი გიჟდება, მაგრამ თურმე,

გეგა ფალავანდიშვილია ყველაზე სექსუალური

მექალთანე არაა და შესაბამისად, მისი უყურადღებობაც ბევრს ტანჯავს.

— **შენ ეს საიდან იცი?**

— ტელევიზიაში ჩემი ნაცნობი მუშაობს და რაღაცებს მიყვება ხოლმე... ადრე კახა კალაძე და ზაზა ფაჩულია მომწონდა, მაგრამ ისინი უკვე წარსულს ჩაჰბარდნენ.

— **იმის თქმა გინდა, რომ გე-**

მოვნება შეგეცვალა?

— ალბათ, ასეა და ახლა საკუთარ თავს იმასაც კი ვეკითხები, — მათში რა მომწონდა-მეთქი? როგორც ჩანს, მაშინ იმ თანაკლასელების გავლენის ქვეშ მოვექეცი, რომლებიც სპორტსმენებზე გიჟდებოდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთისა და კალათბურთის არაფერი გამეგება, ამ 2 მამაკაცის გამო, სპორტის ორივე სახეობას ვადევნებდი თვალს (*ციტინის*). ისე, ადრე „ძველი ბიჭებიც“ მომწონდა; ტიპი „ბირჟაზე“ თუ იდგა და სიგარეტს ეაჩეჩოდა, ვაჟკაცი მეგონა, ახლა კი ასეთ ბიჭებს ზედაც არ ვუყურებ.

ლიკუნა, *19 წლის:*

— დიდი ხანია, რაც რატი დურგლიშვილზე ვარ შეყვარებული. ერთხელ მან თქვა, რომ მაკა ზამბახიძის სტილის გოგონები მოსწონს. ჰოდა, იმედი გამიჩნდა, რომ შესაძლოა, ბედმა მეც გამიღიმოს და გავიცნო.

— ანუ საკუთარ თავს მაკას ამსგავსებ?

— კი, ასეა. ყველა მეუბნება, რომ მაკას ძალიან ვგავარ, თუმცა, მისგან განსხვავებით, ხმა და სმენა არა მაქვს. არა უშავს, რა აუცილებელია, მომღერალს მომღერალი ჰყავდეს ცოლად? ბოლოს და ბოლოს, მაკას ქმარსაც ხომ არ ეხერხება სიმღერა?!

— რატის გარდა, ყველაზე სექსუალურ ქართველ მამაკაცად ვის დასახელებ?

— ალბათ, ზურა ყიფშიძეს. მართალია, უკვე ასაკშია, მაგრამ ქალები მასზე მაინც ოცნებობენ.

ქეთა, *18 წლის:*

— გეგა ფალავანდიშვილია ყველაზე სექსუალური. მართალია, პროექტ „ნიჭიერში“ უუმური კაცის ნიღაბი აქვს მორგებული, მაგრამ კადრს მიღმა არაჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა. ისე, მაგ ოხერს უუმურობაც უხდება, ხომ იცი. სამწუხაროდ, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული არა ვარ, თორემ მის გამო ფილარმონიის დარბაზსაც არ შევუშინდებოდი და შევეცდებოდი, მისთვის თავი მომეწონებინა. სხვათა შორის, მომავალი ჟურნალისტი ვარ და იმედი მაქვს, რომ ოდესმე გავიცნობ და თავს შევაყვარებ.

მაკა, *16 წლის:*

— სექსუალურობის რა გითხრათ, მაგრამ ნიკა არაბიძეა საყვარელი ტიპი და ამიტომაც, სიამოვნებით გავხდებოდი მისი მეგობარი. კარგი ტიპია აჩიკო სოლოღაშვილიც. გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრივი მსახიობია, კარგადაც ცეკვავს, თან — საოცრად საყვარელი თვალები აქვს... ადრე შავი პრინცი მომწონდა, მაგრამ მერე გავიცანი და მივხვდი, რომ ის ჩემი ოცნების პრინცი ნამდვილად არ იყო. ისე, მაგარი ქალი კი შეირთო მაგ ოხერმა...

სალი, *17 წლის:*

— მომწონს გოგა ბარბაქაძე. ცოლიანი რომ არ იყოს, რუსთაველის თეატრის შესასვლელს არ მოვშორდებოდი და მას პირადად გავიცნობდი, მაგრამ სხვისთვის ქმრის „ახევის“ სურვილი არ მაქვს.

— რომც მოინდომო, როგორ ფიქრობ, თავად გოგა თუ გაუშვებს ცოლს სხვა ქალის გამო?

— ალბათ, არა!.. კიდევ, ძალიან მომწონს ნიკა გილაური. მაგარი კარგი ტიპია! სხვათა შორის, ტელეეკრანზე ისეთი სიმპათიური არაა, როგორიც ცხოვრებაში. კიდევ, მომწონს ანრი ჯოხაძე — გარეგნობა არა, მაგრამ სექსუალური ხმა ნამდვილად აქვს. მის ნამღერს რომ ვუსმენ, მაჟრიალებს...

ლიზიკო, *17 წლის:*

— ყველაზე სექსუალური ჩემი შეყვარებულია. მგონია, რომ ამქვეყნად მასზე სიმპათიური არავინაა.

— მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ რომელიმე პოპულარული ბიჭი არ გესიმპათიურება...

— გამოგიტყდები და, ყოველთვის მომწონდა კახი კალაძე. ჰოდა, ისეთი „ლოვე“ ვიპოვე, რომელიც მას რაღაცით ჰგავს. კიდევ, სიმპათიურია ანრი ჯოხაძე და გეგა ფალავანდიშვილი.

ეთო, *18 წლის:*

— მე დიმიტრი ტატიშვილი მომწონს. საოცრად ლამაზი თვალები და ისეთი მზერა აქვს, როგორიც ნამდვილ მამაკაცს უნდა ჰქონდეს.

— მაინც, როგორი მზერა უნდა ჰქონდეს ნამდვილ მამაკაცს?

— კაცი რომ შემოგხედავს, ტანში უნდა გაგცრას! ■

სიყვარულის გამო დანგრეული მეგობრობა — ეს იყო თემა, რომელსაც საბედნიეროდ (მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, ვინაიდან თემა არ გამოვიდა ისეთი საინტერესო, როგორსაც ველოდი), ცოტა მკითხველი გამოეხმაურა. როგორც ჩანს, მსგავსი შემთხვევა იშვიათად თუ ხდება, რაც ცხადია, სასიხარულოა, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ამ თემაზე ლაპარაკს ბევრი გაურბოდეს. ასეა თუ ისე, გთავაზობთ მხოლოდ იმ მკითხველების მესიჯებს, რომლებიც სიყვარულის გამო განწირულ მეგობრობაზე ლაპარაკს არ გაეცნენ.

ეკატერინე, *18 წლის:*

„მე დავკარგე მეგობარი, რასაც განვიცდი. მოკლედ, მე და ნატას ერთი და იგივე ტიპი შეგვიყვარდა. თავიდან, საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკს ორივე გავურბოდით, მაგრამ ერთხელაც დავსხედით და ყველაფერი „გავიასნეთ“; მერე მივხვდით, რომ საყვარელ ადამიანს ვერც ერთი ვერ დავთმობდით და მას მერე ჩვენ შორის მეგობრობის ძაფი გაწყდა. ვარჩიეთ, ერთმანეთს მშვიდობიანად დავშორებოდით და სხვათა შორის, ერთურთს დღემდე არ ვეკონტაქტებით. სასაცილო ისაა, რომ იმ ბიჭმა ჩვენი გრძნობების შესახებ არაფერი იცოდა. ჰოდა, ჩემი და ნატას დაშორებიდან სულ რამდენიმე დღეში, მან სულ სხვა გოგო შეირთო და ყოფილი დაქალები მშრალზე დაგვტოვა... მას შემდეგ 3 წელი გავიდა, მაგრამ მე და ნატა ჯორიდან ვერ ჩამოვედით, შესარიგებლად პირველი ნაბიჯის გადადგმას არც ერთი არ ვკადრულობთ,

„მეუღლის ტელეფონში საეჭვო მესიჯებს ვპოულობ...“

ცოლი:

„გამარჯობა. თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. ამჯერად მსურს, ჩემი გულისტკივილი გაგანდოთ. აქამდე მეგონა, რომ ძალიან ტკბილი და მყარი ოჯახი მქონდა, მაგრამ დეკემბრიდან მოყოლებული, მეუღლის ტელეფონში უკვე სამჯერ ვიპოვე საეჭვო მესიჯი. პირველად რომ წავიკითხე, იმ ქალბატონს დავურეკე და ვთხოვე აეხსნა, — რა ხდებოდა მასსა და ჩემს მეუღლეს შორის. მან მითხრა, რომ ერთმანეთი რომელიღაც საიტის მეშვეობით გაიცნეს და ტელეფონები გაცვალეს, მერე კი ბოდიში მომიხადა. მაშინ ქალური სისუსტე გამოვიჩინე და არა მარტო იმ ქალბატონს, არამედ მეუღლესაც ყველაფერი ვაპატიე. თუმცა, ხომ იცით, ადამიანს ერთხელ თუ შეეპარება ეჭვი, მერე ყოველთვის შეგამოწმებს და მეც, რამდენიმე ხნის მერე ისევ „გავჩითე“ მეუღლის ტელეფონი და ისევ იმ ქალბატონის მესიჯს წავაწყდი. დავურეკე და... ბოდიში მომიხადა. მითხრა, რომ ეს უკანასკნელად გააკეთა. ჰოდა, მეც დავუჯერე, მაგრამ ამ ერთი კვირის წინ, როდესაც მან ჩემს მეუღლეს ისევ დაუმესიჯა, გავმწარდი და დავემუქრე: იცოდე, ყველაფერს შენს მეუღლეს ვეტყვი-მეთქი. იცით, რა მიპასუხა? — შენ ჩემი ოჯახის დანგრევა გინდა და საამისოდ ყველაფერს აკეთებო ანუ აქეთ მომდო შარი... მინდოდა, მუქარა სისრულეში მომეყვანა, მაგრამ თავი შევიკავე. დარწმუნებული ვარ, მათ ერთმანეთი ჯერ არ უნახავთ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქალბატონი ბათუმელია. ჰოდა, ვიდრე ეს მოხდება, ყველა ბათუმელ კაცს მივმართავ: ცოლებს მიხედეთ, რა. თქვენი აზრით, იმ ქალის მეუღლეს რომ დავურეკო და გავაფრთხილო, ეს ცოდვაში ჩამეთვლება? რჩევებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას!“ ■

P.S. მაშ ასე, თუ ნაიასა და ცოლის წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

სიყვარულის გამო განწირული მეგობრობა

„გადაწყვიტა, ჩემთვის „ლოვე“ „აეხია“...



არადა, დარწმუნებული ვარ, უჩემობა მასაც ისევე სტკივა, როგორც მე — უიმისობა. თავად რატომ არ ვდგამ პირველ ნაბიჯს? — მრცხვენია იმის გამო, რომ მას „ოცნების ბუშტი“ არ დავუთმე და ეს სირცხვილის გრძნობა მოსვენებას არ მაძლევს. იმედია, ოდესმე მივხვდებით, რომ ბავშვურად ვიქცევით და შევრიგდებით, მანამდე კი ნატას თქვენი მეშვეობით მივმართავ: ნატ, მიყვარხარ და იმედია, კაცის გამო ერთმანეთს არასდროს დავუპირისპირდებით. იცოდე, ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ! მერწმუნე, ოდესმე ერთი და იგივე ტიპი თუ მოგვეწონება, მე უკან დავიხევ, რადგან არც ერთი კაცი არ მიღირს იმად, რომ შენ გაწყენინო. გკოცნი, ჩემო მწვანე პრინცესავ (ასე ვეძახდით ერთმანეთს). P.S. დიდი მადლობა „გზას“, რომ დაქალთან შესარიგებლად ერთი ნაბიჯი გადამადგმევინა“.

ნანკა:

„მეც დავკარგე მეგობარი, მაგრამ შევიძინე მეუღლე და ამას არ ვნანობ. იცით, ისეთი დაქალის ყოლას, როგორიც ნინა იყო, სჯობს, მეგობარი საერთოდ არ გყავდეს. ჰოდა, ალბათ ამიტომაც გავიმეტე დასაკარგად. საქმე ისაა, რომ ნინამ, რომელსაც ბავშვობიდანვე ვიცნობდი, რომლის გარეშე საჭმელსაც არ ვჭამდი, გადაწყვიტა, ჩემთვის „ლოვე“ „აეხია“, მაგრამ ეს ვერ მოახერხა; სამაგიეროდ, მიაღწია იმას, რომ დაკარგა ყველაზე ახლობელი ადამიანი (ჩემი სახით) და ის მეგობრები, რომლებმაც ჩემი ღალატი არ ისურვეს. მართალია, ახლა ის დაქალების დეფიციტს არ განიცდის (ახალი დაქალოჩკები გაიჩინა), მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათაც მალე დაკარგავს, ვინაიდან სულით მოღალატეა, ასეთებს კი დიდხანს არ უმართლებთ ხოლმე“.

ლიფსო:

„პირადად მე, გოგოს გამო ძმაკაცს არასდროს დავშორებივარ, მაგრამ რა დროს მე ვარ, როცა ჩემს დაზე უნდა გიამბოთ. მოკლედ, მას ერთი საუკეთესო დაქალი (ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ეძახდა) ჰყავდა. ყოველთვის ერთად იყვნენ, ერთმანეთი მაგრად უყვარდათ და სადაც უნდა წავსულიყავით, თათია მეგობარს ყველგან მოათრევდა. ერთხელ ჩემი და უბნიდან გახარებული ამოვიდა. ვკითხე: ასე რამ გაგახარა-მეთქი? მიპასუხა, — ერთი ბიჭი შემხვდა. ის მაგარი საყვარელია და ძალიან მომეწონა. დარწმუნებული ვარ, მას შენ იცნობ და გამაცანიო. — კარგი-მეთქი. ცოტა ხანში კარზე ზარი დარეკეს. თათიას დაქალი გახლდათ და ცხადია, შინ შემოვიპატიჟეთ. ისიც გახარებული შემოვარდა: — ერთი ბიჭი დავინახე, მაგრად მომეწონა და მგონი, შემიყვარდა კიდეცო. გოგონებმა „კომპიდან“ ამაგდეს და ინტერნეტსივრცეში იმ ბიჭებს დაუწყეს ძებნა... როცა აღმოაჩინეს, რომ თურმე, ერთი და იგივე პიროვნება მოეწონათ, ლამის გაგიჟდნენ, მერე კი თათიამ დაქალს დაუთმო: — ეს ბიჭი შენი იყოსო (სრულებით არ მგავს. მის ადგილას, მე არ დავთმობდი)... იმ ბიჭს მართლა ვიცნობდი და რამდენიმე დღის შემდეგ, ის გოგონებსაც გავაცანი. ერთხელ, ჩემი დებილი და შინ აცრემლებული დაბრუნდა, ოთახში ჩაიკეტა და კარს არავის გვიღებდა — მარტოობა მინდაო. ბოლოს, როგორც იქნა, მისი გული მოვიგე და ოთახში შემიშვა, შემდეგ კი იმაშიც გამომიტყდა, თუ ვინ ატკინა გული. თურმე, იმ ბიჭს ჩემი და მოეწონა (თუ შეუყვარდა), დაქალმა კი ამის გამო უსაყვედურა, ეჩხუბა: — ასე როგორ მომექეცი, თავი რატომ შეაყვარე? აბა, შენ რა დაქალი ხარ? ხომ თქვი, მას სხვანაირად არ შევხედავ და ეს როგორ გამიკეთეო?! მისთვის თათიასაც არ დაუკლია: ჯერ ერთი, ის შენთვის მე არ „ამიხეია“ და თანაც, შენ რა დაქალი ხარ, ბიჭის გამო ასე რომ მლანძღავ და მეჩხუბები? ასეთი რამ ჩემზე როგორ იფიქრე? დღეიდან არც შენ მჭირდები და არც ის ტიპიო. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, იმ დღის შემდეგ გოგონები გაბუტულები არიან, დღემდე არ შერიგებულან. P.S. ოჰ, ეს გოგონები, რა...“

ლულუ პაწი (თამო):

„მსგავსი რამ მეც შემემთხვა. მომწონდა ბიჭი, რომლის გამო ლამის და და საუკეთესო მეგობარი დავკარგე. მას მართლა მაგრად ვუგებდი, ლამის შემიყვარდა კიდეც, მაგრამ მის გამო საკუთარ დაზე უარის თქმა არ შემეძლო, დაიკოს გულს ვერ ვატკენდი. საქმე ის არის, რომ ჩემმა რჩეულმა ჩემს დედმამიშვილს ცუდი სიტყვები აკადრა, მე კი თავს ვიიმედებდი, — ადრე თუ გვიან, ერთმანეთს გაუგებენ და ყველაფერს აპატიებენ-მეთქი. ერთ დღეს მეგობრის, მარის ტელეფონიდან „ლოვესთან“ ზარი გავუშვი. ცოტა ხნის შემდეგ მან გადმორეკა და ჩემს დაქალს უწმაწური სიტყვები უთხრა. ეს ვეღარ ავიტანე და დავშორდი. მეორე დღეს მან მარის უარესები მისწერა. გადავურეკე და შეხვედრა ვთხოვე მხოლოდ იმისთვის, რომ საკუთარ გრძნობებში გავრკვეულიყავი. მასთან შეხვედრის შემდეგ მივხვდი, რომ მასზე მეტად და და მეგობარი მიყვარდა და დავშორდი კიდეც. გოგონებო, თქვენც გირჩევთ, რომ კაცის გამო ახლობელი ადამიანები არ დაკარგოთ, ეს უგუნურება იქნება“.

ზურას კნეინა:

„სიყვარულის გამო მეგობარი არა, მაგრამ ნათესავები კი დამემდურნენ. ჰოდა, გვიან მივხვდი, რომ როცა საყვარელ ადამიანსა და ახლობლებს შორის არჩევანი „ლოვეს“ სასარგებლოდ გავაკეთე, შეცდომა დავუშვი, რადგანაც ის ჩემით გაერთო, მერე კი მიმაგდო... საინტერესოა, რატომ ვართ ქალები ასეთი უსუსურები და დაუცველები?“ ■

„სიზმარში ნანახი ადამიანი შემიყვარდა“

ნაია:

„ძალიან გთხოვთ, მირჩიეთ რამე, რადგან ცუდად ვარ და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. უკვე 6 თვეა, სიზმარში სრულიად უცხო ადამიანს ვნახულობ და ვგრძნობ, რომ მას შევეჩვიე, მეტიც — თანდათან მიყვარდება კიდეც; დილით გაღვიძება არ მინდა, მთელი დღე ვცქმუტავ, ერთი სული მაქვს, როდის დაღამდება, რათა დავიძინო და ის ვნახო. მოკლედ, სულ მასზე ვფიქრობ, არადა, ისიც კი არ ვიცი, ეს ადამიანი საერთოდ არსებობს თუ არა... მეშინია, რომ შესაძლოა, ერთ დღეს არც დამესიზმროს და ჩემი ცხოვრებიდან გაქრეს ანუ — სიზმარშიც ვეღარ ვნახო. ძალიან გთხოვთ, რაიმეთი დამეხმარეთ, თორემ ნამდვილად გავგიჟდები...“ ■



სამყარო

დაჩოქილი გერმანელი რეჟისორი, ორ კვირაში ნასწავლი „ვაგნერი“ და საბჭოთა კავშირის პირველი სალომეა

„შენ დაიდგი დედოფლის გვირგვინი და შენი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება ისტორიაში“, — დიდი მაესტროს, ჯანსუღ კახიძის ეს სიტყვები საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ღირსების ორდენოსანს, კონსერვატორიის პროფესორსა და ქართველების საამაყო საოპერო მომღერალს, ქალბატონ ცისანა ტატიშვილს ეკუთვნის. მსოფლიოს საოპერო თეატრების სცენებზე უამრავჯერ და გასაოცრად ამღერებული ეთერი, დონა ანა, ლეონორა, აიდა, დეზდემონა, სალომეა, ებოლი, ამნერისი თითქოს ერთმანეთს შეერწყა, გამთლიანდა და ჯერ მისი სახელობის ვარსკვლავად იქცა, მერე კი — მისივე ბიოგრაფიის ამსახველ წიგნად, რომელიც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ულამაზეს ამბად დარჩება... მიხარია, რომ დღეს უმშვენიერეს ქალბატონ ცისანას ვსტუმრობ და ფინჯან ყავასთან მისი ცხოვრების ამბებს ვისმენ.

ირმა ხარშილაძე

— ადამიანს ასაკი რომ ემატება, განვლილ ცხოვრებას გადახედავს ხოლმე და...

— (*მაწყვეტინებს*) მე ვცდილობ, არ გადავხედო. წარსულში დაბრუნება არ მიყვარს, მას არ ვუღრმავდები, რადგან ვიცი, გამიძნელდება, ეს მტკივნეული იქნება; ძალიან ლამაზი წლები გავიარე, მაგრამ მერე დიდ ტკივილს შევეჯახე: უდროოდ დავკარგე საყვარელი ძმა, რომელიც საკუთარ თავს მერჩივნა (*ცრემლი მოერია*), შარშან კი მეუღლეც გარდამეცვალა. წარსულზე ამიტომაც აღარ ვფიქრობ, თითქოს დინებას მივყვები.

— მაშინ, ახლახან გამოცემულ ბიოგრაფიულ წიგნზე ვისაუბროთ. თქვენი ცხოვრების გზას ჟურნალისტი და ხელოვნებათმცოდნე კახა ლაზარიშვილი უთქვენოდ ვერაფრით აღწერდა.

— კახამ ჩემს ცხოვრებაში დიდი სიხარული შემოიტანა. არაჩვეულებრივი პიროვნებაა, საოპერო ხელოვნების დიდი ქომაგი და იმედია, ამ სიტყვებს პირფერობად არ მიიღებს... ეს ჩემი პირველი ბიოგრაფიული წიგნია, თანაც სამ — ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა. რასაკვირველია, კახას მასალა მე მივაწოდე, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, თავად ჩემს ყველა სპექტაკლს დასწრებია და მართლაც, სრულყოფილი წიგნი გამოუვიდა. მისი მადლიერი ვარ. ასევე ძალიან ვემადლიერები ბატონ გურამ ქაშაკაშვილს, რომლის თანადგომითაც გამოიცა ეს წიგნი. იცით, რა ინტერესით წავიკითხე?!.

— საკუთარმა ცხოვრებამ დაგაინტერესათ?

— უფრო იმან, კახამ როგორი ცისანა ტატიშვილი დაინახა (*ღიმის*). საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის არასდროს ვყოფილვარ და ჩემს შემოქმედებას ყოველთვის კრიტიკულად ვაფასებდი. კახამ კი შეიძლება, რაღაც გაზვიადა კიდეც...

— მეეჭვება... ასეა თუ ისე, განვლილი ცხოვრების გადახედვა და თუნდაც, ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდების გახსენება ახლაც მოგიწევთ.

— რა გაეწყობა... ძალიან საინტერესო ოჯახი მქონდა, მაგრამ ვინ დაგვაცადა ცხოვრება?! მამის გაცნობაც კი ვერ მოვასწარი! თვითონ ერთადერთხელ მნახა: როცა დავიბადე, სამშობიაროში მოსულა, შინ დაბრუნებული კი დაუჭერიათ და მას შემდეგ აღარავის უნახავს. დედაზე 20 წლით უფროსი იყო. ბეჟანი ერქვა და ძალიან ლამაზი კაცი ყოფილა. საქართველოში ჯერ სამხედრო კომისრად მუშაობდა, შემდეგ კი სახელმწიფო უნივერსიტეტში სამხედრო კათედრას ხელმძღვანელობდა. მიამბობდნენ: მოხდენილი სამხედრო ნაბიჯით რომ მიუყვებოდა „ზემელს“, ქალები ფანჯრებიდან ყვავილებს აყრიდნენო. დედა — ქეთევან ზანდუკელიც ულამაზესი მყავდა, მაგრამ ფოტოზე მათი გამორჩეული სილამაზე არ ჩანს — ორივე ცუდად გამოდიოდა და ამიტომაც იყო, რომ დედა ფოტოებს მალავდა: მამაშენი

ცხოვრებაში უნდა გენახაო! მას ქმარი ისე უყვარდა, რომ მეორედ არც გათხოვილა და მე და ჩემი ძმა — გოგი მარტომ გაგვზარდა. მამას კი სულ ველოდებოდით. ვიღაცები მოდიოდნენ, იმედით გვავსებდნენ, — ცოცხალია, ვნახეთო და თითქოს მისთვის მისატანად, სახლიდან რაღაც ნივთები მიჰქონდათ. სინამდვილეში, თურმე გვატყუებდნენ და გვქურდავდნენ, მამა კი კარგა ხნის დახვრეტილი ჰყავდათ... ამბების გახსენებას მთხოვთ? მაშინ ფოტოსთან დაკავშირებულს მოგიყვებით. მეც საშინლად გამოვდივარ ფოტოზე. მახსოვს, 23 წლის ასაკში, კონსერვატორიის სტუდენტს ხარკოვში, საკავშირო კონკურსზე მგზავნიდნენ, რომლის გამარჯვებულიც საზღვარგარეთ უნდა გაეშვათ. სხვათა შორის, იმ კონკურსში ელენა ობრაზცოვა და ვლადიმირ ატლანტოვიც მონაწილეობდნენ. ჩასვლამდე ერთი დღით ადრე ფოტოს გაგზავნა მომთხოვეს და მეც, ალექსანდრეს ბაღში სახელდახელოდ გადავიღე. დაბეჭდილ ფოტოს რომ დავხედე, გული გამისკდა — ასეთი სიმახინჯე ცხოვრებაში არ მენახა: 2 ცხვირი, 2 ნიკაპი — მოკლედ, საოცრება იყო, მაგრამ არჩევანი არ მქონდა და მაინც გავგზავნე; მერე მეც ჩავედი და კონკურსზე გამოვცხადდი. ჟიურის თავმჯდომარე ირინა არხიპოვა იყო, ერთ-ერთი წევრი კი — პეტრე ამირანაშვილი. სცენაზე ძალიან ლამაზ ფორმაში გავედი: გაშლილი თმა მიხდებოდა, ლამაზი კაბა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მეცვა, თუმცა მანამდე... მოკლედ, ფოტო რომ მიუღიათ, აღშფოთებულან: ეს სიმახინჯე სცენაზე გამოსვლას როგორ ბედავსო?! პეტრე ამირანაშვილს თვალისჩინი აკლდა და ფოტო წესიერად ვერც გაურჩევია, მაგრამ „სიმახინჯის“ გვარის გაგონებაზე ჩაღიმებია. გვარის გამოცხადებისთანავე კულისებიდან გავედი და, — თქვენ არა, შემდეგი გამოვიდესო, — დამიძახა ჟიურიმ. გავბრუნდი. კვლავ ჩემი გვარი გამოაცხადეს, ისევ გავედი და, — თქვენ არა, შემდეგიო. მოკლედ, სამჯერ გამომიძახეს და გამაბრუნეს უკან. საბოლოოდ მიხვდნენ, რომ მე — მე ვიყავი და მამღერეს, მერე კი ლოჟაში მიმიხმეს: ეს რა ფოტო გამოგვიგზავნე ან ვინ გადაგიღო, ასეთი ლამაზი ქალი როგორ დაგამახინჯაო (*იცინის*)?!

— **ყველაზე დიდი სიხარული რომელმა გამოსვლამ მოგანიჭათ?**

— „ტოსკა“, „აიდა“, „ტრუბადური“ და ა.შ. რა სპექტაკლიც მითამაშია და რა არიაც მიმღერია, ყველა მიყვარდა, ყველა დიდ სიხარულს მგვრიდა... მაგრამ არ მავიწყდება გერმანელი რეჟისორი ჰერმან ვედეკინდი, რომელიც თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე რიჰარდ ვაგნერის „მფრინავ ჰოლანდიელს“ დგამდა და მუხლებზეც კი დამიჩოქა, ისე შემევედრა, ამ სპექტაკლში მემღერა, მაგრამ მე ვუარობდი, რადგან სპექტაკლზე მუშაობას ასრულებდნენ, უკვე საორკესტრო ნაწილზე გადადიოდნენ და სწორედ ამ დროს შემომთავაზეს სენტას პარტია, ვაგნერის უმოკლეს დროში სწავლა კი თითქმის შეუძლებლად მიმაჩნდა: უდიდესი ზომის კლავირი იყო და პარტია არ ვიცოდი. ვედეკინდი მიცნობდა, თბილისსა თუ გერმანიაში გამართულ მის სპექტაკლებში მანამდეც მიმღერია და გამორჩეულად უყვარდა ჩემი ხმა; და არა მარტო მას — გერმანიაში ჩემი ხმით აღფრთოვანებული მსმენელ-მაყურებელი დარბაზში ფეხების ბაკუნითა და პიჯაკების ფრიალით გამოხატავდა ხოლმე აღტაცებას, სცენაზეც კი მიხტებოდნენ... მოკლედ, ვედეკინდმა მაინც დამიყოლია და ორ კვირაში ვისწავლე სენტას პარტია რუსულადაც და გერმანულადაც. იცით, როგორი კმაყოფილი ვიყავი?! განა იმით, რომ ძალიან კარგად ვიმღერე, არამედ იმით, რომ ეს შევძელი!.. მაგრამ ცხოვრების ამბავი ხომ იცით? სიყვარულსა და აღიარებას ზოგჯერ, გულგატეხილობაც თან ახლავს. მახსოვს, 1964 წელს თბილისის საოპერო თეატრში ახალმისულს, როგორც პროფესიულად უვარგისს, თეატრიდან მაგდებდნენ. ლირიკულ-დრამატული სოპრანო ვიყავი, იქ კი ძალიან მაღალ ხმას მამღერებდნენ და ალბათ ამიტომაც ვერ აღმიქვეს სათანადოდ. ჯანსუღ კახიძემ გამაფრთხილა, — გიშვებენო, მაგრამ მებრძოლი ბუნება არა მაქვს და ამის თავიდან ასაცილებლად ხელიც არ გამინძრევია; გული კი ძალიან მეტკინა, მაგრამ არც მიტირია. ჯანსუღმა, პეტრე თომაძემ და შოთა კიკნაძემ თენგიზ მუშკუდიანს, იმხანად უკვე აღიარებულ არტისტსა და პოპულარულ ადამიანს სთხოვეს დახმარება. სწორედ თენგიზმა მიშუამდგომლა საოპერო თეატრის დირექტორთან, არჩილ ჩიმაკაძესთან, რომელსაც თურმე, მოსმენილიც არ ვყავდი, ისე გაიზიარა სხვების აზრი.

გოგი ჩემი გამორჩეული მეგობარი იყო

მანანა ასათიანთან და მეუღლესთან ერთად

ქეთევანთან, გიორგისთან და ბეჟანთან ერთად

ჩემი მოსმენის შემდეგ კი თენგიზს მადლობაც გადაუხადა იმისთვის, რომ „გამოუსწორებელი შეცდომა“ არ დააშვებინა. მოკლედ, თეატრში დამაბრუნეს... მეხანძრის შტატით (*იცინის*), რადგან სხვა შტატი არ ჰქონდათ. ერთ თვეში „აბესალომ და ეთერში“ ეთერის პარტია შევასრულე, რასაც პეტერბურგის მარიის თეატრის მთავარი რეჟისორის, ემილ პასიკოვის მიერ დადგმული მოცარტის „დონ-ჟუანში“ დონა ანას პარტია მოჰყვა და ასე დაიწყო ჩემი წარმატებული კარიერა. უამრავი ქვეყანა მოვიარე, სად არ ვიმღერე, სად არ მთხოვდნენ დარჩენას, მაგრამ ყოველთვის შინ — საქართველოში ვბრუნდებოდი... დაუვიწყარი იყო ურთულესი პარტია შტრაუსის „სალომეადან“, რომელსაც მსოფლიოში მხოლოდ ორი ვარსკვლავი მღეროდა — ბრიგიტ ნილსონი და მონსერატ კაბალიე; მესამე, საბჭოთა კავშირში კი პირველი სალომეა მე აღმოვჩნდი. ჩემს მოსასმენად პეტერბურგიდან და რუსეთის სხვა ქალაქებიდან ჩამოდიოდნენ თაყვანისმცემლები, სალომეაზე წერდნენ ჟურნალ-გაზეთებში — ეს იყო ჩემი შემოქმედების ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი.

— რა შეგრძნებაა, როდესაც ასეთი ძლიერი ხარ — ამდენი თაყვანისმცემელი გყავს, უდიდესი რეჟისორები გიჩოქებენ?

— აბა, რა გითხრათ?.. მახსოვს, მაინის ფრანკფურტის უდიდეს და ულამაზეს საოპერო თეატრში „ტოსკას“ სამღერლად თავად გერმანელებმა მიმიწვიეს ანუ „გოსკონცერტი“ არ ჩაურევიათ. არც იცოდნენ, ეს რა ორგანო იყო, მისი გვერდის ავლით კი ფაქტობრივად, საზღვარგარეთ ვერავინ მიდიოდა. იმ თეატრშიც საბჭოთა კავშირიდან ჩამსვლელი პირველი მომღერალი ვიყავი. მახსოვს, აეროპორტში ჩემმა მეგობარმა ქალმა გამაცილა და დამშვიდობებისას ორცხობილას შეკვრა გადმომიგდო, — დაგჭირდებაო. 30 საბჭოთა მანეთის მეტი ფული არ მქონდა, გატანის უფლებას არ გვაძლევდნენ. ჩავფრინდი ფრანკფურტში და აეროპორტში რომ დამხვდნენ, მეგონა, როგორც სხვა გამოსვლებისას, აქაც მომცემდნენ ავანსს, მაგრამ — სულ ტყუილად, არადა, მშიერ-მწყურვალი ვიყავი; სასტუმროს რესტორანში ვერ შევიდოდი, ფული არ მქონდა, ქალაქშიც რატომღაც, ყველაფერი დაკეტილი იყო და, ორცხობილა გამახსენდა. მოკლედ, სამი დღის განმავლობაში შინიდან წაღებულ ყავასა და ჩაისთან ერთად — დილას, შუადღესა და საღამოს თითო ორცხობილას მივირთმევდი, არადა, „ტოსკას“ შესრულებას ცხენის ძალა და ენერგია სჭირდება. მესამე დღეს, ფაქტობრივად მშიერი გავედი სცენაზე და ღმერთს შველას ვთხოვდი. არაჩვეულებრივი „ანტურაჟი“ დამხვდა: ულამაზესი სცენა და შესანიშნავი პარტნიორები, მეც საუცხოო კოსტიუმი ჩამაცვეს და ისე გამოვიყურებოდი, რომ შიმშილის არაფერი მეტყობოდა (*იცინის*). უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და... ძალიან კარგად ვიმღერე. სპექტაკლის დასრულებისთანავე საგრიმიოროში ხუთი ადამიანი შემომივარდა. ისინი გერმანიის სხვადასხვა ქალაქიდან იყვნენ და აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ, — ასეთი ხმა ცოცხლად არასდროს მოგვისმენიაო. მთხოვეს, — იქნებ ზეგ მიუნხენში ელეონორას პარტია („ტრუბადურში“) იმღეროთო. — დიდი სიამოვნებით, მაგრამ ჯერ „გოსკონცერტში“ უნდა დავრეკო-მეთქი, — ვუპასუხე. — ეგ რა არის, კაგე-ბეაო? — გაოცებით მკითხეს (*იცინის*). მე რასაკვირველია, დავრეკე „გოსკონცერტში“ და ქალის ხმამ მოკლედ მომიჭრა: ხვალვე დაბრუნდით, თორემ ვერასდროს ვეღარსად გაემგზავრებითო! რას ვიზამდი? გერმანელებს უარი ვუთხარი და გაგიჟდნენ: როგორ, თქვენ თავისუფალი არა ხართ, გეშინიათ?! დრამატული სოპრანოს ყველა პარტიას გამღერებთ, პირველი მომღერალი იქნებით, მილიონერი გახდებით, ოღონდაც დარჩითო, მაგრამ დარჩენა გამორიცხული იყო: თბილისში ჩემს ოჯახს საშინელ დღეში ჩაეგდებდნენ. იმ გამოსვლის ჰონორარი — 5.000 დოლარი ავიღე და გამოვემგზავრე. ჯერ მოსკოვში, „გოსკონცერტში“ გამოვცხადდი ჰონორარიანად. იქ თავისი წილი დაიტოვეს, მე კი თბილისში 200 დოლარით გამომისტუმრეს...

— ალბათ შეუძლებელია, ასეთი ბობოქარი ცხოვრების პარალელურად მშვიდი პირადი ცხოვრების მოწყობა...

— შესანიშნავი მეუღლე მყავდა — უნიჭიერესი ფერმწერი, აკადემიკოსი გოგი თოთიბაძე, რომელიც 10 წლის განმავლობაში სამხატვრო აკადემიის რექტორი გახლდათ. ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებდით, ვეხმარებოდით, ხელს ვუწყობდით. გოგი ჩემი გამორჩეული მეგობარი იყო. ის ჩემს ყველა პრემიერას ესწრებოდა, ერთიც არ გაუცდენია და მეც დიდ სიამოვნებას მანიჭებდა მისი გამოფენების დათვალიერება. ჩვენ სრული ჰარმონია გვქონდა. ძალიან ვახლობლობ გოგის შვილებთან, რომლებიც ასევე, ძალიან კარგი მხატვრები არიან...

— თეატრიდან რატომ წამოხვედით? თქვენ ხომ ჩვეულ, კარგ ფორმაში იყავით!

— თეატრიდან 11 წლის წინ წამოვედი: ჯანსუღ კახიძემ კონტრაქტის გასაგრძელებლად რომ დამიძახა, ხელი არ მოვუწერე. მანამდე ძალიან საინტერესო კონცერტები უნდა მქონოდა ინგლისში, იქიდან კი საფრანგეთში უნდა წავსულიყავი, მაგრამ 1991 წლის თბილისის ომმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა და მეც, ვეღარ გავფრინდი. მერე და მერე ომებისგან, არეულობებისგან სულიერად ისე დავუძლურდი, რომ სიმღერის სურვილი დავკარგე... გული არაფერზე მწყდება. ასეთი იღბალი მქონია და ნერვიულობით რას შევცვლი?! ღმერთის მადლიერი ვარ ჩემი წარმატებებისთვის, განვლილი გზისთვის; იმისთვის, რომ შესანიშნავი მშობლები და ძმა მყავდა, მყავს არაჩვეულებრივი ძმისშვილები ქეთევანი და ბეჟანი, ძმისშვილიშვილი გიორგი და რძლები. მართლაც, ყველაფრით ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემი ძმა და მეუღლეც გვერდით რომ მყავდნენ.

■

1832 წლის შეთქმულება

მიხეილ ლაბაძე

რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდგომ, როდესაც ახალმა დამპყრობლებმა საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიაც უკანონოდ გააუქმეს (1811 წელს) და ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენლები რუსეთში გადაასახლეს, ქართველი ხალხის უკმაყოფილებამ პიკს მიაღწია. 1812 წელს, როდესაც რუსეთში ნაპოლეონი შემოიჭრა, კახეთში იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც ერეკლე II-ის ძე — ალექსანდრე ბატონიშვილი ედგა სათავეში. მართალია, გამარჯვების ალბათობა დიდი იყო, თუმცაღა აჯანყებულები მაინც დამარცხდნენ, რადგან რუსულ ჩინ-მედლებს დახარბებულმა ქართველი თავადაზნაურობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მათ მხარი არ დაუჭირა. ალექსანდრე ბატონიშვილმა თავი ჯერ დაღესტანს, მერე კი ირანს შეაფარა.

პარალელურად, დაძაბული სიტუაცია სუფევდა დასავლეთ საქართველოში — იქ იმერეთის მეფე, სოლომონ II აქტიურობდა და ცდილობდა, რუსების წინააღმდეგ მოკავშირეები ოსმალეთსა და ევროპაში ეპოვა. მან შეიარაღებული აჯანყების წამოწყება ორჯერ სცადა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. 1815 წელს სოლომონ II ტრაპიზონში გარდაიცვალა. იმ დროისათვის რუსებს იმერეთშიც მყარად ჰქონდათ მოკიდებული ფეხი, თანაც — სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროთა მესვეურებიც ოფიციალურად, მათი მოკავშირენი იყვნენ. ასე რომ, მარტოოდენ იმერეთში შეიარაღებულ აჯანყებას აზრიც კი ეკარგებოდა. 1828 წელს, რუსეთმა ძალდატანებით შეიერთა გურიის სამთავროც, რომლის მმართველი სოფიო გურიელი ოსმალეთში გაიქცა. საბოლოოდ, XIX საუკუნის 30-იანი წლებისთვის სანქტ-პეტერბურგმა მთელი საქართველო დაიკავა და მის ყველა კუთხეში წინააღმდეგობის კერები სხვადასხვა გზით მოსპო. შესაბამისად, ისეთი ვითარება შეიქმნა, თითქოს შეიარაღებულ აჯანყებაზე ფიქრიც კი სისულელე იყო, მაგრამ ქართველი პატრიოტები იმედს არ კარგავდნენ — ისინი მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ, რათა ბრძოლა ისევ გაეჩაღებინათ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმხანად ქართველი საზოგადოებრიობა რუსულ სახელმწიფო სისტემაში მთლიანად ინტეგრირებული გახლდათ, მაგრამ ბევრი მიიჩნევდა, რომ რუსებისათვის 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების „შეხსენება“ მაინც აუცილებელი იყო. გარდა ამისა, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები, რომლებსაც ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტზე გარკვეული პრეტენზიები ჰქონდათ, გულხელდაკრეფილი ჯდომას ნამდვილად არ აპირებდნენ — უკვე ყველა მიხვდა, რომ რუსებთან ურთიერთობაში უმნიშვნელო რაიმის დათმობაც კი საქართველოს მომავლისათვის მეტად სახიფათო იქნებოდა. ამავდროულად, პრობლემას ქმნიდა ისიც, რომ რუსეთის საპირწონედ პატრიოტები, ხშირად, ისევ სპარსეთს და ოსმალეთს მოიაზრებდნენ, ეს კი მათ პოპულარობაზე უარყოფითად მოქმედებდა — ქართველთა უდიდეს ნაწილს ორივე ქვეყანა კვლავინდებურად, საქართველოს მოსისხლე მტრად მიაჩნდა და მათთან კავშირს ისევ რუსთა უღელქვეშ ყოფნა ერჩივნა.

აქედან გამომდინარე, ქართველი პატრიოტების წინაშე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა იდგა — მათ მოკავშირეები უპირატესად, ევროპაში უნდა მოეძებნათ — ანუ დღევანდელი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ: პოლიტიკური ორიენტირები უნდა შეეცვალათ. სხვათა შორის, ეს იმხანად არც ისე ადვილი იყო, რადგანაც, როგორც წესი, საქართველოს ევროპასთან პირდაპირი კონტაქტების დამყარება არც კი შეეძლო — ამ მიზნით ან ოსმალეთი უნდა გამოეყენებინა, ან რუსეთი. სწორედ ამიტომაც, ქართველთა უმეტესობას ამ უკანასკნელი ქვეყნის წინააღმდეგ გამოსვლა არც მეტი, არც — ნაკლები, ეროვნული ინტერესების უგულებელყოფად მიაჩნდა. მოკლედ, ქართველები მიიჩნევდნენ, რომ რუსეთთან ყოფნის გარდა, სხვა გზა არ ჰქონდათ. სინამდვილეში, ასე სულაც არ იყო, მაგრამ იმხანად, ამის დანახვა ჭირდა, რადგან საქართველოში პრორუსულად განწყობილთა რაოდენობა მოწინააღმდეგეებისას დიდად აღემატებოდა.

სხვათა შორის, ისიც აღსანიშნავია, რომ თვით ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც იმ პერიოდში სპარსეთში იმყოფებოდა, რუსეთის იმპერატორს წერილებსაც სწერდა, — თუკი 1783 წლის ტრაქტატის პირობების თანახმად, მეფედ მაღიარებთ, ბრძოლას შევწყვეტო; ესე იგი, რუსეთთან კავშირის გაწყვეტა, ფაქტობრივად,



შეთქმულთა „მემარცხენე ფრთის“ მეთაური სოლომონ დოდაშვილი

მასაც არ სურდა. რასაკვირველია, სწორედ ეს იყო იმის უმთავრესი მიზეზიც, რომ აჯანყებები მარცხით დასრულდა და ფართო საზოგადოებრიობაში ბრძოლისუნარიანობა ჩაკვდა. სამწუხაროდ, ალექსანდრე ბატონიშვილი საკმაოდ გვიან მიხვდა, რომ წარმატებისთვის რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა იყო საჭირო, თუმცა იმ დროისათვის მას ახალი აჯანყების წამოსაწყებად ძალა აღარ ეყო.

ასე რომ, 1832 წლის შეთქმულება, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას ისახავდა მიზნად, თავიდანვე დასამარცხებლად იყო განწირული, ვინაიდან, ჯერ ერთი, მის მესვეურებს ეფექტური სამოქმედო გეგმა არ ჰქონდათ და მეორეც — მთავარ მოკავშირეებად რუსი დეკაბრისტები მიაჩნდათ, რომლებსაც იმ ხანებში რუსი საზოგადოებრიობა დიდად თანაუგრძნობდა, რადგან გარკვეულწილად, ლიბერალური აზროვნებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ კავკასიისა და ზოგადად, არარუსულ მხარეთა მიმართ ისეთივე ველიკოდერჟავული შეხედულებები ჰქონდათ, როგორიც ცარიზმის მესვეურებს და პირადად იმპერატორს. მიუხედავად ამისა, დეკაბრისტები ცდილობდნენ, დასაყრდენი რუსეთის არარუს მოსახლეობაშიც მოეპოვებინათ და ამიტომაც იყო, რომ ქართველებს, პოლონელებს, უკრაინელებს, ფინელებს თუ ბალტიისპირელებს მხარდაჭერას ჰპირდებოდნენ. სანქტ-პეტერბურგში მყოფ



მამა ფილადელფოსის შექმნილი „საიდუმლო ანბანი“, რომლითაც შეთქმულები მიწერ-მოწერისას სარგებლობდნენ

ქართველ სტუდენტთა ერთ ნაწილს სწორედ ამ დაპირებამ გადააწყვეტინა, რუსეთისთვის საყოველთაო აჯანყების გზით 1783 წლის ტრაქტატის პირობების შესრულება ეიძულებინა, რაც ცხადია, ქართლ-კახეთში მეფობის აღდგენას გულისხმობდა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იანი წლების შუახანებში, პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წარმომადგენლები იმხანად რუსეთში იძულებით მცხოვრებ ქართლ-კახეთის უფლისწულებს — დიმიტრი იულონის ძესა და ოქროპირ გიორგის ძეს დაუკავშირდნენ და შეიარაღებულ აჯანყებაზე დაიწყეს მსჯელობა. თუმცა, 1825 წლის დეკემბერში, თავად რუსეთში „დეკაბრისტთა“ ანტიცარისტული გამოსვლის სისხლში ჩახშობამ, შეთქმულთა თავდაპირველი გეგმები შეცვალა — მათ გადაწყვიტეს, მოეცადათ მანამ, ვიდრე ხელსაყრელი ვითარება არ შეიქმნებოდა. 1827-28 წლებში, როდესაც ერთი მხრივ, რუსეთ-სპარსეთის ომი მიმდინარეობდა, მეორე მხრივ კი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობაც გართულდა, შეთქმულების ცენტრმა თბილისში გადმოინაცვლა — სანქტ-პეტერბურგიდან დაბრუნდნენ ახალგაზრდა პატრიოტები: სოლომონ დოდაშვილი და ბერი ფილადელფოს კიკნაძე, რომლებმაც სულ მალე, იმჟამინდელი ქართველი საზოგადოებრიობის გამოჩენილი წარმომადგენლები — გენერალ-ლეიტენანტი, ცნობილი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ასევე გენერალი და პოეტი გრიგოლ ორბელიანი, მისი ძმა ვახტანგ ორბელიანი, ზაალ ავთანდილაშვილი, თეიმურაზ ამილახვარი, დავით ჯორჯაძე, ზაქარია ჩოლოყაშვილი და სხვანი შემოიკრიბეს. შეთქმულთა „ტფილისის დარაზმულობას“ (ასე უწოდებდნენ თავიანთ საიდუმლო გაერთიანებას) ხელმძღვანელობდა სამეული — ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი და სოლომონ დოდაშვილი; მთავარი თეორეტიკოსი კი ბერი ფილადელფოს კიკნაძე იყო: მან 1828 წელს შეადგინა შეთქმულების წესდება, ე.წ. „აკტი გონიური“, რომელიც ძირითადად, სამოქმედო კონსპირაციულ მეთოდებს განსაზღვრავდა და ფართო საზოგადოებაში შეთქმულთა ქცევას მკაცრ ჩარჩოებში აქცევდა.

მიუხედავად ამისა, არც ბერ ფილადელფოს კიკნაძესა და არც სხვა რომელიმე შეთქმულთაგანს არ შეუდგენია ყველაზე მნიშვნელოვანი რამ — აჯანყებისა და მის შემდგომ ქმედებათა დეტალური გეგმა; შეთქმულები მხოლოდ ზეპირად შეთანხმდნენ, რომ წარმატების შემთხვევაში, საქართველო კონსტიტუციური მონარქია გახდებოდა. ამასთან, მათი ერთი ნაწილი მომავალ მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილს მოიაზრებდა, მეორე ნაწილი — ტახტის სხვა მემკვიდრეებს. თითქმის ყველა შეთქმული მიიჩნევდა, რომ რუსეთის იმპერიასთან კავშირის გაწყვეტა არ შეიძლებოდა — ამ ქვეყანასთან საქართველოს ურთიერთობა 1783 წლის ტრაქტატის პირობათა მიხედვით უნდა წარმართულიყო. ამიტომაც, 1832 წლის შეთქმულება იმ დროის რუსულ წყაროებში „ქართველ ავტონომისტ თავად-აზნაურთა შეთქმულებად“ იწოდება.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის პოლონური ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, შლიახტიჩი (თავადი) ადამ ეჟი ჩარტორიისკი, რომელიც სანქტ-პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ უფლისწულებს კარგად იცნობდა, თავის მემუარებში წერდა, რომ იმხანად ქართველთა უმთავრესი მიზანი 1783 წლის ტრაქტატის პირობების ამოქმედება იყო, ხოლო სრულ დამოუკიდებლობაზე პრეტენზია არც ჰქონდათ: „საოცარი ის იყო, რომ ქართველ უფლისწულებს რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტაზე რატომღაც ფიქრიც არ სურდათ... ისინი აჯანყებას აპირებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ სანქტ-პეტერბურგს მათი კანონიერი უფლებები ეცნო, საქართველო და კავკასია კი კვლავინდებურად, რუსეთის პროტექტორატის ქვეშ უნდა დარჩენილიყო“, — აღნიშნავდა ჩარტორიისკი და იქვე იმასაც მიუთითებდა: ქართველებს შორსმჭვრეტელობა რომ გამოეჩინათ და რუსეთის მფარველობაზე აღარ ეფიქრათ, მართლაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწევდნენო.

აღსანიშნავია ისიც, რომ შეთქმულებს იმერეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის თავადაზნაურობასთანაც ჰქონდათ კავშირი; მეტიც: ცნობილია, რომ მათ სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი და აფხაზეთის მთავრის, მიხეილის ძმა — თავადი კონსტანტინე შერვაშიძე დიდ დახმარებას უწევდნენ. ისინი მზად იყვნენ, რომ აჯანყების წარმატებით დასრულების შემდგომ თავი უწინდებურად, ბაგრატიონთა ვასალებად ეცნოთ. სხვათა შორის, კონსტანტინე შერვაშიძეს შეთქმულებთან ურთიერთობით პირადი ჩანაფიქრის მიღწევაც სურდა — ის აფხაზეთის სამთავროს ტახტის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდა და ცდილობდა, ალექსანდრე ბატონიშვილისაგან (რომელიც მაშინ მეფობის ყველაზე რეალურ კანდიდატად მიიჩნეოდა) შესაბამისი გარანტია მიეღო. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, შეთქმულებს მხარდამჭერები მთელ საქართველოში მრავლად კი ჰყავდათ, მაგრამ თანამედროვე ტერმინები რომ გამოვიყენოთ, მოქმედების დეტალური გეგმის უქონლობის გამო, მათი კოორდინირება ვერ მოახერხეს. ამის გამო, აჯანყების მზადების შესახებ ბევრმა შეიტყო და მამა ფილადელფოსის თავგანწირულ მცდელობათა მიუხედავად, შეთქმულთა რიგებში რუსთა აგენტურამაც შემოაღწია.

აგენტთა გარდა, შეთქმულთა ქმედებას შიდა დაპირისპირებაც აფერხებდა — 1830 წლიდან, მათ რიგებში აშკარად გამოიკვეთა ორი ფრთა: მემარჯვენენი, რომელთა დიდ ნაწილს თავადაზნაურობა შეადგენდა და მემარცხენენი, რომლებიც ძირითადად, მდაბიო წარმოშობისანი იყვნენ; პირველნი — თავად ალექსანდრე ორბელიანის მეთაურობით, მიიჩნევდნენ, რომ საქართველო რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიური სამეფო უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორენი — სოლომონ დოდაშვილის მეთაურობით, საქართველოში რესპუბლიკური წყობის დამყარებას მოითხოვდნენ. ძალზე უმნიშვნელო იყო ე.წ. „ცენტრისტთა“ რაოდენობა, რომელთა აზრით, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის საკითხი მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო, როცა აჯანყება წარმატებით დასრულდებოდა და რუსეთი იძულებული გახდებოდა, ქართველთა

გრიგოლ ორბელიანი

მოთხოვნები შეესრულებინა; „ცენტრისტებს“ ცნობილი გენერალი და პოეტი, გრიგოლ ორბელიანი თავკაცობდა. აქვე დავძენ, რომ სწორედ დაპირისპირებამ და ცხარე კამათმა არ მისცა შეთქმულებს იმის საშუალება, რომ 1830-1831 წლებში, როდესაც რუსეთის უღელქვეშ მყოფ პოლონეთში აჯანყებამ იფეთქა, თავადაც ამოქმედებულიყვნენ.

საბოლოოდ, რუსეთის იმპერიის მესვეურებმა პოლონეთის აჯანყება სხვა არარუსულ მხარეებშიც სისხლში ჩაახშვეს და „ტუზემცების“ კონტროლი გაამკაცრეს. ასე რომ, შეთქმულები იძულებულნი გახდნენ, აჯანყების დაწყების თარიღი კიდევ ერთი წლით გადაეწიათ — გადაწყდა, რომ შეიარაღებული გამოსვლები 1832 წლის დეკემბრის დასაწყისში დაწყებულიყო, მანამდე კი შეთქმულთა მთავარმა თეორეტიკოსმა, ბერმა ფილადელფოსმა თავის რამდენიმე ხელქვეითს რუსული არმიის გამოჩენილი ქართველი მაღალჩინოსნების გადმობირება დაავალა, რათა ამ უკანასკნელთა მეშვეობით, აჯანყებულთა მოქმედება უფრო ორგანიზებული ყოფილიყო. შეთქმულები დავალების აღსრულებას შეუდგნენ და, იმ დროს მოქმედ არმიაში მყოფი ზოგიერთი ქართველი წარმატებით გადმოიბირეს; ამას უდავოდ, ხელი შეუწყო იმანაც, რომ შეთქმულებაში იმთავითვე ჩაბმულნი იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და სხვა თავადები, რომელთაც მოქმედ არმიაში მრავალრიცხოვანი ნაცნობობა ჰყავდათ. თუმცა, ნათქვამია, — კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო და მართლაც ასე მოხდა: 1832 წლის ნოემბრის ბოლოს შეთქმულება გამოაშკარავდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიიჩნევა, რომ შეთქმულება მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ — იესე ფალავანდიშვილმა გასცა, თუმცა უფრო სარწმუნო ჩანს ვარაუდი, რომ იგი ასე განზრახ არ მოქცეულა: მას სურდა შეთქმულებაში ჩაება საკუთარი ძმა — ნიკო ფალავანდიშვილი, იგივე ფალავანდოვი, რომელსაც მთავარმართებლის ადმინისტრაციაში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა. ამდენად, გამცემად სწორედ ეს უკანასკნელი უნდა ჩაითვალოს, რადგან რუსებს ყველაფერი მან აცნობა. ცხადია, რეაქციამაც არ დააყოვნა — მთავარმართებლის საიდუმლო განკარგულებით, დაპატიმრეს იესე ფალავანდიშვილი, რომელმაც არაადამიანურ წამებას ვეღარ გაუძლო და საბოლოოდ, ყველაფერი თქვა. მისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რუსებმა შეთქმულების სხვა მონაწილეები — სულ 145 კაცი დააკავეს. სავარაუდოა ისიც, რომ როცა შეთქმულთა დაპატიმრება დაიწყო, საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით, რუსებს ბევრმა ქართველმა მიაწოდა სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რამაც რასაკვირველია, შეთქმულთა მთელი კონსპირაციული ქსელი გაანადგურა.

შეთქმულების მთავარი თეორეტიკოსის — მამა ფილადელფოსის დაპატიმრება მთავარმართებელმა, გენერალ-ადიუტანტმა გრიგორი როზენმა გენერალ რეუტს მიანდო, რომელიც თავისი სისასტიკით საყოველთაოდ ცნობილი გახლდათ. რეუტმა 1832 წლის ადრიან გაზაფხულზე ქვათახევის მონასტერს (რომლის საძმოშიც იყო მამა ფილადელფოსი) 200 კაცით ალყა შემოარტყა და შიგ მყოფ ბერებს წყალი გადაუკეტა. მამა ფილადელფოსი მონასტრიდან მაშინვე გამოვიდა და შესძახა: „საძმოს ნურას ერჩით, აქა ვარ და, წამიყვანეთ!“ სხვათა შორის, რუსებს თან ახლდა საქართველოს ეგზარქოსი მოსე (ბოგდანოვ-პლატონოვი), რომელმაც მამა ფილადელფოსს ჯვარი ჩამოჰგლიჯა და კვერთხი უთავაზა. ბერი არ დაბნეულა — ეგზარქოსს ჯვარი გამოსტაცა და გულზე მიიკრა. საბოლოოდ, მას ყელზე თოკი გამოაბეს, თოკის მეორე ბოლო კი ერთ-ერთმა ჯარისკაცმა უნაგირზე დაიმაგრა და ბერი 32 დღის განმავლობაში, შუამთიდან თბილისამდე ფეხით ატარეს, შემდეგ კი სხვა შეთქმულებთან ერთად, ავლაბრის ყაზარმაში მოათავსეს. მიუხედავად იმისა, რომ სასტიკად იყო ნაწამები, ფილადელფოს კიკნაძემ ყველა დაკავებული მოინახულა და დაარიგა, თუ როგორი ჩვენება უნდა მიეცათ რუსებისათვის. ყაზარმის ადმინისტრაციამ ეს ამბავი შეიტყო და ფილადელფოსი განცალკევებით, კარცერში მოათავსა, სადაც ბერი მძიმედ დაავადდა და რვათვიანი პატიმრობის შემდეგ, 1833 წელს, 40 წლის ასაკში, იქვე გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შესახებ საპატიმროს მკურნალი ნიკოლსკი საგამომძიებლო კომისიას აცნობებდა: „ფილადელფოს კიკნაძე კუჭისა და ნაღვლის ანთებით ავად გახდა 25 აგვისტოს. მკურნალობის შედეგად კი გამოჯანსაღდა, მაგრამ 2 სექტემბერს ღამით ტანისამოსი მოიშორა და დაავადება გაუმძაფრდა ისე, რომ ძლიერმა საამისო საშუალებებმაც არავითარი შესაბამისი გავლენა არ იქონია. ამის გამო ნაღვლისა და კუჭის ანთებით გარდაიცვალა სექტემბრის 5-ს, ნაშუადღევის 9 საათზე“.

P.S. 1832 წლის შეთქმულების სხვა მონაწილეთა მიმართ იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა მოწყალება გამოიჩინა და მათ მინიმალური სასჯელი აკმარა, რადგანაც იმხანად, ჩრდილო კავკასიის დაპყრობაში არაერთი ქართველი მაღალჩინოსანი მონაწილეობდა, რომლებიც რუსეთს ერთგულად ემსახურებოდნენ და ნიკოლოზ I-ც თავისი იმპერიული ზრახვების დასაყრდენს ისევ საქართველოში ხედავდა; ამიტომაც, სასამართლო პროცესიდან რამდენიმე წლის შემდეგ ყველა შეთქმული სამშობლოში დაბრუნდა, მათ შორის არ იყო მხოლოდ სოლომონ დოდაშვილი, რომელიც შორეულ ვიატკაში, ტუბერკულოზით გარდაიცვალა. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. ურდუ პაკისტანის ოფიციალური ენაა.

2. უჯუნგპანდანგი ქალაქი-ნავსადგურია ინდონეზიაში.

3. ფასტნახტშპილი გერმანული ხალხური სათეატრო ჟანრია.

4. ცოცოლთა სოფელია ყაზბეგის რაიონში, თრუსოს ხეობაში.

5. ფადლა კახეთის მთავარი და ქორეპისკოპოსი იყო (IX საუკუნეში).

6. სიარულის დროს ადამიანის ტერფის სიგრძე 10-12 მილიმეტრით იზრდება.

7. 1 კგ რძის წარმოსაქმნელად ძროხის ცურში 500 ლიტრმა სისხლმა უნდა გაიაროს.

8. „ინგლისურ-სვანური ლექსიკონი“ ჯონ ოლივერ უორდროპმა ოქსფორდში, 1911 წელს გამოსცა.

9. ცისარტყელას ფერების სიკაშკაშე წვიმის წვეთების ზომაზეა დამოკიდებული; რაც უფრო მსხვილია წვეთები, მით უფრო კაშკაშაა ცისარტყელა.

10. უფიცი სურათების სახელმწიფო გალერეაა ფლორენციაში. იგი 1575 წელს, მედიჩების საგვარეულო კოლექციის ბაზაზე შეიქმნა.

11. იაკობ გოგებაშვილი მთაწმინდის პანთეონში საფლავიდან ამოთხრილი ბოლშევიკის, სიმონ ჯუღელის ადგილზე დაასაფლავეს.

12. საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიაში სტატია „ცინიზმი“ ასეთი სიტყვებით მთავრდება: „კომუნისტური ზნეობა უპირისპირდება ცინიზმის ყოველნაირ გამოვლინებას“.

13. აზერბაიჯანის კულტურის ყოფილი მინისტრი, მომღერალი და მსახიობი ფოლად ბიულ-ბიულ ოღლი დღეს საკუთარი ქვეყნის ელჩია რუსეთში.

14. გულაბი საქართველოში გავრცელებული ენდემური მსხლის ჯიშია. არატრანსპორტაბელური, მაღალხარისხოვანი სუფრის ჯიშია. ხე ინტენსიურად იზრდება, მაგრამ მოსავალს გვიან, მყნობიდან 8-10 წლის შემდეგ იძლევა.

15. იშტვან I უნგრეთის პირველი ქრისტიანი მეფე იყო. მან დიდი როლი ითამაშა უნგრეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში, რისთვისაც წმინდანად შერაცხეს.

16. II მსოფლიო ომის დროს, როცა ინგლისელები უკვე გერმანიის ტერიტორიაზე იბრძოდნენ, გერმანელებმა ინგლისურად მოლაპარაკე საკუთარ სპეცრაზმელებს ამერიკელ მაღალჩინოსანთა ფორმა ჩააცვეს, ამერიკულ ჯიპებზე დასვეს და მტრის ზურგში გადაისროლეს. ამ ამბავმა ინგლისელთა შორის ისეთი არეულობა გამოიწვია, რომ მათ ამერიკელი

ახალი რეკორდი ავტომობილით ხტომაში

„ინდი-500“-ის სახელით ცნობილი რბოლის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამართულ ფესტივალზე კასკადიორმა და ტელეგადაცემა Top Gear-ის ამერიკული ვერსიის წამყვანმა, ტენერ ფაუსტმა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ავტომობილით სიგრძეზე ხტომაში. შოუ ორგანიზებული იყო სათამაშო მანქანების მწარმოებელი Hot Wheels-ის მიერ, ხოლო თავად ღონისძიება ავტოდრომ „ინდიანაპოლის მოტორ სპიდვეიზე“ ჩატარდა.

სპეციალურად ამ ტრიუკისთვის შექმნილი ავტომობილის გაქანება ფაუსტმა 27 მეტრის სიმაღლეზე მდებარე რამპაზე დაიწყო. დაშვების შემდეგ კასკადიორმა 305-მეტრიანი სწორი მონაკვეთი გაიარა, რომლის ბოლოშიც ტრამპლინი იყო. შედეგად, მანქანამ მთელ სარბოლო ტრეკზე 101,2 მეტრი იფრინა და მეორე რამპაზე წარმატებულად დაეშვა. ამ აქციაზე ფაუსტმა ავტომობილით ხტომის წინამორბედი რეკორდი 9,45 მეტრით გააუმჯობესა. ტენერ ფაუსტი სპორტის ექსტრემალური სახეობების — X-Games — შეჯიბრებების ოქროს მედლის სამგზის მფლობელია, ასევე, Formula Drift-ის ორგზის გამარჯვებულიცაა. ფაუსტი კასკადიორის რანგში, ისეთ ფილმებში მონაწილეობდა, როგორებიცაა: „ბორნის ულტიმატუმი“, „სამმაგი ფორსაჟი: ტოკიოს დრიფტი“, „სულელები ჰაზარდიდან“. ■

„ფოლკცვაგენის“ ტიუნინგ-მოდელები

ფესტივალ Worthersee Tour-ზე, რომელიც ავსტრიაში ჩატარდა და „ფოლკცვაგენის“ ტიუნინგ-მანქანებს მიეძღვნა, გერმანულმა მწარმოებელმა ჰეჩბეკ Golf GTI-ის ბაზაზე შექმნილი კაბრიოლეტის პროტოტიპი წარადგინა. ამ ეტაპზე, აღნიშნული ავტომობილის შესახებ არავითარი ოფიციალური ცნობა არ არსებობს. გამოქვეყნებული ფოტოების მიხედვით, კაბრიოლეტს გაგანიერებული ბორბლების თაღები და ახალი წინა სპოილერი აქვს, ხოლო უკანა ნაწილში ბამპერი და გამომშვები სისტემა შეიცვალა. გარდა ამისა, კაბრიოლეტი VW Golf GTI დიდი, შავ-ვერცხლისფერი ბორბლების დისკებით აღჭურვეს, რომლებიც დიზაინით Audi RS3-ზე დაყენებულ დისკებს მოგვაგონებს. კაბრიოლეტის გარდა, გერმანულმა კონცერნმა Worthersee Tour-ის ფესტივალზე ჰეჩბეკ Golf GTI-ის სპეციალური მოდიფიკაცია — Edition 35 — წარადგინა. ასეთ მანქანას 235 ცხ. ძალამდე ფორსირებული 2-ლიტრიანი ტურბოძრავა აქვს და სალონის, ექსტერიერის მოდერნიზებული გაფორმებითაც გამოირჩევა. ღონისძიებაზე საზოგადოებას ავტომობილ VW Golf R-ის ღია ვერსია და ამავე მოდელის ორი კონცეპტუალური ტიუნინგ-ფორმაც უჩვენეს. ■

Megane RS „რენოსგან“

კომპანია „რენომ“ გაავრცელა ვიდეორგოლი, რომელშიც ახალი ჰეჩბეკის — Megane RS — გამოცდა და ნიურბურგრინგის ტრასაზე საუკეთესო დროის ჩვენების მცდელობაა აღბეჭდილი. ზოგიერთი მონაცემით, ეს ავტომობილი სატრეკო R26.R-ის იდეოლოგიურ მემკვიდრედ იქცევა და მას მიმდინარე წლის 17 ივნისს წარმოადგენენ. ახალი თაობის ჰეჩბეკ Megane RS-ის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია 2009 წლის მარტში გავრცელდა. ავტომობილი 2-ლიტრიანი, 250 ცხ.ძ. მქონე ძრავათი და

სიჩქარის გადაცემათა 6-სიჩქარიანი მექანიკური კოლოფითაა აღჭურვილი. წინასწარი მონაცემებით, ვიდეორგოლზე აღბეჭდილი ახალი მოდიფიკაცია მოდერნიზებული შასითა და ფორსირებული ძრავათი დაკომპლექტდება. წინა თაობის სატრეკო Megane R26.R მსუბუქი ძარათი, 18-დუიმიანი ბორბლების დისკებითა და სარბოლო საბურავებით იყო აღჭურვილი. ამ მოდელმა 2008 წელს ნიურბურგრინგის ტრასაზე სერიული წინაამძრავიანი მანქანებისთვის რეკორდი დაამყარა, როდესაც ტრეკი 8 წუთსა და 16,9 წამში დაფარა. ■

„აუდის“ ღია სუპერავტო

კომპანია „აუდიმ“ ღია სუპერავტოს — R8 — ყველაზე მსუბუქი და მძლავრი მოდიფიკაციის შესახებ გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია. ამ მანქანას GT Spyder ჰქვია. სიახლე ისევე, როგორც სტაციონარულსახურავიანი მანქანა, შეზღუდული ტირაჟით, სულ 333 ეგზემპლარად გამოვა. როდსტერის მასა 85 კგ-ით, 1640 კგ-მდე შეამსუბუქეს. ასეთ მაჩვენებელს ზემსუბუქი მაგნიუმით დამზადებული ძრავას, ასევე ძარას უკანა პანელების, წინა და უკანა სპოილერის, უკანა ბამპერის, გაძლიერებული ნახშირპლასტიკური პოლიმერისგან შექმნილი მოტორის სათავსის სახურავის ხარჯზე მიაღწიეს. ამ ელემენტების ჯამით კონსტრუქტორებმა მანქანა 5,5 კგ-ით შეამსუბუქეს. გარდა ამისა, ავტომობილის წონა სამუხრუჭე მექანიზმების მოდერნიზაციის, უფრო მსუბუქი ბორბლების დისკებისა და განსხვავებული სავარძლების დამონტაჟების შედეგად 31,5 კგ-ით შეამცირეს. სიახლე 10-ცილინდრინი, 5,2-ლიტრიანი, 560 ცხ.ძ. მქონე ძრავათია აღჭურვილი, რომელიც R-tronic-ის სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი რობოტიზებული

კოლოფით მუშაობს. მწარმოებლის მონაცემებით, 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარეს როდსტერი 3,8 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 317 კმ/სთია. როდსტერის მსუბუქი სახურავი 19 წამში იხურება, თანაც — ამ ოპერაციის შესრულება 50 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობის დროსაც არის შესაძლებელი. Audi R8 GT-ის კარბონ-კერამიკისდისკებიანი მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმები, სპორტული რეჟიმის სტაბილიზაციის სისტემა და მისი სრულიად გამორთვის შესაძლებლობა, ასევე — 19-დუიმიანი ბორბლების დისკებიც (წინიდან 235/35, ხოლო უკნიდან 295/30 ზომის ბორბლებით) ერგო. გერმანიაში ახალი სუპერავტოს ფასი 207.800 ევრო იქნება. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ᲫᲔᲛᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲝᲛᲛᲣᲠ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ

გენერალი ბრედლიც კი დაეკავეს, გაჩხრიკეს და დოკუმენტები შეუმოწმეს, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ იგი მტრის მიერ არ იყო შემოგზავნილი. ინგლისელებმა საბოლოოდ, ამერიკულ სამხედრო ფორმაში გადაცმული ყველა დივერსანტი დააკავეს და დახვრიტეს.

17. „ყოველთვის იმოქმედე სახელმწიფოს პირველი პირის დახმარებით. იქეცი შინაურ კაცად ხელისუფლების დერეფნებში. საგულდაგულოდ გაათვერე ფული. შენიღბე საკუთარი მიზნები ამაღლებული იდეებით და შექმენი წარმატების ილუზია ნებისმიერ სიტუაციაში“, — უყვარდა თქმა მილიონერ ბიზნესმენსა და განთქმულ კოლექციონერ არმანდ ჰამერს.

18. გეტინგენში სწავლისას, ნილს ბორი ერთხელ ცუდად მოემზადა კოლოკვიუმისათვის და მისი მოხსენება სათანადო დონეზე ნამდვილად არ აღმოჩნდა. თუმცა ბორი არ დაიბნა და გამოსვლის დასასრულს განაცხადა: „მე აქ იმდენი ცუდი მოხსენება მოვისმინე, რომ შეგიძლიათ ჩემი გამოსვლა ერთგვარ შურისძიებად ჩათვალოთ“.

19. სამარყანდის მმართველი, ასტრონომი და მათემატიკოსი მუჰამად დარაღაი ულუღ ბეგი თემურ ლენგის შვილიშვილი გახლდათ. მან სამარყანდის ახლოს ობსერვატორია ააგო, რომლის ბადალი მაშინდელ მსოფლიოში არ მოიპოვებოდა. მუსლიმანმა სასულიერო პირებმა და ფეოდალებმა მას მწვალებლობა დააბრალეს და მოკლეს, ობსერვატორია კი დაანგრიეს.

20. ერთ მიღებაზე არფის ცუდმა დამკვრელმა ყველას მოაბეზრა თავი, მას მხოლოდ დიოგენე აქებდა. გაკვირვებული სტუმრების კითხვაზე, თუ რით დაიმსახურა უნიჭო მუსიკოსმა დიოგენეს ქება, ფილოსოფოსმა უპასუხა: „იმიტომ ვაქებ, რომ უნიჭობის მოუხედავად, მაინც განაგრძობს თავის საქმიანობას და ლუკმა პურის საშოვნელად ქურდობას არ კიდებს ხელს“.

21. ერთხელ ერთმა კაცმა სირაკუზელ ტირან დიონისეს უთხრა, — შეთქმულებათა გამოაშკარავების საიდუმლო ხერხი ვიცი და შემიძლია, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ გაგიმხილოო. იგი დიონისესთან ერთად ცალკე ოთახში განმარტოვდა და უთხრა: „როცა აქედან გავალთ და კვლავ შენი კარისკაცების გარემოცვაში აღმოვჩნდებით, ყველას გასაგონად ბრძანება გაეცი, ჯილდოდ 100 ტალანტი გადმომცენ და შენი ხელქვეითები იფიქრებენ, რომ ასეთი ხერხი მართლაც გასწავლე“. ამგვარი გამჭრიახობით აღფრთოვანებულმა დიონისემ უყოყმანოდ გასცა დასახელებული თანხა.

ფაქოს უცნაური ჩვევა

ის პროფესიით ჟურნალისტია, მაგრამ ვიცნობთ, როგორც იუმორისტს. როცა დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე, მიპასუხა, — პრაღიდან დღეს ჩამოვედი, აზრზე მოსვლა მაცალე და ხვალ შეგხვდებიო. პირობა შეასრულა — „ერუდიტის“ სტუმარი ლევან გოგორელიანი, იგივე ფაქო გახლავთ. მას ბავშვობაში ერთი უცნაური ჩვევა ჰქონია — თურმე იმ წიგნს, რომლის წაკითხვასაც სკოლაში ავალებდნენ, ხელს არ ჰკიდებდა. დღეს ამას თავისებურ ახსნას უძებნის და ამბობს, რომ ჩარჩოში მოქცევა არ უნდოდა. ის თანამედროვე ქართველი ავტორების შემოქმედებას ნაკლებად იცნობს. იყო პერიოდი, როცა მათემატიკით გახლდათ გატაცებული, მაგრამ ამ მეცნიერებისადმი ინტერესი მალე გაუქრა.

„არ მინდოდა, ჩარჩოში მოვქცეულიყავი“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— პრაღაში რატომ და ვისთან ერთად წახვედი?

— იქ ყოველწლიურად ტარდება კლუბური ფესტივალი და თემო მჟავიასთან ერთად, სწორედ ამ ფესტივალზე დასასწრებად წავედი, უკან კი საოცრად ნასიამოვნები დავბრუნდი.

— ყველაზე მეტად რამ მოგხიბლა?

— მთელი დედამიწა იქ იყო და სხვათა შორის, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ერთმანეთის მიმართ საოცარ სითბოს ამჟღავნებდნენ; გაბრაზებული სახე არ დამინახავს, ყველა ბედნიერი იყო. ფესტივალი ჰოკეის დიდ მოედანზე ტარდება. ყველა თეთრ ტანსაცმელშია გამოწყობილი (სხვა ფერის სამოსით არ შეგიშვებენ); იკრიბებიან ცნობილი დიჯეები და ისეთი გარემო იქმნება, როგორიც კლუბში. პრაღაში სულ 5 დღე ვიყავით და სამშობლოში დადებითი ენერგიით დამუხტული დავბრუნდი.

— „თქვენმა შოუმ“ გაამართლა? კონკურენტ არხზე საკმაოდ რეიტინგულ „ნანუკას შოუს“ „დაეჯახეთ“.

— მიუხედავად ამისა, მაყურებელი ნამდვილად არ გვაკლია. ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილოები არ ვართ.

— რომელ ჩიტს ადარებენ ახალი საქმის წამომწყებ, სიახლის შემომტან ადამიანს?

— სკუმბრიას.

— სკუმბრია ჩიტია?

— ვიცი, შეცდომით ვთქვი, მერცხალში ამერია.

— მონაწილეობდნენ თუ არა საბერძნეთის ძველ ოლიმპიურ თამაშებში ქალები?

— არა.

— გეოგრაფია კარგად იცი?

— საშუალო დონეზე. აბა, რა უნდა მკითხო?

— რომელი მდინარეები მიედინება მესოპოტამიის დაბლობზე?

— ევფრატი და ტიგროსი.

— სხეულის რა ნაწილში აქვთ ფუტკრებს ნესტარი?

— ჩემთვის ფუტკარს არაერთხელ უკბენია. უკანა ნაწილში აქვს. აუ, როგორ ვთქვა (*იცინის*)?

— კუდზე აქვს.

— ამ კითხვაზე პასუხს არ ჩამითვლი?

— ჩაგითვლი. რა ჰქვია შევარდენის ნაშიერს?

— რაღაც უცნაურ სახელს ეძახიან, ვერ ვიხსენებ.

— ნარდი ჰქვია.

— ნარდი? ეს პირველად მესმის, სხვა რაღაც მეგონა.

— რომელია ყველაზე გრძელი მთათა სისტემა მსოფლიოში?

— ჰიმალაი.

— სწორი პასუხია — კორდილიერები. ჰიმალაი მსოფლიოს უმაღლესი მთათა სისტემაა. რა იპოვეს ერთად ჰეკლბერი ფინმა და ტომ სოიერმა?

— განძი.

— პორტუგალია, გერმანია, საფრანგეთი — ამ ქვეყნებიდან, რომელი არ არის ესპანეთის მეზობელი?

— გერმანია.

— რა ერქვა ოლღა ბებიას, ილიკოს და ილარიონის საზიარო ძროხას?

— (*იცინის*) ფაქიზო.

— იმიტომ იცინი, რომ ფაქიზო შენი მეტსახელია, არა? საინტერესოა, ვინ დაგარქვა?

— ეს წლების წინ მოხდა: ადამიანმა, რომელიც ტატუს მიკეთებდა, მითხრა, — რა ფაქიზი კანი გაქვსო. იქვე იყვნენ ჩემი მეგობრები, რომლებმაც ეს სიტყვა აიტაცეს და მას მერე ასე მეძახდნენ.

— არ გააპროტესტე?

— თავიდან — კი, მაგრამ მერე მივეჩვიე. ახლა ყველა ამ სიტყვის შემოკლებულ ვარიანტს ანუ ფაქოს მეძახის.

— ხელზე რა წინადადება გაწერია?

— „მხოლოდ ღმერთს შეუძლია განმსაჯოს მე“. ეს წარწერა 17 წლის ასაკში გავიკეთე. კითხვები გათავდა?

— არა. რა ფერია თეთრი დათვის ტყავი?

— თმა თეთრი აქვს და წესით, ტყავიც თეთრი უნდა ჰქონდეს.

— რომელი წესის მიხედვით მსჯელობ?

— რა, არასწორად ვთქვი?

— თეთრი დათვის ტყავი შავი ფერისაა. ამ ტროპიკული ტყის ფართობი 5 მილიონი კვადრატუ-

ლი კილომეტრია. მისი 60% ბრაზილიაში მდებარეობს, 13% — პერუში. მას „მსოფლიოს ფილტვებს“ უწოდებენ. რომელ ტყეზეა ლაპარაკი?

— წარმოდგენა არა მაქვს.

— ამაზონის ტყეზე. რომელ მხატვარს უწოდებდნენ „შუქჩრდილების დიდოსტატს“?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებ, ის 1606 წლის 15 ივლისს, ქალაქ ლეიდენში, მეწისქვილის ოჯახში დაიბადა. ეს მხატვარი იყო ბაროკოს ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, რომელმაც მთელ ჰოლანდიურ ფერწერაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა, მაგრამ თანამედროვეებმა ვერ დააფასეს და ის უკიდურეს სიღარიბეში გარდაიცვალა.

— მიუხედავად ამ ვრცელი მინიშნებისა, პასუხის გაცემა არ შემიძლია.

— რემბრანდტი. რა უფრო მძიმეა — 1 კგ ბამბა თუ 1 კგ რკინა?

— (*იცინის*) ვერ დამაბნევ, თანაბარია.

— მისი ფერები ყოველთვის ერთნაირი თანამიმდევრობით ლაგდება: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, და იისფერი. რაზეა ლაპარაკი?

— ცისარტყელაზე.

— ქალი და კაცი მიდიან გზაზე. მათ ვიღაც დაემგზავრება და ჰკითხავს, — ერთმანეთის რა ხართო? ქალი უპასუხებს: ამ კაცის დედა ჩემი დედის დედამთილიაო. გამოიცანი, ვინ არიან ერთმანეთისთვის ქალი და კაცი?

— ვაიმე! ძალიან ჩახლართული ამბავია. უნდა დავფიქრდე (*პაუზის შემდეგ*) მამა-შვილი არიან.

— გამოიცანი. ამ ცხოველის სმენა ადამიანისას 4-ჯერ აღემატება, ხოლო ყნოსვა — 37-ჯერ. დაასახელე, რომელ ცხოველზეა ლაპარაკი?

— სპილოზე.

— სპილო საიდან გაგახსენდა?

— ვერ გიპასუხებ.

— სწორი პასუხია ძაღლი. „29 საფეხური“, „რებეკა“, „ჩიტები“, „ადამიანი, რომელმაც ზედმეტად ბევრი იცოდა“ — ვინ არის ამ ფილმების რეჟისორი?

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებ.

— ალფრედ ჰიჩკოკი. „ნუ ხარჯავ ამდენ ძალისხმევას, ყველაფერი საუკეთესო მოულოდნელად ხდება“, — რომელ კოლუმბიელ მწერალს ეკუთვნის ეს სიტყვები?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებ, ის ავტორია რომანებისა: „მარტოობის 100 წელიწადი“, „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“.

— გაბრიელ გარსია მარკესი.

— ეს მოგზაური 1643 წელს, პარიზში დაიბადა. 1671 წელს იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში და დაწერა ვრცელი თხზულება — „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“. თხზულების საკმაოდ დიდი ნაწილი საქართველოსაც შეეხება. წერილობით წყაროებში პირველად სწორედ ამ ნაწარმოებშია მოხსენიებული ქალაქი ზუგდიდი. რომელ ევროპელ მოგზაურზეა ლაპარაკი?

— შარდენზე.

— მსოფლიოს 7 საოცრებიდან ერთ-ერთი — ბაბილონის დაკიდებული ბაღები მეფე ნაბუქოდონოსორ II-მ ააგო. რომელ ქვეყანას ეკუთვნის ტერიტორია, სადაც ეს ბაღი იყო გაშენებული?

— არ ვიცი.

— ერაყს. ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე მოცულობის რომელი ერთეულია ხმარებაში ფასთან მიმართებაში?

— ბარელი.

— ის 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს არმიის პოლკოვნიკი გახდა. მონაწილეობდა ქართული კავალერიის ჩამოყალიბებაში. 1919 წელს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გახდა. წითელი არმიის მიერ თბილისის აღების შემდეგ, თავი დასავლეთ საქართველოს შეაფარა. 1921 წლის 17 მარტს, როცა საქართველო თითქმის მთელმა მთავრობამ დატოვა, ის სამშობლოში დარჩა და მალე შეფიცულთა რაზმი ჩამოაყალიბა. ეს ადამიანი ემიგრაციაში გარდაიცვალა. ვისზეა ლაპარაკი?

— ქაქუცა ჩოლოყაშვილზე.

— „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა/ და ან ცაზე ვარსკვლავები?/ ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?/ ვინ მოგვითხროს მათი საქმე/ უთვალავი, საგმირონ,/ და ან მათზე გადმოსული/ მადლი ღვთისა და მირონი?“ — აკაკი წერეთლის რომელი პოემა იწყება ამ სიტყვებით?

— „თორნიკე ერისთავი“.

— რას ნიშნავს „უშბა“ სვანურად?

— არ ვიცი.

— უკარებას. აზიის ბევრ სასტუმროში მასაჟისტებად ბრმები აჰყავთ. რატომ?

— კლიენტებს რომ არ შერცხვეთ, არა?

— გამოიცანი. რა ერქვა ჯანი როდარის ცნობილი ზღაპრის გმირს?

— ჩიპოლინო.

— ხელოვნების რომელი დარგის წარმომადგენლები არიან გაერთიანებული პენ-კლუბში?

— მწერლები.

— ის მეზღვაურთა ისტორიაში ყველაზე სახელგანთქმული მაშველი, შეუდარებელი მოცურავეა და თავის საქმეში გასამრჯელოს არასდროს იღებს. რაზეა ლაპარაკი?

— ალბათ, დელფინზე, არა?

— ნამდვილად ასეა! რომელ სოფელში დაიბადა გალაკტიონი?

— (*ფიქრობს*) ვეღარ გავიხსენე, მაგრამ ვიცი, რომ ეს სოფელი ვანის რაიონშია.

— ჭყვიშში. ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს, ცეკას ერთ-ერთი გენერალური მდივნის დადგენილებით, საშენი მასალების ეკონომიის მიზნით, საცხოვრებელ სახლებს ჭერის სიმაღლე შეუმცირეს. ვინ იყო ამ დადგენილების ავტორი?

— ხრუშჩოვი.

— ვისი სიტყვებია „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“?

— შოთა რუსთაველის.

— მსოფლიოს რომელ ქრისტიანულ ტაძარშია შემონახული შოთა რუსთაველის ფრესკა?

— ვერ გიპასუხებ.

— იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

— ვააა! ეგ ვიცოდი და როგორ ვერ გავიხსენე, რა...

— დაბოლოს, დაასრულე ლევ ტოლსტოის ცნობილი გამონათქვამი: „სულელური აზრები თავში ყველას მოსდის, მხოლოდ ჭკვიანი ადამიანები...“

— „ჭკვიანებმა იციან, რომ არ უნდა თქვან“.

— შეიძლება ითქვას, რომ მიპასუხე, რადგან გამონათქვამი ასე მთავრდება: „...არ გამოთქვამენ მათ“.

■

რამდენიმე რჩევა დიასახლისებს გარეცხვის წესებთან დაკავშირებით

სარეცხი ფხვნილი და ალერგიული რეაქცია

სინთეტიკური სარეცხი ფხვნილები კარგად რეცხავს, აცილებს ლაქებს და დეზინფექციას უკეთებს თეთრეულს. ყველა გასაყიდი ფხვნილი წინასწარ შემოწმებულია და თუ მათ სწორად იხმართ, არავითარი საშიშროება არ მოგელით... აუცილებლად დაიცავით ინსტრუქცია, რომელიც სარეცხი ფხვნილის ყუთს აწერია. იქ მითითებულია, თუ რა რაოდენობის ფხვნილი უნდა ამოიღოთ. არასოდეს ჩაყაროთ იგი თვალის ზომით: გადაჭარბებულმა დოზამ, შესაძლოა, ალერგია გამოიწვიოს. განსაკუთრებული სიფრთხილე ფეხმძიმე ქალებს მართებთ. ფხვნილი, რომელიც სარეცხი მანქანებისთვის არის გათვალისწინებული, არ გამოიყენოთ ხელით რეცხვისას და არავითარ შემთხვევაში — ჭურჭლის გასარეცხად.

ხელებზე ფხვნილის ნაწილაკების დარჩენისას, მოსალოდნელია კანის სიმშრალე, ქავილი და ანთებაც კი. თუ მიზეზიანი კანი გაქვთ, რეცხვის წინ სპეციალური კრემი წაისვით ან თხელი, რეზინის ხელთათმანები გაიკეთეთ. როცა რეცხვას მორჩებით, ხელები საპნით დაიბანეთ და კანში დამარბილებელი მალამო შეიზილეთ. ფხვნილის ნაწილაკები სასუნთქ გზებში რომ არ შეგეჭრათ, ტაშტში (ან მანქანაში) მისი ჩაყრისას ძალიან ნუ გადაიხრებით. როცა რეცხვას დასრულებთ, აუცილებელია, პირსა და ყელში წყალი გამოივლოთ და სამრეცხაო გაანიავოთ.

თუ ცხვირში გაჭედვის შეგრძნება, ცემინება, ლორწოვანი გამონადენი; ყელში ქავილი, მშრალი ხველა, თვალების წვა და ცრემლის დენა დაგეწყოთ, ეს უკვე ალერგიული რეაქციის ნიშნებია და საჭიროა, მაშინვე შეწყვიტოთ ფხვნილის ხმარება. შემდგომში კი სხვა სარეცხი ფხვნილი ან სულაც მხოლოდ სარეცხი საპონი გამოიყენეთ.

მხედველობაში იქონიეთ, რომ სარეცხი ფხვნილი ქსოვილზე ილექება, ამიტომ (ხელით რეცხვის შემთხვევაში) იგი რამდენჯერმე გაავლეთ ჯერ თბილ, შემდეგ კი ცივ წყალში. ბუნებრივი ქსოვილი უფრო დიდხანს ავლეთ, რადგან ფხვნილი მას უფრო ძნელად შორდება, ვიდრე სინთეტიკურს.

გარეცხვის წესები

ჰაერგამტარობის მხრივ, პირველი ადგილი უჭირავს ბამბას. შემდეგ მოდის, სელის, აბრეშუმის და სინთეტიკური მასალები.

სინთეტიკური და ნატურალური ქსოვილების გაჭუჭყიანების ხარისხის შედარებამ დაგვანახვა, რომ სინთეტიკური ქსოვილისგან დამზადებული ტანისამოსი შედარებით გვიან ჭუჭყიანდება. ამავე დროს, აქვს სტატიკური ელექტროდენის მუხტების დაგროვების უნარი, რის გამოც, მტვრის უმცირეს ნაწილაკებს იზიდავს.

7-10 დღის გაურეცხავი ბამბეულის ჭუჭყის 4-5% ორგანული და მინერალური წარმოშობისაა, რის გამოც ქსოვილის ჰაერგამტარობა შესამჩნევად იკლებს, ამიტომ ბამბის თეთრეული რეკომენდებულია, გაირეცხოს კვირაში ერთხელ; ნატურალური, ნარევი ბოჭკოებისგან დამზადებული ტანსაცმელი ხმარებიდან — მე-2, მე-3 დღეს. ნეილონის წინდები, მამაკაცის სინთეტიკური ქსოვილის პერანგები და ქალის ბლუზები კი სასურველია, ყოველდღე გაირეცხოს.

თეთრეულის ჰიგიენურ თვისებებზე გავლენას ახდენს რეცხვის მეთოდი. თუ რეცხავთ სარეცხი საპნით ხისტ წყალში და გარეცხილს მაშინვე ცივ წყალში ავლებთ, ქსოვილი გაუხსნელი საპნის წვრილი, თეთრი ნაწილაკებით იფარება. ეს ხისტი წყლის ბრალია. მისი დარბილება კი შესაძლებელია საჭმელი და სარეცხი სოდის თანაბარი რაოდენობის ნარევით (1 ჩ/კ ნარევი 1 ლ წყალზე) ან ნიშადურის სპირტით (1 ჩ/კ ნიშადურის სპირტი 1 ლ წყალზე).

რეცხვის ზოგიერთი მეთოდი ცუდად მოქმედებს ქსოვილზე. მაგალითად, მაღალი ტემპერატურა, მექანიკური ზემოქმედება, ხეხვა, გაჭიმვა.

შალსა და აბრეშუმს ტუტის ზემოქმედებით, მაღალ ტემპერატურაზე პენი ეკარგება. ხელოვნური აბრეშუმი (ვისკოზური) წყალში დასველებისას კარგავს სიმაგრეს. ამიტომ ძალზე ფრთხილად უნდა გაირეცხოს და ასევე ფრთხილად გაიწუროს.

სინთეტიკური ქსოვილის ბოჭკოები (ნეილონი, ლავსანი) მაღალ ტემპერატურაზე რბილდება, იწელება და მისგან შეკერილ ტანსაცმელს ფორმა ეკარგება. ამიტომ ეს ქსოვილები 60 გრადუსზე ნაკლები ტემპერატურის წყალში უნდა გარეცხოთ და 100-120 გრადუსამდე გაცხელებული უთოთი გააუთოოთ.

ოჯახურ პირობებში სარეცხი მანქანით სარგებლობისას წინასწარ დაახარისხეთ თეთრეული ფერისა და ქსოვილის მიხედვით.

ბამბისა და სელის ქსოვილები შეიძლება ერთად გაირეცხოს; ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმისგან, ასევე — სინთეტიკური ბოჭკოსგან დამზადებული ქსოვილები კი — ერთად.

შალის ქსოვილები სასურველია, მიიტანოთ ქიმწმენდაში ან ხელით გარეცხოთ. ■

პირველი შთაბეჭდილება რომ შეგინარჩუნოთ...

პირველ პაემანზე კარგი შთაბეჭდილების დატოვება ადვილია, თუმცა, რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, უკვე ჩნდება კითხვა: როგორ მოვიქცე, რომ მას ჩემ შესახებ აზრი არ შეეცვალოს?...

იყავით საინტერესო

თუ ცხოვრებაში რაიმე მისწრაფება, ჰობი ან მიზანი არ გაქვთ, შეიძლება ითქვას, რომ ხანგრძლივი და სერიოზული ურთიერთობისთვის არც ისე საინტერესო ხართ... გაიხსენეთ საინტერესო ეპიზოდები თქვენი ცხოვრებიდან, მოუყევით თქვენი გატაცების შესახებ, დაანახვეთ, როგორი მრავალფეროვანი ცხოვრებით ცხოვრობთ.

ის თავს ბედნიერად ჩათვლის, თქვენნაირმა მხიარულმა, საინტერესო ქალმა მასთან ურთიერთობა რომ გადაწყვიტა...

ეცადეთ სექსუალურად ჩაიცვათ

პაემანზე ყოველთვის ჩაიცვით სამოსი, რომელშიც თავს სექსუალურად გრძნობთ. ამგვარი ჩაცმულობა ემოციურ შტრიხს შემატებს თქვენს განწყობილებას, იქნებით უფრო მიმზიდველი და იდუმალი.

თუმცა ნუ გადააჭარბებთ. წინ ხომ მომდევნო შეხვედრებია, მიეცით მამაკაცს საშუალება, ყოველი ნახვისას თავიდან აღმოგაჩინოთ...

ჯოცნა

აჩუქეთ მას ვნებიანი კოცნა დამშვიდობებისას და ნაზად უსურვეთ ღამე მშვიდობისა... დარწმუნებული იყავით, მთელ ღამეს თქვენზე ოცნებაში გაატარებს.

არაჩვეულებრივი სურნელი

ყურადღება მიაქციეთ და შეეცადეთ გაიგოთ, თუ რომელი სურნელი მოსწონს მას თქვენი სუნამოებიდან... ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანები ერთმანეთს, პირველ რიგში, სურნელით იზიდავენ. გარდა ამისა, ყოველი კოცნისა და ჩახუტების შემდეგ, მის სამოსზე სუნამოს მსუბუქი სურნელი დარჩება და უთქვენოდ ყოფნის დროს, არაერთხელ შეახსენებს თქვენს თავს.

გამოიჩინეთ ინიციატივა

იყავით უფრო მტკიცე და ინიციატივიანი. ნუ დაელოდებით მხოლოდ მის შემოთავაზებებს. თუ უკვე მერამდენე პაემანია, ერთსა და იმავე ადგილას დადიხართ, შესთავაზეთ რაიმე განსხვავებული: ქალაქგარეთ გასვლა, სანაპიროზე გასეირნება, რომანტიკული საღამოს გატარება ღია ცის ქვეშ...

შეაქეთ

შექება მართლაც, უმოკლესი გზაა მამაკაცის გულისკენ — ეს უეჭველია! შეუქეთ დახვეწილი გემოვნება, ახალი პიჯაკი; უთხარით, რომ შესანიშნავად გამოიყურება, რომ სასიამოვნო დროს ატარებთ მასთან ერთად, და რომ საინტერესო და განუმეორებელი პიროვნებაა, რომლის გვერდით ყოფნაც მხოლოდ დადებით განწყობილებას გიქმნით.

ითამაშეთ თქვენი წესებით

დაივიწყეთ წინადადებები: „პირველი არ დავურეკავ!"; „არ ვეტყვი, რას ვფიქრობ!.. თქვენ ხომ თანამედროვე ქალი ხართ! აიღეთ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე, თამამად გამოხატეთ თქვენი სურვილები! თუმცა, ზომიერება აქაც გამოიჩინეთ და ზედმეტი მესიჯებითა თუ სატელეფონო ზარებით თავს ნუ მოაბეზრებთ.

დაიმახსოვრეთ: მამაკაცმა უნდა იცოდეს, რომ მსხვერპლი თქვენ ხართ, მონადირე კი — თვითონ!

■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

სტენოკარდიის მკურნალობა ხალხური საშუალებებით

გულის შეტევის თავიდან აცილების მიზნით, გულის არეში ტკივილის გაჩენისთანავე რეკომენდებულია ერთი კბილი გაფცქვნილი ნივრის გადაყლაპვა. ეს არის ერთჯერადი საშუალება, რომელსაც შეიძლება მივმართოთ ნიტროგლიცერინის არქონის შემთხვევაში.

გაფცქვენით ერთი თავი ნიორი (საშუალო ზომის), დაასხით 2 ჭიქა ქათმის ბულიონი და ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში; დაუმატეთ 2 კონა ოხრახუში და 3 წუთის შემდეგ გაზქურიდან გადმოდგით. ბულიონი გაფილტრეთ, ნიორი და ოხრახუში გახეხეთ, შემდეგ კი ბულიონში აურიეთ. მიღებული მასა დალიეთ დღის განმავლობაში, ჭამამდე 30-40 წუთით ადრე.

5 თავი ნიორი (დასრესილი ფაფის კონსისტენციამდე), 10 გახეხილი ლიმონი და 1 ლ თაფლი კარგად აურიეთ, შემდეგ მოათავსეთ ქილაში და 1 კვირა გააჩერეთ. მიიღეთ 4 ჩ/კ დღეში 1-ჯერ, ჭამამდე 20-30 წუთით ადრე. უნდა ჭამოთ ნელა. ყოველი მომდევნო კოვზი მიიღეთ თითოწუთიანი შუალედის შემდეგ. მკურნალობის კურსი შეადგენს 1,5-2 თვეს.

ერთმანეთში აურიეთ 200-200 მლ ზეითუნის ზეთი და ხორბლის არაყი. მიღებული ნარევი დალიეთ 50 გ-ს ოდენობით, დღეში 3-ჯერ, 3-4 კვირის განმავლობაში.

1 კოვზ შაქრის ფხვნილს დააწვეთეთ 5-6 წვეთი სოჭის ზეთი. მიიღეთ დღეში 1-ჯერ.

ტკივილის დროს გულის არეში შეიზილეთ 10-12 წვეთი სოჭის ზეთი.

გულის არეში სიმძიმის დროს ყოველდღიურად მიიღეთ 3-4 ს/კ გოგრის თესლი.

აიღეთ 7 ს/კ კუნელისა და ასკილის ნაყოფის ნარევი, დაასხით 2 ლ მდუღარე წყალი, დადეთ თბოიზოლირებულ სადგამზე, შეფუთეთ და გააჩერეთ ერთი დღის განმავლობაში. შემდეგ კი გაფილტრეთ, გამოწურეთ სითხით გაჟღენთილი კენკრა და მიღებული ნაყენი მაცივარში შეინახეთ. მიირთვით დღეში ერთი ჭიქა 1-ჯერ, ჭამის დროს, 2-3 კვირის განმავლობაში.

ნედლი შავბალახადან გამოწურეთ წვენი. მიიღეთ 2 ს/კ წყალთან გაზავებული 30-40 წვეთი შავბალახა, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

მწვანე ლობიოს ნედლი პარკიდან გამოწურეთ წვენი და მიიღეთ 2 კოვზი, დღეში 2-3-ჯერ, ჭამის წინ. განსაკუთრებით სასარგებლოა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის.

1 ს/კ დაქუცმაცებულ ვალერიანის ფესვებსა და ფესურას დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი და მთელი ღამე თერმოსში გააჩერეთ. მიიღეთ 0,3 ჭიქის ოდენობით, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე, 2-3 კვირის განმავლობაში.

ერთმანეთში აურეთ 3-3 წილი ტეგანი და ბეგქონდარა, 4 წილი ბარამბო. 1 ს/კ ამ ნარევს დაასხით 1 ჭიქა ცივი წყალი, გააჩერეთ 3 საათი, შემდეგ კი 5 წუთი ადუღეთ და გააჩერეთ 15 წუთის განმავლობაში. მიიღეთ დღეში 1-2 ჭიქა, ყლუპებით.

აურიეთ თითო-თითო წილი ტეგანი, პიტნის ფოთოლი, ვალერიანის ფესვები და ფესურები, 2 წილი ადონისი. 2 ჩ/კ ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი და მიიღეთ დღის განმავლობაში, ყლუპობით.

აიღეთ თანაბარი რაოდენობის ტეგანი, ადონისი, ლავანდას ყვავილები, როზმარინის ფოთლები და აურიეთ. 1 ჩ/კ ნარევს დაასხით 1 ჭიქა წყალი და დააყენეთ. დილა-საღამოს მიიღეთ თითო-თითო ჭიქა ნაყენი.

აიღეთ 2-2 წილი კვლიავი და გველის სურო, 3-3 წილი ვალერიანის ფესვები ფესურებით, ბარამბო და კუნელის ყვავილები, 6 წილი ფითრის ფოთლები. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2 საათი, შემდეგ კი გაფილტრეთ. მიიღეთ დღეში 2 ჭიქის ოდენობით.

აიღეთ 3-3 წილი ლობიოს პარკი, არყის ხის კვირტები, სიმინდის ულვაში, დათვის კენკრის ფოთლები, 2-2 წილი ქაფუნა, შვიტა, რეჰანი. 4 ს/კ ნარევს დაასხით 1 ლ წყალი, გააჩერეთ 12 საათის განმავლობაში, შემდეგ 10 წუთი ადუღეთ და გაფილტრეთ. მიიღეთ 0,5 ჭიქა თბილი ნაყენი დღეში 4-ჯერ, ჭამიდან 1 საათის შემდეგ.

აიღეთ თანაბარი რაოდენობის ტეგანის ფოთლები, არნიკის ყვავილები, კუნელის ყვავილები, ქრისტესისხლა, ფარსმანდუკი. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი და როცა გაცივდება, გაფილტრეთ. მიღებული სითხე სამად გაყავით და მიიღეთ დღის განმავლობაში.

აიღეთ 30-30 გ გაფცქვნილი ნიორი, კუნელის ყვავილები, კუნელის ნაყოფი, ფითრის ფოთლები, შვიტას ნაყოფი, 10 გ არნიკას ყვავილები. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გაცივების შემდეგ კი გაფილტრეთ და მიიღეთ 0,25-0,25 ჭიქა დღეში 3-4-ჯერ.

აიღეთ 2-2 წილი ბარამბოს ფოთლები და კუნელის ნაყოფი, თითო-თითო წილი ვალერიანის ფესვები ფესურებით და შვიტა. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ შეგრილებამდე, შემდეგ კი გაფილტრეთ. მიიღეთ 0.3 ჭიქა დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

მიოკარდიუმის ინფარქტის მკურნალობა ხალხური საშუალებებით

ქვემოთ მოყვანილი საშუალებების მიღება რეკომენდებულია ინფარქტის გადატანის შემდეგ, რეაბილიტაციის პერიოდში.

ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ 1 კგ შტოში და 200 გ ნიორი, დაუმატეთ 100 გ თაფლი, აურიეთ და გააჩერეთ 3 დღე. მიიღეთ დესერტის კოვზით დღეში 2-ჯერ, ჭამამდე.

ერთმანეთში აურიეთ თანაბარი რაოდენობის ახალგამოწურული ხახვის წვენი და თაფლი. მიიღეთ თითო-თითო ს/კ 2-3-ჯერ დღეში.

2-3 დაქუცმაცებულ ხახვს დაასხით 300 მლ თბილი გადადუღებული წყა-

ლი, გააჩერეთ 7-8 საათი, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ 0,5 ჭიქა ნაყენი ჭამის წინ.

ერთმანეთში აურიეთ 1 კგ შავნაყოფიანი ცირცელი და 2 კგ თაფლი. მიიღეთ დღეში 1 ს/კ.

ღეჭეთ ლიმონის ცედრა: იგი მდიდარია ეთერზეთებით და აუმჯობესებს გულის მუშაობას.

ვაშლი ხელს უწყობს ორგანიზმიდან წიდების გამოდევნას, ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს.

დღეში 100-150 გ კურაგა მიირთვით.

ყოველდღიურად მიირთვით ერთი ს/კ თაფლი; შეგიძლიათ გახსნათ 1 ჭიქა თბილ წყალში ან ჭამოთ ხილთან ერთად. თაფლი დადებითად მოქმედებს გულის კუნთზე, აფართოებს გულის სისხლძარღვებს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას.

დაჩეჩქვეთ 100 გ ნიგოზი და აურიეთ 2 ს/კ თაფლში. ეს ნარევი გაყავით სამად და მიიღეთ დღის განმავლობაში. ნიგოზი შეიცავს მაგნიუმს (აქვს სისხლძარღვების გამაფართოებელი და შარდმდენი თვისებები), კალიუმს (ორგანიზმიდან გამოჰყავს ნატრიუმი), რკინას, სპილენძს, კობალტს, თუთიასა და 12 ვიტამინს, რომელიც აუცილებელია ერითროციტების წარმოქმნისათვის.

ინფარქტის გადატანის შემდეგ რეკომენდებულია დღეში ერთი ნუშის გულის ჭამა.

აიღეთ 1 კგ თაფლი, 10 ლიმონი, 5 თავი ნიორი. ლიმონებიდან გამოწურეთ წვენი, დაუმატეთ დასრესილი ნიორი, თაფლი, კარგად აურიეთ და გააჩერეთ ერთი კვირა. მიიღეთ 1 ჩ/კ ნარევი დღეში ერთხელ (განსაკუთრებით რეკომენდებულია ძლიერი ქოშინის დროს).

ერთმანეთში აურიეთ 20 გ ჟენშენის ფესვები და 0,5 თაფლი, გააჩერეთ 1 კვირა, თან — ხშირად-ხშირად ურიეთ. მიიღეთ დღეში 3-ჯერ, მეოთხედი ჩ/კ ოდენობით (განსაკუთრებით კარგია მათთვის, ვისაც ჰემოგლობინი აქვს დაქვეითებული).

100 გ ხორბალს დაასხით წყალი და დადგით თბილ ადგილას; როცა მარცვლებს 1 მმ სიგრძის ამონაყარი გაუჩნდება, გარეცხეთ და გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, დაუმატეთ მცენარეული ზეთი, თაფლი და გემოს გასაუმჯობესებლად სხვა კომპონენტები (ქიშმიში, შავი ქლიავის ჩირი და სხვა). მთელი ულუფა მიირთვით დილით.

1 ჭიქა ასკილის ნაყოფის ნახარშში გაალღვეთ 0,2 გ მუმიო. გაყავით ორად, მიიღეთ დილას და საღამოს. მკურნალობის კურსი შეადგენს 10 დღეს.

გულ-სისხლძარღვთა ელექსირის მოსამზადებლად საჭიროა: 0,5 კგ თაფლი (უმჯობესია მაისის), 0,5 ლ 70%-იანი სამედიცინო სპირტი, შავბალახა, ბერულა, მატიტელა, გვირილა, ვალერიანის ფესვები ფესურებით, კუნელის ნაყოფი. თაფლი და სპირტი ერთმანეთში აურიეთ, გააცხელეთ ძალიან დაბალ ცეცხლზე (თან მუდმივად ურიეთ), ქაფის წარმოქმნის შემდეგ კი გადმოდგით. 1 ლ მდუღარე წყალში გახსენით 1 ს/კ ზემოთ ჩამოთვლილი მცენარეების ნარევი და ჩაასხით თერმოსში. გააჩერეთ 2 საათი, შემდეგ გაფილტრეთ და აურიეთ სპირტისა და თაფლის ნარევთან. პირველ კვირას მიიღეთ დილა-საღამოს, თითო-თითო ჩ/კ, მომდევნო კვირის განმავლობაში კი 1 ს/კ. შეისვენეთ 10 დღე, შემდეგ კი კურსი კვლავ გაიმეორეთ. ეს ელექსირი რეკომენდებულია ათეროსკლეროზის, სტენოკარდიის, ჰიპერტენზიის და იშემიის დროს.

30 გ გახეხილ დინდგელს (პროპოლისი) დაასხით 96%-იანი სპირტი (ისე, რომ დინდგელი დაიფაროს), 1 კვირა გააჩერეთ სიბნელეში (აუცილებლად ოთახის ტემპერატურაზე, რადგან გაცივების შემთხვევაში პროპოლისი კარგავს თავის თვისებებს) და პერიოდულად შეანჯღრიეთ, 1 კვირის შემდეგ კი გაფილტრეთ. ფაფისებურად დასრისეთ 30 გ ნიორი, დაასხით 100 მლ 96%-იანი სპირტი, დადგით ბნელ გრილ ადგილას 10 დღე, პერიოდულად შეანჯღრიეთ, შემდეგ კი გაფილტრეთ. ამ ნარევს დაუმატეთ 2 ს/კ თაფლი, 10 მლ დინდგელის ნაყენი და გულდასმით აურიეთ. მიიღეთ ჭამამდე 30 წუთით ადრე, 1 კოვზ თბილ წყალში ან რძეში შემდეგი ოდენობით გახსნილი ნაყენი:

I დღეს: საუზმემდე — 1 წვეთი, სადილამდე — 2 წვეთი, ვახშმობამდე — 3 წვეთი.

II დღეს: საუზმემდე — 4 წვეთი, სადილამდე — 5 წვეთი, ვახშმობამდე — 6 წვეთი.

ასე უმატეთ თითო წვეთი, მეხუთე დღის ჩათვლით, შემდეგ კი წვეთების რაოდენობა შეამცირეთ ერთით, მეათე დღემდე ანუ საღამოს 1 წვეთის დალევა მოგიწევთ. მეთერთმეტე დღეს დილას, შუადღეს და საღამოს უნდა მიიღოთ 25-25 წვეთი; მეთორმეტედან მეთექვსმეტე დღემდე დაიწყეთ წვეთების მიღება აღმავალი სქემით ანუ მეთორმეტე დღის დილას — 1, შუადღეს — 2, საღამოს — 3 წვეთი; მეცამეტე დღეს: დილას — 4, შუადღეს — 5, საღამოს — 6 წვეთი და ა.შ. უნდა ახვიდეთ 15 წვეთამდე. მკურნალობა გაიმეორეთ 6 თვის შემდეგ.

400 გ დასრესილ ნიორს დაუმატეთ 3,5 ლ რძე, მოხარშეთ დაბალ ცეცხლზე (თავდახურულ ჭურჭელში) მანამ, ვიდრე სითხე 0,75 მოცულობამდე არ ამოშრება, შემდეგ კი გაატარეთ საცერში. მიიღეთ გულის ტკივილის დროს, 0,3-0,5 ჭიქის ოდენობით, ყლუპობით, დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე. შეინახეთ ბნელ, გრილ ადგილას.

მიოკარდიუმის ინფარქტით დაავადების პირველ დღეს რეკომენდებულია 0,5 ჭიქა სტაფილოს წვენისა და 1 ჩ/კ მცენარეული ზეთის დალევა დღეში 2-ჯერ.

ინფარქტის შემდეგ ახალგამოწურული სტაფილოს წვენის მიღება საუცხოო საშუალებაა ძალების აღსადგენად. მისი დალევა შეიძლება 0,5-1 ჭიქის ოდენობით, დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ. რეაბილიტაციის პერიოდში სასურველია სტაფილოთერაპიის შეთავსება კუნელის დაბალკონცენტრაციის ნაყენთან (ჩაის ნაცვლად).

დალიეთ დღეში 2-4 ჭიქა არყის ხის კვირტების წვენი.

ჭარხლის ახალგამოწურული წვენი გააჩერეთ 4 საათი, დაუმატეთ იმავე რაოდენობის თაფლი და მიიღეთ დღეში 3-ჯერ, 3 ს/კ.

ბოლოკის წვენს დაუმატეთ თაფლი და მიიღეთ ჭამის წინ, დღეში 3-ჯერ, 2 ს/კ.

თანაბარი რაოდენობით ჭარხლის, სტაფილოს, ბოლოკის წვენი, თაფლი აურიეთ და მიიღეთ 1 ს/კ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე (3 თვის განმავლობაში).

ყოველდღიურად დალიეთ 2-3 ჭიქა ხურმის წვენი.

დალიეთ თალგამის წვენი თაფლით. თალგამი შეგიძლიათ ჭამოთ ნებისმიერი სახით.

P.S. გულის დაავადებებისთვის სასარგებლო პროდუქტების შესახებ „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით.

■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო.
უკივლია მამალსაო,
მზევ, შინ შემოდიო.
გათენდი, თუ გათენდები,
მზევ, შინ შემოდიო.
მზე დაწვა და მთვარე შობა,
მზევ, შინ შემოდიო.
ჩვენ ვაჟი დაგვბადებია,
მზევ, შინ შემოდიო.
დუშმანსა ქალი ჰგონია,
მზევ, შინ შემოდიო.
ვაჟის მამა შინ არ არი,
მზევ, შინ შემოდიო.
ქალაქს არი აკვნისთვინა,
მზევ, შინ შემოდიო.
ვაჟის მამას მოუხდება,
მზევ, შინ შემოდიო,
თეთრი ჯაბა ატლასისა,
მზევ, შინ შემოდიო.
ცხენზე ჯდომა, ჯირითობა,
მზევ შინ შემოდიო,
ყაბახს სროლა, ბურთაობა,
მზევ, შინ შემოდიო.
მზევ, შემოდი ბაკებსაო,
მზევ, შინ შემოდიო,
ცხვარს დაგიკლავ მაკესაო,
მზევ, შინ შემოდიო!

ხალხური

სახსოვარი

ქართული ანდაზები

- აგრე არ უნდა, თაყაო, შენ რომ მამული გაყაო.
- აგორებული ქვა ხავსს არ მოიკიდებსო.
- ავი კაცი თავის თავის მკვლელიაო.
- ავი ძაღლი არც თითონ შეჭამს, არც სხვას შეაჭმევსო.
- ამღვრეულ წყალში თევზი ადვილად დაიჭირებაო.
- ან ვირი დარჩება, ან ვირის პატრონიო.
- არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდა ხეხო ქვიშითა.
- არმად ნაშოვნი — არმად წახდებაო.

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

ლ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-22, 2011

ლაინი — შინ ნაქსოვი ბამბის თხელი ქსოვილი, ჩვეულებრივ მუქ ლურჯად შეღებილი.

ლაკარტანა (საუბ.) — თხელი, გამხდარი ადამიანი, წვრილი, წერწეტა.

ლაკარტია — სარეველა მცენარე. გლერტა.

ლაკლაკი — იგივეა, რაც ყარყატი.

ლალა სპ. (ძვ.) — გამზრდელი (ჩვეულებრივ მამაკაცი). მომვლელი, მზრუნველი.

ლალაობა (ძვ. და საუბ.) — ვისიმე მოვლა, პატრონობა, გამდლობა.

ლალვა — შუღლი, მტრობა.

ლამი — წყლის დანალექი წმინდა სილა.

ლამბი — იგივეა, რაც ბლანდი (ნემსის შორიშორ ამოგებით ნაკერი).

ლამბი — მშვილდის ბაწარი, — ლარი.

ლამიყლაპია — ერთგვარი ჭაობის ფრინველი.

ლამპასი ფრ. — შარვლის ტოტების გვერდებზე სიგრძივ დაკერებული ფართო ფერადი ზოლი.

ლამუნი — ტრფიალი, ალერსი, მოფერება.

ლამფა — ჭერის თხელი ფიცარი (კოჭებზე ქვემოდან მიკრული).

ლანდშაფტი გერმ. — 1. რაიმე ადგილის საერთო ხედი, პეიზაჟი; 2. დედამიწის ზედაპირის ფორმა.

ლანკანი — იგივეა, რაც ლანგარი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მორიგანი

ეჩხდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა" №48-52, 2010 - №1-22, 2011

მარი ჯაფარიძე

სანდრო წამოხტა და ელვის სისწრაფით ამოიცვა შარვალი; მე კი ისღა მოვასწარი, რომ ტანისამოსს ხელი წამოვავლე და ტუალეტში შევვარდი. კარი საგულდაგულოდ ჩავკეტე თუ არა, ჩაცმა დავიწყე. ვიცოდი, რომ თუ ლევანი მობრუნდა და ახლა კართან ის იდგა, აზრი არაფერს ჰქონდა, მაგრამ შიშველი ხომ ვერ დავრჩებოდი?!

— დიდი ხანია, ჩემს ზურგს უკან ასეთი რაღაცები ხდება? — ლევანის ხმა გავიგონე და კარს ავეკარი, რომ ყველაფერი გამეგონა, რასაც ოთახში ილაპარაკებდნენ. თან ჩაცმას ვაგრძელებდი.

მშვიდად ლაპარაკობდა. თუმცა ამ სიმშვიდის მიღმა რა იმალებოდა, კარგად ვიცოდი. საკუთარ სიძეს — ქალიშვილის ქმარს საყვარელთან ფაქტზე რომ წაასწრებს, ის კაცი რას უნდა გრძნობდეს, იოლი მისახვედრია.

სანდრო ხმას არ იღებდა.

— სანდრო, მარგო სადაა?

— მარგო წავიდა, — მშვიდად უპასუხა.

ეს რამ ათქმევინა? აშკარა ტყუილი თქვა.

— წავიდა?!

— ჰო, ვთხოვე და წავიდა.

— აბა, იქ ვინაა? — ალბათ ტუალეტისკენ მიანიშნა.

— იქ ვინცაა, იმის გამო წავიდა. ვთხოვე, მარტო დავეტოვებინე და გამიგო.

ყოჩაღ, სანდრო, კარგად მოიფიქრა — საკუთარ თავზე აიღო ყველაფერი.

— სანდრო, გინდა დამაჯერო, რომ ისე გაქვს საქმე, სასტუმროს იაფფასიანი ნომერიც ვერ დაგიქირავებია? ასე გიჭირს?.. მარგოს კაბინეტი მაგ საქმისთვის რომ გამოიყენე...

— არა, ლევან, — ხმა უფრო თავდაჯერებული გაუხდა, — იქ მარგოს ნაცნობია, რომელმაც მასთან შემოიარა. კარგა ხანია, ეს ქალი მევასება. ახლა შემთხვევით მოვიდა ისეთ დროს, რომ მეც აქ ვიყავი. მარგოს თვალით ვანიშნე, მარტო დაგვტოვე-მეთქი და გავიდა. ალბათ აქვე, შენობაში იქნება, შორს არ წავიდოდა.

სანდრო ვა-ბანკზე წავიდა — ხომ შეიძლებოდა, ლევანს ტუალეტის კარი შემოეღო?!

— კარგი, გავალ და მარგოს მოვძებნი, — უეცრად გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ მე მაინც არ დავიჯერე, რომ ლევანი სანდროს ბოლომდე ენდო და მისი ნათქვამი ირწმუნა.

ოთახიდან ხმა აღარ ისმოდა, მაგრამ გასვლას არ ვჩქარობდი.

ცოტა ხანში სანდრომ თვითონ შემოაღო კარი.

— წავიდა? — ვკითხე შეშინებულმა. მუხლები მეკვეთებოდა ნერვიულობისგან.

— კი, წავიდა. გესმოდა?

— კი, მაგრამ ვითომ დაიჯერა?

— არ ვიცი. შენს მოსაძებნად წავიდა. ახლა რა ვქნათ?

— ახლა შენ გახვალ, დერეფანს დაზვერავ, მე კი ჩემი კაბინეტის გვერდით რომ კიბეა, იმით ვისარგებლებ და ქვევით ან ზევით წავალ, მერე რამეს მოვიფიქრებ.

სანდრო ოთახში შებრუნდა, მეც სახეზე წყალი შევისხი, რომ აზრზე მოვსულიყავი და უკან მივყევი. დერეფანში გასულმა ირგვლივ მიმოიხედა, მერე ხელი დამიქნია და მეც, ელვის სისწრაფით გავვარდი ოთახიდან და კიბეზე რომ აღმოვჩნდი, სამშვიდობოს თავი მერე დავიგულე. ერთი სართულით ზევით ავედი და დერეფანს გავუყევი. რამდენიმე ოთახიდან ხმა ისმოდა. ერთ-ერთ ღია კარში სამმართველოს უფროსის მდივანი შევნიშნე, რომელიც როგორც ჩანს, უფროსის დავალებას ასრულებდა, სამსახურში გვიანობამდე შემორჩენილიყო და კლავიატურაზე გულმოდგინედ აკაკუნებდა.

— გამარჯობა, — მივესალმე და გავუღიმე.

— გამარჯობა, მარგო, — შევატყვე, რომ ჩემი დანახვა გაუკვირდა.

— შენც გვიანობამდე შემორჩი? — მის წინ, სკამზე ჩამოვჯექი.

— დიახ.

— მეც ვმუშაობ. ყავა მომინდა და თურმე, გამთავებია. მაღაზიაში ჩასვლა ძალიან მეზარება და შენ ხომ ვერ მასესხებ?

— როგორ არა, მოგიდუღებთ კიდეც, — ფეხზე წამოხტა, — თუ გნებავთ, ჩაბრძანდით თქვენთან და ახლავე ჩამოგიტანთ.

— არა, არ გაწვალებ, ბარემ აქვე დავლევ, ოღონდ, ერთი თხოვნა მაქვს: ჩემთან ჩადი, კაბინეტში ლევანის სიძე — სანდრო დაგხვდება. უთხარი, რომ აქ ვარ და ცოტა შემაგვიანდება. რომ დავრეკო, ტელეფონს მაინც არ უპასუხებს. მანამდე ყავა და შაქარი დამიტოვე, მე მოვადუღებ შენთვისაც და ჩემთვისაც.

— არა, თქვენ როგორ შეგაწუხებთ?! — უხერხულად შეიშმუშნა.

— მიდი, მიდი, ნუ გერიდება, — შევაგულიანე და წამოვდექი.

ფინჯნები, ყავა, შაქარი და მადუღარა მაგიდაზე დააწყო და კარიდან შემომძახა, წყალი მაცივარშიაო.

თავი დავუქნიე.

ახლა სანდროს მიხვედრილობასა და მოხერხებულობაზე იყო დამოკიდებული, როგორ გამოიყენებდა იმ ქალს, რომელიც გავუგზავნე. შესაძლოა, ასე სპონტანურად დასახულ გეგმას შედეგი გამოეღო.

გოგონას ცოტა შეაგვიანდა. მივხვდი, რომ შესაძლოა, ქვევით რაღაც ისეთი ხდებოდა, რაც ჩემთვის ხელსაყრელი იქნებოდა. ავნერვიულდი. ალბათ ამის ბრალი იყო, რომ მადუღარა ხელიდან გამივარდა და ქაფქაფა ყავა ფეხებზე გადავისხი. მივიხედ-მოვიხედე და ვერაფერი ვიპოვე ისეთი, რითაც ფეხებს გავიწმენდდი. უფროსის კარი შევაღე და ოთახის ბოლოსკენ — ტუალეტისკენ გავემართე. როგორც იქნა, მოვწესრიგდი, მაგრამ ფეხსაცმელი ვეღარ ჩავიცვი, რადგან ერთი ფეხი ძალზე დამეწვა და თასმამ საშინლად მატკინა. უკან გამობრუნებულმა მაგი-

დას ჩავუარე და თვალი გადავავლე. მარჯვენა კუთხეში დოკუმენტების დასტა იდო, რომელზე მიკრულმა ფოტომაც ადგილზე გამაქვავა — მასზე საშა ამოვიცანი. ქაღალდებს თვალი გადავავლე. მის შესახებ ყველა ინფორმაცია იყო მოძიებული, მის ქვეშ კი მეორე იდო, რომელსაც ჩემი ფოტო ჰქონდა დართული. ბუნებრივია, იმასაც გავეცანი და დანარჩენ ფოტოებსაც, რომლებზეც ჩემი აფხაზეთში მოგზაურობის კადრები იყო ასახული. ფოტოების რაკურსით მივხვდი, რომ ჩემი ორი გამცილებლიდან ერთ-ერთის გადაღებული იყო და ალბათ მანვე მიაწოდა.

ყველაფერი ადგილზე დავაბრუნე და ოთახიდან სასწრაფოდ გავედი. მდივანი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო.

აღარ დაველოდე. ცალი ფეხსაცმელი ხელში დავიჭირე და ასე, კოჭლობით წავედი.

ოთახში შესული ასეთ სურათს გადავაწყდი: სანდრო და ჩემი გაგზავნილი გოგონა, რომლის სახელიც არ ვიცოდი, დივანზე ისხდნენ, ლევანი ჩემს მაგიდასთან მოკალათებულიყო და საუბრობდნენ.

— კი, მარა ამდენი ხანი უნდა მალოდინოთ? — ვაპირებდი, ლევანისთვის მეთქვა, შენ აქ რა გინდა, კარგა ხნის წინ დაგვემშვიდობე-მეთქი, მაგრამ რადგან არ ვიცოდი, იქ რა მოხდა და შეიძლებოდა თუ არა ამის თქმა, თავი შევიკავე.

— რა გჭირს? — სანდრომ გამიცინა და თვალი ჩამიკრა. მივხვდი, ყველაფერი კარგად იყო ან — შედარებით უკეთესად.

ყველას ყურადღება ჩემმა შიშველმა ფეხმა მიიპყრო.

— ყავას ვადუღებდი და ზედ გადავისხი მდუღარე. ფეხი გამიწითლდა და მეწვის.

— წავიდეთ, მე წაგიყვან შინ, — ლევანი წამოდგა.

— სანდრო, გასაღები მაგიდაზე დევს, კარი ღია არ დატოვო, დაკეტე და გასაღები დაცვასთან დატოვე, — ვუთხარი, ლევანის გამოწვდილ ხელს დავეყრდენი და კოჭლობით გავყევი.

ინტერესით ვკვდებოდი, რა მოხდა ჩემს კაბინეტში, მაგრამ ლევანს ხომ ვერ ვკითხავდი? ამიტომ, ვდუმდი.

შინ ისე მიმიყვანა, ხმა არ ამოუღია. გამიკვირდა, თავისთან კი არა, ლალისთან რომ მივედით.

— კარგად, ლევან, — მანქანიდან გადმოვედი და კარი მივაჯახუნე.

— ლალი უფრო მოგივლის, მე დამწვრობის არაფერი გამეგება, — მომაძახა და ძრავა აამუშავა.

— ექიმებს გაეგებათ, როგორმე საავადმყოფომდე მივალ, — გულმოსულმა ვუთხარი.

— საექიმო არაფერი გჭირს, ხვალ დილით აღარც დაგეტყობა, — ლევანი წავიდა, მე კი ჯერ გავბრაზდი, მაგრამ მერე ჩემს თავზე გამეცინა.

კაცმა ლამის ღალატზე წამასწრო; არავინ იცის, დაიჯერა თუ არა სანდროს მოგონილი ზღაპარი; მე კიდევ, პრეტენზია მქონდა, საავადმყოფოში რატომ არ წამიყვანა-მეთქი. გზაში სადმე რომ არ გადაუხვია და შუბლში ტყვია არ დამაჭედა, ის უფრო გასაკვირი იყო.

ლალის რა თქმა უნდა, დავუმალე იმ დღეს მომხდარი ამბები. ფეხზე მალამო წამისვა, შემიხვია და დივანზე მივწექი.

როგორც ჩანს, ჩემი და სანდროს ამბავმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ მე სხვა სადარდებელი და საფიქრალი მქონდა...

საშას და ჩემი დოსიე, სურათები და ბოლო პერიოდის თავგადასავალი როგორ მოხვდა ანზორ შამუგიას ხელში? რას ნიშნავდა ეს ყველაფერი? ან გამცილებელი იყო ანზორთან შეკრული და ყველა ინფორმაციას აწვდიდა, ან ჩემზე იყვნენ დაგეშილები და მითვალთვალებდნენ. თუ სიმართლე მეორე ვარიანტი აღმოჩნდებოდა, ისიც გასარკვევი იყო, ეს ვინმეს დავალებით ხდებოდა თუ არა და თუ დავალება იყო, ვინ უნდა ყოფილიყო ეს „ვინმე“.

თავსატეხი გამიჩნდა, მაგრამ იმედი მქონდა, რომ გამოსავალს აუცილებლად ვიპოვიდი.

მეორე დღეს ფეხი მართლაც აღარ მტკიოდა. დილიდან საშასთან წავედი. ადრიანად მივადექი კარზე, რომ არსად წასულიყო — მერე რაღა მოძებნიდა?

გაუხარდა ჩემი დანახვა. გამომკითხა, როგორ ჩაიარა მოგზაურობამო. ყველაფერს დაწვრილებით მოვუყევი, გარდა იმისა, ანზორ შამუგიასთან ჩვენი საბუთები რომ ვნახე — მაგას ვერ ავუხსნიდი, ხომ ვერ ვეტყოდი, იქ ვმუშაობ და ჩემი თვალით ვნახე-მეთქი? იმედი მქონდა, რომ ჭკუას დამარიგებდა. არაფერი უთქვამს, მარტო თავს მიქნევდა.

— საშა, როგორ ფიქრობ, აფხაზების მხრიდან რაიმე საშიშროება მემუქრება?

— მარგო, შესაძლოა, დაინტერესდნენ შენით, გითვალთვალონ და რაღაცები დაადგინონ. თუ მიხვდებიან, რომ შენი მხრიდან საშიშროება არ ელოდებათ, მაშინ ხელს არ გახლებენ, მაგრამ არც ის მგონია, სხვა დავალება მოგცენ. თუ ისეთი რამე აღმოაჩინეს, რაც მათ ხელს არ აძლევს, მაშინ ფრთხილად უნდა იყო. თუმცა არც ეგ სიფრთხილე გიშველის. სადაც უნდა იყო, მოგაგნებენ და მოგიშორებენ. ჩემი მეგობრის, ოლეგის მკვლელობა როგორ გგონია, რის ნიადაგზე მოხდა? ოლეგი ქართველ ძალოვნებთან კავშირში ამხილეს — ის ორივე მხარეს ფულს სძალავდა. ტვირთს აცილებდა, ამ საქმეში ფულს იღებდა, ინფორმაცია კი აქაურ პოლიციაში მიჰქონდა და დამატებით გასამრჯელოს იღებდა. როგორც კი ეს დაადგინეს, მაშინვე თავიდან მოიშორეს და რა გგონია, ვინ? ისევ ქართველებმა. ოლეგმა საშიშროება რომ იგრძნო, დახმარება და მფარველობა ამათ სთხოვა, ამათ კიდევ, მოწმე მოიშორეს. აფხაზებს დაასწრეს, თორემ არც ისინი გაახარებდნენ. მის მოსაკლავად სოხუმიდან კაცი რომ ჩამოვიდა, ოლეგი 3 დღის მოკლული ჰყავდათ.

ფაქტობრივად, საშამ საქმე გახსნა. ეს ისეთი ფაქტი იყო, რომლის ბოლომდე გამოაშკარავების საშუალებას რაღა თქმა უნდა, არ მომცემდნენ და ახლა მივხვდი, რატომ ჩამომაშორეს საქმეს. თავიდან ეგონათ, გამოძიებას მცდარი გზით წავიყვანდი და როგორც კი მიხვდნენ, რომ სწორ გზას დავადექი, მაშინვე თავიდან მომიშორეს.

საშასგან წამოსულმა „სტრატეგიული“ გეგმა შევიმუშავე — ლევანისთვის ყველაფერი დაწვრილებით უნდა მომეყოლა და რადაც უნდა დამჯდომოდა, ამ საქმეში ანზორის ფუნქცია დამედგინა და თუ საჭირო გახდებოდა, ნებისმიერი გზით თავიდან მომეშორებინა.

ლევანს თავზე მაშინ დავადექი, როცა ვიღაცას ტელეფონზე უყვიროდა. კარი რომ შევაღე, ხელით მანიშნა, დაჯექი და ჩუმად იყავიო.

გუშინდელი დღე გამახსენდა. ნეტავ თუ მიხვდა რამეს ან თუ ეჭვიანობს-მეთქი? — გავიფიქრე. სანდროც არ გამოჩნდა, რომ მისგან რაიმე ინფორმაცია მიმეღო და ასე გაურკვეველ სიტუაციაში არ ვყოფილიყავი.

— რამ შეგაწუხა? — როგორც იქნა, ტელეფონზე საქმის გარჩევას მორჩა და მომიბრუნდა.

თვალებში შევხედე და მზერა კარგა ხანს გავუშტერე. არც თვითონ ახამხამებდა თვალს.

— ლევან, ჩემზე ნაწყენი ხომ არ ხარ? — საუბარი იმით დავიწყე, რაც უფრო მეტად მაღელებდა.

— არა, — მოკლედ მომიჭრა.

— აბა, ასე ცივად რატომ მექცევი?

— ამ თემაზე სალაპარაკოდ არ მცალია. თუ სხვა საქმე არაფერი გაქვს, წადი და მაგაზე ამაღამ ვილაპარაკოთ.

— სხვა საქმეც მაქვს. მართალია, რუსი ჟურნალისტის მკვლელობის საქმეს ჩამომაშორეთ, მაგრამ სიმართლის დადგენა ისე მინდოდა, რომ გამოძიება მაინც გავაგრძელე. დავადგინე, როგორ ცხოვრობდა ეს ადამიანი და მის მიერ არაერთხელ გავლილი გზა გავიარე.

— რას გულისხმობ? — მივხვდი, რომ ეს მოვალეობის მოხდის მიზნით არ უკითხავს — მართლა დაინტერესდა.

— მის შესახებ შევიტყე, რომ აფხაზეთიდან ტვირთს აცილებდა. რა იყო მანქანაში, რომელიც წითელ ხიდამდე მიჰყავდა და აზერბაიჯანის საზღვარზე უშვებდა, არ ვიცოდი. ერთ დღეს მისი ფოსტიდან ძველ ადრესატთან ისევ გაიგზავნა წერილი და იმავე შინაარსის ინფორმაციით. დავინტერესდი, ვინ გზავნიდა ტვირთის შესახებ მასალებს ოლეგის სიკვდილის შემდეგ და იმ ადამიანს მივაგენი — როგორ და რანაირად, ეს ალბათ შენთვის საინტერესო არაა.

— ეგეც საინტერესოა, მაგრამ ჯერ ძირითად ამბავს მომიყევი.

— ამ ტიპს, ვინმე საშას, დავუახლოვდი და იმდენი მოვახერხე, რომ მეც მივიღე ის დავალება, რასაც ოლეგი, შემდეგ კი მისი მემკვიდრე — საშა ასრულებდნენ.

— და რა იყო ეს საქმე?

— ნარკოტიკების გაცილება სოხუმიდან წითელ ხიდამდე.

— და შენ გინდა თქვა, რომ ეს გზა გაიარე?

— დიახ, გავიარე, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე.

— და მერე, რა მოხდა?

— რა მოხდა და — 5 ათასი დოლარი გადამიხადეს, ათასის ნაცვლად. ახლა გავიგე, რომ შესაძლოა, გადამამოწმონ და თუ გაიგებენ, რომ აქ ვმუშაობ, ალბათ დიდი პრობლემები შემექმნება.

— ამიტომ გამიმხილე, არა? საშიშროება რომ არ ყოფილიყო, არც გამაგებინებდი.

— გაგაგებინებდი... უბრალოდ, წინასწარ არ გითხარი, რადგან არ გამიშვებდი. სხვათა შორის, ჟურნალისტის მკვლელობის საქმეც გავხსენი.

— და რა დაადგინე?

— დავადგინე, რომ ოლეგი რომელიღაც ქართველმა ძალოვანმა, მაღალჩინოსანმა მოაკვლევინა და სავარაუდოდ, ვიცი, ვინაა ეს ადამიანი.

— ოჰო, — გაოცებისგან წარბი ასწია ლევანმა, — აბა, მითხარი...

— ეს ჯერჯერობით ჩვენ შორის უნდა დარჩეს.

სხვათა შორის, ჟურნალისტის მკვლელობის საქმეც გავხსენი

— კარგი, მითხარი, ვინაა და მერე გადავწყვიტოთ, ჩვენ შორის უნდა დარჩეს თუ უნდა გავახმაუროთ.

— ანზორ შამუგია.

ლევანი მოულოდნელობისგან შეხტა.

— დარწმუნებული ხარ?

— ლევან, გუშინ სამსახურში გვიანობამდე იმიტომ დავრჩი, რომ ეგ დამედგინა, — როგორც იქნა, მთავარ სათქმელს დავუბრუნდი, — რადგან სანდროც აქ იყო, გადავწყვიტე, გამომეყენებინა. ანზორის მდივანი გვიანობამდე რომ უნდა დარჩენილიყო, ამის შესახებ წინასწარ ვიცოდი, — მოვხსენი ტყუილების გუდას თავი და არსებული ვითარება ჩემი ღალატის ჩასაფარცხავადაც გამოვიყენე, — მდივანთან ავედი, ვითომ ყავის სათხოვნელად და ქვევით გამოვუშვი. სანდროს კი წინასწარ ვთხოვე, როგორმე დაეკავებინა და მალე არ გამოეშვა უკან. ამასობაში ყავაც განგებ გადავისხი ფეხზე, რომ ანზორის კაბინეტში შესვლის საბაბი მქონოდა — ვინიცობაა, მდივანი მალე დაბრუნებულიყო. ანზორის მაგიდაზე ჩემი და საშას სურათები და საქმეები დევს. რისთვის სჭირდება? მან ხომ არ იცის, რომ მე საქმის გამოსაძიებლად ვიყავი აფხაზეთში. შესაძლოა, გაახმაუროს, რომ აფხაზებთან რაიმე კავშირი მაქვს და სერიოზული პრობლემებიც კი შემიქმნას. მით უმეტეს, შენც იცი, რომ კარგი თვალით თავიდანვე არ მიყურებდა. მოსვლის დღიდან კრიჭაში მედგა და ჩემს ჩაძირვას ცდილობდა.

— მოსიარულე პრობლემა ხარ, რა, — ლევანმა შუბლი მოისრისა, — ახლა უნდა მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ.

— კარგი, მარგო, წადი, საქმეს მიხედე, რამეს მოვიფიქრებ.

მისი ოთახიდან გამოსულმა სანდროს მოძებნა გადავწყვიტე. სამსახურში დავურეკე და ბედად, აღგილზე აღმოჩნდა. ნახევარი საათის შემდეგ ბუკიას ბაღთან შევხვდით.

— რა იყო, მარგო, მშვიდობაა?

— მოვკვდი ნერვიულობით, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა ლევანისთვის. მითხარი, რა მოხდა გუშინ?

— ჰოო, კი გაგვძარა ორივეს, მაგრამ მე მგონი, ყველაფერი მოგვარდა, — ხმამაღლა გაიცინა სანდრომ, — ის შენი გამოგზავნილი გოგო რომ მოვიდა და მითხრა, მარგომ ყავაზე გამომგზავნაო, მაშინვე მივხვდი, ყავა არაფერ შუაში იყო. ამიტომ ლაპარაკი გავუბი, დივანზე დავსვი, ახლოს მივუჯექი და ვიფიქრე, ლევანი თუ შემოვიდოდა, ისეთი სურათი დამეხვედრებინა, რომ ყველანაირი ეჭვი გაჰფანტოდა და ეფიქრა, ჩემთან ერთად შენს კაბინეტში სწორედ ის გოგო იყო. ასეც მოხდა. ლევანმა კარი რომ შემოაღო, ნანა — მგონი, ასე ჰქვია — ისე შეხტა, ლამის ძირს გადმოვარდა. ლევანი გაოცდა. — ისევ მობრუნდი-მეთქი? — გავიკვირვე. თითქოს ნანა იმიტომ არ გავუშვი, რომ იმედი მქონდა, ლევანი აღარ მობრუნდებოდა. გარეთ გამიხმო. მითხრა, დონას რა პასუხს სცემ, ხომ არ გავიწყდება, შენი სიმამრი რომ ვარ და ჩემთან, სამსახურში მოდიხარ და ფრთებს შლი, სინდისის ქენჯნა არ გაწუხებსო? ბოდიში მოვუხადე და დავპირდი, რომ სხვა დროს ასე აღარ მოვიქცეოდი.

— მადლობელი ვარ, რომ გადამარჩინე, — ამოვიოხრე, — მაგრამ თავი კი ჩაიგდე საფრთხეში.

— ლევანი მამაკაცია, მერე რა, რომ სიძე ვარ, მაინც გამიგებს, მის შვილს ხანდახან სხვა ქალთან თუ ვუღალატებ, მაგრამ ჩვენ რომ შეგვისწროს, არც შენ დაგინდობს და არც — მე. არც ერთს არ გვაპატიებს. ამიტომ, ასე ჯობდა.

— სანდრო, აღარასოდეს მოინდომო ჩემთან ასეთი ურთიერთობა. კარგად იცი, რომ ლევანს შესაძლოა, ისევ ჰქონდეს ეჭვი და გვითვალთვალოს. ამჯერად თუ გაგვიმართლა, სხვა დროს ვეღარ გადავრჩებით. თანაც, არ დაფიქრებულხარ იმაზე, უკან რატომ მობრუნდა? როგორც ჩანს, ეჭვი ჰქონდა და გადაგვამოწმა... თანაც, გასაღებიც კი მომზადებული ჰქონდა... იქნებ, არც დაიჯერა გუშინდელი ზღაპრები და მხოლოდ მოლოდინშია, რომ კიდევ ერთხელ დაგვიჭიროს?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ „გზა“ №19-22

რუსუდან ბერიძე

თავი V

ორდენიძეს თემოს კითხვაზე გაეღიმა, მაგრამ სხიერელი მაინც არ მოეშვა:

— მაინტერესებს, ბატონო ოთარ.

— გამოძიებასაც ყველაფერი აინტერესებს, ბატონო თემო, — პირზე ღიმილს არ იშორებდა ორდენიძე, — მწერალი ხართ და...

— დამწყები მწერალი, — სასწრაფოდ შეუსწორა გამომძიებელს სხიერელმა.

— ...დარწმუნებული ვარ, გეცოდინებათ, რომ სისხლის სამართლის არაერთი მძიმე საქმეც კი გახსნილა იმ დეტალებზე დაკვირვებითა და გათვალისწინებით, რომელსაც ერთი შეხედვით, მომხდართან საერთო არაფერი ჰქონდა.

— გეთანხმებით. ყოველ შემთხვევაში, დეტექტიურ ფილმებსა და რომანებში სწორედ ასე ხდება. თუმცა, ასეთი ეპიზოდები მაინც რეჟისორისა თუ მწერლის მოქნილი სვლა უფრო მგონია, მაყურებელი რომ — ეკრანს, მკითხველი კი წიგნს მიაჯაჭვოს.

— ცხადია, არც უმაგისობაა, — დაეთანხმა გამომძიებელი თემოს, — მაგრამ, როგორც იტყვიან, ეშმაკი მაინც დეტალებსა და წვრილმანებშია საძებნელი.

— იქნებ მითხრათ, კიდევ რომელი წვრილმანი გაინტერესებთ?

— დროა, „მსხვილმანებზეც“ გადავიდეთ, — ისევ გაეღიმა ორდენიძეს, — იოსებიძეს მტრები თუ ჰყავდა?

— აზრზე არა ვარ, — მხრები აიჩეჩა სხიერელმა, — არ ჰყავდა-მეთქი, რომ ვთქვა, ვერ დავამტკიცებ, მაგრამ ვერც კონკრეტულ ადამიანს დავადებ ხელს.

— ვერც იარაჯულს? — თვალი თვალში გაუყარა სხიერელს ორდენიძემ.

— ვერც იარაჯულს. ის, რომ ეს კაცი არ მომწონს, იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს მოკვლა შეუძლია. ანდა იონა რატომ უნდა მოეკლა? ამ ღვთისნიერმა კაცმა დახმარების ხელი ხომ მაშინ გაუწოდა, როცა მეტად უჭირდა. ხელობა ასწავლა, ფული აშოვნინა. მოკლედ, იონასთან ჯიბეცარიელი და იმედგადაწურული მივიდა, უკან კი ფულიანი და წელში გამართული წავიდა.

— მართლა საკუთარი სურვილით წავიდა თუ იონამ დაითხოვა?

— ზუსტად არ ვიცი. მეზობლები რაღაცას კი ჭორაობდნენ, მაგრამ...

— მაინც რას ჭორაობდნენ?

— მგონი, ფულს „უტეხავდა“ და ეს რომ იონამ გაუგო, არ აპატიაო... მაგრამ რაღაც არ მჯერა, რომ ასე ყოფილიყო.

— რატომ? იარაჯული პატიოსანი კაცია?

— იარაჯულის პატიოსნებაზე თავს ვერ დავდებ. უბრალოდ, იონა იმდენად პატიოსანი და მიმტევებელი იყო, ასეც რომ ყოფილიყო, მაინც აპატიებდა, არ დაითხოვდა და ამაზე სხვებთან არ ილაპარაკებდა.

— არც თქვენთან?

— იონას ჩემთან ამ თემაზე კრინტიც არ დაუძრავს.

— გუგა ლაზიშვილს თუ იცნობთ.

— ირაკლი სეხნიაშვილის მეგობარს?

— დიახ.

— ერთი-ორჯერ მყავს ნანახი.

— კარგი ბიჭია?

— აბა, რა გითხრათ? — მხრები აიჩეჩა თემომ.

— იონასთან ხშირად დადიოდა?

— არა. როგორც უკვე გითხარით, რამდენჯერმე მყავს ნანახი. ერთხელ, ძველებური იარაღი მოუტანა სარესტავრაციოდ.

— ის იარაღი თუ გაქვთ ნანახი?

— როგორ არა, ძველებური დამბაჩა იყო. ლულა ჰქონდა გაღუნული და იონას მისი გასწორება სთხოვა. მერე გუგას რაღაც პრობლემები შეექმნა და იარაღის წასაღებად აღარ გამოჩენილა, რის გამოც იონა წუხდა.

— რატომ? იარაღის შინ დიდხანს გაჩერება არ უნდოდა?

— არა, რას ამბობთ? — გაეღიმა თემოს. — იონა იარაღის ტრფიალი იყო. განსაკუთრებით ძველებურ დამბაჩებსა და ხმლებზე გიჟდებოდა. რაც თვალში არ მოსდიოდა, მის რესტავრაციაზე უარს ამბობდა.

— დიდი ფული რომ შეეძლიათ, მაინც?

— მაინც. არ ვიცი, ადრე როგორი იყო, მაგრამ რაც იონას ვიცნობ, ფულზე არასდროს დახარბებულა.

— ხომ არ იცით, გუგა ლაზიშვილის მიტანილი იარაღი კონკრეტულად ვინ გამართა, იოსებიძემ თუ თედო იარაჯულმა?

— იარაჯულმა. კარგად მახსოვს, იონას მაშინ სასწრაფო შეკვეთა ჰქონდა. ვიღაც ქალმა ძველებური სამაჯური მოუტანა შესაკეთებლად და აჩქარებდა. ის ქალი უცხოეთში აპირებდა წასვლას და სამაჯურიც უნდა წაეღო. ამიტომ იონა იძულებული გახდა, დამბაჩის შეკეთება იარაჯულისთვის გადაებარებინა. მაგრამ თუ საიდუმლო არ არის, მაინცდამაინც იმ დამბაჩამ რატომ დაგაინტერესათ? იონას ხელში ხომ არაერთი სხვა, ბევრად უფრო საინტერესო ძველებური იარაღიც მოხვედრილა? ან იქნებ არ ვიცი და ამ დამბაჩასთან რამე განსაკუთრებულია დაკავშირებული?

— არაფერი, — სიმართლის თქმისგან თავი შეიკავა გამომძიებელმა, — მისი ბინის ჩხრეკისას ეს იარაღი აღმოვაჩინეთ. ეს არის და ეს.

— ჰო, აკი გითხარით, გუგას რაღაც პრობლემები შეექმნა და იარაღი ვერ წაიღო-მეთქი. ისე, იონას ხშირად ურეკავდა და სთხოვდა, არ გამიყიდო, ფულს მალე მოგიტანო. ერთხანს იონას გუგასთვის დამბაჩის უფულოდ დაბრუნებაც კი უნდოდა.

— დიდსულოვნება მოეძალა?

— არა, ირაკლის მეგობარი რომ იყო, იმიტომ.

— რატომ არ დაუბრუნა?

— იარაჯულმა არ დაანება. გუგას სხვებიც მიჰბაძავენ და ფულს თვეობით აღარ მოგვიტანენო.

— ისე, არის ამაში ჭეშმარიტების მარცვალი.

— გეთანხმებით. ცუდი მაგალითი გადამდებია.

— თავად ირაკლი როგორი ბიჭია?

— კარგი. უფრო სწორად ავკარგიანი.

— ავკარგიანობაში რას გულისხმობთ?

— რა არის იცით?! — წამით ჩაფიქრდა თემო. — ჩვენი ქალაქი იმდენი არაკაცით აივსო, რომ ვინმე თუ არ გაგიმეტებს და საკუთარი გამორჩენისთვის არ „ჩაგიშვებს“, გმირი გგონია. ირაკლიც ასეთია და ამიტომაც ვცემ პატივს.

— მაშინაც კი — თუ ის ნარკომანი ან ნარკოტიკების გამსაღებელია?

— ესეც გაიგეთ? — შეწუხდა სხიერელი.

— ხომ გითხარით, ყველა წვრილმანით ვინტერესდები-მეთქი.

— მაშინ ალბათ, ისიც უნდა დაგეზუსტებინათ, რომ... მოკლედ, ირაკლი ნარკომანი არ არის.

— ჰო, ახლა აღარ არის, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ყოფილი „კაგებეშნიკებისა“ არ იყოს, არც ყოფილი ნარკომანები არსებობენ.

— ალბათ, მაგრამ ირაკლი არასდროს ყოფილა ნარკომანი.

— ეგ როგორ?

— როგორ და... არა, იმას კი არ ვიჩემებ, უფრთო ანგელოზია-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, ბიჭობისას „პლანი“ ვის არ მოუწევია?

— თქვენც? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ორდენიძემ.

— თქვენ კი — არა, ბატონო გამომძიებელო? — კითხვა იქით შეუბრუნა ორდენიძეს თემომ.

— „პლანზე“ არ გელაპარაკებით, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა გამომძიებელმა, — რამდენადაც ვიცი, სეხნიაშვილი ნარკოტიკების გამოა ნასამართლევი.

— ასეა. ოღონდ, ეს გუგას გამო მოხდა.

— როგორ თუ გუგას გამო?

— რა არის, იცით?! — ნიკაპი ნერვიულად მოისრისა თემომ. — არც კი ვიცი, მაქვს თუ არა ამის თქმის უფლება? ეს ამბავი ხომ იონამ საიდუმლოდ გამანდო. კაცი ცოცხალი აღარ არის, მე კი პირი მომიღია და ვლაქლაქებ...

— სწორედ იმიტომ უნდა მითხრათ ყველაფერი, რომ კაცი აღარ არის, მისი მკვლელი კი ჯერაც მშვიდად დასეირნობს.

— ისე, თქვენც მართალი ხართ, — ფეხზე წამოდგა და ოთახში ნერვიულად გაიარ-გამოიარა თემომ.

— ხომ არ მოგვეწია? — ორდენიძემ ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, გახსნა და გაუწოდა.

— კარგა ხანია, აღარ ვეწევი, მაგრამ არ მაწყენდა, — კოლოფიდან სიგარეტის ღერი მოხერხებულად ამოაძვრინა თემომ, შემდეგ ჟურნალების მაგიდიდან სანთებელა აიღო და ჯერ გამომძიებლის, შემდეგ კი — თავის სიგარეტს მოუკიდა, გემრიელად მოქაჩა და ბოლი გამოუშვა: — მოკლედ, იონასგან ვიცი, რომ გუგა შეძლებული ოჯახის შვილია და არასდროს არაფერი მოჰკლებია. ირაკლი კი ბებიამისმა სიმწრით გაზარდა. ბიჭებმა ერთმანეთი უნივერსიტეტში სწავლისას გაიცნეს. სულ მალე კი ირაკლი „წამალზე“ აყვანეს, მაგრამ იონასგან ვიცი, რომ აყვანისას ბიჭები ერთად იყვნენ და ნარკოტიკი ირაკლის კი არა, გუგას ედო ჯიბეში.

— და მერე უცებ ირაკლის ჯიბეში აღმოჩნდა, ხომ?

— კი გეღიმებათ, მაგრამ ასე მოხდა. გუგას მამამ დაარწმუნა ირაკლი, რომ თუ დანაშაულს შენს თავზე აიღებ, ციხესაც გადაგარჩენ და უნივერსიტეტშიც აღგადგენო. ასეც მოხდა. ირაკლის პირობითი მიუსაჯეს. შემდეგ ჯარში გაიწვიეს და იქიდან რომ დაბრუნდა, გუგას მამამ უნივერსიტეტში აღადგენინა. მაგრამ დღემდე ყველას ჰგონია, რომ სასწავლებლის ხელმძღვანელობამ ეს ირაკლის ბებიის — მათი ყოფილი თანამშრომლის ხათრით გააკეთა.

— ეს ყველაფერი იონამ ვისგან გაიგო?

— ირაკლის ბებიისგან. მას და იონას ახლო მეზობლობა და დიდი მეგობრობაც აკავშირებდათ.

— თქვენ რატომ გიამბოთ?

— ალბათ იმიტომ, რომ ირაკლის, როგორც ნარკოტიკების შენახვისთვის ნასამართლევს, კარგა ხანს ალმაცერად ვუყურებდი. იონა სხვადასხვა ამბავს ხშირად მიყვებოდა — მომავალი მწერალი ხარ და გამოგადგებაო.

— ის ამბებიც სეხნიაშვილის ამბებივით ნამდვილი იყო თუ გამოგონილი?

— კარგა ხანს დარწმუნებული ვიყავი, რომ ირაკლის ამბის გარდა, ყველა სხვას თვითონ იგონებდა, მაგრამ გავარკვიე, რომ თურმე, მთლად ასეც არ ყოფილა საქმე.

— თავად თუ წერდა რამეს?

— არა. სულ ვეჩიჩინებოდი, რატომ არ წერ, ისეთი საოცარი მოყოლა იცი, რომ შენგან მართლა კარგი მწერალი დადგებოდა-მეთქი, რაზეც ეშმაკურად ეღიმებოდა — კლიენტების დავთრების შევსებას ძლივს ავუდივარ და სხვა რამის დაწერა როდის უნდა მოვასწრო. თან, წერა ყველა კარგ მთხრობელს კი არ შეუძლიაო.

— საკუთარი ცხოვრებიდან თუ იხსენებდა რამეს?

— არა. თავისი ცხოვრების გახსენება არ უყვარდა. მარტო ის ჰქონდა ნათქვამი, რომ მძიმე ბავშვობა გამოვიარე და რომ არა დედაჩემი, დღეს, ალბათ, ცოცხალი არ ვიქნებოდი. ისე, ერთი-ორჯერ იმაზეც მიმანიშნა, თუ შენი რომელიმე რომანი გამოვა და მკითხველს დააინტერესებს, იქნებ მაშინ გავბრიყვდე და ჩემი ცხოვრების ისტორიაც გიამბო, რომელიც მაშინვე ბესტსელერი გახდებაო. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს აღარ მოხდება. იონამ საკუთარი ამბავი საფლავში წაიღო. მართლა, ახლა გამახსენდა. ერთხელ 1 ძველებური ყელსაბამი მაჩვენა, რომელსაც რამდენიმე ნაწილი აკლდა და მითხრა, როცა ყველა ნაწილს ვიპოვი, ჩემს ცხოვრებაში დიდი სასწაული მოხდებაო.

— არ ჰკითხეთ, რას გულისხმობდა?

— არა. მისი ნათქვამი სერიოზულად არ მიმიღია, რადგან იონასთვის ყველა ასეთ ნივთს, ძირითადთან ერთად, მისტიკური დანიშნულებაც ჰქონდა.

— გუგა ლაზიშვილს იონასთან ნივთები ხშირად მიჰქონდა?

— ზუსტად არ ვიცი. ის დამბაჩა კი — მამამისის კერძო კოლექციიდან იყო და შინიდან მის სარესტავრაციოდ გატანაზე შვილმა მამა ძლივს დაიყოლია. ისე, ის კაცი მართალი იყო, იარაღს რომ არ ატანდა, რადგან როგორც შემდეგ გავიგე, გუგას მისი ჩუმად გაყიდვა ჰქონია გადაწყვეტილი. მაგრამ ეს ამბავი იონამ გაიგო და ირაკლი რომ არ ჩავარდნოდა მუხლებში, ყველაფერს

გუგას მამას ეტყოდა. მოკლედ, მაგარი დომხალი იყო, რა... იონას არ მოსწონდა ეს ყველაფერი და არც

თავად გუგა, მაგრამ ხომ იცით, მეგობრებს სხვების მოწონება-არმოწონებით არ ვირჩევთ და ირაკლიც ვერაფრით ჩამოაცილა ბებიამისმა ამ ბიჭს.

— ირაკლის და გუგას მეგობრობას ქალბატონი ქეთოც ეწინააღმდეგებოდა?

— კი. ბებია-შვილიშვილს ამაზე ხშირად უკამათია. მას შემდეგ კი, რაც ირაკლის გუგას გამო პირობითი მისცეს, ქალი გადაირია — მაგის ფეხი არ ვნახო ჩემს სახლშიო, გაიძახოდა.

— იოსებიძეს არ უთქვამს, ის ყელსაბამი საიდან ჰქონდა?

— როგორ არა, დედამისისგან დარჩა. ირწმუნებოდა, უბრალო არ გეგონოს, ძველეგვიპტურიაო. ასეთი ნივთები გასული საუკუნის 60-იან წლებში რაჭაში ჩატარებული გათხრების დროს კილოგრამობით აღმოაჩინეს; გათხრების დაწყებამდე კი მათ ნაწილს ადგილობრივები მიწის დამუშავების დროს პოულობდნენ და როგორც ჩანს, ამ ყელსაბამმაც ამ გზით მოაღწია დედაჩემამდეო.

— მოკლედ, დიდი გამოცანა კაცი იყო ეს თქვენი იონა, — ფეხზე წამოდგა გამომძიებელი.

— ჰო, უბრალო კაცი ნამდვილად არ იყო, — მაშინვე წამოდგა სხიერელიც, — ამიტომაც ორმაგად დასანანია ამ ქვეყნიდან მისი მოულოდნელად წასვლა.

— სამწუხაროდ, ასეა... — დაეთანხმა მასპინძელს გამომძიებელი და მალე დაემშვიდობა.

თემოსგან წამოსულმა ოთარ ორდენიძემ გზად შინ შეირბინა. იფიქრა, ცოლ-შვილს წამით დავხედავო, მაგრამ სანამ არ ასადილა, მარიმ სამსახურში არაფრით გაუშვა. თან, ქალს ქმრისთვის მისი საყვარელი ჩახოხბილი ჰქონდა მომზადებული და გამომძიებელსაც სულმა წასძლია, მაგრამ ორდენიძეების ოჯახური იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა. ის იყო, გამომძიებელმა თეფში მოასუფთავა, რომ ლეკიშვილმაც დარეკა.

— შეფ, სად ხარ?

— ჩემთან, სახლში. რა მოხდა?

— კარგი არაფერი.

— მაინც?

— ტელეფონით ვერ გეტყვი. განყოფილებაში რომ მოხვალ, მერე აგიხსნი ყველაფერს.

— ახლავე წამოვალ. ჩემს მოსვლამდე კრინტი არავისთან დაძრა, იცოდე!

— ეჰ, მე კი სამარე ვარ, მაგრამ „თლა უფროსს“ უკვე უჩემოდაც მოახსენეს ყველაფერი...

— კარგი, აქ ვილაპარაკოთ, — ხელქვეითს დაემშვიდობა ორდენიძე და წასასვლელად მოემზადა.

ამ დროს ოთახში მარი შემოვიდა და ყავა და ნამცხვარი შემოიტანა.

— უკვე მიდიხარ? — გაუკვირდა მას.

— ჰო, უნდა გავიქცე.

— მერე ყავა?

— უჩემოდ მიირთვი, მარიკუნა, მეჩქარება, — მეუღლეს მხარზე ხელი მოუთათუნა გამომძიებელმა და შინიდან გავარდა.

კაბინეტში შესულ ორდენიძეს ლეკიშვილი ფეხდაფეხ მიჰყვა.

— აუ, შეფ, რომ იცოდე, რა „გატეხილში“ ვარ, — სკამზე ჩვეულებისამებრ დაენარცხა იგი, — მგონი, ამდენი შრომა წყალში ჩაგვეყარა.

— აბა, მორჩი ახლა წუწუნს და ყველაფერი დაწვრილებით მიამბე.

— მოყოლას რა აზრი აქვს, როცა ახლა გავიგე, რომ ურთმელიძემ უკვე უჩვენოდ „გააიასნა“ იოსებიძის მკვლელობის საქმე.

— როგორ თუ უჩვენოდ?

— კოჭი ალჩუზე დაუჯდა და ისე.

— მაინც?

— როგორც დამავალე, სეხნიაშვილისა და იარაჯულის გამოსაძახებლად დავიჭირე თადარგი. იარაჯულის ამბავი მალე გავარკვიე. ცოლმა მითხრა, ერთი კვირით უცხოეთში, რაღაც სიმპოზიუმზე თუ კონფერენციაზეა წასულიო. სეხნიაშვილმა კი მობილურზე არ მიპასუხა და, ამიტომ, სახლში დავურეკე. ყურმილს კარგა ხანს არავინ იღებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ვიღაც ქალმა მიპასუხა, სეხნიაშვილების ოჯახში უბედურება მოხდა და თქვენთან სალაპარაკოდ ახლა არავის სცალიაო. მაშინვე იქ გავჩნდი.

— რა მოხდა?

— რა და სეხნიაშვილს ბებიამისი შემოაკვდა.

— რაა? — გაოგნდა ორდენიძე. — როგორ, რანაირად?

— როგორ და ლაზიშვილის მოკვლის ამბავი რომ გაუგია, ირაკლი მაშინვე მის სახლში მივარდნილა, მაგრამ გარდაცვლილი უკვე პროზექტურაში გადაყვანილი დახვედრია. შინ გამწარებული დაბრუნებულა და მალევე გუგას მშობლების ოჯახში წასვლა გადაუწყვეტია, მაგრამ ბებია კარში ჩასდგომია: იმდენს ირბენ, სანამ პოლიცია შენზე არ მიიტანს ეჭვს და ამ ბიჭის გულისთვის კიდევ ერთხელ არ დაგიჭერენო. სეხნიაშვილს ქალის გზიდან ჩამოცილება უცდია, მაგრამ მოხუცი შეტორტმანებულა, თავი მაგიდის კიდისთვის დაურტყამს და... მოკლედ, საავადმყოფოში მიყვანიდან ნახევარ საათში უკვე აღარ იყო საწყალი.

— გონზე არ მოსულა?

— არა. ბებია-შვილიშვილის კამათს მეზობლის ქალი შესწრებია და ირწმუნება, ირაკლის ეს შემთხვევით მოუვიდაო.

— კარგია, რომ ერთი მოწმე მაინც არსებობს.

— კარგია, მაგრამ რად გინდა? თავად სეხნიაშვილი ისეთ შოკშია, გაუთავებლად გაიძახის, ბებიაჩემი მე მოვკალიო.

— ახლა სად არის?

— რომ მივედი, უკვე წინასწარი დაკავების საკანში ჰყავდათ გადაყვანილი და ახლოს არ გამაკარეს, — უფროსობამ ასე ბრძანაო.

— ურთმელიძეს არ ვუკითხივარ?

— კი. დამიძახა და მიბრძანა, — დაურეკე და გადაეცი, სადაც უნდა იყოს, ყველაფერი მიატოვოს და სასწრაფოდ აქ გაჩნდესო. მგონი, რაღაც ცუდი რამ აქვს ამ კაცს ჩაფიქრებული.

— რას გულისხმობ?

— რას და სეხნიაშვილის ამბავი რომ გაუგია, მაშინვე სადღაც დაურეკავს და ვიღაცისთვის უპატაკებია, იოსებიძის მკვლელი ავიყვანეთო.

— რა სისულელეა? სად სეხნიაშვილის უბედურება და სად იოსებიძის მკვლელობა?

— ეგ იმას ჰკითხე, — საჩვენებელი თითი საფეთქელთან რამდენჯერმე დაიტრიალა ლეკიშვილმა.

— ვკითხავ, რომელია? — ფეხზე წამოდგა ორდენიძე.

— მართლა, შეფ, ამ ორომტრიალში დამავიწყდა. ექსპერტებმა იცი, რა მითხრეს?

— რა?

— ლაზიშვილიც იმავე იარაღით უნდა იყოს მოკლული, რომლითაც იოსებიძეო.

— რა თქვი? — უცბად შემობრუნდა კართან მისული ორდენიძე. — და ამას ყველაზე ბოლოს უნდა ვიგებდე?

— ბოდიში, შეფ, — თავი დამნაშავედ დახარა ანდრომ, — სეხნიაშვილების ამბავმა ისე დამაბნია, რომ...

გენერალი კახაბერ ურთმელიძე კაბინეტში ჩვეულებისამებრ ნერვიულად კი არ გადი-გამოდიოდა, მაგიდასთან კმაყოფილი სახით იჯდა და ორდენიძის გამოჩენას ისე ელოდა.

— ბატონო კახაბერ, შეიძლება? — მცირე ხანში ზღურბლზე გამოჩნდა გამომძიებელი.

— შემოდი, — მოკლედ მოუჭრა მას პოლკოვნიკმა.

ორდენიძე ოთახში შევიდა და მაგიდასთან გაჩერდა.

— დაჯექი, — ახლა სკამზე ანიშნა მას ურთმელიძემ, — როგორ მიდის კუზიანის საქმე?

— იოსებიძის მკვლელობის საქმეს გულისხმობთ? — პოლკოვნიკის აგდებულ ტონს ვერაფრით ეგუებოდა გამომძიებელი.

— რა, ქალაქში უკვე სხვა კუზიანიც მოკლეს?

— არა, მაგრამ იოსებიძის მკვლელობის იარაღთან უშუალოდ დაკავშირებული გუგა ლაზიშვილი კი ნამდვილად მოკლეს.

— რომელ იარაღთან? — ჩაეკითხა პოლკოვნიკი.

— ძველებურ დამბაჩას ვგულისხმობ, რომლის ტყვიითაც იოსებიძეა მოკლული.

— ლაზიშვილის მკვლელი ნაპოვნია?

— ჯერ არა.

— ანუ, როგორც ყოველთვის, ერთ მოკლულს მეორე ისე მიუმატე, რომ წინ ნაბიჯითაც ვერ წაიწიე, ხომ?

— თუ მახსოვრობა არ მღალატობს, საქმის დასასრულებლად 1 კვირა მომეცით.

— ეგ ლაზიშვილის მკვლელობამდე იყო.

— როგორ?

— როგორ და ისე. რა, გგონია, მართლა ისე გამოვშტერდი, რომ „ზემოთ“ ვუპატაკებ, რომელიღაც მისტიკური იარაღის ტყვიით უკვე მეორე კაცი ისე გააგორეს, რომ ჩემმა გამოცდილმა გამომძიებელმა ვერაფერი გაარკვია-მეთქი?

— კი, მაგრამ ბატონო კახაბერ...

— არავითარი მაგრამ! — ხმას აუწია პოლკოვნიკმა. — ყურადღებით მოისმინე და კარგად დაიმახსოვრე, რასაც გეტყვი! იოსებიძის საქმის სასწრაფოდ დასრულების ორ ვარიანტს გთავაზობ და რომელიც გინდა, ის აირჩიე.

— ავირჩიო?..

— მაშ ასე, — ფეხზე წამოდგა პოლკოვნიკი, ხელები ზურგს უკან დაიწყო და ოთახში დინჯად გაიარ-გამოიარა, — ალბათ, უკვე იცი, რომ იოსებიძის კარის მეზობელ სეხნიაშვილს ბებიამისი შემოაკვდა.

— ეს უბედური შემთხვევა იყო.

— შვილიშვილი მგონი, მთელი საათი გაჰყვიროდა, ბებიაჩემი მოვკალიო და ნეტავ, შენ რის საფუძველზე ამტკიცებ, რომ უბედური შემთხვევა იყო?!

— ეს შოკის შედეგია. გამზრდელი ბებია ბიჭს ხელში ჩააკვდა და...

— კი არ ჩააკვდა, შემოაკვდა! ან, იქნებ ჯერ ისიც არ იცი, რომ მათ შორის სერიოზული შელაპარაკება მოხდა?

— შელაპარაკება ნამდვილად მოხდა, მაგრამ მაშინაც კი, თუ გამოძიება დაადგენს, რომ სეხნიაშვილმა ბებიას უბიძგა, ეს გაუფრთხილებლობით გამოწვეული მკვლელობა იქნება. ბებიაშვილიშვილის კამათს ხომ მეზობელიც შეესწრო და უკვე ისიც დაადასტურა, რომ...

— არ მაინტერესებს, ვინ რა დაადასტურა, რადგან ეს ლირიკაა. ფაქტი კი ფაქტად რჩება: მოხუცი მკვდარია, მკვლელი — დაკავებული და ეს ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ.

— ვერ ვხვდები, რას გულისხმობთ?

— არა მგონია, ასეთი მიუხვედრელი იყო, მაგრამ რაკი თავს იშტერებ, უფრო დეტალურად აგიხსნი.

— ყურადღებით გისმენთ.

— სეხნიაშვილმა, რომ იტყვიან, პირდაპირ სულზე მოგვისწრო.

— როგორ?

— როგორ და შეგვიძლია, ყველაფერი ისე მოვაწყოთ თითქოს... მოკლედ, ხომ ხვდები, რასაც ვგულისხმობ?

— ვერა, ვერ ვხვდები, — ორდენიძეს ხმაში გაღიზიანება დაეტყო.

— თუ ვერ ხვდები, მაშინ სეხნიაშვილის წარსული გაიხსენე! — ხმას აუწია პოლკოვნიკმა. — ის ერთხელ უკვე იყო ნასამართლევი. წელან თქვი და მეც გეთანხმები, რომ ახლა ბიჭი შოკშია და იმიტომ გაყვირის, ბებიაჩემი მოვკალიო. მაგრამ როგორც კი შოკიდან გამოვა, პირველ რიგში იმას ინატრებს, რომ ბებიის სიკვდილი არ დაჰბრალდეს.

— არც დაჰბრალდება, ბატონო კახაბერ...

— რა თქმა უნდა, — სახეზე ცბიერი ღიმილი გადაეფინა პოლკოვნიკს, — მით უფრო, რომ უბედური შემთხვევის ფაქტს სეხნიაშვილების მეზობელიც დაადასტურებს.

— რა თქმა უნდა, დაადასტურებს.

— ოღონდ, ეს ყველაფერი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სეხნიაშვილი ჩვენთან ითანამშრომლებს და აღიარებით ჩვენებას მოგვცემს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ყალბი ლტოლვა

დასაწყისი

არა, რაღა მაინცდამაინც ახლა შემხვდა? საშინლად გამოვიყურები დღეს, თან, ეს ძაძები რომ მაცვია! კი არაფერი, ნერვიც არ ამტოკებია, მაგრამ მაინც! იყო დრო, როცა მის დანახვაზე ელეთ-მელეთი მომდიოდა. ნუგზარი! ბატონი ნუგზარი! ჩემი ყოფილი უფროსი, რომელთანაც კადრების განყოფილებაში ვმუშაობდი.

თავიდან ჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა — როგორიც დირექტორსა და ხელქვეითს, მერე კი... მერე რაღაც დაინახა ჩემში და სხვანაირად შემომხედა. მერე... მერე კიდევ ბევრი რამ იყო... არადა, ვიცოდი, ცოლი რომ ჰყავდა და გავურბოდი მასთან ახლო ურთიერთობას. კიდევ კარგი, არ შემიყვარდა, თუმცა ერთ მომენტში კი მძლია ცდუნებამ.

25 წლის ვიყავი მაშინ, ის 40-ის გახლდათ. საკმარისად მაღალი, სიმპათიური, თან, დირექტორი! იყო ამ ყველაფერში ერთად რაღაც დამაინტრიგებელი! აბა, როგორია, უფროსი თანამშრომლებში რომ გამოგარჩევს და სხვა თვალით შემოგხედავს?! პრივილეგიებით რომ სარგებლობ?! არც დაგვიანებაზე გსაყვედურობს და არც ადრე წასვლას გიშლის.

ჰოდა, როცა საქმე საქმეზე მიდგა და საყვარლობა შემომთავაზა, თავაზიანი უარი ვუთხარი, ქალიშვილი ვარ და მინდა, ჩემი პირველი მამაკაცი ჩემი ქმარი იყოს-მეთქი. ამ დროს მოვატყუე! რა ქალიშვილი, რის ქალიშვილი! ეს „სიწმინდე“ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დავკარგე, ჩემნაირ სტუდენტთან, ერთი ძველი „ოპელის“ უკანა სავარძელზე! ახლა მეცინება ამის გახსენებაზე, მაშინ კი ტკივილისაგან ისე დავიგრიხე, სულ თავბედი ვიწყევლე, რა სიკვდილად მინდოდა, კაცთან დაწოლამეთქი. მეგონა, თუ სექსუალურ განათლებას მივიღებდი, რქები ამომივიდოდა! თქვენც არ მომიკვდეთ! მსგავსი არაფერი. არც მაშინ და არც მერე დიდი სიამოვნება არ მიმიღია. რა ვიცი, ალბათ იმიტომ, ისიც ჩემსავით გამოუცდელი იყო.

19 წლის არც ვიყავი. კინოში დამპატიჟა და გავყევი. მთელი ქალაქი მაშინ იმ ფილმზე ლაპარაკობდა, ფრანგული იყო, აღარ მახსოვს სათაური, მაგრამ იმდენი ეროტიკული სცენით იყო გაჯერებული, ჩემი ისტორიული ფაკულტეტის თაყვანისმცემელი ადგილზე ცმუკავდა. მე კი ძალიან განვიხიბლე. შემდეგ, კინოთეატრიდან გამოსულებმა, იმის ნაცვლად, რომ ჩვენ-ჩვენს სახლებში წავსულიყავით, ლისის ტბაზე ამოვყავით თავი და... მოსახდენი იქ მოხდა. მგონი, მე კი არა, მაგანაც იმ ღამეს დაკარგა ვაჟიშვილობა. რაღაც ეგრე შევატყვე. ისე მოუხერხებლად იქცეოდა, ისე იყო დაბნეული, რომ ნუ იტყვით. მერე დიდხანს ვიმტვრევდი თავს, საერთოდ როგორ გამოუვიდა რამე-მეთქი.

შემდეგ ერთხანს ვხვდებოდით ერთმანეთს. მერე მოხდა ის, რაც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე... დავორსულდი. ლამის თავი მოვიკალი, ისე განვიცადე. რა უნდა მექნა? დავურეკე.

— სერიოზული საქმე მაქვს შენთან, ლერი, — შორიდან დავიწყე.

— რა იყო, ვინმემ რამე გაწყენინა?

— არა. სხვა საქმე მაქვს... პირადი.

— რას ნიშნავს „პირადი“? — ისე მკითხა, თითქოს სიტყვა „პირადი“ პირველად ესმოდა.

— ეს მე და შენ გვეხება.

— მე და შენ? რაღაც ვერ გავიგე. რამე არ მოგწონს? — მივხვდი, რომ მართლა ვერ ხვდებოდა.

— ტელეფონში ვერ გეტყვი, უნდა შემხვდე.

— არ შემიძლია, სოფელში ვარ, მითხარი დროზე! — გაღიზიანდა.

— ორსულად ვარ, — მეც ავდექი და მივახალე.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ის ხმას არ იღებდა.

— მომისმინე, ანუკი, — ამოთქვა ბოლოს, — მეტჯერ არ მინდა ამის გაგონება, გესმის? ჩვენ სტუდენტები ვართ, რა დროს ოჯახის შექმნაა, თან... ჩვენ ამაზე არასდროს გვილაპარაკია. მე შენ ცოლად შერთვას არ შეგპირებივარ, არც ძალა დამიტანებია შენთვის... პატარა გოგო არ ხარ... მე ორი კვირა ვერ ჩამოვალ. იშოვე ფული სადმე, ისესხე და რომ ჩამოვალ, მოგცემ, კარგი? არ გააჭიანურო ეგ ამბავი. მიხედე საქმეს, გაიგე? — და გამითიშა.

ჰო, რა თქმა უნდა, გავიგე, თანაც, ძალიან კარგად გავიგე...

და დავურეკე ერთადერთ ადამიანს, რომელსაც ვენდობოდი... თათიას, ჩემს დაქალს, რომელთანაც 10 წელი ერთ მერხზე ვიჯექი...

სწორედ თათიამ მომცა გინეკოლოგის ტელეფონის ნომერი. სწორედ ის გამომყვა ექოსკოპიაზე. სწორედ მას ეჭირა ჩემი ხელი, როცა ექიმი რეზინის ხელთათმანებით მსინჯავდა. და სწორედ თათია იყო, რომელმაც ბოლომდე შეინახა ჩემი ეს სამარცხვინო საიდუმლო...

მერე იყო ეს ჩემი უფროსი, ნუგზარი, თუმცა არც მას გამოუვიდა რამე. უფრო სწორად, მე არ მივეცი საშუალება, თორემ მაგას კი ექნებოდა გამოცდილება. სხვა თუ არაფერი, ცოლი ჰყავდა და ტყუპი ქალ-ვაჟიც.

ჰოდა, აი, ეს ნუგზარი შემხვდა ახლა აგერ, ქუჩაში, 4 წლის უნახავი! მაშინ რომ ვუთხარი, შენთან სექსი არ მინდა, რადგან ქმარს უმწიკვლო უნდა ჩავბარდემეთქი, გადამეკიდა და იძულებული გავხდი, სამსახური მიმეტოვებინა. ფაქტობრივად, მაიძულა.

ერთხანს უმუშევარი დავდიოდი. ვერსად ვერაფერი ვიშოვე. ჩემსიგრძე დიპლომი ტყუილად მეგდო სახლში. არადა, ეკონომისტი ვიყავი, ახლა რომ მენეჯერს ეძახიან, მაშინ ასე კი არ იყო.

ბოლოს ბედმა გამიღიმა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ. შემთხვევით ისევ თათია მომევლინა მხსნელად. რაც გათხოვდა, იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს, მერე უფრო და უფრო დავშორდით, ბოლოს საერთოდ შევწყვიტეთ ერთმანეთთან ურთიერთობა. ხშირად ხდება ასე. ის ოჯახზე გადაერთო, მე — სამსახურზე. ამას ახალი მეგობრების შეძე-

ნა დაემატა და მორჩა, დამთავრდა ერთ დროს საუკეთესო მეგობრობა.

ერთხელაც, ამდენი წლის უნახავი, შემთხვევით შემხვდა ქუჩაში და თავისთან დამპატიჟა. ქმარი არ იყო შინ, სამაგიეროდ, თათიას უფროსი ძმა დამხვდა, საშკა. როგორ მომეწონა! პირი დავაღე მის დანახვაზე. შეცვლილიყო. სიმპათიური ყოველთვის იყო, მაგრამ ახლა უფრო გასიმპათიურებულიყო. იმასაც გაუხარდა ჩემი დანახვა.

დიდი სითბოთი და სიყვარულით მოვიკითხეთ ერთმანეთი. საკუთარი საგამოძიებო ბიურო გაუხსნია და მითხრა, თუ გინდა, ჩემთან წამოდი და საბუღალტრო საქმეებში დამეხმარეო. სიხარულით ცას ვეწიე. უარს როგორ ვეტყოდი, სიმწრით დავეძებდი სამსახურს...

გამიგრძელდა საუბარი, ჯერ ნუგზარის შეხვედრის ამბავი უნდა დავამთავრო. მოვდივარ ქუჩაში დაცეცხლებული, თავზარდამცემი ამბის გაგების შემდეგ, თვალებიდან ცეცხლს ვაფრქვევ და ვიღაც მეძახის.

— ანა! ანუშკი! ანაჩკა!

გავიხედე და... ნეტავ, არ გამეხედა. ყურებამდე გაღიმებული, ხელებგაშლილი არ მოდის ჩემკენ? გულმა ნეკნებში დამიწყო ბაგაბუგი, ისე დავიძაბე. მერედა, როგორ შემხვდა?! თითქოს არასდროს არაფერი დაეშავებინოს ჩემთვის, თითქოს, იძულების წესით არ გამოვეგდე სამსახურიდან, თითქოს მთელი ცხოვრება საუკეთესო მეგობრები ვყოფილიყავით.

— როგორ ხარ, გოგო! — გადამეხვია, გადამკოცნა, — შავი ფერის სამოსი რატომ გაცვია, რამე მოხდა, თუ ისე, მოდისთვის? — სულელურად გამეხუმრა.

— დედა დამეღუპა! — ცივად ვუთხარი.

— რას ლაპარაკობ! ვწუხვარ, ვწუხვარ! არ ვიცოდი... რა დაემართა?

— მანქანა დაეჯახა.

— აუჰ! ეს რა მითხარი! მამაც არ გყავს, ხომ?

— არა, მამა უფრო ადრე გარდამეცვალა... სიმსივნით.

— ჰო, ეგ ვიცი... ჩემი დახმარება ხომ არ გჭირდება? თუ რამეა, შენთან ვარ, იცოდე!

— კი, მჭირდება, — კიდევ უფრო ცივად გამომივიდა.

— მითხარი, შე ქალო, რა პრობლემაა, აგერ არ ვარ? — კვლავ გაშალა ხელები და თავმომწონედ შემომხედა.

— დიდად დამავალებ, თუ თავიდან მომწყდები. შენი ნერვი არ მაქვს! — მივახალე ზომაზე მეტად თავხედურად და ზურგი შევაქციე.

დავტოვე ხახამშრალი. ისედაც შოკირებული ვიყავი, ისეთი ამბავი გავიგე ცოტა ხნის წინ და მისი თავი არ მქონდა.

შინ მისული კი საწოლზე დავემხე და ავზლუქუნდი. რა ბედი მაქვს! არაფერში არ მიმართლებს. ჯერ მამა დავკარგე, მერე სამსახური, შემდეგ — დედა... დღეს კი გავიგე, რომ თურმე დედაც და მამაც დიდი ხნის დაკარგულები მყოლია... როგორ? ჩვეულებრივად. თურმე მათი ღვიძლი შვილი არ ვყოფილვარ! ნაშვილები ხართო, — მითხრეს საპასპორტოში და პოლიციის განყოფილებაში გამგზავნეს უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად.

იქ ერთი ცხვირგრძელი ოფიცერი დამხვდა და მომახსენა, თქვენი დაბადების მოწმობა ყალბი აღმოჩნდა, გადაკეთებულია მშობლების გრაფები, დედა სულ სხვა პიროვნება წერია, მამა კი საერთოდ არ იკითხება, ვინ არისო. გადავირიე! ავხტი, დავხტი, მატყუებთ-მეთქი, მაგრამ ბოლოს ცხვირწინ ამიფრიალეს ნამდვილი დაბადების მოწმობა და მომაკეტინეს.

არადა, დედაჩემის 40 სულ 3 დღეა, რაც გადავიხადე, ვიწრო წრეში, რა თქმა უნდა. კიდევ კარგი, სამსახური მაქვს, თორემ რა მეშველებოდა, ვერ გადავიტანდი ამხელა სტრესს. ახლა კიდევ ეს დამემატა. სულ მარტო დავრჩი, თან — უსახელგვაროდ. თუ დროზე არ მოაწესრიგებთ საბუთებს, ხელი შეგეშლებათ მომავალშიო, — იმ ცხვირგრძელმა. განცხადება დაწერეთ უფროსის სახელზე და სასამართლო განიხილავს თქვენს საქმესო. გაგიგონიათ? მსგავსი რამ ოდესმე ვინმეს გაუგია? მე, მაგალითად, არასდროს!

დარეტიანებული გამოვედი განყოფილებიდან. სინამდვილეში ვინ ვიყავი, აღარ ვიცოდი. აქამდე მეგონა, რომ ანასტასია სამხარაძე მერქვა, დღეს კი მეუბნებიან, სამხარაძე კი არა, რუსაძე ხარო. მოდი და გაიგე ახლა, რომელია სიმართლე! ნინო რუსაძის ქალიშვილიო.



ახლა საშკას შეეძლო ჩემი დახმარება. თუ მიშველიდა, ისევ ის. მას შეეძლო ჩემი ნამდვილი დედის მისამართის გაგება. არა, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა ვიპოვო ის ქალი და ვკითხო, რამ აიძულა, რომ თავიდან მომიშორა და გამაშვილა! ამისთანა რა გაჭირვება ჰქონდა!

საშკა — ახლა მხოლოდ ის იყო ჩემი ერთადერთი იმედი. ბოლოს და ბოლოს, კარგა ხანს მუშაობდა პოლიციაში და იცის, ასეთ საქმეს როგორ და საიდან მიუდგეს. უნდა გავიგო, სინამდვილეში ვინ იყვნენ ჩემი ნამდვილი მშობლები.

წარმოვიდგინე საშკას სახე, ამ ამბავს რომ მოვუყვებოდი. თან, როგორ მომწონს ეს ოხერი! რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვეჩვევი. მით უმეტეს, ამ ბოლო დროს, რაც ცოლს გაშორდა, თუ ცოლი გაშორდა, რა მნიშვნელობა აქვს. მთავარი ის არის, რომ ვიფიქრე, ტუზი დამეცა-მეთქი. 3 თვეა უკვე, ცალ-ცალკე ცხოვრობენ. იმ ქალმა დაავლო ბავშვებს ხელი და თავის მშობლებთან გავარდა, შენი ატანა არ მაქვსო. მე მგონია, რომ სხვა შეუყვარდა, თორემ საშკასნაირ ქმარზე ქალმა უარი როგორ უნდა თქვას? კაცი თავგამოდებით მუშაობს, ფულს აკეთებს, ნარკომანი არ არის, ლოთი და მამაძაღლი... მეტი რა ჯანდაბა უნდა? შეხედავ, იმისთანაა, გული გაგინათდება, რომელი ქალი იტყვის მის გვერდით ყოფნაზე უარს!.. მათ შორის, არც მე. იქნებ ახლა მაინც გადმომხედოს ღმერთმა.

გულამოვარდნილმა მივირბინე სამსახურში და პირდაპირ საშკას კაბინეტში შევვარდი, — მიშველე-მეთქი. ჯერ გაუკვირდა, რა გჭირსო. მერე მშვიდად მომისმინა.

— ანა, ანა, მოიცა, რა! — გამაწყვეტინა გაღიზიანებულმა. — დარწმუნებული ხარ, რომ შენ ეს გჭირდება?

— მჭირდება, აბა, რა! მაგას შევარჩენ ჩემს განადგურებას? ადამიანად აღარ ვვარგივარ. ვერ წარმოიდგენ, როგორ შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს. ისე მიმაგდო სხვის ანაბარად, ვითომ ბავშვი კი არა, დამტვრეული თოჯინა ვყოფილიყავი. ეგ როგორ ვაპატიო? უნდა გავიგო, სად ცხოვრობს და შენ უნდა დამეხმარო ამაში.

— და მერე, რა?

— როგორ თუ, რა? მივალ და ვეტყვი, ვინც ვარ. თან პასუხს მოვთხოვ, რატომ გამწირა ასე. მინდა ამიხსნას, რამ აიძულა ჩემი გაშვილება.

— და გგონია, ეს შვებას მოგგვრის?

— არ ვიცი, რას მომგვრის, მაგრამ მე მხოლოდ ეს დამაწყნარებს. დამეხმარე!

— კარგი, ვეცდები, რამე გავარკვიო, მაგრამ რაღაც არ მომწონს ეს ყველაფერი. რად გინდა, ასეთი ცუდი ამბის გამოთხრა? შენ არაჩვეულებრივი მშობლები გყავდა, მათ ხსოვნას ეცი პატივი, არ გირჩევნია? ის ქალი, ვინცაა, სულაც არ არის იმის ღირსი, მონახო და...

— და რა?

— თუნდაც საქმე გაურჩიო. ის ამას არ იმსახურებს, გესმის?

— ვიცი, მაგრამ მაინც უნდა ვიპოვო. ისე უნდა დაიტანჯოს, როგორც ახლა მე ვიტანჯები. თუ ქმარი ჰყავს და შვილები, მით უარესი მისთვის. ყველას გავაგებინებ, რა საშინელი დედაა. ეგ მინდა მხოლოდ, — გაცოფებული რას ვყვიროდი, თავადაც არ მესმოდა. ავიჩემე, მინდა-მეთქი და ახლა საშკასნაირების მთელი არმია რომ დამსეოდა, ვერ გადამათქმევინებდა.

მართლაც, საშკამ მეორე დილითვე სახლში დამირეკა და მითხრა, ამა და ამ რაიონის საპასპორტოში მიხვალ და ვინმე ლიდას ნახავ. ჩემი სახელით დაელაპარაკები და ყველაფერს აგიხსნისო.

ეგრევე გავქანდი. ტაქსი გავაჩერე და 15 წუთში ადგილზე ვიყავი.

ლიდა კეკლუცი ქალი აღმოჩნდა, თან, ძალიან ახალგაზრდა, რასაც არ მოველოდი. მეგონა, ასეთი სახელის მქონე აუცილებლად ასაკოვანი უნდა ყოფილიყო. აბა, რა წესია, ახალგაზრდა გოგოს ლიდა ერქვას, რუსი რომ იყოს, კიდევ ჰო. ხანდახან მიკვირს, რაზე ფიქრობენ მშობლები, როცა შვილებს ასეთ ბებრულ სახელებს არქმევენ ხოლმე, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ დედას, მამას თუ ბებია-ბაბუებს ერქვათ დრომოჭმული სახელები?!

კეკლუცი ლიდას ხელში წითელი სქელი ბლოკნოტი ეჭირა და საქმიანი იერით მომჩერებოდა. ვუთხარი, ვინც ვიყავი და რაც მინდოდა.

— იცით? აქ ვერაფერს გეტყვით, უფლება არ მაქვს, — ჩურჩულით მითხრა, — გავიდეთ გარეთ, კაფეში დავსხდეთ, ყავა დავლიოთ და იქ ვილაპარაკოთ. ყველაფერი აქ მიდევს, — იდუმალი ხმით დააყოლა და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ბლოკნოტს მიუკაკუნა.

ცოტა ხნის შემდეგ ორივენი ყავახანაში ვისხედით.

— თუ შეიძლება, 2 ყავა, — ვუთხარი მოახლოებულ ოფიციანტს, — თურქული.

აღარც მიკითხავს ქალბატონი „წითელი ბლოკნოტისთვის“, როგორი ყავის დალევა სურდა. ჩემი ჯიბე ამწუთას სხვა უკეთესს მაინც ვერ გასწვდებოდა, ამიტომ ის უნდა „ეხვრიპა“, რაც მე შევუკვეთე.

— იცით? ეს რომ ჩემმა უფროსმა გამიგოს, სამსახურიდან გაგდება არ ამცდება, მაგრამ რა ვქნა, საშკას როგორ ვეტყოდი უარს. მისგან იმდენი სიკეთე მახსოვს...

„ალბათ გაგჟიმა რამდენჯერმე, არა?“ — გავიფიქრე ჩემთვის და ამ გაფიქრების შესაფერისი ღიმილი გამოვისახე სახეზე.

— რატომ, რა არის ამაში ასეთი აკრძალული? მე მხოლოდ მისამართს ვითხოვ ადამიანისას, მეტს ხომ არაფერს?

— ჰოდა, მაგაშია საქმე. ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა. მისი ნებართვის გარეშე მე არ მაქვს ამის გაკეთების უფლება.

— ჩათვალეთ, რომ ვალში ვარ თქვენთან.

— უი, რას ამბობთ. ამიტომ კი არ მითქვამს. ეგ რა შუაშია.

— კარგი, მოდი მაშინ, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, — უკმეხად გავაწყვეტინე, უკვე ნერვებს მიშლიდა „წითელი ბლოკნოტის“ ძალად საქმიანი იერი და ვითომ დიდად სახიფათო როლის თამაში.

— თქვენ ბრძანდებით ქალბატონ ნინო რუსაძის ქალიშვილი, — დაიწყო ლიდამ ერთობ ოფიციალური ტონით.

— ეგ უკვე ვიცი, დანარჩენი?

— რომელიც ცხოვრობს ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე, — კიდევ უფრო საქმიანად გააგრძელა და დაკვირვებით მომაჩერდა, ეფექტს თუ ახდენს ჩემი ნათქვამიო.

— კიდევ?

— კიდევ... მითხარით, რა გაინტერესებთ და... — წარბები აზიდა „წითელმა ბლოკნოტმა“ და წითელ ბლოკნოტს ჩააშტერდა.

— ოჯახური მდგომარეობა?

— ჰყავს 2 შვილი, ქალ-ვაჟი — 27 და 26 წლის. ქვრივია. მეუღლე თავის დროზე სააფთიაქო ბაზის დირექტორი გახლდათ. გარდაიცვალა 6 წლის წინ. აქვს შეძლებული ოჯახი.

— მუშაობს?

— ამჯერად არ მუშაობს, ხშირად ავადმყოფობს და შვილები უვლიან. მეტი არაფერი ვიცი. ჰო, კიდევ, ქალიშვილი გათხოვილია, 1 შვილი ჰყავს. ვაჟი კი ჯერ არ არის დაოჯახებული. მუშაობს ბანკში. სულ ეს არის, რისი მოძიებაც შევძელი.

— დიდი მადლობა, ლიდა. სულ ეს იყო, რაც მაინტერესებდა, — მოწყალედ გავუღიმე „წითელ ბლოკნოტს“, ყავის საფასური გადავიხადე და კისრისტეხით გამოვვარდი კაფედან.

ვერაფრით შევეგუე იმ აზრს, რომ თურმე ჩემი მშობლები მთელი ცხოვრება მატყუებდნენ. წამითაც კი არასდროს არაფერი მიგრძნია. სხვათა შორის — არც სხვებისგან. ყველაფერი, რაც ვიცოდი, ყველაფერი, რისიც მჯეროდა, ტყუილი აღმოჩნდა. ყველაფერი, რასაც შეიძლებოდა დავყრდნობოდი ცხოვრებაში, წამში ხუხულასავით თავზე დამემხო.

ყოველმხრივ დაცულად ვგრძნობდი თავს აქამდე... რა თქმა უნდა, მთლად ბოლომდე არა, მაგრამ... ნაწილობრივ მაინც... ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ვიცოდი, ვინ ვიყავი და საიდან გავჩნდი. ახლა კი...

— შენ ისეთი იღბლიანი ხარ, ანუშკი, შურისგან გული მერევა, — მეტყოდა ხოლმე თათია ბოლო ხანებში, კვლავ რომ განვაახლეთ ურთიერთობა, — საშკა რომ უცოლო იყოს, სულ რომ არ შეყვარებოდი, ძალად მოვაყვანინებდი შენს თავს.

მიკვირდა, რა მჭირდა ვინმეს შესაშური, ისეთი რა ცხოვრება მქონდა. თურმე ნუ იტყვით, თათიას თავისი შეხედულება ჰქონია ამ ყველაფერზე.

— შენ დედისერთა ხარ, ჩემო კარგო. არ გინევს ბრძოლა იმისთვის, რომ მშობლებმა ყურადღება არ მოგაკლონ და შენი წილი სიყვარული მეორე შვილს არ გაუნაწილონ. არ გიწევს საკუთარ ძმასთან კამათი ქონებაზე და რა ვიცი, ათასი რამის ჩამოთვლა შეიძლება.

— შენ და საშკა რა, ქონებაზე დაობთ? — პირი დავაღე, როცა ეს ამბავი მოვისმინე.

— აბა, არ ვდაობთ? ყველაფერი თავისთვის უნდა. მე რა, არ მეკუთვნის ჩემი სახლიდან არაფერი? მერე რა, რომ გავთხოვდი? მეც სრულუფლებიანი წევრი ვარ ჩემი ოჯახის, მით უმეტეს, უმცროსი და ვარ მისი, მეც მჭირდება რაღაცრაღაცები.

ეჰ, ნეტავი თათიას, ამის მეტი სადარდებელი რომ არაფერი აქვს. მე კი ახლა ისეთი საფიქრალი გამიჩნდა, რომ... აღარ ვიცი, საიდან დავიწყო. დედისერთაო... თურმე არ ვყოფილვარ დედისერთა და ჩემ გარდა დედაჩემს 2 ჩემნაირი ჰყოლია. ნეტავ, მამაჩემი ვინ არის? ის, ვინც დედაჩემს ამ რამდენიმე წლის წინ გარდაეცვალა თუ სხვა ვინმე, ვინც ქმრამდე ჰყავდა? საინტერესოა, ვინ იყო? ყვავილების გამყიდველი? მემაწვნე? მღვდელი თუ მეკუბოე? იქნებ შემთხვევითი ურთიერთობის დროს ჩასახული ნაბიჭვარი ვარ სულაც? ან იქნებ გაუპატიურების შედეგად დაბადებული? ო, ღმერთო ჩემო! ასე თუ მივყვები, იმდენი ვარიანტის ჩამოთვლა შეიძლება, გაგიჟდება კაცი!

არადა, როგორ მახსოვს, ბავშვობაში რამეს რომ დავაშავებდი, დედაჩემი მომდგებოდა ყვირილით, ვის დაემსგავსე ასეთი ქარაფშუტაო. მეზობლებისგან კი

რამდენჯერ გამიგონია, მთლად მამამისის ასლიაო...

თურმე სადა ხარ! რა მამა, რის დედა! საერთოდ, არ ვყოფილვარ მაგათი შვილი! რატომ არ მითხრეს? რატომ გადაწყვიტეს, რომ სიმართლის დამალვა გონივრული საქციელი იქნებოდა? ვისთვის იქნებოდა ეს საშიში? მათთვის, რა თქმა უნდა. არა, რადგან ამის გამო ისინი არ შემძულდებოდნენ. პირიქით, მეტი პატივისცემით განვიმსჭვალებოდი ორივეს მიმართ. თუმცა... ალბათ თვითონ არ ფიქრობდნენ ასე. ალბათ შეეშინდათ, არ შეგვიძულოს ბავშვმაო. ან იქნებ იმის ეშინოდათ, რომ ნამდვილ მშობლებს მოვძებნიდი და მათ ზურგს შევაქცევდი? არ ვიცი, არ ვიცი...

ამ ფიქრებში შევეცადე, ქუჩის მეორე მხარეს გადავსულიყავი. მაგრამ ავტომანქანის უხეშმა სიგნალმა იძულებული გამხადა, უკან, სველ ტროტუარზე დავბრუნებულიყავი. ალბათ როგორ შემაგინა მაგ ულვაშიანმა გორილამ, კაცს მაინც ჰგავდეს!

წვიმამ უმატა. თითქოს ჩემს ჯინაზე, არა და, არ აინთო მწვანე შუქი, დროზე რომ გადამეჭრა ქუჩა და ავტობუსში ან სამარშრუტო ტაქსიში ჩავმჯდარიყავი. თანდათან ვსველდებოდი. წინ ჩამოყრილი თმა ერთიანად მიმეწება შუბლსა და სახეზე.

როგორც იქნა, მივაღწიე სახლამდე. როგორმე უნდა დავწყნარდე, თორემ ახლა, ამწუთას რომ ქალბატონ ნინოს მივადგე, ღმერთმა უწყის, რა სცენებს გავუმართავ. არ არის გამორიცხული, ყველაფერი დავულეწო სახლში და საბოლოო ჯამში პოლიციაშიც ამოვყო თავი ხულიგნობისთვის. ჯობია, დღეს თავი შევიკავო!

სველი ტანსაცმელი გავიხადე და ცხელი აბაზანა მივიღე. რა საშინელ ხასიათზე ვიყავი, ჩემ გარდა ვერავინ გაიგებდა ამას. როგორ მომინდა დალევა! ცხოვრებაში არ გამჩენია ასეთი სურვილი! ვაითუ, მამაჩემი ლოთი იყო და დალევა გენებში მაქვს? უკვე ისე ვიყავი დაშინებული, ათას სისულელეზე ვფიქრობდი.

სააბაზანოდან გამოვედი თუ არა, არაყი მოვიძიე. არც მახსოვს, საიდან მქონდა, მაგრამ რომ მქონდა, ზუსტად ვიცოდი. ჩაის ჭიქაში ნახევრამდე ჩამოვასხი და მოვიყუდე!

ვაი, თქვენს მტერს, მე რომ დამემართა! ცეცხლი წამეკიდა გულ-მუცელში! თუმცა, მხოლოდ ცოტა ხნით. მერე შემახურა, შემახურა და გავბრუვდი კიდეც. კიდევ მომინდა დალევა. დავისხი და კიდევ დავლიე... კიდევ, კიდევ... ოჰ, როგორ დავთვერი. საწოლამდე ძლივს მივაღწიე. ტანსაცმლიან-ფოსტლებიანად მივეგდე ლოგინზე და თვალები დავხუჭე. ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა... კიდევ ცოტა ხანი და გავითიშე...

რაღაც დარტყმის თუ კაკუნის ხმამ გამომაღვიძა, თითქოს ვიღაც ჩაქუჩს ურახუნებდა სადღაც... ასეც იყო. ჩემს საფეთქლებს რახარუხი გაჰქონდა, ისე მისკდებოდა თავი. შაბათი ცუდად დაიწყო. გულის რევის შეგრძნება არ მცილდებოდა. ესეც შენი „პახმელია“ თუ ნაბახუსევი, როგორც არის, რა!

ავდექი და ჯინისის შარვლის ჩაცმა გადავწყვიტე. ის იყო, ცალი ფეხი ჩავყავი ერთ ტოტში, რომ თავბრუ დამეხვა. ბოლო წამში მოვასწარი, საწოლის კიდისთვის ხელი ჩამევლო, რომ არ ავყირავებულიყავი. კვლავ წამოვწექი და ჩემს თავს პირობა მივეცი, თუ დღეს გადავრჩებოდი, ცხოვრებაში წვეთ სპირტიან სასმელსაც აღარ დავლევდი. ან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში დავლევდი, თან ცოტას, ისე, როგორც მამაჩემს სჩვეოდა, თუმცა...

ის არ იყო ჩემი მამა... და ყველაფერი, რაც მასთან მაკავშირებდა, ტყუილი იყო... გული ყელში მომებჯინა, სახე ბალიშში ჩავრგე სასონარკვეთილმა და კვლავ ავზლუქუნდი... ვიტირე მანამ, სანამ ცრემლები არ გამიშრა...

ვერც იმ დღეს შევძელი სახლიდან გასვლა. კიდევ კარგი, შაბათი იყო და მუშაობა არ მიწევდა. არ მინდოდა, საშკას ესაყვედურა ჩემთვის, სამსახურს აცდენო...

საყვედურის რა გითხრათ, მაგრამ საშკა საღამოს თავად მეწვია, თან, მნიშვნელოვანი ინფორმაციით, რომელმაც მთლად მომიღო ბოლო.

— ცუდი ამბავი მაქვს შენთვის, — მოგუდული ხმით დაიწყო.

— რა ხდება, კიდევ რამე საშინელება ტრიალებს ჩემს თავს? იმაზე უარესი, რაც მჭირს? — სარკასტულად გამეცინა.

— დედაშენს ხალხი მივუგზავნე... უფრო სწორად, მისი ოჯახის ადვოკატს ველაპარაკეთ.

— მერე? — ამის გაგონებაზე გავფითრდი და სუნთქვა შემეკრა.

— რა თქმა უნდა, შენი სახელი არ გვიხსენებია, მაგრამ მივანიშნეთ, რომ არსებობ და ცოცხალი ხარ.

— ძალიანაც კარგი. როდის უნდა შევხვდე?

— შეხვდე? რა სისულელეა, არც იფიქრო. ქალი თავს იკლავს, არავითარი შვილი მე არ მყოლია, ტყუილია, რასაც მეუბნებითო. იმ დროს, რა თარიღსაც თქვენ მისახელებთ, საერთოდ არ ვიყავი თბილისში, მოსკოვში საავადმყოფოში ვიწექი და ოპერაციას ვიკეთებდიო.

— ოპერაციასო? რის ოპერაციასო? — გამწარებული სკამიდან წამოვხტი,

თავის ქალა უარესად ამიფეთქდა ტკივილისგან.

— ეგ არ უთქვამს, აბა, მე რა ვიცი.

— მატყუარა! საზიზღარი ქალი! ამას არ ვაპატიებ! თვითონ მივადგები სახლში და ვნახოთ, რას მიპასუხებს! — ვბობოქრობდი.

— ანა, არ გინდა, გთხოვ, დაწყნარდი. აჩქარებით ვერაფერს მოიგებ.

— მოვიგებ? რა უნდა მოვიგო? გგონია, რამე რომ მოვიგო, იმიტომ მინდა მისი ნახვა? არავითარ შემთხვევაში! მე ის მინდა გავიგო, ასე რატომ გამწირა! სხვა არაფერი!

საშკა კიდევ დიდხანს ცდილობდა ჩემს დამშვიდებას და დარწმუნებას, რომ მასთან შეხვედრას აზრი არ ჰქონდა. მე კი არაფრის გაგონება არ მსურდა. ერთადერთი, რაშიც შევთანხმდით, ის იყო, რომ როგორმე კვირამდე მოვითმენდი და ასე გვიან არ მივუვარდებოდი სახლში უცხო ადამიანებს.

დამშვიდობების წინ საშკამ ხელები მომხვია და ჩამიხუტა. მისი ცხელი სუნთქვა პირდაპირ ყელში დამეტაკა. ჟრუანტელმა დამიარა და თავი ძლივს მოვთოკე, ტუჩებში არ დავტაკებოდი...

ის ღამე ლამის თეთრად გავათენე. თან სასიამოვნო იყო ჩემი უძილობა, თან — უსიამოვნო. ნინოზე ფიქრი საშკაზე ფიქრს ცვლიდა და სწორედ ამის მიხედვით მეცვლებოდა ხასიათი...

მეორე დილით ადრიანად ავდექი, გავემზადე და მტკიცე გადაწყვეტილებით გავეშურე ვაკისკენ, რომ დედაჩემად წოდებული ქალისთვის თვალებში ჩამეხედა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ახდენილი წინასწარმეტყველება

მარი ჯაფარიძე

მივესალმები მკითხველს და მთელი გულით მოვიკითხავ. დღევანდელ თემასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა: სკოლაში „გაგანია“ კომუნისტების დროს ვსწავლობდი. ქართულის მასწავლებელმა საკონტროლოს თემად დაგვავალა: „როგორ ვხედავ ჩემი სამშობლოს მომავალს?“ ეს ნამუშევარი ნაზი მასწავლებელმა სკოლის დამთავრებიდან კარგა ხნის შემდეგ (როდესაც საბჭოთა წყობილება შეიცვალა და ჩემი წინასწარმეტყველება ახდა) გადმომცა. ახლა ერთ ნაწყვეტს გაგაცნობთ: „უარყოფითი მხარეები სოციალიზმსაც აქვს (ამის დაწერა იმ დროს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული) და ეს ნაკლოვანებები დაღუპავენ მას. თუ კომუნისტური პარტია ისეთივე პოლიტიკის გატარებას გააგრძელებს, როგორსაც დღეს ახორციელებს, ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირში ბევრი მესაკუთრე და კუსტარული წარმოება გაჩნდება. სახალხო მეურნეობის არასწორი მოწყობა ხალხის უბედურების ხარჯზე, სპეკულანტების ჯიბის გასქელებას გამოიწვევს. ეს კი ბევრი ადამიანისთვის მიმზიდველი სატყუარა აღმოჩნდება და სპეკულანტების რიცხვი გაიზრდება. ამასთან, დანაშაულის რიცხვიც მოიმატებს. კომუნისტური პარტიის არასწორი პოლიტიკის შედეგად გაქსუებული, მსხვილი სპეკულანტები რევოლუციას მოაწყობენ და სოციალიზმიდან კაპიტალიზმში გადავინაცვლებთ“. არც ისე ცუდად მიწინასწარმეტყველებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1982 წელი იყო — ბრეჟნევის „უძრაობის“ პერიოდი, მე კი სოციალიზმის დაშლაზე ვლაპარაკობდი. ნამუშევარი სასწრაფოდ გადამალეს, დირექტორი შუაღამისას შინ მეწვია და ახალი თემის დაწერა დამავალა, რომელიც დილისთვის მზად უნდა ყოფილიყო. ჩემმა პროტესტმა შედეგი არ გამოიღო და დედისა და მამის დაჟინებული მოთხოვნით, დავანებე თავი ჩემს წინასწარმეტყველურ, პოლიტიკურ-ანალიტიკურ-ექსპერტულ ამბიციებს და დავწერე ჩვეულებრივი თემა იმის შესახებ, როგორი ლამაზი, ლაღი და კიდევ უფრო ნათელი იქნებოდა ჩემი საბჭოთა კავშირი (მაშინ ყველას სამშობლოდ სწორედ საბჭოთა კავშირი მიიჩნეოდა). ახლა კი თქვენს წინასწარმეტყველებებს გავეცნოთ. მანამდე გეტყვით, რომ ერთმა მკითხველმა საკმაოდ საინტერესო ამბავი მესიჯით გამომიგზავნა, მაგრამ საჭიროდ მივიჩნიე, მასთან ინტერვიუ ჩამეწერა. ქალბატონი ნანა ერთ-ერთი თეატრის მსახიობი აღმოჩნდა, მაგრამ ვინაობა მეც არ გამიმხილა — თქვენ ახლა ამას ჩემს სურათს დაურთავთ, სკანდალს ააგორებთ და ეს არ მინდაო.

მსახიობის ცრურწმენები

— მკითხავების არასოდეს მჯეროდა და არც ასტროლოგების მწამდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, უცნაური ამბავი მოხდა: ქმართან ერთად რესტორანში, წვეულებაზე წავედი, სადაც კონცერტი უნდა წამეყვანა. იქ სხვა სუფრიდან უცხო ქალბატონი გამომელაპარაკა, რომელიც, როგორც შემდეგ გავიგე, ცნობილი ნათელმხილველი და ასტროლოგიც ყოფილა. მითხრა, მინდა, თქვენი ჰოროსკოპი შევადგინოო. არავითარი ჰოროსკოპი არ მჭირდება, თქვენ პირველი არ ხართ, ვინც ასეთი წინადადებით მომმართავს-მეთქი, ვუპასუხე. ქალმა გაიღიმა. — მხოლოდ ის მითხარით, დაბადების დღე როდის გაქვთ, სხვა არაფერი მჭირდება, არ გეგონოთ, ფულს გადაგახდევინებთო. ამაზე უარი ვეღარ ვუთხარი. ქალმა თვალებში შემომხედა და მითხრა: საშინელი ზაფხული გექნებათ, დიდ მატერიალურ ზარალს ნახავთ, ქონებას დაკარგავთ და ამაში თქვენი ახლობლები იქნებიან დამნაშავე. უსიამოვნებების პიკს ივლისის ბოლოსთვის ელოდეთ. ამ სიტყვების შემდეგ თავი ვერ შევიკავე და ვუთხარი, ნამდვილი სულელი ხარ-მეთქი. ჩემმა ქმარმა შენიშნა, რომ რაღაცაზე გავბრაზდი და წამოდგა, მომიახლოვდა, მკითხა, რა დაგემართაო? ვუთხარი იმ ქალის ნათქვამი და დამამშვიდა, ნუ ღელავ, ხომ იცი, ჰოროსკოპებსა და წინასწარმეტყველებს არ უნდა დაუჯეროო.

— თქვენ კი, მიუხედავად იმისა, რომ წინათ მკითხავების არ გჯეროდათ, მაინც დაიჯერეთ?

— არა, არ დავუჯერე. თანაც, იქ საპასუხისმგებლო საქმე მქონდა დაკისრებული და აღელვებული ვერ შევძლებდი საღამოს წაყვანას. უბრალოდ, იმწუთას მომეშალა ნერვები, შემდეგ კი გადამიარა.

— როგორც მესიჯში მიამბეთ, წინასწარმეტყველება აგიხდათ.

— ყველაფერი მალე გადამავიწყდა, მაგრამ დადგა ზაფხული და მივხვდი, რომ ამ ქალის ნათქვამი თითოეული სიტყვა ზედმიწევნით ცხადდებოდა. მე და ჩემმა ქმარმა საშინელი დღეები გადავიტანეთ. დღეს და ღამეს ვასწორებდით მუშაობით, რომ ის ვალი გაგვსტუმრებინა, რომელიც თაღლითების წყალობით დაგვედო. თაღლითის ხელში კი სწორედ ჩემი ახლობლის — მაზლის წყალობით მოვხვდით. თუმცა, იმის თქმას არ ვაპირებ, რომ მან ეს განგებ გააკეთა. ჩვენთვის სიკეთე უნდოდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ფაქტია, რომ ჩვენ გავიხლართეთ უშნოდ. ამის შემდეგ მეცოდინება, რომ ასეთ ადამიანებს ყური არ უნდა დავუგდო. მან გამთვალა, ყვავივით დამჩხავლა და ალბათ ეს ამიცხადდა.

ყურადღება! **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

— მითხარით, რომ მოქმედი მსახიობი ხართ. როლების შერჩევისას, მსახიობებისთვის დამახასიათებელია ცრურწმენებისთვის ანგარიშის გაწევა.

— მე ასე არ ვფიქრობ. რამდენიმე როლი მაქვს ნათამაშები, სადაც ჩემი გმირი კვდება, მაგრამ ამის გამო როლზე უარი არ მითქვამს. ძალიან კარგი ინტუიცია მაქვს და როცა როლს მთავაზობენ, გულის კარნახს ვენდობი. თუ რაიმე უსიამოვნო შეგრძნება გამიჩნდება, როგორი მიმზიდველიც უნდა იყოს, არ დავთანხმდები. რასაც არ გავაკეთებ, ეს ის გახლავთ, რომ არასოდეს ჩავწვები კუბოში და არ გავტეხავ სარკეს. უბრალოდ იმიტომ, რომ მეშინია.

გამხმარი ხეებისა და ღმერთთან წასული სულების ამბავი

„სანამ უშუალოდ თემას შევეხებოდე, ჩემს ახდენილ წინასწარმეტყველებას გეტყვით: ოთხშაბათს საღამოს, ვიჯექი და ვფიქრობდი: ნეტავ „გზავნილებში“ ოდესმე იყოს თემა — წინასწარმეტყველება-მეთქი და წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება და გაოგნება, როდესაც მეორე დღეს „გზა“ გადავშალე და მომდევნო ნომრის თემის სათაური წავიკითხე. ახლა კი, რაც შეეხება ამბავს: წარმოშობით რაჭველი გახლავართ, მაგრამ ჩემი წინის წინის წინა თაობა, მთელი საგვარეულო კახეთში გადმოსახლებულა — ახმეტის რაიონის ერთ-ერთ უსაყვარლეს სოფელში და ჩემი ბებია და ბაბუა (მამის მხრიდან) სწორედ ამ სოფელში ცხოვრობდნენ. ალბათ მოგეხსენებათ, შვილიშვილებისთვის რამხელა სიხარულია, ზაფხულობით ბებია-ბაბუასთან ჩასვლა სოფელში და ასევე ვიყავით ჩვენც. ვენახის ბოლოში 2 უზარმაზარი კაკლის ხე გვედგა. ერთ წელიწადს, სოფელში რომ ჩავედით, ერთ-ერთი ხე ნახევრად გამხმარი დაგვხვდა... ხის სრულიად გახმობიდან ზუსტად 1 კვირაში ჩემი ბაბუ გარდაიცვალა. ბაბუ ავადმყოფობდა ბოლო პერიოდში, ამ ამბავს თითქოს შეგუებულიც ვიყავით და ამიტომ ხის გახმობა მის გარდაცვალებასთან არ დაგვიკავშირებია. დარჩა ბებო მარტო. გავიდა ზუსტად 2 წელი და ზაფხულში ისევ აღმოვაჩინე, რომ ეზოში მდგარმა ვაშლის ხემ თვალსა და ხელს შუა დაიწყო ხმობა. უგემრიელესი ნაყოფი ჰქონდა და განსაკუთრებულად განვიცდიდით მის გახმობას. თან ისე უცნაურად ხმებოდა — გამოსხმული ვაშლები ზედვე ჰქონდა... თითქოს ცოცხლად კვდებოდა... გაოცებული ბებო ხეს გარშემო უვლიდა და გაკვირვებული ამბობდა, რა ახმობს ნაყოფით სავსე ხეს, გადაირევა ადამიანიო. საბოლოოდ რომ გახმა, ამ დროს უკვე ჩვენც წამოვედით თბილისში — სწავლა იწყებოდა. ზუსტად 2 დღეში დაგვირეკეს, რომ ბებო გარდაიცვალა. არადა, საკმაოდ ჯანმრთელი იყო. მაშინ არც მე და არც არავის გაგვხსენებია გამხმარი ხეები... ამ ამბების შემდეგ 7 წელიწადი გავიდა. სოფლის ეზოში, ჭიშკართან, წითელი ტყემლის ხე გვედგა. საოცარი ხე იყო — ტანი და ფოთლებიც კი მუქი წითელი ჰქონდა. სოფლის მცხოვრებლები სულ ჩვენთან კრეფდნენ ტყემალს, იმდენად გემრიელ ნაყოფს ისხამდა. ერთ დღესაც, მამამ სოფელში დაკეტილ სახლ-კარს ჩააკითხა და რომ ჩამოვიდა, ისე, სასხვათაშორისოდ გვითხრა, ტყემალი გამხმარაო. გული დაგვწყდა ხის გამო, მაგრამ მალევე გადაგვავიწყდა... ამ ამბიდან ზუსტად 1 თვეში ჩემი უჯანმრთელესი და მთასავით მამიკო უფალმა წაიყვანა თავისთან. აღარ დავიწყებ მოყოლას, როგორ გადავიტანე ეს ამბავი. ჯერ კიდევ საკითხავია, გადატანილი მაქვს თუ არა, თუმცა უკვე 4 წელია, მამიკო გვერდით აღარ მყავს... რა თქმა უნდა, დღემდე, ყოველ ზაფხულს ჩავდივარ ხოლმე ჩემს საყვარელ სოფელში და დაკეტილ სახლს ცოტა ხნით მაინც ვახმაურებ. ამ ზაფხულს ერთმა მეზობელმა საუბარში მამიკო გაიხსენა და ასეთი რაღაც თქვა: ტყემალი რომ გახმა და მოვჭერით, შიგნით ხე სულ წვნიანი იყო, ანუ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და გარედან რამ გაახმო, ვერაფრით მივხვდით. ამის დანახვისას, შენმა მამიკომ ნაღვლიანად ჩაილაპარაკა, ნეტავ მე ხომ არაფერი უნდა მომივიდესო?! ეს რომ თქვა, გული თითქოს კიდევ ერთხელ ჩამწყდა. არადა, ჩვენ ისე, სასხვათაშორისოდ გვითხრა ხის გახმობის ამბავი. ალბათ გაგვიფრთხილდა. ამის შემდეგ (თუმცა გვიანია), აღარასოდეს მავიწყდება ხეების გახმობის ამბები და სიმართლე გითხრათ, საშინლად მეშინია, კიდევ რომელიმე ხემ არ დაიწყოს გახმობა ჩემს საყვარელ სოფელში. ბამბუჩა“.

გაფრენა-არგაფრენა — საკითხავი აი, ეს არის

„ერთხელ მკითხავთან ვიყავი. დიდი ხნის განმავლობაში შვილი არ მიჩნდებოდა და ეს ამბავი ისე მაწუხებდა, ამაზეც კი წავედი — იქნებ რაიმე საიმედო მითხრას-მეთქი. ეს დიდი ხნის წინ იყო. მის ნათქვამს წინასწარმეტყველებად კი არა, სოციალურ-ცხოვრებისეულად უფრო ჩავთვლიდი. პირველი კითხვა, რაც მას დავუსვი, იყო — მისი წინასწარმეტყველებების რამდენი პროცენტი ხდებოდა? ყველა ამას მეკითხება, მაგრამ ის ვერ გაგიგიათ, რომ ცუდი წინასწარმეტყველება საერთოდ არ უნდა ახდეს, ჩემთან იმისთვის კი არ მოდიხართ, რომ ფეხი მაშინ მოიტეხოთ, როცა ამას მე ვიტყვი, არამედ იმისთვის, რომ ხიფათს მოერიდოთ და ფეხი საერთოდ არ მოიტეხოთ. ადამიანის ცხოვრებაში არსებობს ცუდი პერიოდები, რის შესახებაც შემიძლია, წინასწარ გაცნობოთ, თქვენ კი ყურები უნდა გამოიფხიკოთ. დაბადების თარიღი და დრო მკითხა და ვუთხარი. იმითაც დაინტერესდა, საიდან ვიცოდი ასე ზუსტად და განმიმარტა, რომ 1 წუთსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს. იმ პერიოდში უცხოეთში თვითმფრინავით წასვლას ვაპირებდი. ზუსტად მახსოვს, 26 დეკემბერს უნდა გავფრენილიყავი. მან კი მითხრა, რომ ფრენას უნდა მოვრიდებოდი, რადგან ამ დღეს ჩემი მოულოდნელი სიკვდილის ალბათობა დიდი იყო. თვითმფრინავით მგზავრობის ისედაც მეშინოდა და ამან უფრო დამაშინა. მეორე დღესვე სხვა მკითხავთან მივედი და ჩემი შეშფოთება გავუზიარე. მითხრა, ნუ გეშინია, არ მოკვდები, რადგან 2 წლის შემდეგ შვილი შეგეძინება — ვაჟი და წმინდანის სახელს დაარქმევო. ვენდე და 26 დეკემბერს გავფრინდი. მშვიდობით ვიმგზავრე. 2 წლის შემდეგ კი მართლაც დავფეხმძიმდი და 23 ნოემბერს, გიორგობას ბიჭი შემეძინა, რომელსაც, რა თქმა უნდა, წმინდანის სახელი — გიორგი დავარქვი. სანათა“.

უბედურების მომასწავებელი

„ერთხელ, ჩვენს სოფელში შვლები გამოჩნდნენ. ყველა გაოცებული იყო, რადგან ისინი ტყეში ცხოვრობდნენ და ადამიანებს გაურბოდნენ, მაშინ კი თავისით მოვიდნენ. თავიდან ეგონათ, რომ შვლები წყლის დასალევად გამოვიდნენ ტყიდან, მაგრამ ისინი სოფლის შუაში არსებულ, საერთო ჭასთან მივიდნენ და ქვების ლოკვა დაიწყეს. ეს რას ნიშნავსო? — ჰკითხეს ახალგაზრდებმა უხუცესს. — არ ვიცი, ასეთი რამის მომსწრე პირველად ვარ, გვერდზე სოფელში რომ მკითხავია, იმას ვკითხოთო. ის მკითხავი სოფლის სიამაყედ მიიჩნეოდა, ყველას უყვარდა და მასთან მოსულ ხალხს კარგად ხვდებოდნენ. სოფლიდან რამდენიმე ადამიანი წავიდა რჩევისთვის, მაგრამ მან მხოლოდ მოუსმინა და არაფერი უთხრა. სტუმრები ჩააცივდნენ, გვითხარი რამე, სულ უცხო ხალხს ეხმარები, ჩვენ მეზობლები ვართ და დახმარებაზე უარს ამბობ? — ამ საიდუმლოს გამხელა არ შემიძლია, ნუ გამინაწყენდებითო, უპასუხა. რაღას იზამდნენ? დაბრუნდნენ უკან და ხალხს მოახსენეს, რაც გაიგონეს. უხუცესმა გადაწყვიტა, თვითონ მისულიყო ამბის გასაგებად. უკან მობრუნებული დუმდა და ხმას არ იღებდა. რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქიდან ამბავი ჩამოუტანეს, რომ მისი 2 ვაჟი ავარიაში მოჰყვა და დაიღუპა. შემდეგ გავიგეთ, რომ თურმე მკითხავს სწორედ ეს უწინასწარმეტყველებია. უხუცესს შვილებისთვის დაურეკავს და გაუფრთხილებია, მკითხავმა მითხრა, შესაძლოა, უბედურება დატრიალდეს ჩვენს თავს და ფრთხილად იყავითო. იმათ უთქვამთ, ეს კაცი ხომ არ შეიშალა, ვინახულოთ მამა, დაწყნარდება, რომ გვნახავს, დამშვიდდებაო და სოფელში წამოსულან. ავარიაც სწორედ გზაში მოსვლიათ. არ ვიცი, ვინმეს სჯერა თუ არა მკითხავების, მაგრამ ამის შემდეგ მე დავიჯერე“.

■

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ბეწვზე გადარჩენილი“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

გრძნობა, რომელიც ადამიანს აგიჟებს

„გზის“ №21-ში დაიბეჭდა დუბას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ რამდენიმე ხნის წინ „ლოვეს“ დაშორდა და სწორედ ამის შემდეგ შეიტყო, რომ ის მისი ძმა ყოფილა. „თუმცა, მე ის ისევ ძველებურად, სხვანაირად მიყვარს და ვერასდროს ვიფიქრებ, რომ ჩემი ველარასდროს იქნება... მამას ამას ვერ ვაპატიებ“.

„ყველაფერი გარყვნილებაში გადაიზარდა“

ატარეძსია:

„იმის თქმა, რომ ძმა სხვანაირად გიყვარს და მას, როგორც დედმამიშვილს ვერ აღიქვამ, მხოლოდ სულიერად მახინჯ ადამიანებს თუ შეუძლიათ. ვფიქრობ, შენთვის რჩევის მოცემას აზრი არა აქვს“.

აურა:

„შეურაცხყოფას არ გაყენებ, მაგრამ შენი მესიჯიდან ასეთი დასკვნა გამოვიტანე: მაგრად ვერა ხარ, რა. იცი, რომ შენი ძმაა და მაინც ამბობ, — სხვანაირად მიყვარსო? ალბათ სერიალებმა აგიყოლია, არა? უნდა შეიგნო, რომ როგორც მამაკაცი, ის შენთვის მუდამ აკრძალული ხილი იქნება“.

მეგზური:

„მამაშენის ბრალი არაა, მაინცდამაინც ის რომ შეგიყვარდა. რას იზამ, ახლა მისი დავიწყება მოგიწევს! P.S. ძმაზე შეყვარებული ადამიანი მხოლოდ სერიალ „დაკარგულებში“ მინახავს“.

ლუნა:

„ის სიყვარული, რომელიც მის მიმართ გაქვს, ქარს უნდა გაატანო. დამობა წმინდა რამაა და მისი წაბილწვა არ შეიძლება. საყვარელ ადამიანს ვინ არ დაშორებია, მაგრამ ასე თუ ისე, ეს ყველას გადაუტანია; იცოდე, ძმის სხვანაირად შეყვარების უფლება არ გაქვს“.

ცენაფა (G-ი):

„ეს სიმართლეა თუ?.. ასეთი რაღაცების არ მჯერა, მაგრამ თუ საქმე მართლა ასეა, გირჩევ, დაივიწყო; მას, როგორც ძმას, ისე უნდა შეხედო... მას მერე, რაც ეს ამბავი გაიგე, მასზე სხვანაირად აღარ უნდა გეფიქრა. ნუ, მართალია, ერთ დღეში ვერ გადაიყვარებდი, მაგრამ როგორც მიეხვდი, ამ ამბიდან დიდი დროა გასული და შენც, დინებას უნდა მიჰყვე. იცოდე, დრო თავისას იზამს. შეეცადე, ყურადღება სხვაზე გადაიტანო. აბა, წარმატებები!“

დარინა 14:

„შენ მართლა გიჟი ყოფილხარ. რატომ? იმიტომ, რომ საკუთარი ძმა გიყვარს. ვიცი, რომ ეს გრძნობა ადამიანს აგიჟებს, მაგრამ მთლად ასეც არაა საქმე... მამას ნურაფერში ადანაშაულებ, ყველაფერი მხოლოდ შენი ბრალია. P.S. სიმკაცრისთვის ნუ გამკიცხავ, მე სიმართლე მიყვარს“.

რუსალირი (GREEN):

„ამ „ესემესის“ წაკითხვის შემდეგ შენდამი ზიზღის გრძნობა გამიჩნდა. ნუთუ, არ გრცხვენია? რა ვიცი, ამ უბადრუკ მესიჯში სიბრალულისა და სირცხვილის ნატამალიც არ იგრძნობა და... P.S. აღარასდროს თქვა, რომ გიყვარს. მეცოდები!“



აუტანელი:

„მაგ ბანალური, ლათინურამერიკული სერიალის სიუჟეტით ვის „დაბოლებას“ ცდილობ? მართლა დებილები გგონივართ? ვაი, შენ!“

სვანის ასული:

„სამწუხაროდ, ეს ის შემთხვევაა, როცა ამ ყველაფერთან შეგუების გარდა, არაფერი დაგრჩენია, მაგრამ ამისთვის ფსიქოლოგის, მოძღვრის, ოჯახის წევრების, მეგობრების დახმარება დაგჭირდება. აღნიშნული შემთხვევა კი იმედია, სხვებს მაინც ასწავლის ჭკუას და ასეთი ტრაგედიისგან დაიცავს“.

GREEN GIRL 17:

„ძვირფასო, როგორ შეიძლება ძმა ისე გიყვარდეს, როგორც „ლოვე“? თან, ეს ეკლესიურადაც აკრძალულია. ალბათ, შენს ძმასაც „უჭირს“, რადგან თავი შეგაყვარა და სატანჯველად გაგიმეტა. მას ფეხებზე ჰკიდიხარ და გირჩევ, ეს სისულელე დავიწყო“.

ლიფსო:

„მამაშენი მაგარი კაცია, რა :). რაც შეგეხება შენ, შეეცადე, დავიწყო და გულის კარი სხვებსაც გაუღო. ვიცი, ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ სხვა რაღა დაგრჩენია? P.S. ამ გოგონების მართლა არ მესმის, რადგანაც პირზე აკერიათ: „სიგიჟემდე მიყვარხარ“, „შენზე ვაბოდებ“ და იმაზე არ ფიქრობენ, რომ სჯობს, ეს სიტყვები ბიჭებმა უთხრან. მოკლედ, ქალებო, საკუთარი თავის ფასი უნდა იცოდეთ!“

ძავჯ-ანა:

„ჰმ, ასე მგონია, რომელიმე მექსიკური სერიალის სცენარს ვკითხულობ. კარგი, რა, ალბათ, იმიტომ დაგშორდა, რომ შენი ძმა აღმოჩნდა და ახლა ცდილობს, დაგივიწყოს. ჰოდა, თავად რატომ არ გინდა ისე შეიყვარო, როგორც ძმა? სულელო ბავშვო, იცი, რომ შენი ძმაა და მისი „დაკერვის“ იმედს მაინც არ კარგავ? აზრზე მოდი და ეკლესიაში იარე. აი, თანამედროვეობა, თანამედროვეობაო და ყველაფერი გარყვნილებაში გადაიზარდა. უფალი შენკენ“.

უცნობი:

„ვიცი, გაგიჭირდება, მაგრამ მას ისე უნდა შეხედო, როგორც ძმას. P.S. იყავი მიმტევებელი. აბა, მამაშენის ადგილას წარმოიდგინე თავი...“

მისტერ:

„როგორც ჩანს, ერთმანეთთან ნახევარდობა და ნახევარძმობა გაკავშირებთ. მან ადრეც თუ იცოდა, მისთვის ვინ იყავი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ურთიერთობა „ლოვეობამდე“ მიიყვანა და მინიმუმ, გლოშნიდა მაინც, თავში ტალახიანი ხელით წამოსარტყმელი და ყურასაწევი ბიჭი ყოფილა, მაგრამ თუ არ იცოდა, რა ნათესაური კავშირიც გაერთიანებდათ, მაშინ გული მხოლოდ იმაზე უნდა დაგწყდეს, რომ მამაშენმა ასეთი რამ ჩაიდინა, მერე ყველაფერი დამალა და ძალაუნებურად, ტრავმა მოგაყენა. მას ეს საქციელი არ აპატიო, მეტიც — რაიმე სახელი მოიფიქრე (აფერისტა, ქლესა ან გნიდუკელა) და როცა გაგაბრაზებს, მიაძახე ხოლმე, რათა ყოველთვის ახსოვდეს ის, რაც ჩაიდინა... ადამიანები საკუთარ შეცდომებზე ვსწავლობთ და აწი, როცა ვინმეს გაიცნობ, გამოიკითხე, ვინ არის, რას წარმოადგენს, თორემ რომ იცუღლუტო და მერე შენი ბიძაშვილი ან დეიდაშვილი აღმოჩნდეს?.. აბა, შენ იცი!“

SAILORBEE:

„რას ვერ შეეგუები, რომ „ლოვე“ დაკარგე? აუ, რა ჩასაყლაპი ხარ, რა :)). შენი ძმაა და ახლა რაც გინდა, ის იფიქრე, მაინც არაფერი გამოგივათ... ისე, ვერ „მოვწვი“, მამამ რა დაგიშავა? ის რომ არა, ძმა არ გეყოლებოდა“.

■

„ქმარი რომ გყვარებოდა, სხვას არ დაუწყებდი არშიყს“

„გზის“ №21-ში დაიბეჭდა აცკა-ნაცკა-ს მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ 5 თვის წინ ქმარს გაშორდა და შეუყვარდა ადამიანი, რომელიც სიყვარულს უმტკიცებს, მაგრამ გოგონას თქმით, მას მამაკაცების აღარ სჯერა და შესაბამისად, ვერც „ლოვეს“ ენდობა.

„მონასტერში უნდა წახვიდე..“

პეპელა:

„გააჩნია, ქმარს რის გამო დაშორდი. ჩემი აზრით, ჯერჯერობით ასეთი ურთიერთობის დასაწყებად მზად არ ხარ, თან — თავადაც აღნიშნე, დეპრესიაში ვარო. გირჩევ, იმ ბიჭს ყველაფერი აუხსნა; უთხარი, რომ დრო გჭირდება. თუ მართლა უყვარხარ, გაგიგებს და დაგელოდება, თუ არა და, ე.ი. შენი ღირსი არ ყოფილა. P.S. არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება. წარმატებები!“

ნიკა:

„დავიჯერო, ქმარი გიყვარდა? ალბათ, არა, რადგანაც მისი დავიწყება სულ რამდენიმე თვეში შეძელი, ახლა კი კაცებს გვლანძღავ და ამბობ, რომ სანდოები არა ვართ. არ გრცხვენია მაინც? ეტყობა, თავად ხარ მოღალატე და ყველა ასეთი გგონია. იმედია, ცხოვრება გასწავლის ჭკუას და აზრზეც მოხვალ“.

დედოფალა:

„გირჩევ, იმ კაცს მიენდო. ერთხელ თუ არ გაგიმართლა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმედი ყოველთვის გაგიცრუვდება. იცოდე, ყველა მამაკაცი ერთ ქვაბში არ უნდა მოხარშო. შეიძლება, ის სწორედ ისაა, ვინც შენს გაბედნიერებას შეძლებს... თავადაც შეყვარებული ვარ და ვიცი, ეს რა გრძნობაცაა. იცოდე, ახლა ხელი რომ ჰკრა, მერე შეიძლება, სხვა არავინ გამოჩნდეს და ეს საქციელი სანანებელი გაგიხდება, რადგანაც ცხოვრების მარტო გატარება მოგიწევს. ახლა აღელვებული ხარ, მაგრამ თუ დაშორდები, მომავალში ამას აუცილებლად ინანებ. P.S. ბედნიერების შანსი ხელიდან არ გაუშვა“.

ნეკა:

„სიყვარულის სახელით დაშვებული ნებისმიერი შეცდომა გამართლებულია. ასე რომ, თამამად იმოქმედე და საყვარელ ადამიანს მიენდე. წარმატებები!“

ძაჯ-ანა:

„ქმარი გიყვარდა? ალბათ, არა, თორემ ასე უცებ სხვას არ დაუწყებდი არშიყს. თუ გიყვარს, მიენდე. წარმატებები!“

ბეჭნესა:

„იცი, ეს ყველაფერი დროებითი ეიფორიაა, რადგანაც შენგან ყველაფერს მიიღებს თუ არა, გული გაუცივდება. მეც ვხვდებოდი გოგოს, რომელიც ქმარს გაშორებული იყო. ჰოდა, როცა მისგან ყველაფერი მივიღე, ინტერესი დავკარგე და ერთ დღესაც, შევეშვი კიდეც. იცოდე, ყველა ერთნაირი ნამდვილად არაა, მაგრამ ახლა დეპრესიაში ხარ და არ იცი, სად იწყება რეალობა და სად მთავრდება ოცნება“.

კატო:

„შენ კი მოგწონს, მაგრამ იმ ბიჭს შენ მიმართ ნამდვილად აქვს რაიმე გრძნობა? სულელი უნდა იყოს, განათხოვარი და თანაც, შვილიანი ქალი რომ შეგირთოს. ჰოდა, მზად ხარ იმისთვის, ვიღაცის საყვარელი რომ გერქვას და ხალხი შენკენ იშვერდეს თითს? საზოგადოების აზრის ფეხზე დაკიდებას შეძლებ? თუ ასეთი „დამკიდებელი“ ხარ (რაშიც ეჭვი არ მეპარება), მაშინ „ლოვეს“ უარს ნურაფერზე ეტყვი და თუ ოდესმე გულს გატკენს, ნურც იმას გვისაყვედურებ, — ცუდი მრჩეველები ხართო“.

GREEN GIRL 17:

„გირჩევ, მას არ ენდო მანამ, ვიდრე კარგად არ გაიცნობ, რადგან კაცები მართლაც, მატყუარები არიან. ისე, თუ გათხოვებისთანავე განქორწინება გინდა, შენი ნებაა...“

BORZS:

„თუ მამაკაცების აღარ გჯერა, მონასტერში უნდა წახვიდე! იცოდე, ყველა კაცი მეუღლის საქციელის მიხედვით არ უნდა განსაჯო... თუ შენც გიყვარს, დაუჯერე. მერწმუნე, სიყვარულში ნდობა აუცილებელია“.

სვანის ასული:

„გამოდის, რომ ქმარი არ გიყვარდა, რადგანაც სხვაზე ძალიან მალე გადაერთე. ჰოდა, სწორადაც იქცევი, რომ არ ენდობი (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით); მან შენი ნდობა უნდა მოიპოვოს! იცოდე, შეცდომის მეორედ დაშვების უფლება არ გაქვს. საკუთარ ცხოვრებაზე ექსპერიმენტებს დაუსრულებლად ვერ გააგრძელებ. ბედნიერებას გისურვებ!“

ზურა:

„ძნელია სხვის ცხოვრებაში ჩარევა, მაგრამ... თუ ჩემი რჩევა რაიმეში დაგეხმარება, ეს მეც ძალიან გამახარებს. კარგად დაფიქრდი, იმ ბიჭის აზრებს რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდი და მხოლოდ ამის მერე გადაწყვიტე, ღირს თუ არა მასთან ურთიერთობა. წარმატებებს გისურვებ!“

ბარტყი:

„გააჩნია, ვინაა და რისი გამკეთებელია. იცოდე, კარგი და ცუდი ყველგანაა. გირჩევ, ამ ეტაპზე დააკვირდე და თუ მის გულწრფელობაში დარწმუნდები, თუ მიხვდები, რომ ის არის ადამიანი, რომელიც გულს არასდროს გატკენს და გაგაბედნიერებს, მერე იცი, როგორც უნდა მოიქცე... აბა, წარმატებები!“

რუისპირი (GREEN):

„აჯობებდა, ისიც მოგეწერა, თუ რის გამო დაშორდი ქმარს. აბა, ასე ექსტრასენსი კი არ ვარ, რომ გავიგო, რატომ აღარ გჯერა მამაკაცების. მხოლოდ ერთს გეტყვი, — ყველას ერთ ქვაბში ნუ მოათუხთუხებ. P.S. ისე, თუ სხვისი შეყვარება 5 თვეში მოასწარი, სერიოზული დეპრესია გქონია. საბრალო გოგო, ნწუ, ნწუ, ნწუ :)...“

ცქნაფა (გ-ი):

„რადგანაც ერთმა გაწყენინა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ასე მოგექცევა. მას დააკვირდი, ყველაფერი ცივი გონებით აწონ-დაწონე, დაფიქრდი იმაზე, თუ ვინაა, რას წარმოადგენს, შენთან ურთიერთობისას გულწრფელია თუ არა და დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ სწორ გადაწყვეტილებამდე თავად მიხვალ. ისე, თუ გიყვარს, მასთან ერთად რატომ არ უნდა იყო? ყველა კაცი ნაძირალა ნამდვილად არაა“.

ლუნა:

„ვწუხვარ და გულთან მიმაქვს შენი ტკივილი. კარგი იქნებოდა, ისიც მოგეწერა, ქმარს რატომ დაშორდი. ნუ იჩქარებ, შენი ახალი „პაკლო“ ჯერ კარგად შეისწავლე და თუ დარწმუნდები, რომ ნამდვილად უყვარხარ და მხოლოდ გასართობად არ სჭირდები (რა თქმა უნდა, თუ იმაზეც დახუჭავს თვალს, რომ განათხოვარი ხარ), მაშინ მის სიტყვებს ენდე, მაგრამ იმის უფლებას ნუ მისცემ, შენით გაერთოს და იმედი მთლიანად გადაგიწუროს. ლამაზ ცხოვრებას გისურვებ!“

■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. გავიცნობ სიმპათიურ ბიჭს, სერიოზული ურთიერთობისთვის. თუ ასეთი პიროვნება გამოჩნდება, ჩემი ნომერი მიეცით. ვარ 19 წლის, ქერა, ცისფერთვალება...

2. გავიცნობ სერიოზულ, დამოუკიდებელ მამაკაცს, მხოლოდ ოჯახის შექმნის პერსპექტივით. ვარ 42 წლის. ბავშვით, ბინით.

3. გთხოვთ, გადასცეთ ჩემი ნომერი, მე-16 ნომრის მე-8 მესიჯის ავტორს.

4. გთხოვთ, მომცეთ 21-ე ნომრის მე-13 მესიჯის ავტორის ნომერი ან გადასცეთ ჩემი.

5. ვეხმაურები 22-ე „გზის“ მე-13 ნომრის ავტორს. გამომეხმაუროს ამ ნომერზე!

6. გთხოვთ, მომცეთ 21-ე ნომერში, 25-ე მესიჯის ავტორის ნომერი.

7. გავიცნობდი 30-38 წლამდე ასაკის სერიოზულ მამაკაცს, პროფესიით იურისტს, რომელსაც უნდა მყუდრო და თბილი ოჯახი ჰქონდეს. ცანცარებმა თავი შეიკავეთ. ბაია29.

8. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ სიმპათიურ, ყურადღებიან, ყოველმხრივ მოწესრიგებულ, თბილისელ მამაკაცს, 40 წლამდე.

მამაკაცები

9. გავიცნობ გოგოს, ფარული შეხვედრებისთვის, 30 წლამდე. დავეხმარები მატერიალურად. მსუქნებმა თავი შეიკავეთ.

10. გავიცნობ 20-40 წლამდე ქალს. ვარ თბილისელი, სიმპათიური, დასაქმებული ახალგაზრდა მამაკაცი.

11. ვარ 53 წლის, ინტელიგენტი მამაკაცი. გავიცნობ თბილისელ, მარტოხელა, სიმპათიურ ქალბატონს. მატყუარები ნუ შემეხმიანებით.

12. გთხოვთ, მომცეთ 21-ე ნომრის მე-6 მესიჯის ავტორის, კუკლას ნომერი.

13. გთხოვთ, ნიკოლოს ეს ნომერი მიეცით და უთხარით, რომ მომხიბლა მისმა გზავნილებმა. შემეხმიანოს.

14. სრული სერიოზულობით! გავიცნობ სიმპათიურ ქალბატონს. ვარ სიმპათიური მამაკაცი, თბილისელი, დასაქმებული, მავნე ჩვევების გარეშე.

15. სრული სერიოზულობით და ლამაზი ურთიერთობისთვის გავიცნობ სიმპათიურ ქალბატონს, ასაკის განურჩევლად. ვარ თბილისელი, სიმპათიური, დასაქმებული, მავნე ჩვევა არ მაქვს.

16. მანდილოსნებო, გსურთ გაიცნოთ უბრალო, თბილი და ზრდილობიანი მამაკაცი? გსურთ, გაიხსნათ მამაკაცთან ბოლომდე და ეს არასოდეს ინანოთ? მაშინ გელით.

17. გავიცნობ შვილიან მანდილოსანს. დავეხმარები გაზრდაში. მატყუარებმა და მსუქნებმა თავი შეიკავეთ. ვარ 34 წლის.

18. ვარ თბილი და ერთგული, 23 წლის. დამიკავშირდი, კუკლა. ლუკა.

19. ვიმეგობრებ ლამაზ, მიმზიდველ, უცხოელ მანდილოსანთან. ვარ 40 წლის, სიმპათიური, კეთილსინდისიერი ქართველი მამაკაცი. სხვები ნუ შეწუხდებით.

20. სამეგობროდ გავიცნობ 30 წლამდე გოგონას, თბილისში მცხოვრებს. საცანცაროდ არ შემეხმიანოთ. ვნახოთ, რა გამოვა. დათო.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

სხვადასხვა

• პატარავ, გენაცვალე... ჩემი სიცოცხლე ხარ და სუნთქვა... დე, გახსოვს, პატარა რომ იყავი და ლურჯი კომბინეზონი რომ გქონდა, წინ სოკოები რომ ეხატა? ჯიბეებში ხელებს ჩაიწყობდი და სასაცილოდ დაბაჯბაჯებდი... ამას წინათ მე და ნინო იქით, მეორე სახლში ვიყავით და შენი ქუდი ვნახე, კეპიანი, თავზე ჩამოსაცმელი რომ იყო... ვეფერე და ვიტირე... თან ნინოს არ დავანახვე ცრემლები, თორემ ისიც აბღავლდებოდა... გენაცვალე შენ, ჩემო სიხარულო... დე, განცხადება დავწერე, იქნებ გავახერხოთ რამე... გაგაგებინებ ახალ ამბებს. ჩემი ცუგრუმელა ბიჭი... მე და შენ პარკში კაცი რომ ვნახეთ, გახსოვს? იმაზე თაღლითობის მუხლით საქმეა აღძრული. როგორც დაზარალებული, დამკითხეს. რაც სიმართლე იყო, ყველაფერს მოვუყევი. იქნებ დააბრუნებინონ ფული... ბესო რეკავს, მუშაობა დაიწყო, კარგად ვარო, ამბობს... ის ჩურჩუტი ბავშვი ისევ არ ლაპარაკობს... კივის ტელეფონში... საბა დაცუნცულებს ბაღში... გამოვა დილით და მონყენილი ჩიტო მაქვსო, იძა-

ხის... დე, როგორ მინდა, ჩემ გვერდით იყო... შენს ცოლ-შვილთან, ბებიასთან, რომელსაც ძალიან ენატრები... ყველაფერი კარგად იქნება, სიხარულო... ცოტა გავუძლოთ. ხომ იცი, უფალი მოწყალეა და როცა ჩათვლის, რომ შენთვის საკმარისია მანდ ყოფნა, დაგვეხმარება და ერთად ვიქნებით. გიკოცნი მაგ მწვანე თვალებს... დედა.

• სიხარულო, როგორ ხარ? ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ. დავიღალე, უშენოდ ყოფნით. ჩვენკენ ახალი და კარგი არაფერი ხდება. 2 წერილი მაქვს გამოგზავნილი და იმედია, მოგივიდოდა. ველოდები პასუხს. იმ დღეს რაც გითხარი, მართალია, უკვე განქორწინებაც გააკეთეს. ცალ-ცალკე არიან. ალბათ ხვდები, როგორც ვიქნები. პრობლემები არ ილევა. შენ ნუ იდარდებ, თავს მიხედე. საბა ყოველდღე იზრდება და იცვლება. ძალიან ცელქია, სულ გოგონებს დასდევს და აწვალებს. ცრემლიანს რომ მხედავს, — მამა გენატრებაო? — მეკითხება. სხვა რა გითხრა? ყოველი დღე ერთნაირია. ვიცი, შენთანაც ასეა. გულს ნუ გაიტეხ, ხომ იცი, რომ ყველანი გელოდებით. გული კი არა, უკვე სული მტკივა, როცა შენზე ვფიქრობ ან სურათებს ვათვალიერებ. ახლა დროებით. წერილი მაქვს გამზადებული და შენგან რომ მივიღებ, მერე მეც გამოვგზავნი. მიყვარხარ ძალიან.

• კაკადუ, მაგრად მენატრები, სულ შენ მახსენდები და იცოდე, შენთან ვარ. დღეს წოპე ვნახე და — მომიკითხეო. კატოს უბანში ბინა გაყიდეს და აზრი არა აქვს.

• სიხარულო, ადექი, სამსახურში გაგვიანდებაااა!!!

• კაკადუ, გვიყვარხარ და გვენატრები. თავს გაუფრთხილდი, ვიცი, მალე განახავთ ჩვენ გვერდით. ნათია და კახა.

• კასკუ, შენ ჩემი სუნთქვა და ჰაერი ხარ, ჩემი სიყვარული და არსებობა. ძალიან, ძალიან მენატრება შენთან მოხუტება და მოფერება. აბა, შენ იცი, როგორ ყოჩაღად დამხვდები.

• კასკუ, ჩვენკენ ახალი არაფერია, ოდესღაც ხომ დამთავრდება ეს კოშმარი, ჰოდა, ჩვენც ამ დღის იმედით გავიმაგროთ თავი. კუს, მიყვარხარ, მიყვარხარ სიგიჟემდე. შენი ლიკუნა.

• კასკუ, ჩემო სიცოცხლევ და სიხარულო, მესიჯებს რაც შეიძლება გვიან ვწერ, რომ იქნებ რაიმე ახალი იყოს, მაგრამ ყველაფერი ძველებურადაა. ჩვენ კარგად ვართ. ქეთი.

• კასკუ, ერთი წუთით ჩვენი დარდი არ გქონდეს, დედიკო ყოჩაღად და მაგრად არის, შენი ხათრით კიდევ უფრო მაგრდება, შენც ჩვენი ხათრით მაგრად უნდა იყო, ხომ იცი. ქეთი.

• კასკუ, მონატრებამ და ლოდინმა გაგვაგიჟა. ეს არის, რასაც ვერაფერს ვუხერხებთ. ყველა საუბრის თემა შენამდე მოდის, ყველაფერი შენ გიკავშირდება, მოგიკითხა ყველამ. ქეთი.

• კასკუ, დიდი სიყვარულითა და მონატრებით, მიყვარხარ, მიყვარხარ უსაზღვროდ, გეფერები და გკოცნი გულში. ველოდებით პარასკევს. აბა, შენ იცი, ყოჩაღად, ჩემო სიცოცხლევ. ქეთი.

• ჩემო სიცოცხლევ, ძაან მაგრად მიყვარხარ. გკოცნი ტკბილ და მთრთოლარე ტუჩებში. გოგა, უზომოდ მიყვარხარ. ახლა მინდა, რომ ლამაზი, თაფლისფერი თვალები დაგიკოცნო. მარი.

• სალამი, „გზა“! აქ ჩემი ადგილი არ ყოფილა. მეგობრების შეძენა მინდოდა და რა? უცხოს არავინ მიღებს. ალბათ ასეა საჭირო. არ ვარ ეს პადხალიმი და ჰაა. წავედი მე. ლი23.

• ცხოვრება თამაშია, ყველა თამაშობს, მე კი კულისებიდან ვადევნებ თვალს. როლი აღარ მერგო. ვტოვებ ყველას. P.S. ბარამბო, უწუწური, WANDERER, ნუგო30, დამიკავშირდით, რა. ლი23.

• 3კ198გი, ადვოკატს დავურეკე. შეწყალებაზე ოთხგან დავწერეო და თუ შევლენ, დაუწეროსო. ახლა გზაში ვართ მე და დიტო. შენ დაგიტოვე ჩემი გული. მომწერე. გკოცნი. შენი თეა.

• 3კ198გი, ნინოს გამოსვლისთანავე შევეხმიანე და ტანსაცმელზე ვუთხარი. მოგიგვარებენ. გი, სანამ განახავ, ვნერვიულობ, განახავ და რომ მოვდივარ, სულ ვტირი. მიყვარხარ, ბუუს. თეა.

• სალამი. აქ პირველად გამოვგზავნე SMS და მარიმ არ დამტოვა უყურადღებოდ. გაიხარე, გენათალე. კლეოპატრა, ლუნა, ქაჯების დედოფალო, მაგრები ხართ. მიყვარხართ ყველანი. კნუტი.

• ნიკოლო, არა ვარ შენსავით განათლებული და რა ვქნა? მარის ბრალია, მესიჯებს რომ მიბეჭდავს. კუნკულა.

• გოგა, ჩემო უნეტარესო და უტკბესო, ვგიჟდები შენზე, ჩემო პატარავ. ულამაზესი თმა გაქვს. შენს თაფლისფერ თვალებს ჭკუიდან გადავყავარ. გკოცნი თბილ გულში. მარიკუნა.

• GREEN GIRL17, სულ თუ კითხულობ „გზავნილებს“, გეცოდინება, რომ მსგავსი ნიკით ვარ და რამე ახალი მოიფიქრე. :-) ნუ, თუ ძალიან გიხარივარ, დაიტოვე, გრთავ ნებას. :-) GREEN GIRL.

• რა ცუდია, რომ ზოგიერთს ჰგონია, გოგომ მიმატოვა და იმიტომ ავმღერდი. კუნკულა.

• სალამი. როგორ ხართ, კარგო ხალხო? ლიმონა, რა მაგარი ხარ...

• ზაფხულის შემოცხელკლიმატებას გილოცავთ, ოხრებო! :) მოკითხვა ნორმიდან გადაცდენილებსა და შეშლილებს. უყვარხართ ეგეთები ატარექსიას. პერსონალური მოკითხვა აურას. :)

• მუკი, ყველაფერი მზადაა. როგორც კი ეს ამბები დამთავრდება და ეტაპი იქნება, გადახვალ მანდედან რუსთავში. იქნებ იქ მაინც განახონ ბავშვებმა ნორმალურად. ენატრები ძაან. იცი, როგორ იტირა ნიკამ, მამიკოსთან დავრჩებიო? მანქანა უნდა გიყიდო-მეთქი და ძლივს წამოვიყვანე. ნიკო მთელი დღე ემოციებში იყო და ტიროდა. ძაან ცოტაა ეს დრო. ძალიან მენატრები რა, უკვე ვეღარ ვძლებ, 2 საათი მაინც იყოს პაემანი. იქნებ 21-ში დარეკო, ნია გაგიჟდება. წერილი მომწერე, რა. განაჩენით ფული არ დაგვიბრუნეს.

• უსაზღვროდ გახარებული ვარ, რადგან 1-ელ ივნისს ქაჯეთი ვნახე! რა დამავიწყებს მის სითბოსა და სილამაზეს?! მაგრამ გული მწყდება, რომ ეს ყველაფერი ხანგრძლივი არ იყო.

• ქაჯების დედოფალო, კიდევ განახავ, თან ბევრჯერ და მერე ჩვენ ვიცით... ქეთ, უყვარხარ ნათიას! ჩემი გადარეული და მაწანწალა ხარ, მაგრამ მიყვარხაااარ! WANDERER.

• გიო, დე, როგორ ხარ? იმედია, მაგრად დგახარ. არ შეშინდე. ჩვენ კარგად ვართ. ნიკუშა და ნიაკოც კარგად არიან. ძალიან ენატრები ორივეს. ნიაკო ხომ ნახე, რამხელაა. თეა გეტყოდა, ნათია და ილიკო 11-ში მიდიან. ვხვდები, რაც ხდება შენს გულში. არა უშავს, ღმერთია პატრონი. შენ მეტ-ნაკლებად კითხულობდი ჩემს აზრებს. ა..ა.

• ნიკუშა მაგარი ბაბნიკია. გოგოს არ უშვებს ხელიდან, თუ არ აკოცა. რა საყვარელი ხარო და წავიდააა... ასე რომ, ცუდად არის ჩვენი საქმე, დადექი და სდიე მერე ორივეს. ა.

• გიო, ნათიას ველაპარაკები ახლა და — გადაეციო, შენი დედაიო და გკოცნი ბევრსო. ილიკო და ნიკოლი. შევხვდებით ალბათ მალე.

• უსაყვარლესი მგზავნელი, უწუწური გავიცანი და იცით, რა კარგი, თბილი, ტკბილი ადამიანია? უკვე მაგრად შემაყვარა თავი. გაიხარე, გენაცვალე. გაკოცე. ფლამინგო.

• ყველაზე დიდი ტვირთი თურმე ქვრივად ყოფნა ყოფილა. ბუცა, საყვარელო, რატომ ხარ მოწყენილი? რა პრობლემები გაქვს? მარიამულ, მოგიკითხავ. ძალიან კარგი და საყვარელი ხარ. ქვრივი.

• მარ, ჩემ მესიჯებს რატომ აღარ ბეჭდავ? :(ეტყობა არაა აქ ჩემი ადგილი. ის მაინც გამარკვიეთ, როგორ გავიგო ნომრები? აურა, WANDERER, ბარამბო, ნუგო30, დამიკავშირდით. ლი23.

• ვერ ვეგუები დღევანდელ საქართველოს, უსამართლობაა ყველგან და ყველაფერში. აქედან უნდა წავიდე. ეჰ... გამიძნელდა გადაწყვეტილების მიღება. P.S. მიყვარხარ, შაკოლი23.

• შენი ნაკვალევის ძებნაში, სული დამეღალა! გენაცვალოთ ჩემი თავი თქვენ. ფლამინგო, ქაჯების დედოფალი და CRAZY, ფლამი, უსაყვარლესი ხარ... უწუწური.

• კაკადუ, მაგრად გვენატრები ყველას. მამას სულ ესიზმრები. დღეს ნიას ექსკურსიაზე წავიდნენ ბავშვები და თეა, უფლისციხეში. ყველანი კარგად არიან.

• ვიღაცა, ასე ვთქვათ, გამეხუმრა და გამოუშვა თქვენთან განცხადება. თუ შეიძლება, ნუღარავის მისცემთ ჩემს ტელეფონის ნომერს.

• კასკუ, ჩემო ერთადერთო სიყვარულო, ძალიან მინდა შენ გვერდით ვიყო და შენი დარდები გავიზიარო, მაგრამ უფალმა ასე ინება, ეს ყველაფერი დროებითია, ჩემო სიცოცხლევ. რა არის დრო და მანძილი, ჩვენი სიყვარულისთვის? არაფერი. ძალიან მალე დამთავრდება ეს წამება და ისევ ერთად ვიქნებით. ხომ იცი, შენი იტუნია შენით არსებობს. :):). ჩემი კარგად ყოფნა შენზეა დამოკიდებული. გთხოვ, დამშვიდდი და დაიწყნარე ნერვები. ყველაფერი მოგ-

ვარდება. კიდევ არის რაღაც იმედები. გაძლიერდი და მაგრად იდექი. ღმერთი იმაზე მეტ განსაცდელს არ მოგვცემს, რისი დათმენაც არ შეგვიძლია. შენს გულში ვარ, ხომ იცი, წერტილ-წერტილ. მიყვარხარ. გკოცნი და გეფერები. სულ შენი ლიკუნა.

• მოსაღამოვდა. კუნკულა.

• „მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, რაც გადის დრო და ხანი, მე უფრო მეტად მიყვარს, შენი ლამაზი ტანი. შენი შავი თმის ბუჩქი, ნახატი შუბლის სერი, თვალები ყავისფერი, ლოყები ვარდისფერი. შენი თითები მიყვარს, ორი პატარა თათი, ო, იცი, როგორ მიყვარს ოდნავ შეხება მათი. ო, იცი, როგორ მიყვარს, გამოუთქმელი ენით, შენი გრძნობების სიღრმე, სულის სიმაღლე შენი. მე დარდიც მიყვარს შენი, შენი ღიმილიც მართობს, მე გულიც მიყვარს შენი, შენი სიცილიც მათრობს“.

• ფულით ნაყიდი სიყვარული მართლაც არსებობს. ჩემ გარშემო ბევრი ფაქტია ისეთი, რაც ძალიან ცუდია. უბრალოდ, დრო გადის და ხვდებიან, რომ ფული გაუფასურდა და იმიტომ ინგრევა ოჯახები. მ.მ

• ეს დღეები სულ ზურას ვხედავ სიზმრებში, 2 სურათი ამოვბეჭდე კომპიდან მისი და სულ ვკოცნი. დამირეკავს აუცილებლად, გასკდით გულზე. გამიშვებთ „გზიდან“? ზურას კნეინა.

• ჩვენთან არ ეწევიან, რადგან მოწევა ვნებს ჯანმრთელობას, იწვევს ნაადრევ სიკვდილს და იმპოტენციას, ხელს უშლის ნაყოფის განვითარებას და ჩვენს სუნთქვას, აღიზიანებს გარშემო მყოფ არამწეველებს და ჩვენს ჯიბეს, რადგან საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. „მოუწეველი მკვდარი არ გინახავს?“ — მესმის გიოს ხმა. ეგეც მართალია, საბოლოოდ მაინც ვკვდებით. მაშინ „მოწეული“ მკვდრები მაინც ვიყოთ. აკრძალვა მოხსნილია, მოსწიეთ! ჩვენთან ადამიანებს არ აფასებენ იმის მიხედვით, თუ რა აცვიათ, რა ჰქვიათ, რა უბნელები არიან და რომელ სკოლასა თუ უნივერსიტეტში სწავლობენ. ჩვენთან ადამიანებს მათი ადამიანობით აფასებენ, რადგან ნაგავი ნაგავია ვორონცოვზეც და ვაკეშიც. მარტო უბანსა და სკოლას კი არ აქვს მნიშვნელობა, დაუე სამშობიაროსაც! — ვკითხულობ მეგობრის სტასუსს ფეისბუქზე. ნეტავ, რომელი სამშობიაროა პრესტიჟული? ამიერიდან შეგიძლიათ, ადამიანები გაარჩიოთ წარმომავლობის, შეხედულების, ჩაცმულობისა და თვალის ფერის მიხედვით. დაიწყეთ სტრატიფიკაცია! :) ჩვენთან სიყვარულის სჯერათ. რომანტიკულ სიმღერებს უსმენენ, სიზმრებში დაფრინავენ და ჩამოვარდნისას ეღვიძებათ, ხელჩაკიდებულნი დარბიან, ბალახზე კოტრიალებენ და სიყვარულის მარადიულობაზე საუბრობენ. ჩვენთან მართლა სჯერათ, რომ რომეოს და ჯულიეტას ერთმანეთი იმაზე მეტად უყვარდათ, ვიდრე საკუთარი თავი. — ფული იყოს და შეყვარებით შეყვარება შეიძლება, — გაისმა ოთახის სიღრმეში. მართლა? ამაზე სულ არ მიფიქრია, რა სულელი ვარ! ამიერიდან ჩვენთან იკრძალება სიყვარულსა და ღრუბლებზე საუბარი. ცხოვრება ხომ პრაგმატულია, თავის თავში გამორიცხავს სიყვარულს, რომელიც აუცილებლად ჰაეროვანია... ჩვენთან ზღაპრები უყვართ. ხან ტროლებს ებრძვიან, ხან პრინცესას ათავისუფლებენ ტყვეობიდან, შიგადაშიგ ბოროტ ჯადოქრებსაც ამარცხებენ. ჩვენთან არ აპირებენ გაზრდას, ზღაპრების დაკარგვის შიშით. „შენ რა, ზღაპრებისა და ჩემი გადადგომის გჯერა?“ — მესმის ტელევიზორიდან მუბარაქის ხმა. მგონი გავაფრინე. არა, არ მჯერა ზღაპრების და საერთოდაც, ვით გითხრათ, რომ ჩვენთან ტროლებს ებრძვიან და გოლიათებს ათვინიერებენ? ჩვენთვის ჰარი პოტერი ერთი „აჩკარიკი“ ტიპია, რომელმაც ბავშვობაში შუბლი რაღაც უცნაურ საგანს მიარტყა (აბა, სხვანაირად როგორ ახსნით ელვისებურ ნაიარევს?). ჩვენთან გულახდილობას აფასებენ. გვიყვარს ყველაფერზე საუბარი, ყველაფრის თქმა. ღიად ვსაუბრობთ მეგობრობაზე, სიყვარულზე, სილამაზეზე. ჩვენ გულახდილად ვამბობთ იმას, რასაც ვფიქრობთ. „კარგი რა, მე ახლა მამაჩემს ყველაფერი გულახდილად რომ ვუთხრა, საწყალი, გადატრიალდება“, — მეუბნება გოგონა კომპიუტერის მონიტორიდან. მართალია ეს გოგო. ყველაფრის თქმა არ ნიშნავს, რომ კაი ტიპი ხარ. პირზე ბოქლომი დაიდე (თუ ფული გაქვს — ელვაშესაკრავი, იგივე „ზმეიკა“ დაიყენე, უფრო მოსახერხებელია გახსნა-დაკეტვისთვის) და მარტო ის თქვი, რაც გაწყობს შენც და შენ გარშემო მყოფთ. ამიერიდან ჩვენ ვამბობთ იმას, რაც საჭიროა და არა იმას, რისი თქმაც გვსურს. ჩვენ გულჩათხრობილები ვართ... ჩვენთან ერთმანეთს უფრთხილდებიან. ცდილობენ გაიგონ ერთმანეთის სურვილები, სუსტი წერტილები, მისწრაფებები. ერიდებიან ერთმანეთის გულდაწყვეტას, რადგან ადამიანობა ისაა, იცოდე, როგორ არ ატკინო გული შენთვის ძვირფას ადამიანს. „მე მიყვარს, როცა მეგობარს ვგრუზავ. ამ დროს ის იზრდება, რადგან მხოლოდ მაშინ ვიზრდებით, როცა დაგრუზულები (დატვირთულები) ვართ“, — მესმის ახალგაზრდის ნათქვამი. რა ჭკვიანურია?! ღმერთო ჩემო! მოდი, დღეიდან ერთმანეთი დავგრუზოთ და მერე ყველა ერთად ვიქნებით — დაგრუზულ ადამიანთა ერთობა. დღეიდან ჩვენთან აღარავის უფრთხილდებიან. პირიქით, ერთმანეთის სუსტ წერტილებს გამალებით აწვებიან დიდი ზომის ჩექმით. მთავარი ხომ საბოლოო, კეთილშობილური მიზანია — გაზრდა, გაძლიერება... ჩვენ არ ვეწევით, არ გვიყვარს გოიმები, არ გვჯერა სიყვარულის და ზღაპრების, არ ვაფასებთ გულახდილობას, არ ვუფრთხილდებით ერთმანეთს და საერთოდაც, ჩვენი თავის გარდა არაფერი გვადარდებს. არადა, თავიდან სულ სხვანაირად იყო. უბრალოდ, ჩვენ ხშირად ვიცვლით აზრს. კი, მაგრამ რომ გაიძახით, — „ჩვენ, ჩვენ, ჩვენ“, — ვინ ხართ თქვენ? თქვენ ხართ უფერულები მასა, რომელსაც არ გააჩნია არანაირი პრინციპები და რომელიც ცდილობს, ჩვენი ცხოვრებაც გააფერმკრთალოს. თქვენ სიყვარულის არ გჯერათ, რადგან არავის უყვარხართ, არ აფასებთ გულახდილობას, რადგან თვითონ არასდროს ამბობთ სიმართლეს, არ გჯერათ ზღაპრების. თქვენი ცხოვრება ხომ ერთი კოშმარული ზღაპარია, თქვენ არ უფრთხილდებით სხვებს, რადგან ყოველთვის გაკლდათ სითბო და ალერსი. მე არასდროს გავხდები „ჩვენ“, მე ვუფრთხილდები და მიყვარს ადამიანები. მე მჯერა ზღაპრების. ლაკვასტი.

• მარი, შენ მართლა გაგებული სვანი ხარ. ზოგი მაგარი ხისთავიანია. ორიგინალი სვანი — მტრისას. :) ჩინურ სვანს არა უშავს. :) გადარეული.

• მე კაცს არ ვეძებ, ნამდვილად, საიდანაც ეგ მესიჯი გავგზავნე, ის კარტა გავტეხე, მინდა ვაეჭვიანო, ნუ მკბენთ, თქვენს თავებს მიხედეთ. პკპკპკპკპკპკ. ზურას კნეინა.

• აუ მარ, გატეხილში ვარ. ფიფქია ადრინანად გაიქცა უნივერსიტეტში და დამტოვა „გზის“ გარეშე (რა ყველა განაგლდა, ეე...). გუშინ WANDERER-ი გავიცანი. ქაჯების დედოფალი.

• მარი, ძვირფასო, მაპატიე, ამას რომ გწერ, არ გეგონოს, გსაყვედურობ, უბრალოდ, მაინტერესებს, ჩემი მესიჯები ნახევარი რატომ იბეჭდება, თანაც — მხოლოდ ბოლო ნაწილი? სევდიანი ქალი.

• სალოცავი ოთახის კუთხეში წმინდა მარიამის ხატთან სანთელი ავანთე. საწერ მაგიდას მივუჯექი. ღვთაებრივი სილამაზის ქალღმერთი ვიხილე. ვენერას ვარსკვლავიდან მიღიმოდა. ოთახში, ლამპის შუქზე შეუცნობელი ჩრდილები ირეკლებოდა. თვალწინ თამბაქოს ფერფლის მტვერი არ მშორდებოდა. უთავბოლოდ, დაუსრულებლივ ვფიქრობდი იმ ღამით. სევდიანი ქალი.

• მერწმუნე, ადრე, შენს გაცნობამდე, მე შენ შესახებ არა ვიცოდი, ეს ჩემი გულიც გიჟურად ქროდა, ამ სიყვარულზე არც კი ვფიქრობდი. მერე მოხვედი, უხმოდ, უთქმელად, აბა მითხარი, რაღას ვიტყოდი? მეც შემიყვარდი, ვფიცავ, გულწრფელად, მაგრამ ვი, რომ შენ არ იცოდი. ეს სიყვარული ფიქრია მხოლოდ, მე ხომ შორიდან ჩუმად გიხმობდი, ფიქრი გაიგო მხოლოდ ღრუბელმა და შუაღამით ერთად ვტიროდით... სევდიანი ქალი.

• გუშინ ქარს ვუხმე, შენკენ მომავალს, ისიც გაჩერდა, შენ თავს ვფიცავარ, მათვალიერა, თავისად მიცნო, სახელი მკითხა, ვუთხარ, ვინც ვარ. ერთ წამს დადუმდა, დამუნჯდა თითქოს, სადღაცა გაჰყვა ფიქრის ნიაღვარს, ჩურჩულით მითხრა: თავისთან გიხმობს, აცრემლებულიც ბევრჯერ მინახავს! გამოვატანე ათასი კოცნა, ათასი ფიცი შენთან ნიავქარს, ის მთელი ღამე სარკმელთან ქროდა, მე ვუყვებოდი, როგორ მიყვარხარ!.. სევდიანი ქალი.

• აუ, სევდიანი ქალი მართლა მაგარი ადამიანია. გენაცვალე, ლია, მაგრად მიყვარხარ. გადარეული.

• ნამზე რომაა მაგხელა მესიჯი, მაგას წერს ქაჯების დედოფალი, მგზავნელებო. ქეთი, რატომ არ მიაწერე ნიკი? მე უფრო სხვანაირად მომიყევი ეგ? მართლა გაუგებარი სვანი ხარ. გადარეული.

• მარიამულ, ჩემს ლექსს ბოლო სტროფი აკლია. აი, ასე მთავრდება: ღამით ძილშიაც, ცხადშიც, მესმოდა შენი სუნთქვა,

სხვა რაღა გითხრა მეტი, გეტყვი, რაც უკვე ითქვა. ლუნა.

• სალამი, ქეთი. და რა საჭირო იყო მაგ ამბის მოყოლა აქ? და ვერც იმას მივხვდი, რისი თქმა გინდოდა მაგ მესიჯით ჩემთვის თუ მგზავნელებისთვის. ცუდი მეგობარი აღმოჩნდი? ჩემნაირი ცუდი უნდა არსებობდეს, რომ შენნაირი „კარგი" დაფასდეს. არც არასდროს, არავისთვის მითქვამს, რომ დამნაშავედ გთვლიდი. პირიქიიითთ...

• სალაპარაკო საღერღელი ამეშალა, შენი მესიჯის წაკითხვის შემდეგ, მაგრამ არ ღირს ნერვების მოშლა. ჯობია, თავს გავუფრთხილდე. :) P.S. მე შენ ეგოისტურად მიყვარხარ (ჯერ კიდევ)! შენ მიმართ მქონდა ავადმყოფურად მისაკუთრების სურვილი. კარგი ქენი, რომ თავიდან „მომიცილე" ახლა თავს ნორმალურ ადამიანად ვგრძნობ. სიყვარულით — ნაომი. P.P.S. გაიხარე, მედიკო და გური, თბილი სიტყვებისთვის. ამ ყველაფრის ფონზე გამისწორდასავით თქვენი გულშემატკივრობა. :) ნაომი.

• ირმა, უზომოდ გამახარა შენმა სიტყვებმა. ჩემო კარგო, დიდი მადლობა იმ სიხარულისთვის, რაც შენი სიტყვების წაკითხვის შემდეგ განვიცადე. მიყვარხარ! WANDERER, დიდი მადლობა, სიხარულო. უცნობო, შენც ძალიან გამახარე. მადლობა სითბოსა და სიყვარულისთვის. მიყვარხართ! ჩემს ფერია კამის, მამუს, ეთოს სიყვარულით მოვიკითხავ. ლუნა.

• 9 თვის წინ ჩემი მეათე, პატარა რომანი დავწერე და გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, რაც დავწერე, სიტყვასიტყვით ამიხდა და ჩემი ცხოვრებაც ისე მიდის, როგორც დავწერე. არავის სჯეროდა, არც ჩემს მეორე ნახევარს და რომ წავაკითხე, გაოცდა, გაოგნდა და სიტყვებს ვერ პოულობდა. ჩემს რომანში (ცხოვრებაში) დიდი სიყვარულია, უდიდესი ბედნიერება, ბევრი პრობლემა, ბევრი სადარდებელი და ბევრი დაბრკოლება, მაგრამ რომანი კარგად სრულდება და იმედია, ეს ჩემი წინასწარმეტყველური რომანი ბოლომდე ასრულდება. მართლაც საოცარია, მაგრამ ფაქტია და მართლაც რომანის გმირი მგონია თავი. არა, ეს რომანი კი არა, ალბათ უფრო კონკიას ზღაპარია. მე ხომ ჩემმა სიხარულმა ისე ჩამაცვა ფეხსაცმელი სვეტიცხოვლის ეკლესიის ეზოში, როგორც კონკიას და ეს ზღაპარი, რომანი თუ რეალობა კარგად დასრულდება და მე მჯერა, სიყვარული მაგარია. ბუცა.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. როგორ ხართ? ჩემი ახლობელი ბაზრობაზე მუშაობს. ყოველ დილით ყიდულობდა მემაწვნე ქალისგან მაწონს. ერთხელ მაწონი რომ შეჭამა, ქილის გარეცხვა ვერ მოახერხა. ამიტომ საღამოს მაწვნის ქალმა ქილისთვის რომ ჩამოიარა, ათასი ბოდიში მოუხადა, ქილა ვერ გავრეცხეო. მან კი დაამშვიდა — ძალიან კარგი, ახალ მაწონს რომ დავაყენებ, ქილაში დედას ჩასხმა არ დამჭირდება ამ საღამოსო. ამ ამბის შემდეგ ჩემს ძვირფას ხათუნას მაწონი მგონი საერთოდ შესძულდა. გერასიმე. მარი, ძალიან მიყვარხარ.

• მარი, ჯიგარო, როგორ ხარ? დათო ვარ. წინა კვირას მოგწერე, მაგრამ ვერ მოგიკითხე. ჩემს ლუნიჩკას რატომ მიბრაზებენ, არ იცი? თუ არ იცი რას ნიშნავს, ვინმეს ჰკითხე მაინც. ლუნაჩკას მთელი ცხოვრების მანძილზე არ გამოუხატავს. ძმურად, მისი გზავნილებიდან ერთი წინადადება მაინც ამოწერე, სადაც ღვარძლია და წაგვაკითხე, ყველას გვაინტერესებს. ეშმაკუნა, ჩემო შავტუხა, გახსოვვარ?

• ქ-ნ. ნანი, ძალიან უყვარხართ კლეოპატრას. უფალი გფარავდეთ.

• მისტერ, არ გინდა, კულტურობანა გეთამაშო? :) ყველაზე სულით სოფლელი, უკულტურო და უწიგნური შენ გამოხვედი მაგ წერილის შემდეგ.

• ფლამი, ედე, ლაკვასტ, მილე, მიყვარხართ ძალიან. კლეოპატრა.

• ძალიან ძველი გზავნილები ვნახე და არც ვიცი, თუ არსებობს ეს, ასე ვთქვათ, ჩათი. ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ, ყველანაირად ვიტანჯები. ახალი მეგობარი მინდა. CRAZY ANGEL.

• ვკითხულობ ლიკა ქაჯაიას რუბრიკას — „თინეიჯერული პონტები" და გადამრია მისტერის მიერ მიწერილმა, ვითომ რეალურმა წერილმა. აშკარად ეტყობა, უვიცი და უწიგნურია. სხვა ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ან თუნდაც შენი გვარის წარმომავლობა გამოიძიე, შენც სოფლელი ხარ და ყველა ჩვენგანი და რა გგონია საერთოდ?! შენ გაქვს კულტურა, ამდაგვარ რამეს რომ წერ? ნამდვილად არაფერი სჭირს არც ერთ მათგანს და კიდევ, ჯემალ (მისტერ), არ ვიცოდე მაინც, ვინ ხარ... პატივისცემით, კარენოი თბილისელი.

• გამარჯობა, მარიამულო, მომენატრე... ასმაგად შემიყვარდი, შენი ტკბილი ხმა რომ გავიგონე. მართლა საოცარი და ტკბილი ადამიანი ხარ. მიყვარხარ გულში, მარ! შენი ლუნა.

• გამარჯობა, ირმა, მე შენ შესახებ წავიკითხე ახლა და მივხვდი, კარგი ადამიანი ხარ. თუ ისურვებ, ვიმეგობროთ, მე ია მქვია, ქობულეთელი ვარ.

• ნწუ, ნწუ, ნწუ... მივდივარ აქედან ისედაც, კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, თქვენი ჩემდამი მოწერილი მესიჯი აღარ დავინახო „გზაში". მე, ორსულ ქალს რომ მეჯიბრებით, მალადეც! ზურას კნეინა.

• გამარჯობა, გოგონას სახელის შერჩევა მინდა და თუ შეძლებთ, დამეხმარეთ.

• წინა ცხელ ზაფხულს, ჩემი მეგობრის სოფელს, სადაც ქალაქთან შედარებით საკმაოდ გრილა, უამრავი ქალაქელი ესტუმრა. ბაიასთან ერთი ცოლ-ქმარი მისულა და უთქვამთ, ისეთ ბინას ვეძებთ, რომელიც ტყესთან ახლოსაა. ბაიას ერთი ოჯახი გახსენებია, რომელსაც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, შიგ ტყეში ჰქონია სახლი აშენებული და მათთან მიაგზავნა. როდისროდის, ქოშინით მიადგა ცოლ-ქმარი ბაიას მითითებულ მისამართს. ოჯახის „მამასახლისს" უცხო სტუმრები რომ დაუნახავს, მაშინვე გასულა და შეჰგებებია. არ იკითხავთ ახლა, ეს სახლის უფროსი როგორ გამოიყურება? ყველგან კუნთი რომ აქვთ მოკრივეებს, აი, ისეთი ტანი აქვს და არც მეტი, არც ნაკლები, 2 მეტრია სიმაღლეში. ჰოდა, იმას გეუბნებოდით, სახლიდან რომ გამოსულა, ერთი გემრიელად გაუზმორია და ბოხი და შემზარავი ხმით უკითხავს სტუმრებისთვის მოსვლის მიზეზი. ცოლ-ქმარს ერთი ნაბიჯით უკან დაუხევია; მეორეთი კი მაშინ დაიხია, სახლიდან მეორე, ასევე ახმახი და ზორბა მამაკაცი რომ გამოსულა საცვლების ამარა. ქმარს დაფეთებული და შეშინებული ცოლისთვის ხელი უკრავს, — წამო, ქალო, სხვა ბინა ვნახოთო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ქალბატონი არც კი შეტოკებულა. — წამო, ქალო, თორემ ეს შეჩვენებულები შენც გიხმარენ და მეც თან მიმაყოლებენო, — შეწუხებულს უთქვამს ეს სიტყვები ცოლისთვის, მაგრამ როგორც ჩანს, ქალი მოხიბლული იყო მასპინძელი მამაკაცების აღნაგობითა და კუნთებით და ცოცხალი თავით არ დაემორჩილა ქმრის ნებას. მოკლედ, იმ ოჯახში დარჩნენ ორი კვირის ვადით. მე-5 დღეს კი, ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, იმ ორი ახმახიდან, ერთ-ერთს ჯაბას ცოლი დაუთრევია და უშნოდ უფათურებდა ხელებს. გაეცეცხლდა ჯაბა და სირბილ-სირბილით გააქანა ცოლი იმ ოჯახიდან. საკითხავი ისაა, ჯაბა მხოლოდ იმაზე გაწყრა, მის ცოლს ხელებს რომ უფათურებდნენ თუ იმისი შეეშინდა, მომდევნო ის არ ყოფილიყო. ლუნა.

• დაგენაძლევებით, „გზის" პროვოკატორი ამ კვირაში თუ არა, იქითა კვირაში შერონ სტოუნზე და სააკაშვილის განათებულ თვალებსა და გადმოყრილ კბილებზე იპროვოკატორებს. :) მომწონს პროვოკატორი და მგონი, ვიცნობ უკვე მე მას. :) ნაომი.

• გთხოვთ, დამიბეჭდოთ. მინდა, ჩემს უსაყვარლეს მეუღლეს ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მენატრება. ნოდო, შენი ბურწკალა. მიხვდები. წინასწარ დიდი მადლობა.

• ვაიმე, რა კატასტროფულად მიყვარს რუსთავში მცხოვრები ერთი წყვილი...

• ლაკვასტ, ფლამი, სალო, მენატრებით და მიყვარხართ. ფიფქია.

• საინტერესო თემაა. ახლა იმ წინასწარმეტყველების შესახებ გეტყვით, ჩემს თავს რომ ვუწინასწარმეტყველე ჯერ კიდევ ბავშვობაში. სულ ვფიქრობდი, როდესაც გავიზრდები, ჩემი ქმარი უნდა იყოს ჩემზე გაცილებით უფროსი, ნასწავლი, თანამდებობის პირი, მანქანიანი-მეთქი. ჰოდა, ერთ დღეს ახდა ჩემი წინასწარმეტყველება — ცოლად გავყევი 13 წლით უფროსს, თანამდებობის პირს და მანქანიანს.

• სიყვარულით მვიკითხავ WANDERER-ს, უწუწურს, ლი23-ს... ძაან მენატრება SWEET, 9717, ჭრიჭინა, ენიგმა, GREEN, ნონ სტოპ, იდუმალი, სევდიანი, უზნეო, ოლე... CRAZY GIRL.

• მარ, გთხოვ, დამიბეჭდე: გიო, ვიცი, ამ მესიჯს წაიკითხავ და მინდა იცოდე, მართლა მიყვარხარ. გთხოვ, დამიბრუნდი, არ მიმატოვო, ჩემო სიცოცხლევ. თამუნა.

• თუ სიმართლეა 5 წლის გათხოვილი ქალწულის ამბავი, მაშინ დიდებული კაცია კაროლინას ქმარი. კაცია-მეთქი, ხაზს ვუსვამ... მაგრამ ბევრი კითხვის ნიშანი

ჩნდება. ისე, იმპოტენცია იკურნება.

• ლუნა, ძალიან მომწონხარ, მაგარი საყვარელი გოგო ხარ და მინდა, რომ ვიმეგობროთ. შენც თუ გადაწყვეტ, რომ გამეცნო, მარის სთხოვე ჩემი ნომერი და მოგცემს აუცილებლად. თამუნა.

• იქნებ დამიბეჭდოთ. გავიცანი ერთი ბიჭი. მირეკავდა, ვურეკავდი და მწერდა. ვხვდებოდით კიდეც, ძალიან ხშირად ვერა, მაგრამ მაინც. ბოლოს დამირეკა 24 მაისის ღამეს. მაშინ ტაძარში ვიყავი და 26-ში დღეობაში უნდა მენახა. რომ დამინახა, გოგო ახლდა და ბოლო სიტყვები იყო, — ეს ვინ დავინახეო. მეტი არაფერი. აღარ მწერს. მიყვარს და მინდა, რომ დამიბრუნდეს. არ ვიცი, რა მოუვიდა, მაგრამ ვგიჟდები, ისე მიყვარს. საკუთარ თავზე მეტად მიყვარს და მან არ იცის. მისი თვალებიდან სხვა სითბო მოდიოდა და მისი კოცნა არ მავიწყდება. მინდოდა გამეგო და ვკითხე, მინდოდა მოვხვეოდი და მეთქვა, როგორ ძლიერ მიყვარს, მაგრამ რა ვქნა, ხომ არ შევეხვეწები? თან ვერ ვივიწყებ.

• მარიიი, ახლა ლაკვასტთან ვარ, აურა გავიცანი. აუ, რა კარგია ამათთან, მიყვარხართ, მგზავნელებოოო... ქაჯების დედოფალი. ეჰ, მენატრებით...

• ვაიმეე, რა მოწყენილი ვაარ, ქაჯეთი ლაკვასტთან წავიდა და დამტოვა მარტო, წიგნებთან და გამოცდებთან. ფიფქია.

• მარიამულო, როგორ ხარ? სტუმრები მყავს და ნაირ-ნაირ ამბავს მიყვებიან. უყვარხარ შენს ლუნიტას.

• მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ შენ და „გზას“. თქვენი წყალობით შევიძინე საუკეთესო მეგობარი. ერთგული მკითხველი, ლანჩხუთიდან.

• შენში იმდენად ბედნიერი სული ბინადრობს, გზააბნეული ანგელოზიც ამას ინატრებს, საიდან გაჩნდი ასე კარგი, ასე უბადლო, ამ ცოდვიან და ამ ბედკრულ დედამიწაზე. შენებრ ლამაზას რომ შეეძლოს ყველას ცხოვრება, ალბათ სამოთხე იქნებოდა მთელი სამყარო.

• ახლა ისეთი აღშფოთებულ-აშხფოთებული ვარ, რომ... რატომ? იმიტომ, რომ ზოგიერთი, სხვისი კბენის მუღამში არიან, ნერვებს მიშლიან.

• მარ, იცი, რა მინდა გთხოვო? „სიტუაციას“ ყოველთვის დიდი ინტერესით ველოდებით ხოლმე და როცა არ წერ, ძალიან მწყდება გული. გთხოვ, იქნებ მოახერხო და ყველა ნომერში დაბეჭდო.

• მთე�eელი გზავნილეთის მასშტაბით ვისაც ვაწყენინე, ვუხდი ბოდიშს. ხომ იცით, ჩემი პირდაპირობის ამბავი? ყოველთვის იმას ვამბობ ხოლმე, რასაც ვფიქრობ. ნუ, ამ შემთხვევაში სისულელე გამოვიდა, მაგრამ იმედია, მომიტევებ ამ შეცოდებას.

• ჩემო მამიკო, როგორ მიყვარხარ და მენატრები, როგორ მომენატრა შენთან ჩახუტება. ბავშვებსაც ძალიან ენატრები. შენი ანა.

• გიგილო, გულს ვერ გეკვრები და ამის მიზეზია მანძილი დამყოფი. გმადლობ. მიწილადე სითბო ძვირფასი და მუდამ სამყოფი (ცხოვრება მკაცრია, დედინაცვალი გერთა გამყოფი).

• თამუნა, ახლა უფრო ვგრძნობ, როგორ მყვარებიხარ. ძალიან მიჭირს, მიჭირს ყოველი წუთის გახსენება, რომელიც შენთან გამიტარებია. არასოდეს დამავიწყდები. დამირეკე. ბექა.

• ბავშვებო, არ გინდათ, მგზავნელები ერთად წავიდეთ ექსკურსიაზე? ბოლოს და ბოლოს, გზავნილკლასი ვაართ. :) 15-15 ლარი დავდოთ და რომელიმე ისტორიულ ძეგლს ვესტუმროთ. შემდეგ კი, ბუნებაში მოვსხდეთ, ვიქეიფოთ, ბადმინტონი, ფეხბურთი და ჯოკერი ვითამაშოთ და ა.შ.

• ნისლიან ფიქრებს ღამეული ზმანება ერთვის, დროის ფაეტონს ჩაუვლია ცხოვრების გზასთან, ბედნიერების გაღმა ნაპირას ვიღაცა გელის, უბედურების ქარავანს კი ბოლო არ უჩანს... ტყუილი, ცრემლი, ისევ ტკივილი, სიხარულმაც კი ველარ დაფარა, სულს ეუფლება სიცივის ლანდი, მთვარის სონატას უკრავს სატანა. რა საზარელი ღამეა, ღმერთო! იმედიც ჩაკვდა, თითქოს ვნებდები... მე ბრძოლის თავი აღარ მაქვს, იცით?! ანდერძად დაგრჩეთ ჩემი ლექსები. გული სიღრმიდან ამოხეთქილი, კივილი სულის, ცხოვრება ჩემი; თუ დამივიწყეთ, არც მაგას ვდარდობ! ამაღამ უკვე წარსულში ვრჩები...

• უკიდეგანო ლაჟვარდს გავცქერი, სევდისფერ მთებსაც მზე ეთხოვება; ბინდდება ღამე, ბინდდება მთვარე, სული მწუხრისფერ ცაზე ბინდდება... ქარის შრიალი ტბის ტალღებს არხევს, არღვევს სიჩუმით მოსილ ზმანებას, სული ისწრაფვის, სიკვდილს მოელის, გული ბერდება, გზა ფერმკრთალდება... სხივი იმედის სადღაც წავიდა და დაიძინა ტბის ფსკერზე ალბათ... სად ანგელოზნი ნანას უმღერდნენ, დიდი თამარის უკვდავ ყრმის აკვანს... გადაღლილია მთვარე დიადი, ღრუბლების ველში დაიდო ბინა, კდემამოსილი ეს ვარსკვლავებიც, უსასრულობას აღარ უკრთიან. მე ჩამასვენეს ყვავილთ მორევში, გამთენიისას სულიც გაფრინდა, თითქოს მზის სხივებს მივართვი სული, სხეული ჩემი ტბისკენ წავიდა... დაინთქა ალბათ უკიდეგანოდ, ფსკერის კუბოსთან თუ დაიძინა... ღამეულ კოშმარს გამოვეთხოვე და ვარსკვლავებთან დავიდე ბინა!

• ბედო, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. მსოფლიოში ყველაზე მაგარი ქმარი ხარ. ბედნიერი ვარ, შენ რომ მყავხარ. სულ ერთად ვიქნებით. პირველად გწერთ და გთხოვთ, დამიბეჭდოთ.

• სხვებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ყოველ ხუთშაბათს ვტკბები „გზავნილებით“. დაშოშმინდით, საყვარელო მგზავნელებო. მიყვარხართ!

• მარი, ძვირფასო, იმდენად მაოცებს შენი ნიჭი და ენერგია, არც კი ვიცი, როგორ მოგმართოო, რომ გამოვხატო ჩემი მოწიწება და სიმპათია შენდამი. მაგარი ხარ და მაგრად მიყვარხარ.

• ჩემი მონატრება, ლამაზი ოცნება, რა ნაზად აყოლილა ქარს, წუთითაც არ იფიქრო, რომ ჩემზე მეტად, ვინმეს ეყვარები სხვას... მიყვარხარ, გიო მანწკავა. შენი პატარა ნენე.

• რა არის რა, ვინც კი მიყვარს, ყველა უცხოეთში მიდის. ჩემი აქ მყოფი მეგობრების სია კიდევ 1-ით შემცირდა. :(ახლა ყველაზე ახლო დაქალიც მეუბნება, 1 წელში მეც მივდივარო. რა უბედური ვაარ. გული მტკივაა.

• ვაი, დედიკოო. ჩემს ლოგინზე შეყვარებული ვაარ. :) ნეტავ იცოდეთ, რამდენ ხანს მძინავს, მარტო იმიტომ, რომ ლოგინიდან არ ავდგე. :) მცივა და... :)

• მარი, გამარჯობა, უკარგესო. მობეზრებული გაქვს ალბათ ვირტუალურ თაყვანისმცემელთა ლაითმესიჯები. რა ხარ ამნაირი ჭკუის პატრონი? ასეთ საოცრებათა წრეს როგორ კრავ?

• თანხა იოხ, საყვარელო. დოლგოიგრაიუში მესიჯებმა გამაკოტრაა. SORRY, ვერ დაგირეკაააავ!!!

• მე ახალი ვარ. გამომეხმაურეთ, სპაისი.

• ჩემი მარიამული როგორ მყავს? :) მარ, წინა კვირას ვერ მოგწერე და ვერ წარმოიდგენ, სინდისმა როგორ შემიკიკინა. :) ვერ ვიტან, რომ არ გწერ. :) ლომკა მაქვს უუე შენზე, „გზაზე“ და „გზავნილებზე“.

• მინდა მოვეფერო ყველა ემიგრანტს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. ჩემო კარგებო, გფარავდეთ უფალი, ყველგან და ყოველთვის. მოგმადლოთ სიძლიერე, რომ გავუმკლავდეთ და სულიერი ტკივილი, რასაც სამშობლოს მიწა-წყლის და ახლობლების მონატრება ჰქვია, გადაგეტანოთ. მე თითოეული თქვენგანის განცდა წარმომიდგენია. წარმომიდგენია, რის ფასად გიჯდებათ ოჯახისგან შორს ყოფნა. დაე, დასრულებულიყოს ეს გოლგოთა, დაე, მზე გაცისკროვნდეს თქვენს ცხოვრებაში და აღარ გქონოდეთ მწუხრის იერი, გაბაცებული ფერები. მე მინდა მჯეროდეს, რომ დადგება დრო, ივერიის გაბრწყინების და ქართველს აღარ დასჭირდება ფესვებს მოწყვეტა. იდღეგრძელე საქართველოვ, აწ და მარადის. გფარავდეთ უფალი.

• მარი, როგორ მიყვარს „გზავნილები“, მაგრამ ვერ გწერ ხოლმე. უამრავი რამ მინდა მოგწერო. ჩემი ცხოვრება სრული ქაოსია. არც კი ვიცი, ვის გადავუშალო გული. ვერავინ გამიგებს.

• მომენატრეთ, მგზავნელებო. დაგიბრუნდით, თუმცა აღარ ვარ მარტოსული. მომენატრეთ.

• შენ ქარიშხალი გინახავს ზღვაზე? მოგისმენია გრიალი ზღვისა? ტალღა ბრაზდება საკუთარ თავზე, როცა სიყვარულს უცქერის სხვისას... იცი, რად არის გაბრაზებული, რად ახლის ნაპირს ტალღებს ქაფიანს? ზღვასაც ჰყოლია შეყვარებული და მერე რწმენა დაუკარგია. საკუთარ ტალღით მოუკლავს თურმე, საკუთარ გულში ჩაუმარხია და ახლა, როცა ბინდდება ზღვაზე, როცა სიყვარულს უცქერის სხვისას, საკუთარ სატრფოს იგონებს სევდით და ეს ღრიალი დარდია ზღვისა.

• ცოტას დავიცდი, მერე წავალ წვიმის კვალდაკვალ... დღეს თუ არ იცი, ხვალე გაიგებ, როცა დამკარგავ, რა იყო ჩემში ასე ცივი, რით შეგაშინე, შენკენ სავალი ბეწვის ხიდიც არ შემარჩინე. ცოტას დავიცდი, სანამ წვიმის გავა სურნელი, ნუღარ განიცდი, პატიებას

ჩემგან ნუ ელი, ცოტას დავიცდი, მერე წავალ წვიმის კვალდაკვალ, ნულარ განიცდი, ხვალ ხომ უკვე მართლა დამკარგავ.

• ოდესმე სულ მარტო თუ დარჩენილხარ, საკუთარ გრძნობებთან ხელჩართულს გიბრძოლია, ვინმესთვის უმიზეზოდ გული თუ გიტკენია, ხანდახან დაფიქრდი, თავი ვინ გგონია? შენ გესმის რას ჩურჩულებს თეთრწვერა მოძღვარი? გესმის, როგორ ტირის აკვანში პატარა? ოდესმე წაგიკითხავს წირვაზე ლოცვანი? გიგრძნია, როგორ თრთოდა ბნელეთში სატანა? მოხუცის დაკოჟრილ ხელებით ნაქსოვი წინდები, ჩაგიცვამს ოდესმე ყინვიან ზამთარში? მაშინ შეიგრძნობდი სითბოს და სიყვარულს, სიცოცხლეს იგრძნობდი საშინელ ავდარში. დედის ცრემლებით ნაამბობი ლამაზი ზღაპარი, მინდორში ეულად ამოსული ლურჯთვალა ია, სულში დანთებული სიყვარულის კაშკაშა ლამპარი, ეს თუ შეიგრძენი, მაშინ გიხაროდეს, ადამი გქვია...

• იჯდა მდუმარედ ცხელ ბუხართან ლამაზი ქალი, გარეთ კი თეთრი ფანტელები თოვდა და თოვდა. იყო სიჩუმე, მოგონება, ფიქრები მკრთალი, ყინავდა, ქარი გაბუტული ზუზუნით ქროდა... თუმცა იცოდა, არასოდეს დაბრუნდებოდა, მაინც ელოდა, უსასრულოდ ძლიერ ელოდა და რომ ეთხოვა, მის ლოდინში დაბერდებოდა, თოვდა თეთრად და უსასრულოდ, სულში ბნელოდა... ფარდა გასწია, სოფელს გახედა, უცებ ჩაფიქრდა, თეთრი ფანტელის ქარისაგან იდგა ქაოსი, კვლავ მოაგონდა წარსული და წამით გაფითრდა, ბოღმა მოაწვა ამ დაწყევლილ სააქაოსი. მერე ფიფქები გაიფანტა დაბურულ ცაზე, ქრებოდნენ ისე, როგორც ჩვენ ვქრებით ცხოვრების გზაზე, დგებოდა ღამე, მოლოდინით, უსაზღვროდ ვრცელი და მოდიოდა მის გარეშე ახალი წელი.

• ცხოვრება თურმე მართლაც სიურპრიზებით ყოფილა სავსე. მიყვარდა, ძალიან მიყვარდა (თუმცა არა, მიუხედავად ყველაფრისა, ახლაც მიყვარს). ის ისეთი თბილი, მოსიყვარულე და მზრუნველი იყო... ეჰ, გამოდის, რომ მწარედ შევცდი. დღეს მისი ცოლი ვარ და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სხვა ადამიანის ცოლი ვარ. ერთი ხელის მოსმით გაქრა ყველაფერი... ის სინაზე, სითბო, სიყვარული და დარჩა მხოლოდ ფიზიკური და სულიერი შეურაცხყოფა. ახლა უკვე ვხვდები, რომ ბედნიერება არ არსებობს. არადა, როგორ მეგონა, რომ უბედნიერესი ქალი ვიქნებოდი მის გვერდით. ერთადერთი, რაც მაძლებინებს და სტიმულს მაძლევს ამ სამყაროში, ჩემი პატარა ანია, რომელიც სულ რაღაც ერთ თვეში მოევლინება ქვეყანას და გამაბედნიერებს. P.S. ასეც ხდება ცხოვრებაში.

• ქალი ყოველთვის რაღაცას მალავს, ქალს მუდამ რაღაც მოჰყვება მზითვად, პირველი კოცნის მხურვალე ალი, ვნებით ნათქვამი პირველი სიტყვა. ქალის გაგება ძნელია, ძნელი, რაღაცას მალავს ყოველთვის ქალი, გაუშტერდება ხანდახან მზერა და წარსულისკენ გაურბის თვალი. ქალი ყოველთვის რაღაცას მალავს, ქალს მუდამ რაღაც მოჰყვება მზითვად, ან გაყვითლებულ, გაცრეცილ ბარათს, ან წიგნში ჩამჭკნარ ყვავილებს მინდვრის. ქალი ყოველთვის რაღაცას მალავს და დარდში გადის ჟამი ზოზინით, თვითონაც უცხო და შორი მარად, იდუმალების ბინდით მოსილი...

• ათენის საავადმყოფოს ფანჯრიდან ვიყურები. ცა ღრუბლებითაა დაფარული. ისე დაბლაა, მგონია, მეოთხე სართულის ფანჯარას გავაღებ და ხელით მისწვდები. თითქოს სადაცაა, თოვას დაიწყებს, მაგრამ აქ ხომ არასდროს თოვს. ასეთ დროს იქ იწყება თოვა, სადაც შენ ხარ, სადაც ასე ლამაზი და დიდებული ციდან ცეკვით წამოსული ფანტელები, თოვლში დადგები, ზემოთ აიხედავ და ხედავ, როგორ ლამაზად ცეკვავენ ფიფქები, გესმის, როგორ საოცარ მელოდიას უკრავს უხილავი კომპოზიტორი და შენ ცაში მიფრინავ, მთელი არსებით გრძნობ ამ სიდიადეს და შენ მისი ტყვე ხარ, ბედნიერი ტყვე... მერი! მესმის ჩემი ქალბატონის ხმა და ისევ აქ, საავადმყოფოს პალატაში ვბრუნდები, თვალს ვახელ და დაგუბებული ცრემლი გზას პოულობს. უხმოდ ვტირი. ჩემს ქალბატონს არ უკვირს ჩემი უმიზეზო ცრემლები. მან იცის, რომ მხოლოდ ქართველს ენატრება ასე თავისი ქვეყანა და ეს მონატრებაა, მწარედ რომ გვატირებს...

• ვიცი, დადგება ის დრო, როდესაც შემიძულებ და მიმატოვებ, მე ამისთვის მზად ვარ იცოდე, წინასწარ მინდა ეს მიხარ-ოდეს. მე ველი იმ დღეს, ძვირფასო, როცა შენ მოხვალ ჩემთან და მეტყვი ამას: უნდა წახვიდე აუცილებლად, რადგანაც უკვე სხვისი დრო დადგა! და თუკი ადრე შენ იყავ ჩემთვის, ყველაზე დიდი ფიქრი და ნატვრა, გთხოვ, მაპატიე, რადგანაც უკვე, იმ გატაცებამ გადამიარა... მომეძალება ალბათ იმ წამში შურიც, ცრემლებიც და სინანულიც, მე შეიძლება ავტირდე მაშინ, გამოვიგლოვო ის სიყვარული. მოახლოვდები, ხელს ჩამომართმევ, გულგრილად მეტყვი სიტყვას — მშვიდობით, ერთ თბილ კოცნასაც ვერ გაიმეტებ, თვალებს დახრი და გადგები შორით. მაშინ გეტყვი, რომ მსურს, შეგიძულო, რომ მინდა მშურდეს მორიგი მსხვერპლის, მაგრამ რა მომდის, ოჰ, ღმერთო ჩემო, მაინც მიყვარხარ და მეცოდები. თუმცა, რა მეთქმის? მე დავაშავე! რას გსაყვედურობ, საკითხავია, თუ შენ ტყუოდი და ვერ მიგიხვდი, რას იზამ, ეს რა შენი ბრალია? სულ, სულ პირველად როცა გითხარი, რომ სამუდამოდ შენთან მოვედი, მე შევცდი, უნდა მივმხვდარიყავი, მუდამ კი არა, გსურდი დროებით. მაშ წადი ჩემგან, არ გწყევლი, გლოცავ, არაფერს ვნანობ ახლა სრულებით, დაგთმობ ძვირფასო და უშენობას, ალბათ როგორმე შევეგუები. შენ წახვალ სხვასთან და დამივიწყებ... დაგავიწყდება ჩემი ალერსი, მინდა იცოდე მიყვარდი ძლიერ, ისევ მიყვარხარ და მეყვარები! გემშვიდობები, გახსოვდეს ოღონდ, სიმწარე მარად ჩემი ხვედრია, მტოვებ გათელილს და სულით ობოლს, რაზეც სიკვდილი ოდნავ მეტია. არ გიყვარს ბაირონი, მარ? დავთვერი, მარ...

• ეს ბოლო კვირებია, ვკითხულობ და თემაზე მოსაწერი არაფერი დამრჩა, ახლაც თემაზე არ გწერ, მაგრამ დაობდა ჩემი ტელეფონი „გზავნილებში“ დაუმესიჯებლად და რა მექნა? :-) პირველ რიგში მინდა ჩემი შექმნილი სადღეგრძელო მოგაწოდოთ. მოკლედ, მეგობრებო! მოდი, გაუმარჯოს სამ რამეს ერთად: ტკბილ მოგონებებს, რომლებიც ჩვენს ცხოვრებას ჩაუმქრალი ლამპარივით მიჰყვება მუდამ, ტკბილ რეალობას, რომლის გარეშეც არაფერია დღევანდელი დღე და რომელიც ხვალ ახალ ლამპრად აინთება, ტკბილ იმედს გაუმარჯოს, ჩვენს მომავალს, რომელიც ერთხელ ალბათ აუცილებლად გადაიქცევა ტკბილ რეალობად და მერე ისიც აინთება ლამპრად!



გილოცავ!

• ნოდარ ჯაშიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 1-ელ ივნისს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში, თემურთან და თორნიკესთან ერთად. იხარე და იბედნიერე. დორდენ.

• 9 ივნისს დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს ვაჟკაცს, ახალციხეში, გიორგი კაპანაძეს. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. დედიკო და მამიკო.

მსოფლიოში ყველაზე ვაჟკაც მეუღლესა და მამას, აბესალომ ასლანიკაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 13 ივნისს. უფალი გფარავდეს და შეგეწიოს. ამინ! ეთო, ნურიკო, ელო.

ბებო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ბევრ სიხარულს. ძალიან ბევრს გკოცნით და გეფერებით. იაკო და ივიკო.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფაიმ-აუტი

პირველი პირველთა შორის



ეს იყო ბაგონი გივის მესამე გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატებში. ის პირველი ქართველი სპორტსმენია, ვინც სამჯერ მოიპოვა ეს ტიტულები

ქართველმა მოჭიდავეებმა მსოფლიოს ჩემპიონატში პირველად 1953 წელს ნეაპოლში იასპარეზეს. მანამდე ჩვენმა ფალავნებმა ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა და დავით ციმაკურიძემ და არსენ მეკოკიშვილმა ოქროს მედლებიც მოიპოვეს. უფრო ადრე კი — 1947 წელს, როდესაც საბჭოთა მოჭიდავეები ფილას (ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის) წევრები გახდნენ, პრაღის ევროპულ ჩემპიონატზე მოსკოველი კონსტანტინე კობერიძე კლასიკურ ჭიდაობაში კონტინენტის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

გოგი ფრანგიშვილი

ჩვენი პირველი მსოფლიოს ჩემპიონიც კლასიკური სტილით მოჭიდავე გივი კარტოზიაა. სიტყვა „პირველი“ გივი კარტოზიაზე მრავალჯერ ითქმის: ის პირველია ქართველ სპორტსმენთა შორის, ვინც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და მსოფლიოს თასს დაეუფლა; პირველია კლასიკურ ჭიდაობაში, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა და პირველია მთელ მსოფლიოში თავის სახეობაში, სამივე ეს დიდი ტიტული რომ დაისაკუთრა. რაც მთავარია, გივი კარტოზია ცხოვრებაში იყო პირველი — მეგობრისა თუ სამშობლოს სიყვარულით, ნაცნობისა თუ უცნობის თანადგომით, მტყუან-მართლის გარჩევითა და კიდევ ბევრი სხვა რამით.

რა დასამალია და, ქართველებს გადამეტებული ქება გვჩვევია, მით უმეტეს — ამ ქვეყნიდან წასული ადამიანის, მაგრამ გივი კარტოზიას სახელს ეს არ სჭირდება. ეს უფრო ჩვენ გვჭირდება, მით უფრო — ახალ თაობებს, რომლებმაც უცხოელი სპორტსმენების შესახებ უფრო მეტი იციან, ვიდრე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, ქართველი კარტოზიას შესახებ.

1953 წელს, ნეაპოლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გივი კარტოზიამ თავისი პირველი ტიტულიც მოიპოვა.

იტალიაში ჭიდაობა ისეთი პოპულარული არ არის, როგორიც ვთქვათ, ფეხბურთი, მაგრამ ტემპერამენტიანმა სამხრეთელმა გულშემატკივრებმა პირთამდე შეავსეს „გიმნაზიუმ პალესტრის“ დარბაზი. ისინი ერთობ ემოციურადაც ქომაგობდნენ ყველას, ვინც კი ლამაზად ჭიდაობდა, კარტოზია კი სწორედ ასეთი სტილით გამოირჩეოდა. პირველი სერიოზული მეტოქე მესამე წრეში შეხვდა — თურქი ისმეთ ათლი. შემდგომ წლებში ის მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა, მაგრამ კარტოზიასთან ვერც მან გაახერხა რაიმე და უკვე მეოთხე წუთზე ბეჭებით ხალიჩას გაეკრო. ათლი ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნეოდა და როგორც ჩანს, არც თავად ელოდა მარცხს საერთაშორისო სარბიელზე მისთვის უცნობი ქართველისგან; გაოგნებული, კარგა ხანს არ უშვებდა ხელს კარტოზიას და ისევ აგრძელებდა ჭიდაობას. მისი ბედი გაიზიარა რუმინელმა ვასილ ონიუმაც.

ტურნირის მეხუთე წრეში გივი კარტოზია შვედ აქსელ გრიონბერგს ხვდებოდა. ეს პრაქტიკულად, საჩემპიონო შერკინება იყო. ჩვენი მოჭიდავე მანამდე ასეთ ტიტულოვან მეტოქეებს არ შეხვედრია. გრიონბერგი 1948 წლის ლონდონისა და ჰელსინკის ოლიმპიადების ჩემპიონი იყო. მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზეც მან გაიმარჯვა, ამასთან წლების განმავლობაში ერთხელაც არ დამარცხებულა. თუმცა კარტოზიასთვის აღიარებული ავტორიტეტებიც არაფერს ნიშნავდა. ხალიჩაზე იგი არავისთან იხევდა უკან და არც ახლა აპირებდა დათმობას. კარტოზია-გრიონბერგის შერკინება დაძაბული აღმოჩნდა. დარბაზი ფეხზე იდგა, ორივე თავგამოდებით უტევდა, მაგრამ ილეთის ჩატარება მხოლოდ ჩვენებურმა შეძლო და გაიმარჯვა კიდეც. ბოლო შვიდი წლის მანძილზე გრიონბერგი პირველად დამარცხდა, კარტოზიამ კი თავის დასკვნით შეხვედრაშიც ბეჭებზე დააწვინა ფინელი კალერვო რაუჰალა და მსოფლიოს ჩემპიონის პირველი ტიტული მოიპოვა.

იმავე სეზონში ქართველმა ფალავანმა კიდევ ერთხელ გაიმარჯვა საკავშირო ჩემპიონატში და სტუდენტთა მსოფლიოს ფესტივალზეც პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო მომდევნო, 1954 წელს თავისუფალ ჭიდაობაშიც სცადა ბედი და აქსელ გრიონბერგსაც კიდევ რამდენჯერმე შეხვდა. ამ პერიოდში სხვადასხვა ქვეყნის ფალავნები ორივე სტილით ჭიდაობდნენ, ზოგი წარმატებებსაც აღწევდა.

მათ შორის, ჩვენებურებიც იყვნენ: არსენ მეკოკიშვილი, ლევან თედიაშვილი, დავით ხახალეიშვილი.

ტოკიოს მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, სტოკჰოლმსა და მალმეოში შეეცი-

ისა და საბჭოთა გუნდების სამატჩო შეხვედრები გაიმართა. საერთაშორისო არენაზე საბჭოელთა გამოჩენამდე შვედები მსოფლიოში უძლიერესებად მიიჩნეოდნენ, ამიტომაც მათი შეხვედრები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. კარტოზიასა და გრიონბერგის პირველი ორთაბრძოლა ფრედ დასრულდა, მაგრამ ადგილობრივმა მსაჯებმა გამარჯვება გრიონბერგს მიაკუთვნეს. განმეორებითში უკვე კარტოზიამ იმარჯვა. ტოკიოში მათ კიდევ ერთხელ იჭიდავეს და კვლავ ჩვენებურმა მოიგო ქულებით. მან მომავალ ჩემპიონს, ირანელ ზანდისაც სძლია, მაგრამ თავად ერთი ქულის სხვაობით წაგო თურქ ათლისთან და საპრიზო სამეულს მიღმა აღმოჩნდა. კარტოზიასთან გამარჯვებით ვერც ათლიმ იხეირა, რადგან თავად ირანელთან დამარცხდა.

გივი კარტოზიასა და ისმეთ ათლის დაპირისპირება შემდგომშიც გაგრძელდა. მართალია, კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატზე ისინი ერთმანეთს არ შეხვედრიან, მაგრამ დასავლეთგერმანულ კარლსრუედან კარტოზია ოქროს მედლით დაბრუნდა, თურქი კი მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა. მსოფლიოს ჩემპიონატამდე მოსკოვს საპასუხო ვიზიტით შვედეთის ნაკრები ესტუმრა. კარტოზიასა და გრიონბერგის ორთაბრძოლა კვლავ ქართველის გამარჯვებით დამთავრდა. სწორედ ეს გახდა გრიონბერგის კარიერის დასრულების მიზეზიც და სკანდინავიელებმა კარლსრუეში, თავიანთი ტიტულოვანი ვეტერანის ნაცვლად, ახალგაზრდა რუნე იანსონი წაიყვანეს.

მეორე წრეში კარტოზიამ ხელის ტრავმა მიიღო, არადა, იმავე საღამოს კიდევ ოთხჯერ უნდა გამოსულიყო ხალიჩაზე. მან მაინც მიაღწია მიზანს: ოთხივე ორთაბრძოლა მოიგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

აი, როგორ იგონებდა ამ ჩემპიონატს თავად ბატონი გივი: *„ჯერ კიდევ დილით, ოტმარ ხანჰალტერთან შეხვედრისას მკლავი დამეჭიმა, ასეთი რამ კი ჭიდაობის დროს ხშირად ხდება. განსაკუთრებით მაშინ, როცა ფიზიკურად ძლიერ და ნაკლებტექნიკურ მეტოქეს ხვდები. ვიცოდი, რომ საღამოს ერთი ან ორი შეხვედრა მელოდა, ამიტომ დავავლე ჩანთას ხელი და დასასვენებლად წავედი. ვიფიქრე, დავიძინებ და ხელიც მომირჩება-მეთქი. ჩვენი სასტუმროს გვერდით რაღაცას აშენებდნენ და ამ ხმაურში კარგად ვერ დავისვენე... მოსაღამოვდა, ხელი ისევ მაწუხებს, არადა, იუგოსლავიელ ბრანისლავ სიმიჩს უნდა დავეჭიდო. საკმაოდ ღონიერი და ტექნიკური ბიჭია. ტოკიოში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ქულებით ვაჯობე. მივრბივარ გასახდელში, შევდივარ შხაპის მისაღებად და ამ დროს რეპროდუქტორში ჩემი გვარი მესმის. უკან გამოვიქეცი. იანსონთან მაჭიდავეს, ჩემი ძველი შვედი მეტოქის, გრიონბერგის დუბლიორთან. იანსონს ქულებით ვაჯობე და გავიფიქრე — ახლა კი დავისვენებ არხეინად, აღარავინ გამაღვიძებს-მეთქი. წავედი დასასვენებელ ოთახში, თხუთმეტ წუთში თავზე დამადგნენ — სასწრაფოდ გაემზადე, გურიჩთან უნდა იჭიდაო... უნგრელი დიორდ გურიჩი, ჰელსინკის ოლიმპიადის პრიზიორი, გამოცდილი და ძლიერი მოჭიდავეა. ისიც დავამარცხე. მაგრამ არც ამით დამთავრებულა ყველაფერი. თურმე დარჩა კიდევ ერთი მეტოქე — გერმანელი ჰორსტ ჰესი. მოვუგე მასაც. დავწექი გასახდელში და მკვდარივით დამეძინა. ძლივს გამაღვიძეს და დაჯილდოების ცერემონიაზე გამიყვანეს“ („ფალავანთა ფალავანი“).*

ამ გამარჯვების შემდეგ გივი კარტოზია პირველი ქართველი სპორტსმენი გახდა, ვინც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც მეორედ მოიპოვა. მომდევნო წელს კი მან კიდევ ორი მნიშვნელოვანი ტიტული დაისაკუთრა. 1956 წლის გაზაფხულზე სტამბოლში მსოფლიოს თასის გათამაშება ჩატარდა. თურქეთში, როგორც იცით, ჭიდაობა სპორტის ეროვნული სახეობაა. კარგი ფალავნებიც ჰყავთ და გულშემატკივრებიც კარგად ერკვევიან ჭიდაობის ნიუანსებში. წაგებაც გამორჩეულად არ უყვართ და ხშირად ათასნაირ ხრიკს მიმართავენ გამარჯვების მისაღწევად. თასის გათამაშებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. „მიხათ ფაშას“ სტადიონის ტრიბუნები ათასობით გულშემატკივრით გაივსო. თავიანთი ფალავნების გამარჯვების მოლოდინში ისინი გამაყრუებლად ხმაურობდნენ.

გივი კარტოზიამ ტურნირი წმინდა მოგებებით დაიწყო. მესამე წრეში კი მსოფლიოს ჩემპიონი, თურქი ისმეთ ათლი შეხვდა, რომელიც თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს თასის მფლობელი იყო. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა ხდებოდა ამ დროს ტრიბუნებზე. დაძაბული ორთაბრძოლის დრო ამოიწურა, მსაჯები კი კარგა ხანს არ აცხადებდნენ გამარჯვებულს. ბოლოს ისევ ათლიმ ივაჟკაცა და გამარჯვების ნიშნად კარტოზიას აუწია ხელი. ამ საქციელით თურქმა მოჭიდავემ ქართველის ოსტატობაც აღიარა და მისი ავტორიტეტიც.

თუმცა დანარჩენი მეტოქეებიც

ძალზე ძლიერი ჰყავდა, ყველას სძლია და მსოფლიოს თასსაც დაეუფლა.

იმავე წლის დეკემბერში მელბურნში კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ოლიმპიური ტურნირი გაიმართა. საშუალო წონით კატეგორიაში ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: ჩვენმა ფალავანმა პირველივე წრეში წააგო შვედ

ქომაგობდნენ ყველას, ვინც კი ლამაზად ჭიდაობდა, კარგოზია კი სწორედ ასეთი სტილით გამოირჩეოდა

რუნე იანსონთან. ასეთი ცუდი სტარტი მას არც ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაზე არ ჰქონია. რაც მთავარია, ამ მარცხისათვის მას 3 საჯარიმო ქულა დაერიცხა. ჭიდაობის მაშინდელი წესები ცოტა რთული იყო. წაგების, ფრედ დამთავრებული შეხვედრისა და ქულებით მოგების შემთხვევაშიც, სპორტსმენს საჯარიმო ქულები ეწერებოდა. მხოლოდ წმინდად მოგების დროს მოჭიდავე არ იღებდა საჯარიმო ქულებს. ხოლო 6 საჯარიმო ქულის მიღების შემთხვევაში ტურნირის მონაწილე ვეღარ მოხვდებოდა ფინალურ სამეულში. ასე რომ, დარჩენილ შეხვედრებში კარტოზიას აუცილებლად უნდა დაემარცხებინა ყველა მეტოქე, სასურველი იყო — წმინდად. მეორე წრეშივე კარტოზია ასეც მოიქცა — ავსტრალიელი უილიამ პატერსონი სამიოდ წუთში ბეჭებზე დააწვინა. ერთ-ერთი მთავარი ორთაბრძოლა კი უნგრელ გურიჩთან ელოდა. აი, როგორ იხსენებდა ბატონი გივი ამ ორთაბრძოლას: *„ეს იყო ყველაზე საპასუხისმგებლო და ძნელი შეხვედრა. რადგანაც მის შედეგს, პრაქტიკულად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაყურებლებმა მეორე ხალიჩას თავი მიანებეს და ჩვენკენ გადმოინაცვლეს. მთელი დარბაზი ახმაურდა და ტრიბუნიდან ათასი რეპლიკა ისმოდა. რაღაც რჩევებს მაძლევდნენ, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. გურიჩი — ფიზიკურად ძალზე ძლიერი, ამავე დროს ფრთხილია; თუმცა ამჯერად ჩვეული სტილი შეიცვალა და აგრესიულად შემომიტია. როგორც იქნა, მოვათვინიერე და მესამე წუთზე ჩოქჯენში გადავიყვანე. როცა ექვსი წუთი მიილია, აქტივში უკვე 5 ქულა მქონდა და უპირატესობა ბოლომდე შევინარჩუნე. როგორც სპეციალისტები ამტკიცებდნენ, ეს იყო ოლიმპიური ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა და, სიმართლე გითხრათ, მეც კმაყოფილი დავრჩი“ („ფალავანთა ფალავანი“).*

მოჭიდავეთა ოლიმპიური ტურნირის დასკვნით დღეს ქართველი ფალავანი ბულგარელ დიმიტრ დობრევს შეხვდა. გამარჯვების შემთხვევაში გივი კარტოზია ჩემპიონი ხდებოდა, ხოლო თუ დობრევი იმარჯვებდა, შემდეგ ბულგარელისა და შვედი იანსონის ორთაბრძოლაში გაირკვეოდა ოქროს მედლის მფლობელის ვინაობა, მაგრამ ჩვენმა მოჭიდავემ სათუოდ აღარ გაიხადა საქმე, დამაჯერებლად სძლია დობრევს და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

როგორც ვთქვით, გივი კარტოზია პირველი ქართველი ათლეტია, რომელმაც სამივე ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტული მოიპოვა, მსოფლიოს ჩემპიონის, მსოფლიოს თასის მფლობელისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის. პრაქტიკულად, მოსაგები აღარაფერი დარჩა და სპორტიდან წასვლაზე გადაწყვიტა ფიქრი. აღარც საკავშირო ჩემპიონატში მიუღია მონაწილეობა, მაგრამ 1958 წლის ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ იგი საბჭოთა ნაკრებში კვლავ გამოიძახეს. ამასთან მწვრთნელები ისევ ძველებურად ენდობოდნენ და მას საკონტროლო შეხვედრების გამართვა არ დასჭირვებია. სხვებმა კი, მათ შორის ნაკრების დებიუტანტმა როსტომ აბაშიძემაც, ქვეყნის მთავარ გუნდში ადგილი კონკურენტების ძლევით მოიპოვეს.

მას შემდეგ, რაც გივი კარტოზია საერთაშორისო სარბიელზე გავიდა კლასიკურ ჭიდაობაში, მასზე გამარჯვება შვედმა რუნე იანსონმა შეძლო, თუმცა ყველგან ჩემპიონის ტიტულს მაინც ქართველი ფალავანი ისაკუთრებდა. მეტოქეებმა ვერც ამჯერად აჯობეს — ყველა წრე მოიგო, ფინალში კი გერმანელები ჰესი (გფრ) და მეტცი (გდრ) დაამარცხა. ეს იყო ბატონი გივის მესამე გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატებში. ის პირველი ქართველი სპორტსმენია, ვინც სამჯერ მოიპოვა ეს ტიტულები.

ახლა კი შეიძლებოდა სპორტიდან წასვლა, მაგრამ 30 წელს მიტანებული ვეტერანი კვლავ იხმეს საბჭოთა ნაკრებში, — რომის ოლიმპიადისთვის მოემზადეო და ისიც შეუდგა ვარჯიშს. წონამომატებული, საშუალოდან ქვემძიმეში გადავიდა, რომელშიც როსტომ აბაშიძე გამოდიოდა. 2 უძლიერესის გამოსავლენად კარტოზია და აბაშიძე სამჯერ დააჭიდეს ერთმანეთს. სამივე ორთაბრძოლა ძალზე დაძაბული აღმოჩნდა. როგორც თვითმხილველები იხსენებდნენ, დარბაზი ზანზარებდა, მაგრამ გამარჯვებული ვერ გამოვლინდა — სამივე შეხვედრა ფრედ დასრულდა. ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა არკადი ლენცმა არჩევანი გამოცდილ კარტოზიაზე შეაჩერა, ხოლო აბაშიძე რომში სათადარიგოდ გაემგზავრა.

რომის ოლიმპიურ თამაშებში მოჭიდავეთა ტურნირი „მასენციოს“ ბაზილიკის თაღებქვეშ ჩატარდა. იმ წლის აგვისტოს ბოლო კი იტალიაში საოცრად ცხელი აღმოჩნდა. ასე რომ, ფალავნებს სუნთქაც უჭირდათ, არათუ ჭიდაობა. რომში კარტოზია საყოველთაო სიმპათიით სარგებლობდა, ამიტომაც არც არავის გაჰკვირვებია, გულშემატკივრები ფეხზე წამომდგარი რომ უკრავდნენ ტაშს. გივი კარტოზიამ 5 შეხვედრა მოიგო, ოღონდ ხუთივე — ქულებით. ეს იმას ნიშნავდა, რომ გივი კარტოზიას საჯარიმო ქულაც დაუგროვდა და ოქროს მედლის მოსაპოვებლად, დასკვნით შეხვედრაში თურქ ტოვფიკ კიშთან აუცილებლად წმინდა გამარჯვება სჭირდებოდა. ამ უკანასკნელს კი ფრეც ჰყოფნიდა. სიმართლე რომ ითქვას, კიში ურიგო მოჭიდავე არ იყო, მოგვიანებით იგი მსოფლიოს ჩემპიონის ორ ტიტულსაც დაეუფლა, მაგრამ ობიექტურად არც კარტოზიას მძლეველი იყო. თუმცა ცბიერმა თურქმა ზუსტად გათვალა სატურნირო მდგომარეობა, „გაქცევის“ ტაქტიკა აირჩია და ქართველის შეცდომას დაელოდა. იგი ერთთავად ხალიჩის კიდისკენ მიიწევდა, ხიფათის შემთხვევაში არენას რომ გასცლოდა. ერთ მომენტში, როდესაც იგი ისევ გარბოდა, ხოლო კარტოზია მის ხალიჩაზე შემოთრევას ცდილობდა, ჩვენმა ფალავანმა ჩაიმუხლა და თურქი წამში მას ზურგზე მოექცა. ამისთვის მას მსაჯებმა ნახევარი ქულა მისცეს, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა ოქროს მედლის მოსაპოვებლად, ხოლო კარტოზიას ბრინჯაოს ჯილდო ერგო.

რომის ოლიმპიადის შემდეგ გივი კარტოზია სარბიელზე აღარ გამოსულა, მაგრამ ლეგენდები მისი უბადლო ჭიდაობის თუ უამრავი ცხოვრებისეული საქციელის შესახებ, დღემდე დადის საქართველოში. ■

უცნაური კატასტროფები

⅄ 1902 წლის მაისში, მარტინიკის ქალაქ სან-პიერში ვულკანმა ამოხეთქა, რამდენიმე დღით ადრე მთის მიმდებარე ტერიტორია შხამიანმა გველებმა დატოვეს და ქალაქის ერთ-ერთ უბანს შეესივნენ. 6-მეტრიანმა ქვეწარმავლებმა 50 ადამიანი დაგესლეს. ვულკანმა მთლიანად წალეკა ქალაქი სან-პიერი და 30 ათასი ადამიანიდან მხოლოდ 2 გადარჩა.

⅄ 1902 წლის 19 სექტემბერს, ქალაქ ბირმინგემში (ალაბამის შტატი), შავკანიანი მორწმუნეებისთვის მესა ტარდებოდა. ბოლოს, დაკავებული ადგილების გამო მორწმუნეებმა იჩხუბეს და სიტყვა fight-ის (ჩხუბი) ნაცვლად, fire (ცეცხლი) გაიგეს. თავის გადარჩენის მიზნით ყველა კარს მიაწყდა. ჭყლეტაში 115 ადამიანი გარდაიცვალა.

⅄ 1919 წლის 15 იანვარს, ბოსტონის პორტში, რომის დასამზადებლად განკუთვნილ, ბადაგის ცისტერნებს ტვირთავდნენ. მოულოდნელად ერთ-ერთი ცისტერნა გასკდა და უზღვავი რაოდენობის სითხე ქუჩებში დაიღვარა. 21 ადამიანი დაიხრჩო, 150 დაშავდა. ბადაგში ამოსვრილი ცხენები პოლიციელებმა დახოცეს. ქალაქის დასუფთავება მეორე დღესვე დაიწყო და ზაფხულში დასრულდა.

⅄ 1927 წლის 14 ნოემბერს, პიტსბურგში (პენსილვანიის შტატი) ბუნებრივი გაზის რეზერვუარი აფეთქდა და 28 ადამიანი გარდაიცვალა, ათასზე მეტი კი დაშავდა. გაჩენილმა ხანძარმა 1 კმ-ის დიამეტრზე ყველა შენობა დააზიანა.

⅄ ქალაქ ჯილინგემის (კენტის საგრაფო, ინგლისი) მეხანძრეები ყოველწლიურად წარმოდგენას აწყობენ: „სახლს“ აშენებენ, ცეცხლს უკიდებენ და საკუთარ ოსტატობას მაყურებელს უჩვენებენ. 1929 წლის 11 ივლისს, მორიგი წარმოდგენისთვის, 6 მაყურებელი დაიხმარეს. შოუს მიხედვით, 3-სართულიან შენობაში ბოლი უნდა გაეშვათ, დაზარალებულები გამოეყვანათ და შემდეგ „სახლი“ დაეწვათ. გაურკვეველი მიზეზების გამო შენობას ცეცხლი წაეკიდა და 15 ადამიანი დაიღუპა.

⅄ 1945 წლის 18 ივლისს, ცუდი ხილვადობის გამო, ვერტმფრენი ნიუ-იორკის ერთ-ერთ ცათამბჯენს ემპაიერ-სტეიტ-ბილდინგს დაეჯახა. ვერტმფრენის ერთმა ძარამ 7 კედელი გაარღვია და შენობის მეორე მხრიდან გამოვარდა. მეორემ ელექტროკაბელები გადაჭრა, რის გამოც ლიფტი სარდაფში ჩავარდა. ავზის აფეთქების შემდეგ, 6 სართული დაიწვა (კატასტროფა 78 სართულზე მოხდა). სულ 14 ადამიანი გარდაიცვალა — 3 ეკიპაჟის წევრი და 11 თანამშრომელი (უქმე იყო).

⅄ 1972 წლის გაზაფხულზე ჩანდაკის (ინდოეთი) მოსახლეობამ დახმარებისთვის ხელისუფლებას მიმართა. გვალვით შეწუხებული სპილოები, წყლის საძებნელად, ტყეებიდან გამოვიდნენ. ზაფხულის დადგომისთანავე სიტუაცია გაუარესდა. ცხოველებმა გვალვას ვეღარ გაუძლეს და გააფთრებულებმა 5 სოფელი მიწასთან გაასწორეს. ტრაგედიას 24 ადამიანი ემსხვერპლა. ■

კბილი კბილის წილ

• ძველად, კუნძულ ბორნეოს მკვიდრთ მიაჩნდათ, რომ შავი კბილები უნდა ჰქონოდათ. დღესასწაულებისთვის განსაკუთრებულად ემზადებოდნენ; კბილებს შავად იღებავდნენ და 40 საათის განმავლობაში არაფერს ჭამდნენ, რათა კბილებიდან საღებავი არ გადასვლოდათ. სხვათა შორის, „შავი კბილები“ მოდაში იყო იაპონიაში, ინდოეთსა და ევროპაშიც კი. მოგვიანებით, XIX საუკუნეში ევროპელი მანდილოსნები კბილებს ყვითლად იღებავდნენ, თეთრი სახე რომ გამოსჩენოდათ.



• მაიას ტომში კბილებს იქლიბავდნენ. ასე იქცეოდნენ აფრიკის ზოგიერთ ტომშიც, რადგან მიაჩნდათ, რომ წამახვილებული კბილებით ზვიგენს ემსგავსებოდნენ და ამით მტრებს შეაშინებდნენ.

• ავსტრალიის ზოგიერთ ტომში, სრულწლოვანს წინა კბილებს აძრობენ და მას ღმერთებს სწირავენ. პანგვეს ტომის მამაკაცებიც იძრობენ წინა კბილებს, მაგრამ არა ღმერთებისთვის შესაწირავად, არამედ გადასაფურთხებლად. ტომში ყველაზე ძლიერი ის მამაკაცია, რომელიც ოსტატურად იფურთხება.

• ინდოეთის ზოგიერთ რეგიონში წინა კბილებს იბურღავენ, რათა მასში ნეფრიტის ან ობსიდიანის თვალი ჩაიმაგრონ. ძველად, კბილის ნახვრეტებს სადაფითა და ბრინჯაოთი ილამაზებდნენ.

• XVIII საუკუნეში მოდაში შემოვიდა ოქროს კბილები. ოქროს კბილების რაოდენობით მფლობელის სოციალური სტატუსი განისაზღვრებოდა.

• კბილში ბრილიანტი პირველად მომღერალმა — მიკ ჯაგერმა ჩაისვა. ცოტა ხანში მას მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. ■



ანეკდოტები

***

სვანმა პირველ ღამეს ცოლს ჰკითხა, ქალწული ხარო? ქალმა თავი გააქნია. გაბრაზებულმა სვანმა ხანჯალი დააძრო და მოსაკლავად გამოუდგა. დარბის შეშინებული ქალი საძინებელ ოთახში და გაკივის:

— თავი დამანებე, შე კრეტინო, თხის რქა ვარ, თხის რქა!..

***

მიხოს იეღოვას მოწმეები ეჩალიჩებიან, — ჩვენს სარწმუნოებაზე გადმოდი და მეორედ მოსვლის ჟამს მშობლებს გაგიცოცხლებთო.

— ვაა, მართლა ეგეთი რამეები თუ შაგიძლიათ, გადმოვალ თქვენს სარწმუნოებაზე, მა რას ვიზამ, ოღონდ, იქნება ის ორასკილოიანი ღორი გამიცოცხლოთ, შარშან რო მამიკვდა!

***

— როგორ კვდებიან ადამიანები?
— წეროებს მიჰყავთ.

***

სასამართლოზე:

— რატომ ესროლეთ დაზარალებულს ღვინის 3 ბოთლი?

— პირველი 2 ასცდა და იმიტომ!...

***

ჭიჭიკია შეხვდა ბიჭიკიას:

— რავა ხარ?

— ვარ, რა...

— ნაზიკიე რავა გყავს?..

— რა უჭირს... არის ჰუმანიტარული დახმარებასავით.

— მაი რაფერ?..

— აღარ ვარგია, მარა მაინც ვხმარობ...

***

ქერა ნაშა კაზინოში შევიდა და რულეტის სათამაშოდ დაჯდა. მთელი ფული 22-ზე დადო და მოიგო. მოგებული თანხა ისევ 22-ზე დადო. კრუპიემ ჩუმად ანიშნა, გადაანაცვლე, მოგების შანსი თითქმის არ არისო. ქალი გაჯიუტდა:

— მე თამაშის საკუთარი სისტემა მაქვს და ვიცი, რასაც ვაკეთებ.

დაჯდა ისევ 22 და ასე განმეორდა სამჯერ. კაზინო გაკოტრდა. გადარეული დირექტორი ქალს ეკითხება:

— ამიხსენით, რა სისტემა გაქვთ ამისთანა?!

— ყველაფერი მარტივია: ქალაქში ჩამოვედი 7-ში, ვცხოვრობ სასტუმროს მე-7 ნომერში და სასტუმროდან კაზინომდე 7 კილომეტრია.

— მერე რა?! — დაიბნა დირექტორი.

— რა და შვიდი გამრავლებული სამზე ხომ უდრის ოცდაორს?!

***

პატარძალი საქორწინო ღამის შემდეგ:

— ყავას ხომ არ მიირთმევ, ძვირფასო?

— სიამოვნებით.

— გავარდი აბა, სამზარეულოში... ჩემსაში 2 კოვზი შაქარი...

***

ნარკომანი განგრეულ კაიფში აივანზე დგას და გრძნობს, რომ თვალებში უბნელდება — უნათდება, უბნელდება — უნათდება, უბნელდება — უნათდება. შეშინებული სახლში შედის:

— დედა, მაგრა მშია, საჭმელი მაჭამე, რა!

— მოგშივდებოდა, აბა რა, 3 დღეა, აივანზე დგახარ!

გონების სავარჯიშო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების" სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რომელ სპორტშია დაოსტატებული გია ბაღაშვილი?

2. რა არის აიათი?

3. დაასახელეთ ქართველი მწერალი, რომელიც კლეპტომანიით იყო დაავადებული.

4. რომელ ქალაქში დაიბადა ვერიკო ანჯაფარიძე?

5. ვის კრძალავდნენ სენ-დენის ტაძარში?

6. რატომ უგრეხენ შემოდგომობით ხვანჭკარელი მევენახეები ალექსანდროულის მტევნებს ყუნწს?

7. დაასახელეთ ყველაზე გამწვანებული დედაქალაქი მსოფლიოში.

8. დანამდვილებით არავინ იცის, თუ როგორ გამოიყურებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. მისი ერთადერთი ფოტო თავის დროზე ილია ჭავჭავაძეს მიუტანია გასამრავლებლად ფოტოატელიეში და ისიც ხანძრის დროს დამწვარა. ვისი სახის მიხედვით შექმნა ლადო გუდიაშვილმა ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი?

9. რა არის „სიმფონიონი"?

10. ვის ეძახიან იმბეცილს?

11. ვის სარდლობდა ასპინძის ომში კოხტა-მალაჩილა და რა ბედი ეწია მას?

12. სად აღმოაჩინეს მსოფლიოში ყველაზე დიდი ალმასი „კულინანი"?

13. იოჰან სებასტიან ბახის ძეგლს ლაიფციგში ამოტრიალებული ჯიბეები აქვს. რატომ?

***

გვიანი ღამეა. ცივა. ლუდის ბართან მთვრალი მამაკაცი დგას. გამვლელი ეკითხება:

— აქ რატომ იყინებით, შიგნით მაინც შედით.

— ამწუთას გამომაგდო ბარმენმა... მის ცოლს ვეარშიყებოდი...

— სახლში რატომ არ მიდიხართ?

— ბარმენი დაიმუქრა, ცოლსაც გარეთ გამოვაგდებო.

***

ტიპი გაგლეჯილ „პახმელიაზე“ რესტორანში შევიდა, კარგა გვარიანად ისადილა და ანგარიში მოითხოვა. მოუტანეს ანგარიში — 50 თეთრი. კაცს გაუკვირდა, მაგრამ იფიქრა, ალბათ რაიმე აქცია აქვთო, ფული გადაიხადა და წავიდა. მეორე დღეს ძმაკაცები წაიყვანა და კარგად იქეიფა. მოუტანეს ანგარიში — 1 ლარი. კაცი გიჟი ხომ არ იყო, მიზეზები ერკვია, ერთი ლარი გადაიხადა, წავიდა და კარგი ქეიფიც შერჩა. ბოლოს კიდევ ერთხელ წასძღია სულმა და ამავე რესტორანში ბიძაშვილს მაგარი ქორწილი გადაუხადა. ანგარიში მოუტანეს — ლარ-ნახევარი. კაცი გადაირია.

— თუ ძმა ხარ, თქვენი დირექტორი მანახვეთ, — სთხოვა ოფიციანტს.

შეიყვანეს კაბინეტში, ხედავს მაგიდასთან 5 წლის ბავშვი ზის.

— შენა ხარ დირექტორი? — ეკითხება კაცი.

— არა, დირექტორი ბათუმშია წაბრძანებული და მე მაგას ვაჩვენებ, როგორ უნდა დედაჩემთან ერთად დროს ტარება!

***

— რა გქვია?

— დათო.

— რა გვარი ხარ?

— დათუნაშვილი.

— რავა „კოკა-კოლასავით“ სახელი და გვარი გქონია!..

***

— შესაძლებელია თუ არა ქალის გაუპატიურება შუა ქუჩაში?

— არ გირჩევთ... შეგიკლავთ ხალხი რჩევა-დარიგებით!..

***

იაპონიიდან საქართველოში მაღალი ტექნოლოგიების სფეროს მუშაკები ჩამოვიდნენ ქარხანა-დანადგარების შესასწავლად. ათ დღეში შეძლებისდაგვარად დაათვალიერეს ყველაფერი. მეათე დღეს გამოსამშვიდობებელ ბანკეტზე ჯგუფის ხელმძღვანელს ეკითხებიან:

— რა მოგეწონათ საქართველოში?

— ბავშვები.

— ძალიან კარგი, კიდევ რა მოგეწონათ?

— ბავშვები...

— კიდევ?

— ბავშვები!

— კი, მაგრამ ბავშვების გარდა არაფერი გინახავთ?

— ხელით გაკეთებული თქვენი არაფერი ვარგა და... ბავშვები კი ძალიან მოგვეწონა!...

***

— ბებია, ეს პრედნიზოლონის მალამოა — რევმატიული და ქრონიკული პოლიართრიტის, სკონდილართრიტის და რევმატიული კარდალიტის ანდრენოგენიტალიური წამალი.

— თუ არ მიშველა, შვილო?

— მაშინ თხის ქონი წაისვი, ბებია.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. გია ბაღაშვილი შავი ქამრის მფლობელია კარატეში.
2. ყურანის ცალკეულ ლოცვა.
3. ალექსანდრე ყაზბეგი.
4. ქუთაისში.
5. საფრანგეთის მეფეებს.
6. რათა ყურძენმა ნიადაგიდან რაც შეიძლება ნაკლები წყალი მიიღოს და მზის სხივებზე კარგად ჩაშაქრდეს.
7. ლონდონი. ბრიტანეთის დედაქალაქში 5 უზარმაზარი პარკია. მათ შორის ყველაზე დიდს, ჰაიდ პარკს, 340 აკრი ფართობი უჭირავს.
8. პოეტის დის — სოფიო ბარათაშვილის სახის მიხედვით.
9. ასეთია ხელის არღნის, ეგრეთ წოდებული „შარმანკის“ ოფიციალური სახელწოდება.
10. გონებასუსტ ადამიანს, საშუალოს — დებილსა და იდიოტს შორის.
11. კოხტა-მალაჩილა ასპინძის ომში ლეკებს სარდლობდა. ბრძოლის დროს სულ იმას ცდილობდა, როგორმე პირისპირ შეჰყროდა მეფე ერეკლეს. ერეკლე შეება და შუაზე გააპო იგი.
12. 1905 წელს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.
13. ნიშნად იმისა, რომ ცხოვრებაში კომპოზიტორი საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა.

ჩვენი ფოტოგალერეა

ჰოროსკოპი

9-15 აგვისტო

ვეერყა

დრო დაუთმეთ ბინის, აგარაკის რემონტსა და ინტერიერის განახლებას. უქმეები საყვარელ ადამიანთან ერთად ქალაქგარეთ გაატარეთ.

ჯუარა

გამოგისწორდებათ მატერიალური მდგომარეობა, რაც საშუალებას მოგცემთ, შეიძინოთ ძვირფასი სამკაულები, ავეჯი. მოაწესრიგეთ ურთიერთობა ნათესავებთან და მეზობლებთან.

ტყუპი

კარგი პერიოდია ახალი საქმეების დასაწყებად. შესაძლოა, რომანტიკული ურთიერთობა ასაკით უფროს პარტნიორთან გააბათ. გამონახეთ დრო განმარტოებისა და მომავლის დასაგეგმად.

ჯიბგხიტი

კოლეგებთან ერთად ახალ, საინტერესო პროექტს წამოიწყებთ. მეგობრებთან გულახდილი საუბრები გელით. შაბათ-კვირა ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

ღობე

მეგობრების რჩევითა და დახმარებით ყველაზე რთული სიტუაციიდანაც კი დაიძვრენთ თავს. არ გასცეთ სხვათა საიდუმლოებები. შუა კვირაში მოსალოდნელია ქალაქგარეთ გამგზავრება და საქმიანი შეხვედრები.

ქანგწუღი

სასიამოვნო ცვლილებები გელით, როგორც სამსახურის საქმეებში, ასევე პირად ცხოვრებაში. დაქორწინებული ქალწული მეუღლესთან ურთიერთობის მოგვარებას შეძლებს. შაბათ-კვირას არ გასცეთ ფული.

სანსწორი

კვირის დასაწყისში მემკვიდრეობის საკითხები მოაგვარეთ. შესაძლოა, უმნიშვნელო ფლირტი რომანტიკულ ურთიერთობაში გადაიზარდოს. მეგობრების დახმარებით ახალ საქმეს წამოიწყებთ.

ბოგრიბეღი

ყურადღებით მოეკიდეთ ჯანმრთელობას. მოაწესრიგეთ იურიდიული საბუთები. გამოგისწორდებათ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან. უქმეებზე სერიოზულ საქმეებს ნუ წამოიწყებთ.

ბუვიღდოსანი

მოაგვარეთ მემკვიდრეობის საკითხი. ნათესავი ძველ ვალს დაგიბრუნებთ. კარგი პერიოდია ბინისა და აგარაკის გასარემონტებლად. კვირის ბოლო გართობას დაუთმეთ.

ოხის რქა

სამსახურსა და სახლში უამრავი საქმე დაგიგროვდათ. მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან ერთად. უქმეებზე ნათესავებთან შეხვედრა და მხიარულება გელით.

ბეერწყუღი

სამსახურებრივი საქმეები კოლეგებთან ერთად მოაწესრიგეთ. ამ პერიოდში რომანტიკულ შეხვედრას ელოდეთ. მოსალოდნელია ხანმოკლე მგზავრობა. უქმეები მშობლებთან ერთად გაატარეთ.

ოიბეზეტი

მოსალოდნელია შეხვედრები, წვეულებები, მგზავრობა. დაოჯახებულებმა მეტი დრო დაუთმეთ შვილების აღზრდას. საყვარელ ადამიანს თქვენი მხარდაჭერა გაამხნევებს.

ზოდიაქოს ნიშანთა პროფესიები

მებრძოლი, ამბიციური და ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული **ვერძი** სიამოვნებით იმუშავებს ჟურნალისტად, რეკლამისა და შოუბიზნესის სფეროში.

კურო დასახული მიზნისკენ შეუპოვრად მიიწევს. წარმატებას მიაღწევს საბანკო სფეროში, ეკონომიკასა და მეცნიერებაში.

ხალისიანი და ოპტიმისტი **ტყუპი** შემოქმედებითი ნატურაა. მისი სფეროა ტურიზმი, პიარი, მხატვრობა და მწერლობა.

სხვათა ტკივილის გაზიარება და დახმარება **კირჩხიბს** სხვა ნიშანზე კარგად გამოსდის. მისთვის შესაფერისია ფსიქოლოგის, იურისტისა და სოციალური თანამშრომლის პროფესია.

ლომს მოსწონს და გამოსდის ხალხისა და ორგანიზაციის მართვა და კონტროლი. ხშირად იმპულსური და სპონტანურია. მენეჯერი, რედაქტორი და მსახიობი, — ეს ის პროფესიები, რომლებშიც ბედი უნდა სცადოს.

შრომისმოყვარე, დელიკატური და ბეჯითი **ქალწული** კარგი ექიმი და თარჯიმანი გახდება. აგრეთვე წარმატებას მიაღწევს სერვისისა და სტატისტიკის სფეროში.

სამართლიანი **სასწორი** კარგი ადვოკატი და შუამავალი იქნება. დახვეწილი გემოვნება აქვს და უყვარს ხალხთან ურთიერთობა. ამიტომ მოდის სფეროშიც უნდა სცადოს ბედი.

მორიელს კარგი ინტუიცია, მაღალი ინტელექტი და ანალიტიკურად აზროვნების უნარი აქვს. უყვარს რისკი და ექსპერიმენტები. კარგი ფიზიკოსი, იურისტი, გამომძიებელი და კასკადიორი იქნება.

ცნობისმოყვარე და ოპტიმისტ **მშვილდოსანს** იზიდავს ტურიზმის სფერო, ფილოსოფია და მეცნიერება.

თხის რქა ერთადერთი ნიშანია, რომელიც თავდაუზოგავად მუშაობს და ზოგჯერ, რამდენიმე თანამშრომლის საქმესაც კი საუკეთესოდ აკეთებს. მისი სფეროებია: პროგრამული უზრუნველყოფა, ბუღალტერია, მათემატიკა და ფინანსები.

მერწყული ვერ იტანს რუტინულ საქმეს. ფოტოგრაფია, პოეზია და სამსახიობო საქმე, — ეს ის სფეროებია, სადაც თავს კარგად იგრძნობს.

თევზები რომანტიკული, მგრძნობიარე ნიშანია. მისგან შესანიშნავი მხატვარი, მწერალი, მოცეკვავე და მუსიკოსი დადგება.

■

ტაიმ-აუტი

1. მონადირე ძაღლის ჯიში
2. გეომეტრიული ფიგურა
3. ფრანგი მწერალი
4. ქვეყანა აზიაში
5. ერთგვარი ყველი
6. დასარტყამი მუს. ინსტრუმენტი
7. დიდი ბოთლი
8. სასტუმროს მსახური ბიჭი
9. ავტომობილის ძარას ტიპი
10. მახრჩობელა გველი
11. ამერიკული ავტომობილი
12. ხილი
13. ცხენის ჭენება
14. მუზეუმი მადრიდში
15. ბილიარდის ჯოხი
16. ხელოვნური ენა
17. ადვოკატი
18. მიმინოს დამგეშავი
19. საფოსტო გზავნილი
20. კნოპი
21. ძალა, ღონე
22. ძაღლის ნაშიერი
23. ავტომობილის სამრთველი მოწყობილება
24. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
25. ლაბორატორიული ჭურჭული
26. მომღერლის გამოსვლა უცხო ქვეყანაში
27. ბედი, იღბალი
28. მომკილი თავთავის კონა
29. შენობის წინა ნაწილი
30. სარწმუნოება
31. დიდი შეჯიბრება ნავებით
32. ხელოვნური თმა
33. მუსიკის დიდი სიყვარული
34. ამორტიზატორი
35. ღვინის დეგუსტატორი
36. ვარდობისთვე
37. გემის სარემონტო ნაგებობა
38. ყვავილი

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. საქსოფონი; 2. ტოროლა; 3. ფარა; 4. ინიციალი; 5. ცა; 6. კვადრატი; 7. ლიანა; 8. ზაქი; 9. კალო; 10. კიტო; 11. კონვერტი; 12. მილი; 13. კილიმანჯარო; 14. ელეგია; 15. იდიოტი; 16. ჯინი; 17. კაიუტა; 18. ჩირი; 19. ჩაროზი; 20. ოლიფა; 21. კრიჭა; 22. კიკინი; 23. ჰო; 24. ნიანგი; 25. მანგო; 26. აკიდო; 27. ვეირონი; 28. აფრა; 29. თანრიგი; 30. ვარძია; 31. თხა; 32. ენა; 33. ვენერა; 34. აქსისი; 35. პიცა; 36. პორტერი; 37. ლეი; 38. სორბონი; 39. ფრი; 40. ნიცშე; 41. დასი; 42. ასი.
სურათებზე: 1. სკარლეტ იოჰანსონი; 2. რაიან რეინოლდსი.

სპეციალური კროსვორდი

გ	ზ	ა	გ	ზ	ი	ს	თ	ვ	ი	ს	ა	ო	მ	კ	ი	თ	ხ	ვ	ე	ლ	ი	ს	თ	ვ	ი	ს	ა	ო
ე	ი	ა	ო	ე	ს	ნ		ნ	ნ	ა		ა	ი	ე	ნ	ი	ი	რ	ო	მ	ო	ე	ე	ა		ვ	ა	ო

შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

გ. თბილისის „დინამოს“ ყოფილი თავდამსხმელი; **ზ**. უზენაესი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, ჭექა-ქუხილის ღვთაება; **ა**. სამცხის მმართველთა ტიტული; **გ**. მედუზა ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც ყველა სულიერს მზერით აქვავებდა. მოკლა პერსევსმა; **ზ**. ზღვის დიდი მტაცებელი თევზი; **ი**. სისხლის აღრევა; **ს*** ტბა სომხეთში; **თ*** რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც კუნძულ კრეტაზე გადამალული ჩვილი ზევსი საკუთარი რძით გამოკვება? **ვ*** ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება; **ი*** რა ჰქვია დოდო აბაშიძის პერსონაჟს ფილმში „პირველი მერცხალი“? **ს*** ჩეხი კომპოზიტორი, დირიჟორი და პიანისტი; **ა*** ცელქი, მოუსვენარი; **ო*** კანადის დედაქალაქი; **ბ*** ესპანეთის დედაქალაქი; **კ*** ვულკანის ჩაღრმავებული ნაწილი, საიდანაც ლავა გადმოდის; **ი*** არგონავტების წინამძღოლი; **თ*** მოტყუებითა და ხრიკებით რაიმე საქმის გამკეთებელი, ყალთაბანდი; **ხ*** წყალწაღებულის უკანასკნელი „იმედი“; **ვ*** მამაკაცის პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატი; **ე*** მცენარე, რომლის ფესვებითაც სააღდგომო კვერცხებს ღებავენ; **ლ*** აღვირის ნაწილი, ცხენის პირში ამოსადები რკინა; **ი*** ბერძნული მითოლოგიის გმირი, რომელიც მამის, დედალოსის მიერ გაკეთებული ფრთებით გაფრინდა კრეტის ლაბირინთიდან. ფრენისას ძალზე მიუახლოვდა მზეს, რის გამოც ცვილი, რომლითაც ფრთები ჰქონდა მიმაგრებული, გალღვა და ზღვაში ჩავარდა; **ს*** ყველაზე დიდი ქალაქი ავსტრალიაში; **თ*** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ვ*** რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში? **ი*** ერთი ქულა ნარდში; **ს*** ქართული კერძი; **ა*** მთა, სადაც წარღვნის შემდეგ გაჩერდა ნოეს კიდობანი; **ო*** ნიშნის მოგების გამომხატველი შორისდებული, რომელიც იხმარება პირის ნაცვალსახელთან ერთად (ხმარობდა ლუარსაბ თათქარიძე).

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

გ* გიქორი; **ა*** ალაფი; **ე*** ეკლერი; **რ*** რეიგანი; **თ*** თოქმაჩი; **ე*** ერმაკი; **თ*** თხა; **დ*** დარიოსი; **ა*** არსენა; **დ*** დისპუტი; **ა*** არწივი; **ი*** იღუმენი; **ს*** სანტინო; **ვ*** ვიოლინო; **ე*** ელბა; **ნ*** ნადეჟდა; **ე*** ელარჯი; **თ*** თეირანი; **გ*** გაყოფა; **ზ*** ზეობა; **ა*** ალიონი; **ს*** სუმო; **თ*** თხილი; **ა*** აქსიომა; **ნ*** ნიაგარა; **ე*** ეშმაკი; **რ*** რვალი; **თ*** თარაზო; **ა*** ათაბაგი; **დ*** დიონისე.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ძალი ძმარს სწუნობდა, იყო იმის ამარაო

იაპონური სენსაციია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

5	3	6	1	2	4	9	7	8
1	7	9	8	5	6	2	3	4
8	2	4	3	9	7	6	1	5
3	6	1	4	7	5	8	2	9
7	4	8	9	1	2	3	5	6
9	5	2	6	3	8	1	4	7
6	9	5	2	4	1	7	8	3
4	1	3	7	8	9	5	6	2
2	8	7	5	6	3	4	9	1

5	1	3	8	9	4	2	7	6
8	6	9	7	2	3	4	1	5
2	4	7	5	1	6	8	9	3
9	3	1	4	8	2	5	6	7
4	5	8	9	6	7	3	2	1
6	7	2	3	5	1	9	4	8
1	8	5	6	4	9	7	3	2
7	2	4	1	3	5	6	8	9
3	9	6	2	7	8	1	5	4

8	1	4	9	6	2	5	7	3
5	7	9	4	1	3	6	8	2
3	6	2	5	8	7	4	9	1
2	3	8	6	7	1	9	4	5
1	4	7	8	9	5	2	3	6
6	9	5	2	3	4	7	1	8
7	8	6	3	2	9	1	5	4
4	2	1	7	5	8	3	6	9
9	5	3	1	4	6	8	2	7

* მარტივი

		8	3			1		9
4				7			5	
	6				4			8
	8		9			6		
	2		1	4			8	
		5		2			1	
2			7				3	
	3			8				4
8		1			3	2		

** საშუალო

		6	9			5		
		9		3		7		
	4		1				6	8
9				7		8		
3					6			7
		1	5		3			6
4	3				8		7	
		8		4		3		
		7			5	1		

*** რთული

6					7			
		2					1	
3				5			9	
		3						6
9				8				4
5			2			8		
	9			6				5
	1					2		
			7					8

ფოტოკუჩიოზები

„გამომცემლობა პალიტრა L“-ის ახალი წიგნები

ვიმეცადინოთ ზაფხულის არდადეგებზე

სიახლე!

გვ. რაოდ.: 100 გვ
ყდა: რბილი
ფორმატი: 20.5X29
ამ წიგნში მოთავსებულია საინტერესო, სახალისო, ფერად-ფერადი ილუსტრაციებით გაფორმებული სავარჯიშოები, დავალებები, თავსატეხები და ამოცანები, რომლებიც პატარებს მეორე კლასში შესწავლილი მასალის განმტკიცებაში დაეხმარება. ზაფხულის ხანგრძლივ არდადეგებზე მეტად მოსახერხებელი იქნება ერთ წიგნში თავმოყრილ დავალებებზე მუშაობა და ბავშვებიც მხიარულად და ხალისით განიმტკიცებენ ცოდნას ყველა შესწავლილ საგანში.

ფასი: 10.99

თხუპნია ცუგა

სიახლე!

გვ. რაოდ.: 16 გვ
ყდა: მაგარი
ფორმატი: 20X26
წაიკითხეთ ეს შესანიშნავი, მოძრავი ილუსტრაციებით გაფორმებული წიგნი თხუპნია ლეკვზე და გაიგეთ, როგორ გამოაცხო მან თავის მეგობარ გოჭუნასთან ერთად ტალახის ღვეზელი.

ფასი: 19.99

ტკბილეული პატარებისთვის

ფასი: 15.99

სიახლე!

გვ. რაოდ.: 61 გვ.
ყდა: მაგარი
ფორმატი: 21.5X27.5
თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ გემრიელი ჯერეების მომზადება მხოლოდ უფროსებს შეუძლიათ, მაგრამ როცა ამ პატარა დიასახლისებისთვის შექმნილ წიგნს გადაშლით და მარტივ, სახალისო რეცეპტებს წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ თურმე ნაირ-ნაირი ნუგბარებისა და სასუსნავების მომზადებას, დედის დახმარების გარეშეც, იოლად შეძლებთ. ხომ გაინტერესებთ, როგორ უნდა გამოაცხოთ „დედოფლის ნამცხვარი“ ან „ნამცხვარი მან-ქანა? ეს წიგნი დაგეხმარებათ, სასიამოვნოდ გააოცოთ თქვენი მეგობრები.

მოხერხებული ღრუტუნა

სიახლე!

ფასი: 9.99

გვ. რაოდ.: 12 გვ.
ყდა: ბალიშა
ფორმატი:15X19
ამ შესანიშნავ, პაზლებიან წიგნში პატარები წაიკითხავენ ზღაპარს გონიერ ღრუტუნაზე, რომელმაც მოხერხებულად დაიხსნა თავი მგლისაგან და გადაარჩინა თავისი პატარა გოჭებიც.

ტყის ამბები

სიახლე!

გვ. რაოდ.: 9გვ. მუყაო
ყდა: ბალიშა
ეს შესანიშნავი პაზლებიანი წიგნი ხუთ პატარა, სახალისო ამბავს მოგითხრობს. პაზლები ერთმანეთში აურიე, შემდეგ წაიკითხე ტყის ამბები და შეეცადე, ეს მხიარული თავგადასავლები პაზლების საშუალებით ლამაზ ნახატებად აქციო.

ფასი: 11.99

კომბლე

სიახლე!

ფასი: 9.99

ქართულ ინგლისურ ენებზე!

გვ. რაოდ.: 12 გვ
ყდა: ბალიშა
ფორმატი:15X19
ამ ლამაზად ილუსტრირებულ წიგნში თქვენ წაიკითხავთ და თან პაზლებით ააწყობთ ყველასათვის საყვარელ ქართულ, ხალხურ ზღაპარს კომბლეზე.

ფერიების ამბები

სიახლე!

ფასი: 11.99

გვ. რაოდ.: 9გვ. მუყაო
ყდა: ბალიშა
იცი, რა შეუძლია ამ ჯადოსნურ პაზლებს? ხუთივე გვერდების პაზლები ერთმანეთში აურიე, შემდეგ წაიკითხე ამბები. პაზლებით ააწყვე მშვენიერი სურათები, რომლებიც ამ ამბებს ნახატებით მოგიყვებიან.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

სახელი, გვარი:

ეთერ [illegible]

პროფესია:

[illegible]

ასაკი:

47 წლის

მსოფლიო
კულინარია

1 იტალიური სამზარეულო

სერიის წიგნები:

1. იტალიური სამზარეულო
2. მექსიკური სამზარეულო
3. არგენტინული სამზარეულო
4. ჩინური სამზარეულო
5. ფრანგული სამზარეულო
6. იაპონური სამზარეულო

... და სხვები

6-დან 13 ივნისამდე

სპეციალური ფასი 10 ლარი

მხოლოდ „პვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

ვოლტერი ყოველთვის! მოიპარეს! ეს ის ლ. იმავე ალბომ!

წიგნი

რომელიც უნდა წაიკითხო,
სანამ ცოცხალი ხარ!

27 ივნისიდან — 4 ივლისამდე

თომას მანი
(ტომი II)

11-დან — 18 ივლისამდე

მარკ ტვენი

25 ივლისიდან — 1 აგვისტომდე

ჯონსტანტინე
გამსახურდია

13-დან — 20 ივნისამდე

წიგნი 15
თომას მანი
„ბუდენბროკები“

და ახლა დიდი ზოგნები...

ყოველ ორ ყვირილში
„ყვირილ ალიტრისთან“
ერთად!

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
წიგნის სპეციალური ფასი -7 ლარი

წაიკითხე წიგნები უკეთესად იძნები!

უკვე გამოსული ტომები: ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი, ჟიულ ვერნი, მიხაილ ბულგაკოვი, ოსკარ უაილდი, ჩარლზ დიკენსი, ერიხ მარია რემარკი, ფრედერიკ ბეგბედერი, ედგარ პო, ჰომეროსი, მაინ რიდი

შეგიძლიათ შეიძინოთ ნიბნის მაღაზიებში!

გამოიწერეთ „კვირის პალიტრა“ და მიიღეთ თითო ტომი 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი